ლაშა იმედაშვილი

მიოგრაფიები

იესო ქრისტე
ლეონარდო და ვინჩი
ალფრედ ბერნჰარდ ნობელი
მიხეილ ჯავახიშვილი
გალაკტიონ ტაბიძე
დიაბოლოს

„ლომისი"
თბილისი
2003

ლაშა იმედაშვილი ქართული მწერლობის ახალი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელია. სტილური ორიგინალობა და ექსპრესია, მოდერნისტული ხერხების მარჯვე გამოყენება, ღრმა ფსიქოლოგიური კვლევა, გამოკვეთილი ხასიათები, ჩინებული იუმორისტული თუ დრამატული ფონი ის თვისებანია, რაც მის ბელეტრისტიკას ასე ცოცხლად და საინტერესოდ საკითხავს ხდის.

„ბიოგრაფიები" ლაშა იმედაშვილის ერთ-ერთი ციკლია, პოსტმოდერნული მიმდინარეობის თავისებური ნაირსახეობა, რომელიც მოიცავს ვრცელ საზოგადო არეალსა და დროს, საკაცობრიო ტკივილებს, მაგრამ უპირატესად ჩვენი ცხოვრების ტრაგიკულობაა გამოსახული, ჩვენი ბედისწერა გამოსჭვივის. ამასთან, წარმოჩენილია ნუთისოფლის ნრეგრუნვა და შინაგანი სიახლოვე თითქოსდა დაცილებულ ეპოქებსა და პიროვნებებს შორის.

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

მხატვარი
დიმიტრი ერისთავი

© „ლომისი". ლაშა იმედაშვილი. 2003

იესო ქრისტე

სულხანს არაფერი უჭირდა.

შეიძლება ითქვას, სანახევროდ თავიდანვე გაუმართლა. სანამ მამა ცოცხალი ჰყავდა საფიქრალი არ ჰქონია. უთვალავი ნათესავი, ბებიები, ბაბუები სულ იმის განსჯაში იყვნენ, როგორ ესიამოვნებინათ პატარა სულხანისათვის. აჭმევდნენ, ასეირნებდნენ, სათამაშოს არ აკლებდნენ, ღამ ღამობით კი, ფუმფულა ლოგინში, ტკბილი იავნანითა და ზღაპრებით აძინებდნენ.

სულხანი ყველას ეცოდებოდა.

მამა კი ჰყავდა, მაგრამ მაინც ობოლი ერქვა. დედა არ ახსოვდა, ან კი როგორ ემახსოვრებოდა, როცა დაბადება და მასთან განშორება ერთი იყო. ამ ყურადღებამ შედეგი გამოიღო და გარკვეულ დრომდე უდედობა თითქმის არ უგრძვნია. მაგრამ წლებთან ერთად თანდაყოლილმა დარდმა გამოიღვიძა, თავი შეახსენა და ბიჭს სერიოზული ფიქრის მიზეზი გაუჩინა. ამას ისიც დაემატა, რომ დღე დღეს მისდევდა და მამასაც ველარ ნახულობდა. ცხოვრება აეწყო ასე. მთავრობაში თითქოს რაღაც შეიცვალა, თითქოს პატიოსნებაც დაფასდა და ერთ დროს უჩინო მილიციელი დააწინაურეს. შინ სიარულს უკლო და ბოლოს სულ გადაეჩვია. ბებიების მზრუნველობამ ძალა დაჰკარგა, სულხანს აღარაფერი ახარებდა, სული დარდს მიუგდო საჯიჯგნად, ოთახი

შეიყვარა და სწავლას მიეძალა. ყამირი გატყდა. თელავის საშუალო სკოლა ისე დაამთავრა, რომ წარჩინებული მოსწავლის ჩარჩოიან სურათს, ჯიშიანი კონიაკივით, მხოლოდ საჩვენებლად ინახავდნენ.

ერთი დამთავრდა და მეორე დაიწყო. სწავლის გაგრძელების დრო დადგა. სულხანმა მამის სიყვარულითა და წამბაძველობით მილიციელობა გადაწყვიტა. მამა უარზე დადგა, ამოდენა ცოდნას წყალში ხომ არ გადაყრიდა და რადგანაც სულხანი, როგორც მედალოსანი, მხოლოდ ერთ გამოცდას აბარებდა თავი იურიდიულზე უკრა, სოლოლაკში, ჭონქაძეზე ბინა უქირავა და მეთვალყურედ ყველაზე ახალგაზრდა ბებია მიუჩინა.

სულხანმა არც აქ შეირცხვინა პირი. ხუთი წლის თავზე წითელი დიპლომი ჩააბარეს, ასპირანტურაშიც მიიპატიჟეს, მაგრამ ისევ მამის რჩევას მიყვა, მეცნიერებას ზურგი აქცია და ყოველდღიურობაში რიგით წევრად ჩაეწერა: სულხანმა სამსახური პროკურატურაში დაიწყო. განათლებასა და მონდომებას გასაქანი მიეცა. იმათაც მეტი რა უნდოდათ, რაც რამე სალაპარაკო და საწერი იყო ერთიანად სულხანს ავალებდნენ. სულხანი გაამაყდა, რაც მთავარია ენა დაიმოკლა, სიტყვას ფასი დაადო, რითაც თავის გაწევრიანებას ამ საიდუმლო ოჯახში საბოლოოდ დაასვა ბეჭედი. მოკლედ ეს ის განსაკუთრებული შემთხვევა იყო, როდესაც მონდომებული სწავლა, თავდაუზოგავი შრომა და მოვალეობის გაათმაგებული გრძნობა გზას არ ასცდენია და იქ გამოცხადებულა სადაც მოუთმენლად ელოდნენ. სულხანმა ცხოვრებას ალღო ადვილად აუღო და

ნელ ნელა წელშიც გაიმართა. სწორედ ამ დროს მამა გარდაეცვალა. საყვარელი ადამიანის მოულოდნელმა გაუჩინარებამ გული გაუტეხა, მაგრამ ორივე ფეხით მყარად მდგარს დარდის სიმძიმემ დიდი ვერაფერი დააკლო. როგორც ხშირად ხდება ხოლმე სევდას სიხარულმა მოუსწრო. დამთხვევა იყო, უფროსების ჩანაფიქრი, თუ ყისმათი არავინ იცის, მაგრამ დასაფლავებიდან მესამე დღეს სულხანი დააწინაურეს, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად გადაიყვანეს, საკუთარი კაბინეტი უბოძეს, ჯამაგირი გაუორმაგეს, ჩინი მისცეს და დროდადრო, როცა ამას გარემოება მოითხოვდა, მანქანითაც ემსახურებოდნენ. თუმცა თმის ცვენას მაინც არაფერმა უშველა, სულხანს სიმელოტე დაეტყო. ბებიაც დაბერდა. დაბერდა და ფუნქცია დაკარგა. გაზრდილ იურისტს მეთვალყურეობა აღარ სჭირდებოდა. სულხანმა მოხუცებული მამისეულ სახლში დააბრუნა, ორი დღით გაჩერდა და ისევ თბილისში დაბრუნდა.

სულხანს ორი უბედურება სჭირდა: საკუთარი ჭერი არ ჰქონდა და ღმერთი არ სწამდა, კაცმა რომ თქვას, არც ერთი აწუხებდა არც მეორე. ბინის ამბავს ახლოს არ იკარებდა, მთელ დღეს მაინც სამსახურში ატარებდა, ხოლო შუაღამეს გადაცილებულს დასაძინებლად თავს სად მისდებდა დიდ მნიშვნელობას არც ანიჭებდა. ღმერთისათვის ვერ იცლიდა. ამის დრო ნამდვილად არ ჰქონდა. სალოცავებთან მისი ურთიერთობა რამდენიმე მონათლული ბავშვით, შობის დღესასწაულზე პროკურატურის თანამშრომელთა კოლექტიური მისვლით, მორჩილი

თავის ქიცინითა და ღვთის მსახურის ბანჯგვლიან მაჯაზე ამბორით შემოიფარგლებოდა. გული არც მღვდლებისკენ უწევდა, ერთი სული ჰქონდა ეკითხა: ქრისტე რომ გამხდარი იყო თქვენ რამ გაგასუქათო, მაგრამ რა ექნა, ენას კბილს აჭერდა და ყოველი დღესასწაულის შემდეგ ისე ტოვებდა იქაურობას, როგორც რაიონულ პოლიკლინიკაში დიფთერიის აცრაზე მისული ბავშვი.

ასე ცხოვრობდა სულხანი: არც შაბათი იცოდა, არც კვირა, არც ღამე და არც გამოსასვლელი დღე. ბეჯითი დარაჯივით მუდამ საკუთარ საგუშაგოზე იდგა. ამიტომაც არ გაკვირვებია, როდესაც დილაადრიან უფროსმა დაურეკა და თავისთან იხმო.

შაბათი დღე იყო

– მეძახდით, ვალერიანოვიჩ!

სულხანმა კარი მიხურა და იქვე დადგა.

როსტომ ვალერიანოვიჩი, როგორც ყოველთვის, ტელეფონზე ეკიდა, ქვეშევრდომს ხელი დაუქნია, სკამზე მიანიშნა და მოსანყენი საუბარი დასასრულისკენ წაიყვანა.

კარგი კაცია ვალერიანოვიჩი. ენდობიან, პატივს სცემენ, მისი იმედი აქვთ. მართალია საფუძვლიანად არაფერი იცის, არაფერს აკეთებს, მაგრამ არც არაფერს აფუჭებს. ასე რომ, ქართული გაგებით, ბაჯაღლო ოქროა.

ამ ფიქრში საუბარიც გასრულდა.

როსტომი: არ მომკლა, კაცო!

სულხანი: ხომ მშვიდობაა, ბატონო როსტომ!

როსტომი: მშვიდობა ქვია ამას?! შემჭამეს ნათესავებმა, ადგილი აღარ დამრჩა მთელი, ბავშვთა

სახლში გავზრდილიყავი უკეთესი იქნებოდა, ცივი ჭადი არ მახსოვს მაგათგან... სამჯერ გამოვცვალე მობილურის ნომერი... შენ თუ გყავს ნათესავები?

სულხანი: ბებია მყავს თელავში.

როსტომი: ბებია კარგია. მეც მიყვარდა ჩემი ბებია... რა დრო გავიდა... მაგრამ ახლა სხვა სალაპარაკო გვაქვს მე და შენ, მაგისთვის არ დამიბარებიხარ...

სულხანი: მივხვდი, ვალერიანოვიჩ!

როსტომი: გადადო უნდა ყველაფერი და ამას მიხედო!

როსტომმა მაგიდაზე თხელი საქაღალდე და უზარმაზარი ბიბლია დადო. სულხანს გონება კი უჭრიდა, მაგრამ ამჯერად ვერაფერს მიხვდა და თავის დაცვა სხვანაირად გადაწყვიტა.

სულხანი: ჯგერენაიას საქმე მაქვს დასამთავრებელი, რეხვიაშვილიც კონტროლზეა აყვანილი...

როსტომი: ჯგერენაიას არაფერი მოუვა. მაგის ადგილი მაინც ციხეშია და იჯდეს, რეხვიაშვილს თაბაგარს გადავცემ, რომ დაყიალობს აქეთ იქით, ხომ მთხოვა მამამისმა არ დაინდო, დატვირთეო...

სულხანი: როგორც მიბრძანებთ, ვალერიანოვიჩ!

როსტომი: არ შემარცხვინო, იცოდე, მე დაგიდექი თავდებში. ზევით ყველა დაინტერესებულია, გუშინ გადაწყდა, სამი საათი ვთათბირობდით, არ დაგიმალავ იყო სხვა ხალხზეც საუბარი... მოკლედ, ასეა თუ ისე მაინც შენი გასაკეთებელია... სიტყვა არავისთან დაგცდეს.

სულხანი: გასაგებია...

როსტომს სიგარეტი გაახსენდა.

როსტომი: შენ არ ეწევი, ხომ?!

სულხანი: ვცადე, მაგრამ ვერ მივეჩვიე.

როსტომი: არც გინდა, ამან მომიღო ბოლო.

უფროსმა ხორთუმივით ჩამოკიდებულ ფერფლს დახედა.

როსტომი: ქრისტე ხომ გაგიგია?

სულხანი: ვინ?

როსტომი: რა იყო, იესო ქრისტე არ გაგიგია?

სულხანი: როგორ არა, მონათლული ვარ.

როსტომი: კარგია ეგ, გაგიადვილდება. ერთი ამბავია ბოლომდე მისაყვანი, მსოფლიო ბანკი აფინანსებს, კულტურული მემკვიდრეობის ფონდი, დიდი ხალხია ჩარეული, რომის პაპი რომ იყო ჩამოსული მაშინ გადაწყდა. აგერ წერილი პრეზიდენტთან, გენერალურ პროკურორთან... ხელფასს ფონდი გადაგიხდის, შენთვისაც კარგია, კონსულტანტი მე ვიქნები... ერთი პირობაა ოღონდ, სამ თვეში უნდა დაამთავრო.

სულხანი: მე რა უნდა გავაკეთო?

როსტომი: როგორც ჯგერენაიას საქმეს იძიებ, ისე უნდა გამოიძიო ესეც. ვინ მოკლა, როდის და რატომ, ან თუ მოკლეს საერთოდ, იქნებ თავი მოიკლა. სირთულეები გექნება, ძნელი სამუშაოა, წარსულია მაინც, თანაც შორეული, მოწმეები ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ კარგი გამომძიებლის ხელში მკვდარი მოწმეც მოწმეა. გული არ გაიტეხო, მარტო არ იქნები, მეც აგერ ვარ, სხვა ქვეყნებიც იღებენ მონაწილეობას. დამთავრდება ყველაფერი, ერთად მოუყრიან თავს, საერთოს გამოიყვანენ ყველა დას-

კვნიდან და მომავალ საუკუნეში იმითი იხელმძღვანელებენ.

სულხანი: ჩვენი სამღვდელოება რას ამბობს?

როსტომი ამ კითხვისთვისაც მომზადებული აღმოჩნდა.

როსტომი: თანხმობა განაცხადეს, აბა მაგათ გარეშე როგორ შეიძლება, დახმარებას დაგვპირდნენ... დროს მიყვებიან, უმეტესად უსწრებენ, საერო და სასულიერო ცხოვრებას აახლოვებენ, სხვანაირად არც შეიძლება, ახალი საუკუნე მოდის, ახალი აზროვნება, თვითონ მოიწერეს ასე, ორი გვერდია, მაგ წერილსაც გადმოგცემ. გამომართვი, ეს საპატრიარქომ გამოგვიგზავნა, რომ დაამთავრებ უნდა დავაბრუნოთ... წადი ახლა და იმუშავე, მორალს მოეშვი და სამართალს მიხედე, სამართებლივი კუთხით აინტერესებთ მხოლოდ... მორჩა, კვირის ბოლოს გელოდები და რაღაც უნდა მითხრა უკვე.

როსტომმა ბიბლიას ხელი ისე დააფარა, როგორც ქრთამად აღებულ ფულს: შიშნარევი სიამოვნებით.

სულხანი: გასაგებია, ვალერიანოვიჩ, ყველაფერს მივატოვებ და ამას მივხედავ.

როსტომი: შენ იცი.

სულხანი ოთახში დაბრუნდა.

წამით გაიტრუნა. ჰაერი ისე მოაგროვა, თითქოს უღრმეს მღვიმეში აპირებდა ჩაყვინთვას. საქაღალდე გადაათვალიერა, მაგრამ ოფიციალური წერილების მეტი ვერაფერი იპოვნა. ანდა რას აღმოაჩენდა. ბევრი აღარ უფიქრია, საგულდაგულოდ გადამალული, ჰუმანიტარული ხაზით შემოსული ულამაზესი საქაღალდე, რომელსაც განსაკუთრებული

შემთხვევისათვის ინახავდა, სეიფიდან გამოიღო და ზემოდან, ლათინური შრიფტის ქვეშ, ქართულად ორი სიტყვა დააწერა: იესოს საქმე.

საქმე თუ გაიხსნა, ბოლომდეც უნდა მივიდეს.

სხვა რაღა დარჩენოდა ისევ ბიბლია უნდა წაეკითხა. თუმცა სანამ ამ მოსაწყენ საქმეს შეუდგებოდა დანაშაულის მიახლოებითი მიზეზი მაინც უნდა განესაზღვრა. დანაშაული რომ იყო ამაში სულხანს ეჭვი აღარ ეპარებოდა, აბა პროკურატურაში სხვანაირად როგორ მოხვდებოდა. ჰოდა, ყველა საქმეში მოტივია მთავარი, ასე ასწავლეს სულხანს. ვის აწყობდა და ვინ რას იგებდა, ამას თუ მიაგენი დამთავრებულია საქმე. კაცის მოსაკლავად ფულზე კარგი მიზეზი ჯერ არავის მოუგონია. ზოგჯერ ძალაუფლება გამოერევა ხოლმე, იგივე ფული. ათასში ერთხელ შურისძიებაც გაიელვებს, მაგრამ ესეც ფულია, უფრო სწორედ უფულობა, რადგან შეძლებული ადამიანი თავისი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისათვის სხვას დაიქირავებს.

ამ განწყობით გადაშალა სულხანმა საპატრიარქოდან ნათხოვარი ბიბლია და კითხვას შეუდგა.

პირველად გაზეთივით წაიკითხა. სიმართლე უნდა ითქვას და გვერდებსაც კი ტოვებდა. მეორედ უფრო დიდი დრო დაუთმო, სახლშიც გაიყოლა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. დანაშაულს კი არა ხმამაღალ შელაპარაკებასაც ვერსად მიაგნო. სულ იმის ფიქრში იყო ეს სამი თვე როგორ გაეყვანა და როსტომისთვის რა მოეხსენებინა. ერთი კია, ბიბლიის გადამეტებული კითხვის შემდეგ თავს მსუბუქად, წყნარად და უშფოთველად გრძნობდა. ის კი არადა, ღამითაც

კარგად ეძინა, ისე, როგორც ბავშვობაში, მოსიყვარულე ბებიის ზღაპრით გაბრუებულს. თუმცა ეს ყოველივე სულხანმა ორი კვირის უკან ექიმის გამოწერილ წამალს დააბრალა, რომელსაც ჩაუცდენლად სვამდა ძილამდე ოცი წუთით ადრე. ექიმთან კი გაჭირვებამ მიიყვანა: საბრალო სულხანს უძილობა სტანჯავდა.

რადგანაც სულხანის თვისებებზე ჩამოვარდა საუბარი, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ერთი უცნაურობა დასჩემდა. ყოველი აზრი, ფიქრი თუ გადაწყვეტა პირის პარსვის დროს აეკვიატებოდა ხოლმე და მანამდე არ მოეშვებოდა სანამ საკუთარ მართებულობაში არ დაარწმუნებდა.

გამონაკლისი არც ის დილა გამოდგა.

სულხანს რადიო უყვარდა. სიმართლის თქმა სჯობია და აბაზანაც ისეთივე მოუწესრიგებელი ჰქონდა, როგორც პირადი ცხოვრება. ჰოდა ამ იპროვიზირებულ სადალაქოში ცალი ყურით პარლამენტის სხდომას უსმენდა, მეორე კი სარკისკენ მიეშვირა და მარჯვენა ლოყას გულმოდგინედ აცლიდა წვერს. სად იყო და სად არა ამ ჯადოსნურ სარკეში იესოს მოკრა თვალი, რომელიც ტაძართან ჩამომსხდარ ვაჭრებს მივარდა, ყვირილით მაგიდები ამოუყირავა და ძალით დაატოვებინა იქაურობა. უცნაურია, გაიფიქრა სულხანმა და დაორთქლილ სარკეს ოფლი ჩამოწმინდა. კაცი, რომელიც სიყვარულს მიმტევებლობას ქადაგებს, ბოლქვას ვერ ერევა. მაინც რას ერჩოდა საბრალო ვაჭრებს. სულხანმა ამ საქციელს წამსვე ბოროტი ხულიგნობის კვალიფიკაცია მისცა. სამან გაუელვა თუ არა გონება გაუნათდა, მიხვდა, რომ ეს სამი თვე მოსვენება არ ეწერა.

– კოლეგებო, კოლეგებო!

სულხანმა რადიო გამორთო.

სულხანს პარლამენტისთვის აღარ ეცალა. სულხანი ბიბლიას ჩაუჯდა.

სადაც თვითონ ვერ სწვდებოდა კითხვას არ თაკილობდა. რადგანაც ბოლო დროს ეკლესიაში სიარული, მარხვა, თამამი რელიგიური საუბრები წამბაძველობით ხდებოდა, მისი დაინტერესება არავის გაკვირვებია, თავისიანად ჩათვალეს და ეს ყველაფერი სულიერებისკენ შემობრუნებას მიაწერეს. სულხანსაც მეტი რა უნდოდა, თამაშში ჩაერთო, გული გადაშალა, ბევრი გაიგო, ბევრი გაიხსენა, კიდევ უფრო მეტი დაიმახსოვრა და ოთახში ჩაიკეტა.

წინ ქათქათა ფურცელი დაიდო, თვალით ხუთი სანტიმეტრი მონიშნა და მთელ სიგრძეზე ამ ზომით გადაკეცა. შეჩვეულმა კალამმა პატრონის ნერვი იგრძნო და ლამაზი ასოები მოხაზა: აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ...

კვირამ გაირბინა, სამუშაომ ისე ჩაითრია, რომ, ჭონქაძეზე, ნაქირავებში მხოლოდ ერთხელ მივიდა. ამასაც არ გააკეთებდა მეზობლებს რომ არ შეეწუხებინათ. დაშინებულებმა საავადმყოფო არ დატოვეს, კახეთშიც მოიკითხეს და სამსახურში მორიგეც გვარიანად შეაწუხეს. სულხანი სახლში დაბრუნდა, შეშფოთებული მეზობლები დაამშვიდა, შორეული მივლინება მოიმიზეზა და პროკურატურაში დაბრუნდა.

კვირას კვირა გადაება. სულხანი თითქმის ყველაფერში გაერკვა და უფროსობასთან ხელნაწერი აფ-

რინა. ლოდინი აღარ დასჭირვებია, დღის ბოლოს გამოიძახეს.

როსტომ ვალერიანოვიჩი იმგვარი მოთმინებით ელოდა სულხანის გამოჩენას, რომ სულმა წასძლია და ტელეფონიც კი გამორთო.

როსტომი: შემოდი, დაჯექი! წავიკითხე შენი პატაკი, ბევრი მოგისწრია, სერიოზული ნამუშევარი ჩანს.

სულხანი: გმადლობთ, ბატონო როსტომ!

როსტომი: რაც მთავარია, გზა შეარჩიე სწორი, მაგრამ ბევრია დასაზუსტებელი, არ დაგავიწყდეს, ზევითაც მიდის ეს...

სულხანი: მახსოვს ვალერიანოვიჩ, სულ მახსოვდა.

როსტომი: გასაგები უნდა იყოს ყველაფერი.

სულხანი: ვეცადე!

როსტომი: მონიშნული მაქვს... მესამე გვერდზე, დროს როცა ადგენ, რას ეყრდნობი გამოსაკვეთია, ხომ იცი, ჩვენს საქმეში ამას რამხელა მნიშვნელობა აქვს.

სულხანი: ვიცი, ვალერიანოვიჩ, ამის გამო არ ვენდე მხოლოდ ერთ მოწმეს, ჩვენს შემთხვევაში წყაროს. ბევრგან გადავამოწმე, სამღვდელოებასაც ვესაუბრე, მეცნიერებსაც. უნდა გითხრათ, რომ საერთო აზრი არ არსებობს, ყველა თავისკენ ექაჩება, ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებებია, მაგრამ მე მაინც რუსი მკვლევარის, კოლიკოვის მგონია მართალი. პირადად ვესაუბრე, ბევრი ვიკამათეთ, მასალებიც გამომიგზავნა, საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული, რამდენიმე წერილი ჟურნალ „ოგონიოკში"-ც დაბეჭდა.

როსტომი: გამოდის კიდევ?

სულხანი: ბატონო?

როსტომი:ჟურნალი თუ გამოდის, ჩემს ახალგაზრდობაში მამაჩემს გამონერილიც კი ჰქონდა, აკინძულს ინახავდა, ასე მახსოვს.

სულხანი: დღესაც კარგია, მაგრამ ძვირია ძალიან, საჯაროში მომიწია წასვლა, ამის გამო პატაკს ვერ დავურთე, თუმცა ნომრები მითითებული მაქვს.

როსტომი: ძვირი თუა ვინ წაიკითხავს, უჭირს ხალხს, მოწყდნენ ყველაფერს.

სულხანი: მართალს ბრძანებთ.

სევდას სიჩუმე უყვარს. იხდენს კიდეც.

ორივე გაჩუმდა.

სევდისა და ცრემლის წუთები ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო.

როსტომი: რას ვამბობდი?

სულხანი: დროს ვადგენდით, ვალერიანოვიჩ.

როსტომი: გისმენ ყურადღებით !

როსტომმა ძალადაკარგული სიგარეტი საფერფლეს დააჭყლიტა, დაგროვილ კვამლს ხელი გაუქნია და მოსაუბრე გამოაჩინა.

სულხანმა ჩაახველა.

სულხანი: დროა საშინელი, ვალერიანოვიჩ, მკაცრი და დაუნდობელი, ზედმეტ სიტყვას არ პატიობენ არავის.

როსტომი: მახსოვს სტუდენტობისას რომის სამართალი, რთული საგანი იყო, ტყავს გვაძრობდნენ... შენ ვინ გიკითხავდა?

სულხანი: აფრიდონიძე, ვალერიანი...

როსტომი: არ ვიცი არ გამიგია, ჩემს დროს თვალთვაძე იყო, იმდენი ქნა დაგვამახსოვრებინა. რომის კანონები მკაცრია, მაგრამ სამართლიანი, ხომ ასეა?!

სულხანი: რა მახსოვრობა გაქვთ, ვალერიანოვიჩ!

როსტომი ეშხში შევიდა.

როსტომი: გაგიკვირდება და ისიც კი მახსოვს, რომ მაგ დროს ტიბერიუსია იმპერატორი.

სულხანი: მართალია. რომში ტიბერიუსია, იუდეა რომის პროვინციაა და იქაურობას პილატე პონტოელი განაგებს, პრეფექტი. ის შემთხვევა, მე რომ პატაკში მოგახსენეთ, სწორედ მაგ პერიოდში ხდება.

როსტომი: მაგიდების ინციდენტი, ხომ?

სულხანი: დიახ, ვალერიანოვიჩ.

როსტომი: რაღაც ვერ არის ეგ ორი მიმართულება ერთმანეთზე გადაბმული.

სულხანი: ეხლავე აგიხსნით ყველაფერს.

სულხანმა საქაღალდიდან ამოღებული ჩანაწერები მოიმარჯვა და უფროსის მაგიდაზე ძველი ქალაქების რუქაც გაშალა.

როსტომმა კისერი წაიგრძელა.

სულხანი: ოპერატიულ საგამომძიებლო ინფორმაციით და აგრეთვე ქმედებით დადასტურდა, რომ იესო მსხვილი კაპიტალის გადანაწილებას გადაყვა.

როსტომი: რას ამბობ, კაცო?!

როსტომი მოვლენების ამგვარ შემოტრიალებას ნამდვილად არ ელოდა და ისე შეშინდა, რომ ფეხები იატაკს ვეღარ მიაწვდინა.

სულხანი: ნამდვილად ასეა, ვალერიანოვიჩ, ყველაფერს აგიხსნით, ოღონდ დრო დამჭირდება.

როსტომი: დროს კი მოგცემ, აგერ ტელეფონებიც გამოვრთე, მაგრამ ფრთხილად იყავი მაინც... ხომ იცი...

როსტომი მამაშვილურად მოლბა, თითი გაჭიმა და ცაში ისე შეარჭო, როგორც უგემრიელესი ტორტის კრემში, თუმცა ვერავინ მიხვდებოდა ვის გულისხმობდა ამ უცნაურ დაგრეხვაში: ღმერთს, სამღვდელოებას თუ გენერალურ პროკურორს, ან იქნებ სამივეს ერთად.

სულხანი: მესმის ვალერიანოვიჩ, მე მოგახსენებთ, და მერე, როგორც თქვენ იტყვით, ისე იქნება.

როსტომი: კარგი დაიწყე!

როსტომი დათანხმდა, თუმცა მაინც წამოდგა, კართან მივიდა და საგულდაგულოდ გადაკეტა.

სულხანი მიხვდა რომ ხმისთვის უნდა დაეწია.

ასეც მოიქცა.

- სულხანი: ეს იმდროინდელი იერუსალიმის გეგმაა. აი, აქ, სადაც პირველი ნიშანია, ტაძარია გამოსახული, მეორე ნიშანი პილატეს ადგილსამყოფელს აღნიშნავს. საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩავატარე მასშტაბის გათვალისწინებით და აღმოჩნდა, რომ ეს ორი ადგილი ოთხას ოცი მეტრით არის ერთმანეთთან დაცილებული. პილატე იერუსალიმში არ ცხოვრობდა, დედაქალაქში იჯდა, სამარიაში. პასექის დღესასწაულის დროს, ერთი კვირით ჩამოდიოდა იერუსალიმში და თან იმპერატორის ძღვენი ჩამოჰქონდა, რითაც ოფიციალური ხელისუფლება ხაზს უსვავდა ამ დღესასწაულის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

როსტომი: მაინც რა იყო ასეთი?

სულხანი: ახლაც არის, ვალერიანოვიჩ. პასექი იმ-დროინდელი მთავარი რელიგიური დღესასწაულია. ყველა ოჯახი მოვალე იყო ბატკანი შეეწირა მსხვერ-პლად. ეს ჩვეულება სათავეს ჯერ კიდევ იქიდან იღებს, როდესაც ფარაონმა ისრაელიანებს ეგვიპტი-დან გამოსვლის ნება დართო.

როსტომი: ზღვა ხალხი იქნებოდა...

სულხანი: ასეა... და ამ ზღვა ხალხის წინ ხდება ყველაფერი.

მომაკვდინებელ სიჩუმეში როსტომის ტვინის ღრჭიალი ისმის.

ტყუილად არ უნვალია.

როსტომი: საოცარია, დღეს რომ საზოგადოებრი-ვი თავშეყრის ადგილას ასეთი რამ მოხდეს, ვინ გაპა-ტიებს?.. ხომ გვაქვს დემოკრატია?.. ტყუილია, მაინც ვერავინ გიშველის.

სულხანი: ჩემს გულში ზიხართ, ვალერიანოვიჩ... იმას აპატიეს.

როსტომი! რატომ?

სულხანი: რამდენიმე მიზეზი არსებობს, ვალერი-ანოვიჩ!.... პირველად, წესის თანახმად, ის დავადგი-ნე, თუ რა დაზიანდა ამ ინციდენტის დროს.

როსტომი: მაგას რა დადგენა უნდა, შენ თვითონ არ თქვი, მაგიდებიო...

სულხანი: ფორმა კი ჰქონდა მაგიდის, სანთლები იყიდებოდა, კიდევ სხვა ნივთები, მაგრამ მათი ძირი-თადი ფუნქცია მაინც სხვა იყო, სხვა საქმეს ემ-სახურებოდა.

როსტომი: რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს მაგი-დას?... მაგიდა მაგიდაა...

სულხანი: ფულს ახურდავებდნენ, ვალერიანოვიჩ!

როსტომი: რომელ ფულს?!

როსტომი სროლისთვის უფრო მზად იყო, ვიდრე ამ სიტყვისთვის. შიშმა გაუარა, თვალი ნამსვე გაკვირვების ყალიბში ჩამოდნა, ფეხები დაუგრძელდა და ახლად ლაქგადასმულ იატაკს ისევ მისწვდა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომტომმაც იცოდა და რადგანაც საკუთარი სიმაღლე დაუბრუნდა, შვებით ამოისუნთქა.

სულხანი: მდგომარეობა ასეთია. იუდეა რომის ერთადერთი პროვინცია იყო, რომელსაც საკუთარი ფულის მოჭრის უფლება ჰქონდა, მაგრამ აქაც გარკვეული შეზღუდვები არსებობდა. ამ ფულად ერთეულს სიკლი ერქვა და მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების დროს გამოიყენებოდა, ასეთი დღეები იმ დროს მრავლად ჰქონდათ. რომაული მონეტები წარმართული გამოსახულებებით იყო აჭრელებული, ამ ფულით კი სალოცავში შესვლა სასტიკად ისჯებოდა. ამიტომაც რომმა ნება დართო იუდეას, რომ საკუთარი, სალოცავი ფულადი ერთეული შემოეტანათ. წესი ასეთი იყო:ყოველი ადამიანი ვალდებული იყო ნახევარი სიკლი ტაძრისთვის შეეწირა. საკმაოდ დიდი თანხა გამოდიოდა. სწორედ აქ, ამ მაგიდებზე იცვლებოდა რომაული მონეტები სიკლებზე და სწორედ მაგიდების ეს რიგი იქნა დარბეული.

ვალერიანოვიჩმა სულხანის მონოლოგი თვალის დახამხამებაში რკინიგზის სადგურთან გადმოიყვანა.

როსტომი: სავალუტო ჯიხურები დაურბევია.

სულხანი: რა ზუსტად იცით, ვალერიანოვიჩ, სნაიპერს შეშურდება თქვენი.

როსტომი: რა არის იცი საინტერესო, რაღა იმ დღეს მოხდა ეს, პირველად ნახა თუ რა, ადრეც ხომ შეამჩნევდა ამ ჯიხურებს... მაგიდებს მინდოდა მეთქვა.

სულხანი: დღე ისე არ ჩაივლიდა თვალი არ შეევლო.

როსტომი: მობეზრდა ალბათ, ხომ იცი რამე რომ ამოგივა კისერში...

სულხანი: თავიდან მეც ეგრე მეგონა... მაგრამ აქ უფრო საფუძვლიანი მიზეზია.

როსტომი: რა?... თუ დაადგინე?...

სულხანი: როგორ არა, ვალერიანოვიჩ, მუხლობრივად მაქვს განხილული ყველაფერი. ეგ მიზეზი რომ არა, ბევრი რამე სხვანაირად იქნებოდა... იმათთვისაც და ჩვენთვისაც.

როსტომი: მაინც?

სულხანი: შორიდან მომიწევს,ბატონო როსტომ.

როსტომი: დაიწყე მერე, რაღას უცდი.

სულხანი: ამ საქმეში გასარკვევად სპეციალისტების ფართო წრე გამოვიყენე, ისტორიკოსებიც ჩავრთე, ეკონომისტებთანაც ვიყავი.. არა, ვალერიანოვიჩ, გულში არ გაივლოთ, ეჭვი არავის აუღია, სადოქტორო დისერტაცია მოვიმიზეზე.

როსტომი: საკანდიდატო გეთქვა, შე კაცო.

სულხანი: ვიფიქრე, მაგრამ მაინც ეს ვარჩიე. ინფორმაცია მჭირდებოდა ბევრი და, მოგეხსენებათ, სადოქტორო საკანდიდატოზე თითქმის სამჯერ დიდია, ამით ზედმეტი კითხვების ალბათობა თავიდანვე მოვსპე.

როსტომი: სწორად მოქცეულხარ.

სულხანი შექებამ სულ გააგიჟა, ქაღალდს ქაღალდი დაუმატა და როსტომის მოვლილი მაგიდა მაკულატურის ჩაბარების პუნქტს დაამსგავსა.

როსტომი: ისტორიკოსები რომ გჭირდება გასაგებია, მაგრამ ამ ეკონომისტების რაღაც ვერ გავიგე.

სულხანი: აუცილებელია, ვალერიანოვიჩ.

როსტომი: ვითომ რატომ?!

სულხანი: აქ სისიხლის სამართლის დანაშაულის გარდა ეკონომიკური დანაშაულიც იკვეთება.

როსტომი: გადამრევ შენ მე!

სულხანი: ყველა გაანგარიშება აქ მაქვს. ეკონომისტებმა ძალიან საინტერესო სურათი დამიხატეს. აღმოსავლეთში ოქროს საბადოებია, აპენინებზე ვერცხლის, ანუ რომი ვერცხლით იყო მდიდარი, აზია კი ოქროთი. ჭკვიანი კაცისთვის მიგნებაა პირდაპირ. ოქროს მოყვარულს რა გამოლევს და იქაც გამოჩნდა ასეთი ხალხი ფარისევლების სახით.

სულხანმა შეისვენა, გამშრალ პირს ენა შემოატარა და უფროსის წინ მთვლემარე ბორჯომის ბოთლს ისე შეხედა, როგორც მიუღწეველი ქალის მოულოდნელად გაშიშვლებულ სხეულს.

როსტომი: გისმენ ყურადღებით.

სულხანი: იუდეას საკუთარი მმართველობაც ჰქონდა, რელიგიური პარლამენტი, სინედრიონი. სინედრიონში ორი ძალა იყო გაერთიანებული ფარისევლები და სადუკიელები. სადუკიელების შესახებ ჩვენმა ისტორიკოსებმა ვერაფერი მითხრეს, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ისინი პარლამენტს გარეთ დარჩენილ ზელოტებს თანაუგრძნობდნენ.

როსტომი: ეგენი ვინღა არიან?

სულხანი: ტერორისტები, რომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ჭებს წამლავდნენ, სახლებს წვავდნენ, სასტიკად უსწორდებოდნენ მოწინაღმდეგეებს, ხარკს არ იხდიდნენ... ჩვენებურად წილებს, ამგვარი ქმედებით ფარისევლებსაც უთხრიდნენ ძირს. მაგრამ ფარისევლებთან ბრძოლა ძნელი იყო, ექვსი ათას კაცამდე იყვნენ, ძალაც ჰქონდათ, გავლენაც და ფულიც. ამ გადასახურდავებელ მაგიდებს თუ ჯიხურებს ისინი აკონტროლებდნენ.

როსტომი: ყურადღებით კი გისმენ, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირება მაინც გამიჭირდა. ეგენი, მაგიდები, ინციდენტი... აწყობა უნდა ყველაფერს, მეტი სინათლეა საჭირო... ისე, რომ იცოდე, ვინც თავშია ის აკონტროლებს ყველაფერს, რა არის ამაში გასაკვირი?!

სულხანი: ციფრები მაქვს ვალერიანოვიჩ.

როსტომი: რა ციფრები გაქვს ამისთანა?

სულხანი: ძვირფასი მეტალების ამბავი ხომ გახსოვთ?

როსტომი: მახსოვს, მერე რა?

სულხანმა ჯიბიდან კალკულატორი ამოაძვრინა.

სულხანი: ერთი გრამი ოქრო რომში ცამეტი გრამი ვერცხლი ღირს, იმავე დროს იერუსალიმში იგივე ოქრო ხუთ გრამ ვერცხლში იცვლება. ფარისევლების ჭკუაში ამას ვგულისხმობდი. ისინი მაგიდიდან ამოღებული ვერცხლით ყიდულობდნენ ოქროს კურსით ერთი ხუთთან, შემდეგ ეს დაგროვილი კაპიტალი გადაჰქონდათ რომში და ოქროს ცვლიდნენ ვერცხლში კურსით ერთი ცამეტთან, ბრუნდებოდ-

ნენ უკან და კარგად დამუშავებულ ოპერაციას იმეორებდნენ. ამ სხვაობის ხარჯზე დიდძალი ქონება დააგროვეს.

როსტომი: არაკანონიერი სავალუტო ოპერაციები.

სულხანი: შეიძლება ასეც ითქვას.

როსტომი: მერე? მთავრობა ხომ არის, რა ვერაფერს ხედავს?!

სულხანი: ჩვენი მთავრობაც ხედავს, მაგრამ...

სიტყვა თუ გაფრინდა, მორჩა.

სულხანი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ უკვე დაგვიანდა. ენაზე იკბინაო ვერავინ იტყოდა, რადგან სულხანს საკუთარი ენაც უყვარდა, თუმცა რაღაც ამგდაგვარი მოიმოქმედა და რადგანაც რაიმეს თქმა, თუნდაც ამოსუნთქვა, კიდევ უფრო დაამძიმებდა მდგომარეობას, საბოლოოდ გაჩუმდა.

როსტომს ყველაფერს დააბრალებდა კაცი, მაგრამ მის მდიდარ გამოცდილებას გვერდს ვერავინ აუვლიდა. ამგვარი მდგომარეობიდან გამოცდილებას გამოჰყავდა ხოლმე.

ვალერიანოვიჩმა გაიჭირვა, დემოკრატიის ფაქტორი გაითვალისწინა, სიჩუმეს ყელში წაუჭირა და მანამდე არ გაუშვა სანამ საჭიროდ არ ჩათვალა. მერე ისეთი ღრმა ნაფაზი დაარტყა, რომ სიგარეტთან ერთად სულხანსაც გამოაცალა ძალა, ჯიგარი და ენერგია. ბოლოს ორივენი, თანამშრომელიცა და თუთუნიც საფერფლეში აზილა, რითაც ქვეშევრდომს საკუთარი შეცდომის სიდიდეზე მიანიშნა.

როსტომი: მართალია, მაგრამ... მაგრამ... ჯერ ერთი, ყველას ეგ არ ეხება და მეორეც, არ არის ეგ ჩვე-

ნი საქმე. ჩვენი საქმე დანაშაულია. მოხდა დანაშაული, იქ ვართ. არ მოხდა, მაინც იქ ვართ, ოღონდ შეუმჩნევლად.

გამგებმა გაიგოს.

როსტომს მეტი აღარაფერი უთქვამს. გაკვეთილმა კარგად ჩაიარა და სამიზნეც დააზიანა.

დაჭრილი სულხანი გადარჩა.

ახლა სულხანის ხსნა მხოლოდ საუბარში იყო, საქმესთან უნდა მიბრუნებულიყო, უნდა ელაპარაკა, რომ როგორმე როსტომის ყალყზე შემდგარი აზრისთვის ლაგამი ამოედო.

არა, მაინც რა მოხდა, როგორ მოუვიდა, რა ეშმაკი შეუჩნდა – ამ ფიქრში გაშალა ახლად გაუთოებული ცხვირსახოცივით ქათქათა ფურცელი და ვალერიანოვიჩს ისე შეხედა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

სულხანი: რა თქმა უნდა, ეს პილატემაც იცის, რამდენჯერმე წერილიც აფრინა, ყველაფერი რომს შეატყობინა, მაგრამ ამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა.

როსტომი: რატომ ვითომ?! რამ შეუშალათ ხელი, ჯარი მაგათი იყო, პოლიცია და კანონი...

ეს სამი სიტყვა ისე ლამაზად მიეწყო ერთმანეთს, რომ სულხანი ლამის ხელმეორედ შეცდა, მაგრამ ამჯერად თავს ძალა დაატანა, ეშმაკს დროზე აქცია ზურგი და თხრობა განაგრძო.

სულხანი: დაუმთავრებელმა დროსტარებამ, ვალერიანოვიჩ, დღე და ღამე ჰქონდათ გადაბმული, ისე მოიშალა და გაპარტახდა ყველაფერი, რომ ვერც კი შეამჩნიეს. იმის მაგივრად, რომ პროვინციიდან შემოსული

წილით ბიუჯეტი შეევსოთ ოქროს ადნობდნენ და სამკაულებს აკეთებდნენ. დღესასწაულებს აწყობდნენ, ძვირფას სანახაობებს მართავდნენ, მსახიობებს უზარმაზარ ჰონორარებს უხდიდნენ, აფრიკაში გარეულ ცხოველებს ყიდულობდნენ ეგზოტიკური ბრძოლებისთვის, გლადიატორების გაწვრთნაზეც გარკვეულ თანხას ხარჯავდნენ, ეჭვი მაქვს დიდ ნაწილს ხაზინიდანაც იპარავდნენ. ყველა ცდილობდა რომიდან ოქრო გაეტანა, ბიუჯეტი სულს ღაფავდა, ქვეყნიდან ვალუტა გაედინებოდა. კაცი აღარ იყო ქალაქში ვაჭრების, რესტორნების მეპატრონეების, გადამყიდველების ვალი რომ არ ჰქონოდა. ესენი კიდევ პროვინციებიდან ჩამოსული ხალხი იყო, ძირითადათ ებრაელები. ჯადოსნური წრე შეიკრა: საიდანაც ყველაზე მეტი ფული შემოსდიოდათ ათჯერ მეტს უკან აბრუნებდნენ.

როსტომი: გადამრევენ ეს ებრაელები, ყველას მაგათი ვალი როგორ აქვს, კაცო!

სულხანი: გამოსდით ეგ საქმე.

როსტომი: საქმე რომ ახსენე კარგია... ეგ ყველაფერი საინტერესო მოსასმენია, ლექციას გავს, ჩემი სტუდენტობა მახსენდება... რა გითხრა, იცი, ტელევიზორში ხომ არ ხარ?!... ჩვენ მკვლელობას ვიძიებთ, მკვლელობის საქმეს!

სულხანი: მაგას რა დამავიწყებს, ვალერიანოვიჩ, მე ახლა სწორედ მკვლელობის მოტივს ვადგენ.

როსტომი: დამაჯერო უნდა,ჯერ პირდაპირი კავშირი ვერ გამოიკვეთა.

სულხანი: დავამთავრებ, ვალერიანოვიჩ, ცოტა დამრჩა და ნათელი გახდება, რომ ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული.

როსტომი: დაამთავრე...

სულხანი ფურცლებს უცნობი როლივით ჩააშტერდა. ამან შედეგი გამოიღო და წარმოსახვამ ყაჩაღივით გაიტაცა.

მალე ორივენი ტიბერიუსის სასახლეში დასეირნობდნენ და თავის ულამაზო, ბანჯგვლიან ფეხის თითებს ტყავის სანდლებში თავმოყვარედ ათამაშებდნენ.

სულხანი: ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, იმპერატორის ყურამდე მივიდა. ბევრი აღარ უფიქრია და მსახიობები რომიდან გააძევა, სანახაობები აკრძალა, რესტორნები დაკეტა, ფასები ხელოვნურად დაარეგულირა, კანონები გაამკაცრა. ამას ცუდის მეტი არაფერი მოუტანია. ხალხი უკმაყოფილოა, არისტოკრატები იმპერატორს დაუპირისპირდნენ, სახელმწიფო მოხელეები ფარისევლებს ადანაშაულებენ, ამით შავმა ბაზარმა ისარგებლა, ფეხზე მყარად დადგა და ყველაფერი ხელში ჩაიგდო. მოკლედ აირია მონასტერი.

როსტომი: ე, თურმე საიდან მოდის შავი ბაზარი. ჩვენ მოვუვლით ახლა ამ ხნის პრობლემას?!

სულხანი: ვერც იმათ მოუარეს, ვალერიანოვიჩ. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს ტიბერიუსს დაუპირეს ჩამოგდება.

როსტომი: ბუნტზე და არეულობაზე საშინელი არაფერია, მაგან დაგვხია უკან, თორემ, ე, სად ვიქნებოდით!... დიდი პოტენცია აქვს ჩვენს ქვეყანას, დიდი. ჟინით დაიძახა როსტომმა და სიტყვა პოტენციაზე ისე დაძაბა ძარღვები, რომ ამ უპერსპექტივო ქვეყნის მომავალს უფრო ირწმუნებდა ადამიანი,

ვიდრე მეექვსე ათეულს შემდგარი უფროსის შესაძ-ლებლობებს.

სულხანმა უფროსის გაჭირვებული ოხვრა ქარს გაატანა.

რა ენაღვლებოდა, თავად, ჯერჯერობით, ქვეყნის პოტენციაშიც დარწმუნებული იყო და საკუთარშიც.

სულხანი: კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ ეს იმ დროს ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა იყო. ტიბერიუსი – ტიბრში, ასეთია შეთქმულთა განწყობა. ხელმძღვანელიც მალე მოინახა, ვინმე სე-იანი... კი, ნამდვილად ასეა, ელი სეიანი, რომის გარ-ნიზონის უფროსი...

როსტომი: სომეხია?

სულხანი: არა, წმინდა სისხლის რომაელი... ამან, თავის მხრივ, სხვები შემოიკრიბა, პილატესაც დაუ-კავშირდა, ძველი მეგობრობა შეახსენა და დახმა-რება სთხოვა. პილატე დათანხმდა და თავისი ლეგი-ონერებით, დათქმულ დროს, რომში გამოცხადების პირობაც დასდო. მაგრამ კარგად იცოდა, ჯარი ად-გილიდან რომ დაეძრა ფული უნდა ეშოვნა, ბევრი ფული, რადგან ლეგიონერები აქ სამჯერ უფრო კარ-გად ცხოვრობდნენ ვიდრე რომში, სიაფე იყო საოცა-რი. იმ დროს პრეფექტს სათანადო თანხა არ გააჩ-ნდა.

როსტომი: არ ამატირო ახლა! რამდენი წელია ვმუშაობ, რას არ მოვესწარი კაცი, ჩემს პრაქტიკაში უფულო რაიკომის მდივანი, პრეფექტი და გამ-გებელი არ მინახავს. წუწუნი და მოთქმა, იცოცხლე, ისეთი იციან გამოუცდელ კაცს მართლა შეგეცო-დება.

სულხანი: ოქროს სიტყვებია, ვალერიანოვიჩ... გაჭირვება თვალითაც არ უნახავს, შიმშილი არ უგრძვნია, სახლიც ჰქონდა და შემოსავალიც, მაგრამ ომის წარმოებას დიდი თანხა სჭირდება. სწორედ ამას ნაღვლობდა.

როსტომი: რა გაუჭირდა მერე, მაგისი არ იყო ყველაფერი, რასაც უნდოდა იმას იზამდა... ებრაელებს ხომ ჰქონდათ?! ვითომ აღებას ვინ დაუშლიდა, წინ ვინ დაუდგებოდა?! ამოდენა თანამდებობის კაცმა ფული როგორ ვერ იშოვნა?! მაგას ვერ დავიჯერებ...

სულხანი: ერთხელ უკვე ჰქონდა აღებული.

როსტომი: მითუმეტეს... აეღო მეორეჯერაც, დიდი ამბავი...

სულხანი: ვეღარ გაბედა, მაშინაც ძლივს გადარჩა, წალეკეს საჩივრებით.

როსტომი: მაშინაც იყვნენ ანანიმჩიკები?

სულხანი: მაშინ იყვნენ თუ იყვნენ, ვალერიანოვიჩ.

როსტომი: მომიყევი ერთი.

როსტომი დაინტერესდა. მეტიც, მგონი ანერვიულდა კიდეც, სიგარეტს დასწვდა და იქაურობა გაბუღა.

სულხანი: იერუსალიმში მოძველებული კანალიზაციის სისტემა იყო, რომელიც პილატეს მმართველობის პერიოდში საბოლოოდ გამოვიდა წყობიდან. ირგვლივ ყველაფერი ყარდა, საშინელი სუნი იდგა და ქარს ეს ჰაერი თავის ნებაზე აქეთ იქით გადაჰქონდა. პრეფექტი შეწუხდა, რომს მისწერა, თანხები მოსთხოვა, მაგრამ ვერაფერი მიიღო. ადგილობრივი ხელისუფლებაც უარზე დადგა, რადგან კანალიზაცი-

ის სისტემა ფედერალურ დაქვემდებარებაში ეგულებოდა. თანაც აწყობდათ, ეპიდემიის გავრცელების შემთხვევაში ყველაფერი საზიზღარ დამპყრობლებს, რომს დაბრალდებოდა. პილატემ კარგად იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე, ლოდინი მობეზრდა, ტაძარში შეიჭრა და კორვანიდან, ანუ სალოცავის ხაზინიდან, ფული ძალით წამოიღო. ამ ფულით კანალიზაცია გაანაახლა, წყალსაცავი და აბანო ააშენა. ატყდა ერთი ამბავი, წამსვე მაღლა საჩივარი აფრინეს: წილს დაუგვიანებლად ვიხდით, უსიტყვოდ გემორჩილებით, ეგეთ მოპყრობას არ ვიმსახურებთ, თქვენი კაცი დაუმსახურებლად გვჩაგრავს და გვიშველეთო. პილატე ცენტრში დაიბარეს, სენატი შეკრიბეს, იმსჯელეს და პრეფექტი გაამართლეს. მაშინ სენატმა პირადი ჰიგიენა სულიერ სისუფთავეზე მაღლა დააყენა. ასე რომ, აღებას წინ ვინ დაუდგებოდა, მაგრამ მერე რაღაც უნდა ეთქვა, თავი ემართლებინა და საბუთიც მოეყვანა...

როსტომი: აბა, იმას ხომ არ იტყოდა იმპერატორის ჩამოსაგდებად მჭიდება ეგ ფულიო.

სულხანი: ვერ იტყოდა. სხვა რაღაც უნდა მოეფიქრებინა.

როსტომი: ისესხა?

სულხანი: არა, უკეთესი. გადასახურდავებელი ჯიხურების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ამას თავს მოაბავდა, პატარა ფინანსურ ოპერაციას ჩაატარებდა და საჭირო თანხას უმტკივნეულოდ მოაგროვებდა. ამ იმედით ჩამოდის იერუსალიმში და რომ გითხარით იმ ინციდენტის შემსწრე ხდება.

როსტომი: მერე? ამ ჯიხურებს თუ წაართმევდა მაშინ არ იჩივლებდნენ თუ რა?!

სულხანი: ძალისმიერი მეთოდები თავიდანვე გამორიცხა.

როსტომი: აბა, „ფოკუზნიკი" ყოფილა...

სულხანი: კანონიერად აპირებდა, ვალერიანოვიჩ, ყველაფერს.

როსტომი: როგორ?

სულხანი: იესოს დახმარებით.

როსტომი: სად ეცალა მაგ კაცს ეგეთი რამეებისთვის!

სულხანი: ეცალა და თვითონაც იყო მოწადინებული.

როსტომი: ინტერესების გადაკვეთასთან გვაქვს საქმე.

სულხანი: ასეა, ვალერიანოვიჩ, და ამის მტკიცებულებაც გამაჩნია. რამდენიმე კითხვას უნდა გავცეთ პასუხი... რა იცოდა პილატემ იესოს შესახებ? ბევრი არაფერი. მხოლოდ ის, რომ პროფესიონალი მქადაგებელია, მიმდევრებიც ჰყავს, ტეროროისტ ზელოტებს არ თანაუგრძნობს, და რაც მთავარია, ნახევრად რომაელია.

როსტომი: მაგას აღარ ველოდი!

სულხანი: მამობის ტესტი, მოგეხსენებათ, მაშინ არ არსებობდა... ისე ჭორად დადიოდა, რომ თითქოს იესოს მამა ბებერი დურგალი იოსები კი არა რომაელი ჯარისკაცი პანდირა იყო. ჭორებს ჩემი მტერი ენდო, მაგრამ ადამიანები ვართ და მოქმედებს მაინც... თანაც მის გეგმაში ზუსტად ეწერებოდა.

როსტომი: კარგი, დავიჯეროთ ჩვენც, რომ ეგრეა, პილატეს ინტერესი გასაგებია, ახლა იმისიც ვნახოთ.

სულხანი: იესოც კარგად ხედავს შექმნილ მდგომარეობას: რომი უკმაყოფილოა, ფინანსები გაედინება, ზელოტები თავისას არ იშლიან და რომის მოქალაქეებს ხოცავენ, ღრმავდება უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის, მღვდელმთავრებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. იესოს ესმის, რომ ეს ყველაფერი, ადრე თუ გვიან, ცუდად დამთავრდება. მოგვიანებით ასეც მოხდა, აჯანყებამ იფეთქა, რომელიც რომაელებმა სასტიკად ჩაახშეს, ხოლო მათთვის საძულველი ტაძარი მიწასთან გაასწორეს... იესოს რეალური საქმე უნდა, იგი ფარისევლების კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკაში მოითხოვს: ვენახების გაშენება, სამჭედლოების, სახელოსნოების ამუშავება, ახალი საბადოების ამოღება. არ შეიძლება, რომ საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილი მდიდრდებოდეს. ბიბლია ყურადღებით წავიკითხე და გადანაწილების, ხელის გამართვის განწყობა მთელ წიგნს ბოლომდე გასდევს.

როსტომი: ბოლომდე წაიკითხე?

სულხანი: სხვანაირად არ გამოვიდა, ვალერიანოვიჩ, თქვენ თვითონ მომეცით. – თავი იმართლა სულხანმა.

როსტომი: მახსოვს! აბა რა უნდა გექნა, ვილაცა ხომ უნდა ჩავიდეს ბოლომდე.

როსტომი წამოდგა, მაგიდაზე მდგარ, შემთბარ ბორჯომს ხელი წამოავლო, მაცივარში შეაბრუნა და იქიდან ცივი გამოიღო.

როსტომი: ხომ დალევ?

სულხანმა დამძიმებული თავი დააქნია.

როსტომმა ფილტვებიდან ჰაერი ამოუშვა, გამ-ჭვირვალე სითხეს გახედა.

როსტომი: ადრე გემოზე ვარჩევდი რომელი ქარხნის იყო, ახლა ვერაფერი გამიგია... ნამდვილი, არანამდვილი... გაგიუდება კაცი... ცივი მაინც კარ-გია.

სულხანი: ცხონებაა!

სულხანმა სველი ტუჩები შეიმშრალა, თითქოს ძალაც დაიბრუნა და გამოძიებას ახლიდან შეება.

სულხანი: ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად მხოლოდ ქადაგება რომ არ არის საკმარისი, ეს თვი-თონაც კარგად იცის. მარტო ლაპარაკით ვერც ფა-რისევლებს დაამარცხებს და ვერც სადუკიელებს შე-აცვლევინებს აზრს. როგორმე სინედრიონში უნდა მოხვდეს. პარლამენტიდან უფრო გაადვილდება პროგრამის განხორციელება, ფინანსების გადანაწი-ლებაზეც კონტროლს დააწესებს და სოციალურ პროექტებსაც მიიყვანს ბოლომდე. მაგრამ აქ ერთი პრობლემაა, სინედრიონში ნებით არავინ შეუშვებს, რადგან იქ მხოლოდ ლევინთა ოჯახის წარმომადგენ-ლები სხედან.

როსტომი: მაგათზე პატაკში არაფერია ნათქვამი, ვინ არიან, რას წარმოადგენენ, რატომ გამოტოვე?

სულხანი: შეგნებულად, ვალერიანოვიჩ, მითქმა მოთქმას მოვერიდე.

როსტომი: მაინც?

სულხანი: მოგახსენებთ. ძიების შედეგად დად-გინდა, რომ ლევინები განასახიერებდნენ ჩვენამდე მოღწეულ პირველ მაფიოზურ ოჯახს, კლასიკური გაგებით და ასევე კლასიკური სქემით. მათ განსა-

კუთრებული მდგომარეობა ეკავათ საზოგადოებაში, არ მუშაობდნენ, მატერიალურ დოვლათს არ ქმნიდნენ და სხვის ხარჯზე ცხოვრობდნენ. მათი გავლენის ქვეშ იყო ისრაელის ორმოცდარვა ქალაქი. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე რელიგიური შეფერილობის ნიღაბს ატარებდა.

როსტომი: დიდ ძალას დატაკებია. სწორად მოგცეულხარ, არ ღირს მაგაზე ლაპარაკი, ჩვენ ვიცოდეთ მარტო. გაღიზიანდება ხალხი, ამოდენა იუბილე გადავუხადეთ ებრაელებს და ახლა ისტორიულ მაფიოზობაში დავდოთ ბრალი ცოტა უხერხულია, ვერ გაგვიგებენ.

სულხანი: როგორც მეტყვით, ვალერიანოვიჩ!

როსტომი: შევთანხმდით... მერე?

სულხანი: ამ საქმეში დახმარება მხოლოდ რომს შეეძლო გაეწია. პილატე და რომი ერთია. პრეფექტი იმპერატორს მისწერს, ყველაფერს დაწვრილებით მოახსენებს. პილატეს ედობიან, მან აქაურობა უკეთ იცის, ამიტომაც ნებას დართავენ და იესო, მესამე ძალით, სინედრიონში შევა. მიმდევრები საკმაოდ ჰყავს, ფეხზეც მყარად დგას, ის კი არადა სინედრიონშიც თანაუგრძნობენ ფარისევლები, ვინმე იოსები და ნიკოდიმი. უკმაყოფილო ლევიტები კრიჭას შეკრავენ და რომის გადაწყვეტილებას უხმოდ დაემორჩილებიან.

როსტომი: ამგვარ სამსახურში პილატე რას მიიღებდა?

სულხანმა ფურცლები მიქექ მოქექა, უნდოდა ლათინურად ეთქვა, მაგრამ საჭირო სიტყვას ვერ მიაკვლია და დროის უქონლობის გამო ისევ მშობლიურს მიუბრუნდა.

სულხანი: კეისარს კეისრისა! დააგდო იესომ ვაჭრების დარბევისას. თავიდან ვერაფერი გავიგე, დიდხანს ვიმტვრიე თავი, მაგრამ კავშირი ვერ მოვნახე. მერე საუკეთესო ანალიტიკოსები ჩავრთე, უშიშროებაში მეგობაარი მუშაობს და ისიც დავიხმარე, გავწვალდით, თუმცა შედეგი მივიღეთ. ეს ორი სიტყვა გავშიფრეთ და აი რა გამოვიდა: სინედრიონში მოხვედრილი იესო, როგორც პარლამენტის ნამდვილი წევრი, შესაძლებლობას მიიღებს გამოისყიდოს მაგიდების ერთი რიგი მაინც და გამონთავისუფლებული ფინანსები რომისკენ მიმართოს ანუ პრეფექტისკენ. ასე რომ, კეისარი თავისას მიიღებს, იმ დამალულს, რომელსაც ლევინთა ოჯახი, ფარისევლებისა და სადუკიელების სახით, მას არ უგზავნიდნენ.

როსტომი: ჭკვიანურად მოუფიქრებია... მაგრამ რა არის, იცი?! აგერ მე და შენ რამდენი ხანია ერთმანეთს ველაპარაკებით და ბევრი საკითხი მაინც გასარკვევი დაგვრჩა. ცალ ცალკე მოფიქრებულს რა ხეირი აქვს, ამ საქმეს ორი კაცი ჭირდება... ჰოდა, სანამ ეს ორი კაცი არ შეხვდება ერთმანეთს არაფერი გამოვა.

სულხანი: თქვენთან საუბარს რა სჯობია, ვალერიანოვიჩ!.. ახლა ეგ უნდა მოეგვარებინა.

როსტომი: მაგაზე ადვილი რა არის, ნახავდნენ ერთმანეთს და მორჩა.

სულხანი: ჭირდა თანამდებობის პირთან შეხვედრა.

როსტომი: თვითონ დაიბარებდა...

სულხანი: არ ქნა.

როსტომი: რატომ არ ქნა, ხომ აწყობდა?!

სულხანი: ამით ლევინებს კიდევ უფრო გააღიზიანებდა, ატყდებოდა ჩივილი, ჩვენს მტერს მფარველობსო, სენატს შეიძლება გამოძიებაც დაენიშნა. ზედმეტი ყურადღება, ამ შემთხვევაში, ნამდვილად შეუშლიდა ხელს, ხომ გახსოვთ, შეთქმულებაშია ჩათრეული... სხვებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამ შეხვედრას. მღვმდელმთავარი კაიაფა იქ იყო, მანაც გაიგო და ჩვენზე ადრე გაშიფრა ეს ორი სიტყვა. ჭკვიანი კაცი იყო და წამსვე მიხვდა რა გამოდნებოდა აქედან. იესო მის ფინანსურ კეთილდღეობას აშკარად ემუქრებოდა. თუმცა შეეძლო დაეჭირა და პილატესთან მიეყვანა, როგორც ბუნტის თავი, სახელმწიფოსა და საზოგადოების მტერი... რამეს მოიფიქრებდა.

როსტომი: მაგას რა უნდა, კაცი იყოს და სტატიების მეტი რა გვაქვს.

სულხანი: მაშინაც ეგრე იყო, მაგრამ ვერ გაბედა.

როსტომი: რამ შეუშალა ხელი?

სულხანი: პრეფექტის გამჭრიახობის შეეშინდა. პილატე გულჩვილობით არ გამოირჩეოდა და, როგორც წესი, ხალხის მტრებისთვის განაჩენი დაუსნრებლად გამოჰქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვეულებას ნამდვილად შეცვლიდა და პატიმარს გაესაუბრებოდა. პრეფექტს ადგილობრივი მმართველები სძულდა, ველურებს ეძახდა და როგორც შეეძლო ისე ამცირებდა. არც იესო იხუტებდა გულში წურბელებს. ასე რომ, პატიმარი პილატესთან იმგვარად მოხვდებოდა, როგორც პრეფექტის მტრების მტერი ანუ მისი მეგობარი. რა შედეგით დამთავ-

რდებოდა მათი შეხვედრა ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

როსტომი: ხომ მაინც დაიჭირეს?!

სულხანი: ეგ ბოლოს, ვალერიანოვიჩ, ისიც გაუგებრობის გამო... მანამდე ბევრი რამ ჩაიდინა, რა არ მოიმოქმედა,ყველა წესი დაარღვია,ყველა კანონი, მაგრამ არავინ გაჰკარებია და არც პასუხი მოუთხოვია ვინმეს.

როსტომი: ისეთი კაცი პატრონობდა, ვინ გაუბედავდა რამეს.

სულხანი: მაგას პირდაპირ ვერ ვიტყვით, მაგრამ ასე გამოვიდა. ამ ხელშეწყობას კაიაფაც ხედავდა და სწორედ ამიტომ მისი დაპატიმრების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ ამგვარი გაურკვევლობა დიდხანს არ გასტანდა, ერთ დღესაც ერთმანეთს გადააწყდებოდნენ.

როსტომი: მართალია! ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, მაინც მოგაქცევს მარწუხებში... გამოსავალი?

სულხანი: მოინახა გამოსავალი.ბევრი ფიქრის შემდეგ კაიაფამ ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება მიიღო: იესო ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე უნდა გამქრალიყო. იყო კაცი და აღარ არის!

როსტომი: შეკვეთილი მკვლელობა?!... გული მიგრძნობს, დიდ საქმეს გავხსნით მე და შენ. დამკვეთი თუ არის ცნობილი?

სულხანი: ცნობილია, ვალერიანოვიჩ. მაგრამ კაიაფას მხოლოდ მცდელობა ჰქონდა, მის ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა.

როსტომი: რატომ შეფერხდა?

სულხანი: იმაზე ძნელი აღმოჩნდა ვიდრე ეგონა. გამოირკვა, რომ იესო დაცვით დადიოდა. სადაც დაცვაა იქ იარაღიც არის. ეს ყოველივე, აუცილებლად, სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა.

როსტომი: რა იარაღზეა ლაპარაკი?

სულხანი: ცივზე, ვალერიანოვიჩ. ხმალშემართული პეტრე თვალს არ აცილებდა. იმ დროს იარაღის ტარება მხოლოდ საზოგადოების პრივილიგირებულ ნაწილს შეეძლო, ანუ რომის მოქალაქეებს. ადგილობრივებს ეს ეკრძალებოდათ, სინედრიონის დაცვაც კი არ იყო შეიარაღებული და მხოლოდ ხელჯოხებს ატარებდნენ. გაუფორმებელი იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავეს სასტიკი წამება და სიკვდილი ელოდა. პეტრე საკუთარ ხმალს კანონიერად ატარებდა, რადგანაც რომის მოქალაქე გახლდათ. მაგრამ აქ ერთი გაურკვევლობა იჩენს თავს:ცნობილია, რომ პეტრე იუდაში დაიბადა, რომაული გაგებით ველურებში. თუ ასეა, როგორ შეძლო მან მოქალაქეობის მიღება?

როსტომი: რა საფიქრალი ეგ არის, გადაიხდიდა და მისცემდნენ.

სულხანი: გამორიცხულია. ისტორიკოსთა დასკვნები საპირისპიროს მეტყველებენ. ბულლის, მოქალაქის მოწმობის მისაღებად ერთი გზა არსებობდა მხოლოდ. დაქირავებულ ჯარისკაცად უნდა გემსახურა, თავი გამოგეჩინა, რომისთვის სისხლი დაგეღვარა, შემდეგ დაგაჯილდოვებდნენ სამოქალაქო გვირგვინით, ეს კი მოქალაქეობის მიღების გარანტიას წარმოადგენდა. ისეთი პირი უჩანს, პეტრეს ეს

ბარიერი გადალახული აქვს, ამის საბუთიც არსებობს... იმავე პერიოდში ტიბერიუსის ძმისშვილი, გერმანიკი, იმპერიის საზღვრებს აფართოებდა, კაპადოკიასა და სომხეთში იბრძოდა. შორს აღარ წასულა, დაქირავებულები ახლომდებარე აღმოსავლეთიდან მოაგროვა. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის პეტრეც იყო. დაქირავებულები მხოლოდ კავალერიაში მსახურობდნენ და გრძელ მახვილს, სპატას ატარებდნენ. იმას კიდევ, ზომების გამო, ტანსაცმელში ვერ დამალავ. ანდა დასამალი რა ჰქონდა. დაატარებდა ამ ხმალს სიამაყით, არც პატრულის ეშინოდა, არც დამსმენების და არც რომის აგენტების, მოგვიანებით ეს იარაღი გამოიყენა კიდეც. ასე რომ, დღისით იესოსთან მიახლოება სახიფათოც კი იყო, ღამით კიდევ თავისი მდიდარი მეგობრების მასპინძლობით სარგებლობდა. აგარაკებს იცვლიდა, ხან სად ეძინა და ხან სად, მოკლედ ძნელი მოსახელთებელი გახლდათ. ამ ფიქრში იყო კაიაფა, ბედსაც შეეგუა და აღარაფერს ელოდა. მოულოდნელად ყველაფერი თავისთავად მოგვარდა.

როსტომი: თავისთავად არაფერი გვარდება.

სულხანი: მასაც, როგორც ყველას, თვითონ იესო დაეხმარა.

როსტომი: ვერ გავიგე?!

როსტომმა სულხანს შეხედა, მერე ბორჯომის დაცარიელებულ ბოთლს. მაცოცხლებელი სითხე თვალსა და ხელს შუა გაილია. სულხანი ვერაფრით მიხვდა რას გულისხმობდა უფროსი ამ გაკვირვებულ გამოხედვაში: დაცლილ ბოთლს, თანამშრომლის გადამეტებულ წყურვილის გრძნობას თუ ათასწლეუ-

ლების უკან ჩასახულ ამბავს. სულხანი ენის დამოკ-ლებას ჩვეული იყო, ზედმეტი კითხვა აღარ დაუს-ვამს და აბურდული ძაფის გასწორება განაგრძო.

სულხანი: პირველი ნაბიჯი თვითონ გადადგა, კა-იაფას მახე დაუგო და შიგ ისე გამობლანდა, რომ მღვდელმთავარი ყველაფრის დასრულების შემდეგ გამოერკვა. თუმცა გვიანი იყო, ველარაფერს შეც-ვლიდა.

როსტომი: რა ქნა ამისთანა?

სულხანი: გეთსიმანიის ბაღში შეიტყუა, პროვო-კაცია მოუწყო და თავი დააჭერინა.

როსტომი: ჩვენ საქმეში პირადულს ვერ წამონევ, ობიექტური უნდა იყო, იცი შენ, ასე მიცხოვრია, დღემდე ასე მოვსულვარ, მაგრამ ისეთ კარგ რამეებს აკეთებს ეგ კაცი საბოლოოდ მაგის მხარეს გადავე-დი. ერთი იმ ბითურ კაიაფას სახე დამანახა ახლა და სულ წავალ სამსახურიდან.

სულხანი: ჯერ სად ხარ, ვალერიანოვიჩ, ისეთ რა-ღაცეებს მოიგონებს სულ მთლად გაასულელებს.

როსტომი: რა საინტერესო ყოფილა, კაცო!

სულხანი: ყველაზე საინტერესო ახლა იწყება, ვა-ლერიანოვიჩ.... ერთ საღამოს იესომ და მისმა მე-გობრებმა დროის გატარება გადაწყვიტეს. პასექის დღესასწაული მიმდინარეობდა და ეს არავის გაკვირ-ვებია. იესომ მყუდრო რესტორანი წინასწარ შეარჩია, სანდო კაცი მონახა. დათქმულ საათზე, ყველანი ერ-თად, რესტორანს მიადგნენ. სუფრა გაშლილი დაუხვდათ. შემოუსხდნენ, ერთს მეორე მოყვა, მეო-რეს მესამე. საღამო გაილია და შემოაღამდათ კიდეც.

როსტომი: რას სვავდნენ თუ დაადგინე?

სულხანი: ნაწილობრივ... ღვინოს ეტანებოდნენ... იესოს თურმე ძალიან ყვარებია სასმელი, ფარისევლებს სახელიც კი შეურქმევიათ: ღვინის მოყვარული. ვინ რამდენი დალია ამას ახლა ვინღა იტყვის, მაგრამ სავარაუდოა, რომ საკმაოდ მთვრალები იყვნენ.

როსტომი: რატომ გგონია ასე?!

სულხანი: ღვინოში ყაყაჩოს წვენს ურევდნენ...

როსტომი: ოპიუმს?

სულხანი: დიახ, ნაღველი ერქვა. მაშინ ეს დანაშაულად არ ითვლებოდა, საეჭვოა, რომ ამ მძიმე სასმისის შემდეგ რომელიმე ფხიზელი ყოფილიყო... ამ დროს დაუღამდათ კიდეც. იესომ ერთ ერთი მოწაფე მოიხმო, იუდა ისკარიოტი, მოციქულთა ხაზინადარი, საძმოს ფულის განმკარგავი. მოიხმო და რაღაც ამდგვარი უთხრა: წადი, არაფერმა შეგაფერხოს, ჩანაფიქრი განახორციელეო. იუდა წავიდა. მისი გაუჩინარება სუფრის წევრებს არც უგრძვნიათ, პურ მარილი გაახლეს და ძველებურად განაგრძეს მხიარულება. ბოლოს ყველაფერი დაილია, ყველაფერი შეიჭამა, თვალიც დაიღალა ენაც და ყურიც. იესომ მეგობრებს გასეირნება შესთავაზა, იმათაც აიტაცეს და ყველანი ერთად გარეთ გამოვიდნენ. ქუჩა ქუჩა იხეტიალეს და გეთსიმანიის ბაღს მიადგნენ.

ისევ რუქები მაგიდაზე. სულხანმა მონიშნულ ადგილებს თითები მიაბჯინა.

სულხანი: აქ ის რესტორანია, აქ მდინარე კედრონი, ხევთან ერთად, აი აქ, კი ბაღი.

როსტომმა მანძილი თვალით გაზომა.

როსტომი: რამდენი უვლიათ? რა უნდოდათ ამ სიშორეს? სასეირნო დაილია ამოდენა ქალაქში?!

სულხანი: მაგაშია საქმე, ვალერიანოვიჩ, გეგმა რომ ვახსენე იმის განხორციელებას შეუდგა. უკაცრიელ ადგილს ეძებდა, მიყრუებულს და ბნელს, მხოლოდ ასე შეაცდენდა ფარისევლებს.

როსტომი: ნასვამი კაცის ამბავი ხომ იცი?! არეული ტვინი საით გაგახვევინებს მაგას ვინ გეტყვის?! ფარისევლებმა როგორ გაიგეს ეს ამბავი, როგორ გამოიანგარიშეს ამ დროს, ამ საათსა და ამ წუთზე სადღაც ბაღში რომ მოინდომებდნენ გასეირნებას.

სულხანი: ერთი ადამიანი აკლდა ამ სუფრას, ჰოდა იმან გააგებინა.

როსტომი: ერთ რამეს გეტყვი და ნუ მიწყენ, შენზე უფროსი ვარ ასეც და ისეც, გამოცდილებაც მეტი მაქვს, რა არ მინახავს, დავბერდი კაცი... იმას გეუბნებოდი, ჩემო სულხან, ეს ადგილი ყველაზე სუსტად გაქვს დამუშავებული. შენ თვითონ არ თქვი სუფრიდან ადრე წავიდაო?

სულხანი: კი ვთქვი, დადასტურებულია...

როსტომი: მერე? ადრე წასული კაცი რას გაიგებს, როგორ მიხვდება დანარჩენების ჩანაფიქრს, მარშრუტს როგორ დაადგენს?! მობილური მაშინ არ იყო და პეიჯერი.

სულხანი: გაიგებს...

მაგრამ როსტომი ახსნა განმარტებას აღარ ისმენდა.

როსტომი მიხვდა.

სულხანმაც იგრძნო. რომ როსტომი მიხვდა. გაუხარდა. ვალერიანოვიჩი ახალგაზრდულ გამჭრიახობას დღემდე ინარჩუნებდა.

ამ ფიქრთა გაცვლაში საქმე არ ავინყდებათ.

როსტომი: ან უკან უნდა გაჰყოლოდა მალულად, ან...

სულხანი: ან ყველაფერი წინასწარ უნდა სცოდნოდა. ყოველივე ერთობლივი გეგმის შემადგენელი ნაწილია, ამ ორი კაცის მოფიქრებული გეგმის... იესოს მღვდელმთავრის ქცევა ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი, რა დროს რას მოიმოქმედებს ზუსტად იცის. იესო იუდას დავალებით აგზავნის. აქოშინებული იუდა კაიაფას მიუვარდება: თქვენ რომ კაცი გჭირდებათ ორ საათში გეთსიმანიის ბაღში იქნება და მის აყვანაში ხელს აღარაფერი შეგიშლითო. მეტიც, მეც იქ ვიქნები და დაგეხმარებითო. მარტო თუ არისო, უკითხავს კაიაფას. მარტო არ არის, მაგრამ ისეთი მთვრალები არიან ვერაფერს გაიგებენო. კარგი ბიჭი ხარო, უთქვამს კაიაფას, მაგრამ შენ აქედან რა ხეირიო. მაგათი ფული მაბარია, იესო ყველაფერზე საბუთს მთხოვს, გასაქანს არ მაძლევს, ყოველ კაპიკს ანგარიშობს, თანაც რაღაც დამეხარჯა, მაგის ამბავი ხომ იცით, აღმომიჩენს და კარგი დღე არ დამადგებაო. რამდენი დაგაკლდაო. ოცდაათი ვერცხლიო. კეთილიო, უთქვას კაიაფას, იმავე წამს სინედრიონის დაცვა შეუკრებია და ბაღისკენ წასულა.

როსტომი: ფული ხომ გადაუხადა, ოცდაათი ვერცხლი?

სულხანი: კი, გადაიხადა. იუდას რომ გასამრჯელო არ გამოერთმია ეშმაკი კაიაფა ეჭვს აიღებდა. პოსლეზე მომუშავე ინფორმატორი სად გინახავთ, ვალერიანოვიჩ?

როსტომი: ჯერ არ დაბადებულა.

სულხანი: ეს თანხა რომ გამოგონილი იყო იმითაც დასტურდება, რომ მოგვიანებით იუდამ ხელუხლებლად დააბრუნა. ეს მერე იყო... მანამდე კი გახარებული კაიაფა ბაღს ალყას შემოარტყავს. დასაპატიმრემლად არ მისულა, მის მოკვლას აპირებს, დარწმუნებულია, უგონოდ მთვრალები წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ეს იესომაც იცის, იცის იუდამაც, ერთად მოიფიქრეს და ყველა წვრილმანი გამოთვლილი აქვთ. კაიაფასთვის ამგვარი ჩანაფიქრი უცნობია, ამიტომაც გულის სიღრმეში უკვე გამარჯვებას ზეიმობს. მაგრამ მისდა გასაკვირად ყველაფერი პირიქით მოხდა... სწორედ ამ დროს იუდა იესოს გადაკოცნის.

როსტომი: იუდას ამბორი...

სულხანი: მართალია. თუმცა თუ ჩემს გამოძიებას დავეყრდნობით მომავალში ეს სიმბოლური გამოთქმა მნიშვნელობას შეიცვლის, რაც უამრავი ხალხის ამნისტიას გამოიწვევს. რადგანაც გეგმა ორი ადამიანის მიერ არის შემუშავებული ეგრედწოდებული ამბორი ძმურ გადახვევას უფრო გავს, ვიდრე ღალატის ნიშანს.

როსტომი: მაინც რას ნიშნავდა?

სულხანი: ყველაფერი კარგად არის, არაფერზე იღელვო, როგორც გვინდოდა ისე მოეწყო საქმეო...

როსტომი: ხომ გამჟღავნდებოდა როცა იქნებოდა?

სულხანი: გამჟღავნდა კიდეც რამდენიმე წუთში. იუდამ იცრუა, იმათ სიმთვრალის არაფერი ეტყობოდათ. პეტრემ ხმალი იშიშვლა, ერთ ფარისეველს, ვინმე მალხს ყურიც კი ჩამოაცალა. სინედრიონის

დაცვა დაფრთხა და უკან დაიხია. იესო რომ არა, ცოცხალი ვერც ერთი ვერ გამოასწრებდა, ისევ იმან გადაარჩინა და შეხლა შემოხლა შეაჩერა. კაიაფა მიხვდა რომ მოატყუეს, მიხვდა რომ დამარცხდა. ერთი გამოსავალიღა რჩებოდა: იესო პატიმრობაში უნდა აეყვანა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ თავად იქნებოდა თანახმა. იესო ამას მოუთმენლად ელოდა, ბევრი აღარ უფიქრია და ჩაბარდა. მაგრამ მღვდელმთავარს ამით რა შეღავათი, ძალიან ცუდ ამბავში გაეხვა.

როსტომი: კოლექტიური ჩხუბი, სხეულისათვის განზრახ მიყენებული მძიმე დაზიანებით...

სულხანი: თანაც ამ ჩხუბში მოქალაქე ჩაითრიეს...

როსტომი: თანაც სისხლი დაიღვარა...

სულხანი: თანაც ველურებმა რომის მოქალაქეზე აღმართეს ხელი...

როსტომი: თანაც ეს რომის მოქალაქე ისე გაამწარეს, რომ იძულებული შეიქნა იარაღი ეხმარა...

სულხანი: თანაც დღესასნაულია...

პინგ პონგს თამაშობენ. კარგადაც გამოსდით.

სულხანი: კაიაფა გამოცდილია, იცის, რომ ამ საქმეს პრეფექტი პირადად გამოიძიებს, პატიმარსაც შეხვდება, დაჰკითხავს... თუმცა მცირე შანსი მაინც აქვს დარჩენილი.

როსტომი: არა მგონია.

სულხანი: გზაში თუ მოუღებს ბოლოს, მაგრამ ეს პეტრე აეკიდა, ქალაქამდე უკან სდია, ვერაფრით მოიცილეს. ვერც მოიცილებდნენ, მთავარი მოწმეა, მის ნათქვამ სიტყვას სხვა ფასი აქვს. ფარისევლები ხმასაც ვერ იღებენ, პეტრეზე მათი იურისდიქცია არ

ვრცელდება. აქეთ იქით სიარულსა და ფაცი ფუცში გვარიანი დრო გავიდა, დაათენდათ და ახალი დღე დაიწყო. ამბავი გახმაურდა, ყველამ შეიტყო იესოს დაპატიმრების შესახებ. პეტრემ თავისი საქმე მომთავრებულად ჩათვალა და იქაურობა მიატოვა.

როსტომი: შეეშინდებოდა მაგას...

სულხანი: დააბრალეს, შურიანები იყვნენ ირგვლივ. მეომარ კაცს, ბრძოლებში გამოვლილს რა შეაშინებდა? პეტრეს, როგორც რომის მოქალაქეს, პრეფექტის სამართლის სწამდა. და რადგანაც მისი მეგობარი არაფერში იყო დამნაშავე არც არაფერი ემუქრებოდა. მთავარი იყო სიკვდილისაგან ეხსნა, ეს შეასრულა და ახლა კაიაფა უბატონოდ ხმასაც ვეღარ გასცემდა.

როსტომი: მერე, რატომ შეიცვალა ყველაფერი?

სულხანი: იესომ თითქოს ყველა ნაბიჯი გათვალა, მაგრამ ერთ რამეში მაინც შეცდა.

როსტომი: მაგასაც ეშლებოდა ხომ?! რამ უმტყუნა?

სულხანი: ტიბერიუსის წინააღმდეგ ჩაფიქრებული შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა.

როსტომი: აი, რა შეიძლება გამოინვიოს ინფორმაციის ნაკლებობამ, ყველა კოლეგიაზე მაგას გავიძახი, ინსტანცია არ დამიტოვებია ჩემი წერილი არ იდოს, უნდა მოვამძლავროთ სათანადო სამსახური, ადრინდელ დონეს მივუახლოვოთ, ხელი შევუწყოთ, თუ საჭიროა მატერიალურადაც წავახალისოთ, დღევანდელ დღეს მაგის გარეშე საქმის გახსნა წარმოუდგენელია. ამიტომაა ყველაფერი სანახევროდ რომ მოდის ჩვენამდე, ვერც თავს გაიგებ ვერც

ბოლოს, მერე კიდევ უკვირთ... მეც მიკვირს, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვიჭერ, არ მაქვს სრული ინფორმაცია და იმიტომ. იმის მაგივრად ციხეში იჯდეს პანაშვიდზე შეგხვდება, მოგესალმება, მოგიკითხავს... ესალმები შენც, რა ძალა გაქვს და მიდის ცხოვრება.

სულხანი: მე ვინ მეკითხება თორემ დაგიჭერთ მხარს, ვალერიანოვიჩ!

როსტომმა თანამშრომლის ვაუკაცური შეძახილი ცალ ყურში გაატარა, გულთან არ მიუშვა, რითაც სულხანს კიდევ ერთხელ აგრძნობინა, რომ მართლაც არავინ არაფერს ეკითხებოდა და არც არაფერს შეუთანხმებდნენ კაი ხანს.

სულხანს არ სწყენია.

იცოდა...

მიეჩვია...

ვის დაჰკარგვია...

როსტომი: რა მოიტანა მაგ შეცდომამ?

სულხანი: ცუდის მეტი არაფერი, საბოლოოდ კი იესოს სიკვდილი.

როსტომი: გაუფრთხილებელ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე?

სულხანი: ნაწილობრივ. ვალერიაგოვიჩ... მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი კაიაფა იძულებული შეიქნა პატიმარი პრეფექტთან მიეყვანა. კარი ცხვირწინ მიუხურეს. მარტო დარჩნენ, კარგა ხანს ისაუბრეს. პრეფექტმა ეჭვმიტანილის ქმედებაში დანაშაული ვერ დაინახა. ერთმანეთს დაემშვიდობენ და თავ თავიანთი გზა მონახეს. კაიაფამ იცის, რომ გარეთ გამოსული იესო გაცილებით უფრო საშიშია, ახლა ყვე-

ლა მის უძლეველობას ირწმუნებს, მიმდევრების რიცხვი კატასტროფულად გაიზრდება, რაც ფარისევლების გავლენას საბოლოოდ შეარყევს... ცოცხლად დარჩენილი იესო სიკვდილზე საშიშია.

როსტომი: შანტაჟი?

სულხანი: მეც ასე მგონია. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ პილატე იესოს მონათხრობით, მისი პროგრამით ძალიან დაინტერესდა, საერთო ენასაც გამონახავდნენ და დასახულ მიზანსაც აუცილებლად მიაღწევდნენ: პილატე რომს მისწერდა, იქიდან თანხმობას მიიღებდა, იესოს სინედრიონში შეიყვანდა, მოგვიანებით, მისი დახმარებით, რამდენიმე ჯიხურსაც დაეპატრონებოდა, საჭირო კაპიტალს მოაგროვებდა და ტიბერიუსს წყნარი სინდისით ჩამოაგდებდა. მაგრამ ამის განხორციელებას ექვსი თვე მაინც დასჭირდებოდა. პრეფექტი ამდენს ვერ დაიცდის, ფული დღეს ჭირდება. ამიტომაც იესოს ათავისუფლებს, კაიაფას აშინებს, შანტაჟს უწყობს. კაიაფა მიხვედრილი კაცია, პრეფექტის მოქნილი სვლა სწორად შეაფასა და მალე ფული მოურბენინა. პილატემ იესოს დაპატიმრების ბრძანება გასცა.

როსტომი: რამდენი მიუტანა?

სულხანი: ოცდაათი ტალანტი.

როსტომი: ეგ არაფერს მეუბნება, ჩვენებურად რა თანხაზეა საუბარი?

სულხანი: შვიდას ოთხმოცი კილოგრამი სუფთა ოქრო.

როსტომი: აუჰ!

სულხანი: მთელი ლეგიონის ერთი წლის ჯამაგირი.

როსტომი: დაიჭერდა აბა რას იზამდა, ამოდენა ოქროს ეხუმრები შენ?!

სულხანი: ასე რომ, იესო იუდას არ გაუყიდია, პილატემ გაყიდა და ჯვარსაც მან აცვა. სიმართლე უნდა ითქვას და ვალის მოხდის მიზნით ბოლო ნამს მისი გადარჩენა სცადა. ლამაზად დახატა, სულ მეფე უძახა, თუმცა ამას ყურადღება არავინ მიაქცია. იმ დღეს ოთხი კაცი უნდა დაესაჯათ: ორი ზელოტი, ტერორისტები, რეჟიმის დაუძინებელი მტრები, იესო და იქაური კრიმინალური ავტორიტეტი მეტსახელად ბარაბა. ადგილობრივი ტრადიციით დღესასწაცლის დროს მხოლოდ ერთი დამნაშავის შეწყალება შეიძლებოდა. ეს კი ხალხს უნდა გადაეწყვიტა. პილატემ შეკრებილებს მიმართა. პრეფექტი დარწმუნებული იყო. რომ იესოს არჩევდნენ, მაგრამ პირიქით კი მოხდა. ეს ტრადიცია კაიაფამ სხვაზე უკეთ იცოდა, წინასწარ მოემზადა, მასასთან კარგად იმუშავა, მათაც ერთბაშად დასჭყივლეს და სიცოცხლე ბარაბას აჩუქეს. პილატე უძლური აღმოჩნდა. ამის შემხედვარე იუდას იმედი გადაეწურა, ვითომ ღალატისთვის აღებული ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრის ეზოში შეაგდო და თავი მოიკლა.

სულხანმა წერტილი დასვა და ამოისუნთქა.

როსტომი: თავი რაღაზე მოიკლა? უდანაშაულო ყოფილა, როგორც გამოირკვა.

სულხანი: ნამდვილად ასეა. ვალერიანოვიჩ, ბრალი არაფერში მიუძღოდა, მაგრამ ვერ ამტკიცებდა. ორმა კაცმა იცოდა მხოლოდ ამ გეგმის შესახებ, ერთს ფული აღებული ჰქონდა, ამას კაიაფაც დაადასტურებდა და ვინღა დაუჯერებდა. მეორე კიდევ

არაფერს იტყოდა, რომ მოენდომებინა მაინც არ გამოუვიდოდა, რადგან ჯვარზე გაკრული სიკვდილს ებრძოდა. იუდა მიხვდა, რომ ყველაფერი მას დაბრალდებოდა, დამსმენს არავინ დაინდობდა და ერთადერთი სწორი გამოსავალი მონახა.

როსტომი: კარგი, გასაგებია...

სულხანი: მერე, როგორც ტექსტშია, წიგნის მიხედვით.

როსტომი: ისეთი პირი უჩანს მკვლელობის ვერსია დასტურდება.

სულხანი გაჩუმდა.

გადაიღალა თუ ფიქრმა წაიღო? თუმცა ამ დუმილს სხვა მიზეზი აქვს.

როსტომი: რას გაჩუმებულხარ?! განსხვავებული აზრი ხომ არ გაქვს?!

სულხანი: არა, ვალერიანოვიჩ, რაც იყო ის დარჩა ისევ.

იცრუა.

როსტომმა შვებით ამოისუნთქა.

როსტომი: კეთილი!

თავისუფლება კი მისცა, არაფერში შეუზღუდავს, მაგრამ მაინც ნერვიულობს: ეს თავისუფლება რაღაც ისეთია სახელს ვერ დაარქმევს კაცი, არეული სადღეგრძელოსავით ყველას თავისებურად ესმის. არა, სუფრა და სადღეგრძელო კია ჩვენს გენში, მაგრამ დღეს ეგეც აცურდა და ვისაც როგორ უნდა ისე ირგებს. ზოგს დიდი აქვს, ზოგს პატარა, ზოგსაც არ უხდება, თუმცა მაინც ეკვეხება, რადგან ნდომით ყველას უნდა. ვერც დაუშლი. ეგრეა ესეც, თუ ყალიბი არ მოუძებნე დაღუპული ხარ და ეგ არი.

სიტყვაა თვითონ ისეთი, მაზოხისტი ქალივით თავად ითხოვს ბორკილებსა და ტყავის ჟილეტს. ვის ესმის მერე? არავის!... თუმცა სულხანს ეს არ ეხება, სულხანი სხვანაირია. როსტომი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტყუპისცალივით შეზრდილ კაბინეტს საიმედო ხელში სტოვებდა. გაუხარდა, რადგან გზის გამგრძელებელი ზუსტად შეარჩია. ამ სიხარულის აღსანიშნავად ერთსაც მოსწევდა, მაგრამ კოლოფში ველარაფერს მიაგნო.

უფროსი წამოდგა. გადაღლილი კისერი გაავარჯიშა და დაბუჟებული მუხლი გაშალა. ფანჯარასთან კოჭლობით მივიდა, მძიმე ფარდები გასწი გამოსწია, სახელური მოქაჩა და ოთახში ჰაერი შემოუშვა.

დაღამებულა.

იქით თბილისია.

ვისაც შუქი აქვს ყველამ აანთო.

როსტომი: შევაჯამოთ!

სულხანი: 'კი, ბატონო.

როსტომი: რა გვაქვს? რა არის ჩვენთვის ცნობილი? მოტივი ვიცით?

სულხანი: ვიცით, ვალერიანოვიჩ, ფული.

როსტომი: შემსრულებელი?

სულხანი: პილატე და მისი ლეგიონერები.

როსტომი: დამკვეთი?

სულხანი: კაიაფა და ფარისევლები, ნაწილობრივ სადუკიელებიც.

როსტომი: გარდაცვალების საათი?

სულხანი: თორმეტიდან ექვსამდე.

როსტომი: დრო?

სულხანი: შაბათი დღე.

როსტომმა გაიღიმა.

როსტომი: ჩვენსავით!

სულხანს სულ გადაავიწყდა, რომ მაშინდელივით შაბათი მთავრდებოდა.

სულხანი: როგორ შეამჩნიეთ, ვალერიანოვიჩ?

როსტომი: ასეა, ყველაფერს ვატყობ... როგორც გამოირკვა უპასუხო აღარაფერი დაგვრჩა, გაგვიხსნია საქმე და ეგ არის!

როსტომი მაგიდასთან დაბრუნდა.

როსტომი: დაწერ დასკვნას...

სულხანი: გასაგებია...

როსტომი: ნუ ჩქარობ, მომისმინე, არ დამიმთავრებია! დასკვნას დაწერ ასე: მკვლელობის ვერსიას დატოვებ, ამოიღებ ებრაელი ვაჭრების თუ მღვდლების ამბავს, არ არის საჭირო. ფულის გადანაწილების ისტორია გაკვრით მოიხსენიე, სულ უმაგისობაც არ იქნება, ასევე ჯიხურებია თუ მაგიდები ისიც, მტკიცებულებებს არ შეეხები, ზოგად სურათს დახატავ, ზედმეტი სახელები არ გინდა, პეტრე დატოვე, არაფერს გვიშლის, იუდას როლს ნუ შეცვლი, იყოს, როგორც მივეჩვიეთ, მაგის ახლიდან დატრიალება სულ არევს ყველაფერს, არკვიე მერე – ვინ ვის აკოცა, როდის, რატომ და რა პირობებში, ვინღა იპოვნის მაგის ბოლოს? კიდევ ამნისტია გვინდა? ეპოქის გადასხვაფერებას ვინ გვაპატიებს, თავი არ შეგვრჩება არც ერთს! რელიგიური შუღლი წამოსწიე წინ, ადამიანის უფლებების დაცვას ეხმიანება, იმათ უყვართ ძალიან, პრესასაც მოვიმადლიერებთ... დასკვნაზე ერთად ვიმუშავოთ, ცალკე თავად შევიტა-

ნოთ, თუ რამე დამავიწყდა მერე დავამატებთ. ისე გააკეთე, როგორც გითხარი და ყველა კმაყოფილი იქნება: მეც, შენც, საპატრიარქოც და ჩვენი მთავრობაც.

სამშობლო სულხანსაც უყვარდა. ადგა და დათანხმდა.

როსტომი: შენ მანქანა არ გყავს, ხომ?!

სულხანი: არა, ვალერიანოვიჩ, ზოგჯერ მორიგე მემსახურება ხოლმე.

როსტომი: ახლა მაგას ვინ იპოვნის, თავის საქმით იქნება დაკავებული, დაწანწალებს სადღაც... სად ცხოვრობ?

სულხანი: ჭონქაძეზე.

როსტომი: ახლოს ყოფილა, ჩემი მანქანით წავიდეთ.

სულხანს სხვა გეგმები კი ჰქონდა, მაგრამ უარის თქმა ვეღარ გაბედა.

რამდენიმე წუთში ორივენი ვალერიანოვიჩის მანქანაში ისხდნენ. მთაწმინდისკენ მიმავალი გზა სიჩუმეს გაატანეს. სახლთან მისული სულხანი უფროსს დაემშვიდობა, ცალყბად შეიპატიჟა, ასეთივე უარი მიიღო და მანქანა მოსახვევამდე მზერით გააცილა. თვითონ სახლისკენ არც გაუხედავს, დაღმართზე ჩამოირბინა, მოედანზე ტაქსი გააჩერა და კვლავ სამსახურს მიაშურა.

სულხანს უდაბნო არასოდეს უნახავს. არც იერუსალიმში ყოფილა და არც რომში. არც განგის ნაპირებისთვის შეუვლია თვალი და არც ალპების დათოვლილი მწვერვალებისთვის. რა დასამალია და ბულგარეთშიც არ იყო ტურისტულით ნამყოფი. ასე

რომ, გეოგრაფიის მისეული ცოდნა ატლასით და ქალაქებზე წვრილი შრიფტით მინერილი სახელებით შემოიფარგლებოდა. ეს სახელები კი უდაბნოში გამეფებულ სიცხეზე, უხსენებლებზე და იმ გორაკებზე მიანიშნებდა, რომლებიც ისე ხშირად იცვლიდნენ ადგილს, როგორც ციხიდან გამოპარული პატიმრები.

სულხანი მაგიდას მიაშტერდა. მისი დაძველებული ზედაპირი საოცრად გავდა უდაბნოს ქვიშას, მასსავით უხეში, ყვითელი და მაცდური იყო.

მოსარიდებელი რაღაა. როსტომი გაქრა, როგორც მირაჟი. სულხანის აზრებს ხუნდები გამოცვლილი კბილებივით დასცვივდა.

სულხანმა გაბერილ საქაღალდეს თოკები შეხსნა.

საქმემ ხელახლა შეიტყუა.

მაგიდამ დაატყვევა.

ქვიშამ ჩაითრია.

მეტი რა გზა იყო და ისიც ჩაყვა...

სიცხე და თაკარა მზე. ირგვლივ უამრავი უსაქმური. რომაელი ლეგიონერები დაუნდობლად იქნევენ შუბებს და ხალხს სიკვდილმისჯილებთან ახლოს არ უშვებენ. ისინი კი აფურთხებენ, წყევლიან, გინებას არ იშურებენ და ხელისგულებიც ეფხანებათ. არა მგონია ყველას ყვარებოდა. მაგრამ სულხანი რატომღაც კარგს ფიქრობს, პილატეს იმედი აქვს, სჯერა, ბოლომდე არ გასწირავს. ანდა რატომ უნდა გაიმეტოს? ფული ხომ საიმედო ადგილას გადამალა, შვიდასი თუ რვაასი კილო ლაპლაპა ზოდი, ვინღა შეეცილება, ვინღა გაუბედავს უკან გამოთხოვოს?

კიდევ უფრო ჩამოცხა.

რა გასაკვირია პირი გაშრა და იესო წყალს ითხოვს. არ დაამადლიან, დახეთქილ ტუჩებს დაუსველებენ. უცნაური რამეა ეს მაცოცხლებელი სითხე, რომელსაც რომაელები პოსკას უძახიან. ძმრის, კვერცხისა და წყლის ნაზავი, მოთენთილობის მტერი და მეომრის უღალატო მეგობარი. იესომ სული მოითქვა, დარჩენილ გზას ადვილად გალევს. წყურვილი ხომ მოიკლა, არც სიმძიმე აწუხებს. ან კი რატომ შეაწუხებს, მის ჯვარს სიმონი მოათრევს. ვის უხარია გაუსაძლის სიცხეში რაიმეს თრევა. არც სიმონს აქვს დიდი სურვილი, მაგრამ შიშმა სძლია, ლეგიონერებს უარი ვეღარ შებედა. მტკიცება აღარ სჭირდება, იესოს აშკარად ინდობენ, უფრთხილდებიან. ეს სულ პილატეს ხრიკებია, ფიქრობს სულხანი და დამნაშავის გადარჩენის იმედი კიდევ უფრო უმტკიცდება.

კაიაფას ბედმა მერამდენედ უმტყუნა. ახლა დრო გადაეკიდა, დაუნდობელი მსაჯული. შაბათი იწყება. არადა იმ დღეს რაიმეს კეთება აკრძალულია. ვერც სიკვდილმისჯილებს დატოვებს ასე, ჯვარზე გაკრულს, წამებაც საქმეა, იცის კაიაფამ ამ წესს ვერ გადავა. მაშ რა ქნას, როგორ მოიქცეს, რა გზით ამოაძროს სული ღამემდე? ჯვარზე გაკრული კაცის სიცოცხლე რაღაა, მაგრამ სიკვდილამდე მაინც ბევრი უკლია. ამინდს გააჩნია, მზიანში სამი დღეც საკმარისია, წვიმიანში ხუთი დღეც არ ყოფნის ხოლმე. კაიაფას დღეების კრიალოსანს არავინ მიუძღვნის. თუმცა დაჩქარებაც შეიძლება. მაგალითად ლურსმნებით მიჭედება სეფსისის იმედით, ანდა ძლიერი სისხლისდენის გამოწვევა, არც ამას ჭირდება ხანგრძლივი

ფიქრი. მაგრამ იესოს არავინ ეკარება. დრო კი მიდის, შაბათი ახლოვდება. მხოლოდ ღამისკენ, კაიაფას დაჟინებული თხოვნით, ლეგიონერი იესოს შეამოწმებს, შუბის წვერს ატაკებს. შუბის წვერს სისხლი გამოყვება და ამ სისხლის დანახვაზე მრავლისმნახველი მეომარი დამნაშავის სიკვდილს ადასტურებს.

მკვდარი და სისხლი? უკვირს სულხანს და მართალიც არის.

უკვირს მღვდელმთავარსაც, მაგრამ რა ქნას? მისი მდგომარეობა უფრო მძიმეა, მან ამ გაკვირვებაში ფული გადაიხადა. ძვირი გაოცება კი გამოუვიდა.

სულხანი კაიაფას არ სცილდება, ჩრდილივით ეკრობა, დასდევს. მღვმდელმთავარს ისღა დარჩენია პილატეს მიაკითხოს. მიაკითხოს და მოჰკითხოს.

სულხანიც აქ არის.

კმაყოფილი ხარ, მღვდელმთავარო? ლევინებს გული ხომ არაფერზე დასწყდათ?

ღიმილი.

კაიაფამ ამ კაცის ღიმილს ვერაფერი გაუგო.

ნაწილობრივ... მე ფული მკვდარ იესოში გადავიხადე, ის კი ცოცხალია.

ვინ არის ცოცხალი?

ნაზარეთელი...

არა მგონია. მომახსენეს, რომ კარგა ხნის წინ გარდაიცვალა და უკვე აკლდამაშიც დაუსვენებიათ.

ინახავენ, რათა ღამით გააპარონ.

რა გაეწყობა. თუ ეგრე ფიქრობ, დაცვა დააყენე შესავლელთან და უშფოთველად დაგეძინება.

როგორ შეიძლება, ვინ დადგება, შაბათია და ყველანი სახლებში არიან.

მართალია, სულ გადამავიწყდა. რა ვქნა, რით დაგეხმარო, მე თქვენს წესებში ვერ ჩავერევი, მერე თქვენვე ამავსებთ საჩივრებით.

ლეგიონერების დაყენების უფლება მომეცი, გაეცი ბრძანება.

ლეგიონერები?

პილატე ფიქრობს.

ასე კაიაფას ჰგონია, თორემ მას ყველაფერი დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს. იყოს ლეგიონერები, ამგვარად უფრო ადვილად მოაგვარებს ყოველივეს.

ლეგიონერები... კი, ბატონო. ხომ ხედავ სასაყვედურო არაფერი გაქვს, როგორც შემიძლია ისე გიწყობ ხელს, წაიყვანე, გამოცდილ ხალხს გაგაყოლებ.

კაიაფა კმაყოფილია. თუ მკვდარია ხომ კარგი, თუ ცოცხალია, უჟანგბადობა მოუღებს ბოლოს. შეიარაღებული ლეგიონერების შიშით ჩიტიც ვეღარ შეფრინდება აკლდამაში. ფიქრობს თავისთვის.

რამდენადაც უდაბნოში დღისით გაუსაძლისი სიცხეა, იმდენად აუტანელი სიცივეა ღამით. სულხანმა ეს არ იცოდა, საიდან უნდა სცოდნოდა, ხომ გახსოვთ თბილისს არ გასცილებია. ამიტომ მოსახური არაფერი წაუღია და ფილტვების ანთებას სასნაულად გადაურჩა. დილით საკუთარმა ცხვირმა გააღვიძა. ისეთი დასჭექა, მიწა ისე შეანძრია, რომ მგონი გამოქვაბულს მიფარებული უზარმაზარი ლოდი სწორედ ამ ძალამ გადააგორა.

გამთენიისას აკლდამასთან მისული ლევინები აღელვებულები არიან, მართალია სადარაჯოზე

მდგარ ლეგიონერებს ბევრს ვერაფერს უბედავენ, მაგრამ საყვედურს არ აკლებენ.

მაინც რამ გადარიათ ამ დილაადრიან?

რაღა რამ, აკლდამა ცარიელია და მიცვალებულიც არ ჩანს.

ლეგიონერები მხრებს იჩეჩავენ. მძიმე სამუშაო გვაქვს, ვიღლებით, ჩამოგვეძინა. ალბათ ვინმემ წაიყვანა, ან სულაც იქნებ თვითონ წავიდა... არ ვიცით, არაფერი დაგვინახავს.

კაიაფა ამ ზღაპარს დაიჯერებდა კიდეც, პილატეს რომ ჯარისკაცები დაესაჯა, მაგრამ პრეფექტს თითქოს არაფერი გაუგია, ცალ ყურში გაატარა და საკუთარ საქმეებს მიუბრუნდა.

შეატყობინეს: რომში დიდი ამბებია. ისიც შეატყობინეს, რომ იმპერატორი არისტოკრატებს დაერია და ვალების გადახდა მოსთხოვა, გამსესხებლებს კი დაბრუნებული ფულით უძრავი ქონების შეძენა დაავალა. ამით შეძლებულებს ხელიდან ფუფუნება გამოაცალა, ბანკირებს კი ზედმეტი სანერვიულო გაუჩინა. და რადგანაც ყისმათიანი ბანკირები მაშინაც, როგორც დღეს, ებრაელები იყვნენ, ხოლო რომში ერთი მტკაველ მიწას წამლადაც ვერ იშოვნიდა კაცი, იძულებულები გახდნენ სახნავ სათესი პროვინციაში შეეძინათ. ისინიც ადგნენ და წავიდნენ. მოვლა ხომ უნდოდა ამოდენა ქონებას, რომელი ებრაელი გააპარტახებს საკუთარს. რამდენიმე დღეში ქალაქი ისე დაცარიელდა, როგორც მათხოვრის გამოხეული ჯიბე.

პილატე ამას როგორმე გადაიტანდა, მაგრამ მეორე ცნობამ სულ დააკარგვინა წონასწორობა. პილატეს

რომში იბარებენ. მოსახდენი მოხდა. გადადებულმა საქმემ ეგრე იცის. შეთქმულება ჩაიშალა. დაჭერები დაიწყო, რამდენიმე თავიც გაგორდა. პილატესაც დაუპირეს, თუმცა ვერაფერი დააკლეს. ოსტატურად იმართლა თავი. მერე წერილები გაუხსენეს, შეთქმულებთან მიწერ– მოწერა. აქაც ხელები გაშალა, სულ მზე და შუბის წვერი იფიცა. ვერაფრით დაუმტკიცეს. რომ არ მოდუნებულიყო, მაინც უსაყვედურეს და თავჩაქინდრული უკან გაისტუმრეს.

ბედი ისევ შემოტრიალდა.

თავი კი ჩაჰქინდრა, მაგრამ გულში მწარედ დასცინოდა თავის მსაჯულებს. ყველაფერი ისე აეწყო უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი. პილატე ომსაც გადაურჩა და დასჯასაც. ლეგიონერები არსად აღარ მიდიან. ფული საიმედო ადგილას ინახება. კაიაფა გატეხილია, იძულებულია ცარიელ აკლდამასა და ახალი ღმერთის არსებობას შეეგუოს. პრეფექტის ჩანაფიქრის აღსრულება გამარტივდა. ახალ მოძრაობას პეტრეც კარგად უხელმძღვანელებს, პარტიის თავკაცად ისიც გამოდგება. თანაც რომაელია, რომანტიკაც აკლია და მასთან საერთო ენის გამონახვა გაცილებით ადვილია.

ითქვა, გადაწყდა და ასეც მოხდა.

მთავარი დამნაშავე სადღაა?

იესო ამ ყველაფერს შორიდან აკვირდება. მისი ნატვრა პილატეს გეგმებს ეწირება, მისი ჩანაფიქრი პეტრეს თანხმობასთან ერთად უფერულდება. სულ მალე ჯიხურთა რიგი პილატესთან გადაინაცვლებს. გადანაწილდა. ღარიბი ღარიბად დარჩა, მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა.

მაინც სადაა?

იქნებ ჰეროდეს სასახლეშია. ევროპაში განათლება მიღებული ხელმწიფე უბურღავს ტვინს მოოქროვილი ჭერიშ ქვეშ.

იქნებ პილატემ გადამალა კაიაფას დასაშინებლად.

ან იქნებ სახლშია?

ან სულაც გზაში?

სულხანი ეძებს. პროკურატურის ახლად შეთეთრებულ კედლებს ასკდება. უშედეგოდ. მის კვალს ვერ მიაგნო. ისტორიას გაჰყვა ალალბედზე, ფურცელ ფურცელ მოაღწია დღემდე, თუმცა მაინც ვერსად აღმოაჩინა. მაგრამ ამ ოფლის ღვრამ შედეგი გამოიღო, სულხანს ეშველა და პატარა გამომძიებელმა საოცარი აღმოჩენა გააკეთა...

თუმცა ჯერ სხვები.

სხვები დიდი არაფერი, როგორც ხდება ხოლმე:

ჰეროდემ იუდეველთა ომამდე ვეღარ მიაღწია. ახალგაზრდა კალიგულამ გადაასახლა, შორ გზას გაუყენა და იქვე დაასრულა თავისი სიცოცხლე.

ტიბერიუსი დაბერდა და სიმშვიდეში გარდაიცვალა.

კალიგულამ პილატე საქმეებს ჩამოაშორა. ყოფილ პრეფექტს გული დიდად არ დასწყვეტია. ფული ბლომად ჰქონდა. ამ ფულით შვეიცარიაში უზარმაზარი სასახლის ყიდვა არ გასჭირვებია და სიკვდილსაც იქ გაუღო კარი.

კაიაფამ დროსაც გაუძლო და მთავრობის ხშირ ცვლასაც. კიდევ ოთხი წელი დარჩა სპიკერად. მერე უდაბნოს ქვიშასავით უხილავი გახდა. ვინ იცის, იქნებ ქრისტიანობაც კი მიიღო.

იესო?

სულხანი აღმოჩენას მიუბრუნდა.

ლექციების კურსის გულმოდგინე ჩანიშვნამ ნაყოფი გამოიღო. კარგად ნასწავლი, გამოძიების მთავარი ძარღვი გაიხსენა და ისეთი მარტივი დასკვნა დაბადა, როგორი მარტივიც მხოლოდ სინათლე შეიძლება იყოს: თუ არც მკვლელობის იარაღი ჩანს და გვამსაც ვერ მიაგენი, საქმეც არ ყოფილა. სათქმელად ადვილია, თორემ სულხანმა ენა ძლივს მოატრიალა.

ცოცხალია! ამოთქვა, როგორც იქნა.

ცოცხალია! ცოცხალ კაცს კიდევ სად გადააწყდები, ვინ იცის. დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად შეგხვდება, სადმე გადაგეყრება, საუბარს გაგიბამს. ქვეყანა დიდია.

ამას მიხვდა თუ არა სკამის საზურგეს ძალაგამოცლილი მიესვენა. ისეთი შვება იგრძნო, როგორც სიკვდილს გადარჩენილმა მშობიარე ქალმა და მისი სისულელეებით გაფუებული გონება იმგვარად დაიჩუტა, როგორც მომავალი დედის გაბერილი მუცელი.

მეორე დილით მდივანმა დასკვნის მაგივრად მომლოდინე უფროსს სულხანის განცხადება შემოუტანა. სულხანი სამსახურს სტოვებდა, ამ უცნაური გადაწყვეტილების მიზეზს არ ახსენებდა, რამდენიმე წინადადება იყო მხოლოდ. ეს იყო და ეს. ამის მერე იმათ სულხანი აღარ უნახავთ.

მართალი იყო როსტომ ვალერიანოვიჩი, როცა ამბობდა: კაცი თუ ხარ, გზა თვითონ უნდა აირჩიო... უარყოფაც გზაა და როცა იქნება გარეთ გამოგიყვანს.

გამგონე სულხანმა სამივე ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა:

იუარა კიდეც.

აირჩია კიდეც.

და ამორჩეულით გარეთაც გამოვიდა.

როცა იქნება სულხანის შერჩეული გზა ამ ორს ისე გადაჯაჭვავს, როგორც ცეცხლგამძლე ფოლადის უცვეთელ ბორკილებს.

ამინ!

ლეონარდო და ვინჩი

ყოველი ადამიანის აღსასრული თავისებურად სევდიანია, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც გარდაცვლილს ახლოს იცნობდა, გაიფიქრა ანდრომ, ჭიქის ფსკერზე შემორჩენილი ვისკი მოსვა და საკუთრი მოთხრობის სათაურს კიდევ ერთხელ დახედა.

დამწყებ მწერალს, ანდრო ძაგანიას, ვისკი ძალიან უყვარდა. ვისკი ვის არ უყვარს? ვისაც ვისკი არ უყვარს, ანდა ასე ამბობს, ის უბრალოდ ვერ ყიდულობს, ამის თქმა ერიდება და თავს ამით იმართლებს. დასამალი რა არის და ხშირად ვერც ანდრო ყიდულობდა, მაგრამ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ სადმე, ვინმესთან, როგორმე ირმისფერი სითხის ერთი ჭიქა მაინც არ დაელია. ვისკი ყინულით, ვისკი სოდით, ან იგივე ბორჯომის წყლით, ვისკი ცარიელი, შეგრილებული ანდა სულაც თბილი, ვისკი ირლანდიულად, ყავასთან ერთად.

დამწყებ მწერალს, ანდრო ძაგანიას, შეიძლება ითქვას, ვისკი ყველაფერზე მეტად უყვარდა, მაგრამ, მიუხედავად ამ სიყვარულისა, საფრანგეთში წასვალს სულაც არ აპირებდა, თუმცაღა მაინც მოუწია. მიზეზი უმარტივესი გახლდათ: ანდრო, საერთოდ, ქალაქიდან გასვლას ერიდებოდა, რადგან, ყველა ქართველივით, განსაკუთრებული სიზარმაცითა და სიამაყით გამოირჩეოდა. სიზარმაცე იქით იყოს და ერთ დღესაც, ყველასთვის მოულოდნელად, პა-

რიზში გამგზავრება შესთავაზეს. ვიღაცას ანდროს შექმნილი ესსე წაუკითხავს, მოსწონებია, ფრანგულად უთარგმნია და იქაური კოლეგებისათვის გადაუცია, მითუმეტეს რომ სათარგმნელი არც არაფერი ყოფილა, სულ ორ გვერდამდე თუ იქნებოდა. ანდრო ძაგანიას ნაწარმოებს „ინდიფერენტული ესსე" ერქვა და ასე იწყებოდა:

„მე ვამთქნარებ. შენ ამთქნარებ. ის ამთქნარებს.

ჩვენ ვამთქნარებთ. თქვენ ამთქნარებთ. ისინი ამთქნარებენ.

თავს აქნევენ.

სხვებიც აკანტურებენ...

რა გამოლევს პარტიებს, პარტიტურებს, ავტოტურებს და ზოგადად ტურებს".

მერე კიდევ იყო რაღაც რაღაცეები, მაგრამ მკითხველს, ძირითადად, ეს ნაწილი ამახსოვრდებოდა ხოლმე.

ასე მოხვდა ანდრო ძაგანია მასტერ კლასზე. კლასი იგივე სკოლაა, გაკვეთილია, სადაც მასტერი, ანუ ჩვენებურად თავისი საქმის მცოდნე კაცი, გასწავლის თუ როგორ უნდა მოყვე ამბები. მითითებებს ინგლისურ ენაზე იძლევა, ამბებსაც ამ ენაზე ყვება, დამსწრეებს რუსულად უთარგმნიან, მერე ანდროს ქართულად გადმოყავს ეს ყველაფერი და ხელში თითქმის აღარაფერი რჩება. ასე რომ, რაც იცოდა, ისევ იმის ამარა დარჩა.

მართალია, ანდრო საფრანგეთშია, მაგრამ არც ეგრეა საქმე, ალბათ უფრო ჰგონია, რომ პარიზშია, რადგან საკუთარ სასტუმროს მიბჯენილი ორი ვიწრო ქუჩის გარდა ვერაფერს ცნობს, იქაურობას არ

სცილდება და რომ არ დაიკარგოს, ამ ქუჩებს მაშველივით ეჭიდება.

იქვე პატარა კაფეა, გარეთ გამოტანილი მაგიდებით და გაშლილი ქოლგებით. ანდრო სამი დღეა მიდის, ცარიელ მაგიდას ირჩევს და მოზრდილ ბლოკნოტს შლის. ჩვენი საუკუნის ლიტერატურის უმეტესი ნაწილი სწორედ რომ ასეთ კაფეებშია შექმნილი და რაღა ანდროს გაუწყრება ღმერთი. ოც მეტრში, ქუჩის გადაღმა, სურათების კრიალოსანივით აკინძული რიგი მოსჩანს. ანდროს მხატვრობის არაფერი გაეგება, უყურებს და თვალს ასვენებს მხოლოდ. უკვე სცნობენ. თავად სცნობს და მათ შორის ნდობის უხილავი ძაფი იბმება. რაიმეს ყიდვა რომ მოუნდეს, ნახევარ ფასშიც გააატანენ – ასე ფიქრობს, თუმცა, რისი მყიდველია – ესეც ხომ იმ ფიქრის ნაწილია.

– ქართველი ხარ?!

ანდრო თავს სწევს. მოხუცი, მასზე უფრო მოხუც მზეს სანახევროდ ფარავს.

– კი. – ნაძალადევ თანხმობას იძლევა ანდრო. – ქართველი ვარ.

გარსონი სკამს სწევს. მოხუცი ჯდება. მზე მთლიანად ბრუნდება.

– ჩემს ასაკში უკვე ძნელია მხედველობას ენდო, მაგრამ თვალმა არც ამჯერად მომატყუა.

მართალს ამბობს. წესით ამ დრომდე არც ცოცხლობენ. გამომხმარი, საბუხრე შეშას ჰგავს, ასეთივე ხმელია და ფერშეცვლილი. მის სახეზე გაბნეული ღრმა ნაოჭები არხებს გვანან და უფერო თვალები ამ არხებში ისე იკარგებიან, როგორც ბილიარდის ლუ-

ზაში, ოსტატის ხელით ჩაყრილი სპილოს ძვლის ბურთები.

– რას დალევთ?

ანდრო მზერას შემთბარი ლუდისკენ აპარებს.

– ვისკის, ოლონდ ყინულის გარეშე.

გარსონი იმახსოვრებს და მიდის.

– ყინული ვისკის აფერმკრთალებს, ძალას აკარგვინებს და სხვა სასმელების რიგში აყენებს. ნამდვილი მამაკაცები ვისკის ყინულის გარეშე სვამენ, ჰემინგუეიც ამგვარს ეტანებოდა, კუბურ სიგარას აყოლებდა და ზოგჯერ ჩხუბობდა კიდეც.

ანდროს შედარება მოსწონს, რაღაცაში მაინც ჩამოჰგავს დიდ მწერალს, თამამდება და მოხუცს ახსენებს.

– ზოგჯერ წერდა კიდეც.

– მართალია, ეგ სულ დამავიწყდა. – იღიმება მოხუცი. – თქვენ წერთ?

– არა, ეს ისე... ჩემთვის... შთაბეჭდილებებს ვინიშნავ, რომ არ დამავიწყდეს. – ანდრომ ბლოკნოტი სასწრაფოდ დახურა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. – როგორ მიხვდით რომ ქართველი ვარ?

– იერით. მე შევხვედრივარ თქვენიანებს. – თქვა მოხუცმა და იქვე სიამაყით დაამატა. – მეტიც, რამდენიმე მათგანი დავკითხე კიდეც.

– დაკითხეთ?

– მგონი დროა, ერთმანეთი გავიცნოთ, ბართოლომეო დორნე, პოლიციელი, ამჟამად ამ კაფეს მეპატრონე.

ანდროს არ უნდოდა, მაგრამ მაინც მოუწია საკუთარი სახელის თქმა, თუმცა თავი იმით ინუგეშა,

რომ ვისკის ფული მისი გადასახდელი აღარ იქნებოდა, რაც არ უნდა იყოს, კაფეს მეპატრონე ესაუბრებოდა.

ამ დროს სასმელიც მოიტანეს.

მოხუცმა ჭიქა ოდნავ ააცილა მაგიდის ზედაპირს.

– ეს საიდუმლოს შენახვის ხელოვნებას გაუმარჯოს.

მართალია, ანდრომ ვერაფერი გაიგო, მაგრამ ვისკის ხათრით თავადაც გაიღიმა და თქვა

– გაუმარჯოს!

ირმისფერმა სითხემ ჯერ ლოყები გამოწვა შიგნიდან, მერე ყელი დაწიწკნა, ქვევით ჩაქანდა, სადღაც კოჭსა და მუხლს შუა შეჩერდა რამდენიმე წამით, ისევ ზევით წამოვიდა და იქიდან დაიწყო ანდროს თვალების გათბობა.

– შეიძლება ითქვას საკუთარი თავი დავლოცე, რადგან ყველაზე უკეთ საიდუმლოს შენახვა შემძლებია.

ანდრო ხმას არ იღებს და ცდილობს სასმელით დანემსილ ენას პირში ადგილი მიუჩინოს.

– რადგან ამ საქმის მონაწილეთაგან ცოცხალი აღარავინაა, შემიძლია ფიცი დავარღვიო და ერთი ისტორია გიამბოთ, მერწმუნეთ, არ ინანებთ.

– მე რატომ ამომირჩიეთ? – გაიკვირვა ანდრომ. – ჟურნალისტები რისთვის არიან?

– არ მიყვარს ჟურნალისტები. – დაიძაბა მოხუცი. – კახპებს გვანან, თუმცა მათ გარეშე სამყარო მოიწყენდა, ხომ მეთანხმებით? ცხოვრება შეიცვალა, დღევანდელ ჟურნალისტებს ვისკი აღარ უყვართ, მარტინისა და არაყს ეტანებიან, ძნელია ენდო ადა-

მიანს ვისაც ვისკი არ უყვარს, თქვენ რას იტყვით?!.. თანაც ამ საქმეში ქართველებიც მონაწილეობენ... ამავე დროს პირველი ქართველი ხართ, ვინც ბლოკ-ნოტით ვნახე.

– არა, რატომ...

– რა თქმა უნდა არიან, მაგრამ მე არ შემხვედრია. – მიუხვდა მოხუცი. – ხომ არ გეჩქარებათ?

– არა.

ანდროს საკუთარი მასტერკლასი გაახსენდა და იმავე წამს გარდაცვლილი მტერივით მიივიწყა. მეორე ჭიქამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ინგლისურ-რუსული ჭკუის დარიგებას ბართოლომეის მოსმენა სჯობდა.

– მაშ დავიწყოთ. – თქვა მოხუცმა.

ასანთს გაჰკრეს, სიგარეტი ააწითლეს, კვამლის კედელი შემოარტყეს საკუთარ მაგიდას და ღრუბ-ლისფერ ციხე-სიმაგრეში გამაგრდნენ. ახლა უკვე ამ მყუდროებას ვეღარაფერი დაარღვევდა.

– ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. განსაკუთრე-ბული არაფერი მომხდარა და სახლში წასვლას ვაპი-რებდი. სწორედ ამ დროს უფროსმა გამომიძახა: დორნე! – მეუბნება. – მეტად რთული საქმე უნდა დაგავალოთ, მინისტრი ძალიან შეწუხებულია, ქალა-ქის მერი ადგილს ვერ პოულობს, საცაა ჟურნალის-ტები გამოჩნდებიან, დღეს საფრანგეთს სახალხოდ სილა სტკიცეს და ეს სირცხვილი, რაც შეიძლება ჩქა-რა, ყველამ ერთად უნდა ჩამოვირეცხოთ. მაინც რა მოხდა ასეთი? – დავინტერესდი მე. უფროსმა ხმას დაუწია. საშინელება, ყოვლად დაუჯერებელი რამ, ლუვრიდან ჯოკონდა მოიპარეს! ამას ნამდვილად არ

ველოდი, ცხადზე ცხადი იყო, ამოსუნთქვას არავინ მაცლიდა. იმავე დღეს, ჩემი ხალხი მთელ ქალაქს მოედო, მე კი შემთხვევის ადგილზე გავედი. ყველაფერი დავათვალიერე და უკანა კართან, სათადარიგო კიბესთან, ჩამტვრეული სარკმელი აღმოვაჩინე, იქვე სურათის ჩარჩოც ვიპოვნე. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ამ ამბავს უქმე დღეები დაემთხვა, ორშაბათს კი ლუვრში ისედაც დასუფთავებისთვის იყენებენ. ასე რომ, ზედამხედველმა ვერაფერით გაიხსენა როდის ნახა ნახატი ბოლოს, პარასკევს, შაბათს, კვირას თუ ორშაბთს. ყველანი დავკითხეთ: დამლაგებლები, ექსპერტები, მცველები, ზედამხედველები, მუზეუმის დირექტორი, თეოფილ გომოლიც კი გამოვიძახეთ ნიციდან. ასე დავკარგეთ რამდენიმე დღე, მაგრამ რაღაც ჩასაჭიდებელი მაინც გამოჩნდა. ზედამხედველს, რომელმაც ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდა, ედვარდ ევანსი ერქვა... რამე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათ, მუსიე, ევანს?.. უცნაური? მაინც რა?.. ვინმე ზედმეტად ხომ არ დაინტერესდა ნახატით, ხშირად ხომ არ მოდიოდა, საეჭვოდ ხომ არ იქცეოდა?.. იყო ერთი ახალგაზრდა კაცი, გოგონასთან ერთად... რატომ მიიქციეს თქვენი ყურადღება?.. თავისუფლად იქცეოდნენ, სურათს დასცინოდნენ, კოცნას უგზავნიდნენ, თითს იშვერდნენ მისკენ, ნასვამები უნდა ყოფილიყვნენ... ალბათ არ გეცოდინებათ მათი ვინაობა, მუსიე ევანს?.. პირადად არ ვიცნობ, ასე მითხრეს, პოეტიაო, გიომ აპოლინერი... დასაწყისისთვის არა უშავდა რა. ლუვრიდან გამოსულმა რამდენიმე კვარტალი ფეხით გავიარე. უცნაურ სანახაობას გადავაწყდი. ქუჩაში

მიცვალებულს მოასვენებდნენ. ამაში უცნაური რა უნდა იყოს, მაგრამ სამგლოვიარო პროცესია ძალიან ნელა, ხელოვნურად მოძრაობდა და ჭირისუფლებიც მეტად მხიარულ სამოსში იყვნენ გამონყობილები. კატაფალკა კაფე „როტონდას" გაუსწორდა და შედგა. მოულოდნელად მიცვალებული გაცოცხლდა, კუბოდან გადმოსული გოგონა საოცრად ჰგავდა მონა ლიზას და მასავით მაცდურად იღიმებოდა. ყველანი სიცილითა და მხიარული შეძახილებით კარის უკან გაუჩინარდნენ. განსაკუთრებით ერთი ახალგაზრდა კაცი დამამახსოვრდა. მაღალი იყო, ავადმყოფურად გამხდარი. ფერმკრთალი სახე და უჩვეულო ფორმის ცხვირი ჰქონდა. ახალგაზრდა კაცმა მხურვალედ იგლოვა სატრფოს გარდაცვალება, ბევრი ითავცემა, ბევრი ცრემლიც ღვარა, თუმცა ხასიათი მალე გამოუსწორდა, ერთი დემონურად გადაიხარხარა, გულის წასვლა გაითამაშა და სველ ქუჩაზე გაიშოტა. რადგან იმდროინდელი პარიზი გიჟმაჟ მხატვრებს ტყვედ ჰყავდათ აყვანილი, მათი ამგვარი საქციელი აღარავის უკვირდა. მე ჩემი გზა გავაგრძელე. პოეტი აპოლინერი იმავე საღამოს ვიპოვნე. ორი დღე გავაჩერე ჩემთან, რამდენჯერმე დავკითხე, მისი ბინაც გავჩხრიკეთ, თუმცა საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინეთ. რა უნდა გვექნა? გავუშვით, თავისი გაუგებარი ლექსების საწერად. დრო კი დაუნდობლად მიქროდა, თვე თვეს მისდევდა, მე ვერაფერს მივაღწიე, ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწიე წინ. მოულოდნელად წერილი მივიღე. წერილს იტალიური საფოსტო მარკა ერტყა, მილანის ხედით. მწერდა ვინმე, ალფრედო გერი, რომელიც სასწრაფოდ ითხოვდა ჩემთან შეხვედ-

რას. დაზამთრდა, საშინელი სიცივეები დაიჭირა, მილანში კი გაუსაძლისი ყინვები იცის. უიმედოდ გავემგზავრე იტალიაში და შევხვდი წერილის ავტორს. ჩვენი საუბრიდან გაირკვა, რომ ანონიმი გამყიდველი კოლექციონერს ჯოკონდას შეძენას სთავაზობდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუკი ფასზე შეთანმხდებოდნენ.

– რა თანხას თხოულობდა? – დაინტერესდა ანდრო.

– ნახევარ მილიონ ლირას. – მხრები აიჩეჩა მოხუცმა.

– მაშინ ალბათ რაღაცას ნიშნავდა ეს ფული. – არ მოეშვა ანდრო.

– არა, მგონია, თანაც ლეონარდოს ნახატისთვის, ეს ხომ კაპიკებია.

– ასეა. – დაეთანხმა ანდრო, თუმცა გუნებაში მაინც ცდილობდა გაერკვია, თუ რას წარმოადგენდა ნახევარი მილიონი ლირა.

– კოლექციონერს ვურჩიე, რომ სასწრაფოდ მიეწერა პასუხი და შეხვედრა პარიზში დაენიშნა. – განაგრძო მოხუცმა. გერი ასეც მოიქცა, მაგრამ ანონიმმა პარიზში შეხვედრაზე სასტიკი უარი განაცხადა და მილანში ჩამოსვლა არჩია. მოლაპარაკება ქალაქის შემოგარენში, პატარა სასტუმროში დავნიშნეთ. ირგვლივ ყველგან პოლიციელები ჩასაფრდნენ, სასტუმროში კი საიდუმლო აგენტები ჩვეულებრივი მობინადრეების როლს თამაშობდნენ. სტუმარი დათქმულ დროს გამოჩნდა. გერიმ იგი საკუთარ ნომერში მიიპატიჟა, ჩვენ კარის უკან გავიტრუნეთ და ყველაფერს ვისმენდით...

მე აქ სავაჭროდ არ მოვსულვარ, თუ ფასი გაწყობთ, ნახატს ეხლავე მიიღებთ! – თქვა უცნობმა... ფასი მისაღებია, მაგრამ ჯერ ნახატს უნდა დავხედო, შემდეგ კი ექსპერტებს შევამოწმებინო. – ეს უკვე გერის ხმა იყო... ექსპერტები ვერაფერში დაგეხმარებიან, მე საკუთარი ხელით ჩამოვხსენი ეს სურათი ლუვრის კედლიდან! – დაამატა უცნობმა და ძველისძელ ჩემოდანში ხელი მოაფათურა... კარის ღრიჭოში კარგად ვხედავდი, თუ როგორ ამოაძვრინა იტალიელმა ჩემოდნიდან ჯვალოში გახვეული რაღაც ნივთი და გერის გადასცა. გერიმ ნივთს მტვრიანი ნაჭერი შემოაცალა, დახვეული სურათი გაშალა, ნახატი გადმოატრიალა და უკანა მხარეს ლუვრის ბეჭედი აღმოაჩინა... – ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მე მაინც მირჩევნია, რომ დასკვნა ექსპერტებმა მომცენ... გერის ამ სიტყვების შემდეგ ოთახში ჩვენ შევედით და უცნობს ხელბორკილები დავადეთ. უცნობი ვინჩენცო პერუჯია აღმოჩნდა, რომელიც ლუვრში ზედამხედველად რამდენიმე წელი მუშაობდა. მისთვის ყველა გზა, სათადარიგო კიბე თუ სამალავი კარგად იყო ცნობილი, ასე რომ, სურათის მოპარვა არ გასჭირვებია. მოგვიანებით განაცხადა, რომ ამას ფულის გულისთვის არ სჩადიოდა, სამართლიანობის აღდგენა სურდა მხოლოდ და მეტი არაფერი.

– რომელი სამართლიანობის? – დაინტერესდა ანდრო და ინანა, რომ ჰემინგუეის მიბაძა, ყინული თავიდანვე უნდა მოეთხოვა.

– მისი აზრით, ნახატი ნაპოლეონმა მოიპარა, ამიტომ ის სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო.

– როგორ? – გაიკვირვა ანდრომ ყლუპებს შუა. – ლეონარდომ ხომ თავად გაყიდა ნახატი.

– მართალია. - დაეთანხმა მოხუცი. – 1517 წელს და ვინჩიმ ნახატი საფრანგეთის მეფეს, ფრანსიკ პირველს მიჰყიდა ოცი ათას ფლორინად. ამას ჩემი იტალიელი სტუმარი აღარ ელოდა და საბოლოოდ ჩამოყარა ყურები. სურათი ლუვრს დაუბრუნეს, ვინჩენცო ციხეში გაამწესეს და სასამართლოს მოლოდინში ღამეებს ათენებდა, რადგან საკუთარი ადვოკატი გარკვეულ იმედებს აძლევდა. მე მუშაობა ჩვეულებრივად გავაგრძელე, ეს ამბავი მალე მივივიწყე და საქმე არქივს ჩავაბარე. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, თავს მაინც ცუდად ვგრძნობდი, რადგან ჩემი მონაწილეობა ამ გახმაურებულ საქმეში, მილანში ჩასვლითა და რამდენიმე ადამიანის დაკითხვით შემოიფარგლებოდა მხოლოდ. უბრალოდ გამიმართლა, ასე თვლიდა ყველა. ამაზე უფროსებმაც მიმითითეს და ინერტულობისთვის საყვედურიც მითხრეს. თუმცა ამას არ ვნაღვლობდი, ასეა თუ ისე, ნახატი მუზეუმს დაუბრუნდა, მთავარი კი ეს იყო.

მოხუცი გაჩუმდა.

მართალი გითხრათ, ანდრო მეტს ელოდა. ამ ამბავს მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მსგავს თუ უკეთესს ადვილად იპოვნის დაინტერესებული ადამიანი წიგნში, ჟურნალსა თუ გაზეთში, ბოლოსდაბოლოს კალენდარშიც შეიძლება წააწყდე რამეს. ნუგეშად ისღა რჩებოდა, რომ ძვირფას ვისკის სვამდა.

– კი, მაგრამ, თქვენი ნახსენები ქართველები სადღა არიან? – მოხუცს საუბრის დასაწყისში დათქმული პირობა შეახსენა.

– იქნება... იქნება... მთავარი ხომ ეხლა იწყება. – თქვა მოხუცმა და ჭიქები შეავსო.

ჩათრევას ჩაყოლა ჯობია, გაიფიქრა ანდრომ და ჭიქა თავისკენ მისწია.

თუმცა სანამ რამე იქნება და მოხუცი წარსულის ლანდებთან შესახვედრად გაგვაქანებს, ჩვენს თხრობაში რეკლამის დროა...

„ელიტარული ხინკალი, დიღმის გასასვლელში".

„ბორჯომის ნამცხვარი. გაიხსენეთ ბავშვობა".

„მხოლოდ ჩვენთან, ნამდვილი რუსული სამზარეულო, თევზეული, ცომეული, დაცვარული არაყი და გულისშემძვრელი რუსული რომანსები".

„ღვიძლი ბადე-ქონში, ფაცხებში, სიგრილეში".

„პიცა სახლში მიტანით, თქვენ იხდით, დანარჩენი ჩვენი საქმეა".

„სწრაფი კვების ობიექტების ქსელი „მარდი" გთავაზობთ მომსახურებას პირადპირ მანქანებში".

„ოჯახური სამზარეულო მათთვის, ვისაც ოჯახი არ ჰყავს".

მოთხრობის პირველი ნახევრის მოკლე შინაარსი:

ხომ გახსოვთ, ამბავი პარიზში ხდება, ანდრო მასტერკლასზეა მიწვეული, ახლა კაფეშია. მის წინ ყოფილი პოლიციელი ზის, ვისკის წრუპავს და ჯოკონდას გაუჩინარების ამბავს უყვება...

მოხუცმა ვისკი მოსვა, წამით სასმელი პირში დაიგუბა, მხოლოდ ამის შემდეგ გადაყლაპა, ამოისუნთქვა და ამ სუნთქვას გველის სისინი ამოაყოლა.

– დამსაჯეს და მნიშვნელოვან საქმეებს ჩამომაშორეს, წვრილმანი საქმეები დამიტოვეს, ჩხუბი, ხულიგნობა, ჯიშიანი ძაღლების გაუჩინარება, ველო-

სიპედების ქურდობა... დრო თავზე საყრელი მქონდა, რა უნდა მექნა, ვიჯექი და მთელი დღე საკუთარ თავს ჭადრაკს ვეთამაშებოდი. ერთ საღამოს ოთახში, ჩემი თანაშემწე შემოვიდა და დაუჯერებელი ამბავი მომიტანა...

– ისევ მოიპარეს? - დამცინავად შეაპარა ანდრომ.

– ვერ გამოიცანით, უარესი. მუზეუმში მიბრუნებული სურათი კარგად შეისწავლეს. მთავარ ექსპერტს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ეს სწორედ ის ნახატი იყო, რომელიც ლუვრიდან მოიპარეს. ამავე დროს, მას არაფერი ჰქონდა საერთო ლეონარდოს ფერწერასთან. ასე რომ, ვინჩენცოს ოსტატურად შესრულებული ასლი მოუპარავს, ხოლო დედანი უფრო ადრე ყოფილა გამქრალი.

ანდრო ამას ნამდვილად აღარ ელოდა. ისე დაიბნა, რომ ვისკიც მიავიწყდა და მისი მოსმაც. ჩანს მოხუცს ეს ყველაფერი გათვლილი ჰქონდა და მისი რეაქციით კმაყოფილი დარჩა.

– ძიებით დადგინდა, რომ სურათი ბოლო ორი წლის მანძილზე იყო შეცვლილი, ამას საქვეყნოდ აღიარებული ექსპერტებიც ადასტურებდნენ. ეს საქმეს გვირთულებდა. ძალზე მცირე ალბათობა იყო დარჩენილი იმისა, რომ ჯოკონდა კვლავ საფრანგეთში იმყოფებოდა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი საიდუმლოდ შევინახეთ, რამდენიმე კაცის გარდა არავინ არაფერი იცოდა. მონა ლიზა ძველ ადგილს დაუბრუნდა, ლუვრი კვლავ იღებდა დამთვალიერებლებს, მაყურებლები საათობით აჩერდებოდნენ მის ჯადოსნურ ღიმილს, დამწყები მხატვრები გადმოხატვას ცდილობდნენ და ოსტატობას ხვეწდნენ, გი-

დი ისევ მოუძღოდა ტურისტულ ჯგუფებს, თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მათი აღფრთოვანების საგანი მხოლოდ ასლი იყო და მეტი არაფერი. ჩვენ კი დედანს ვეძებდით. უპირველეს ყოვლისა, მხატვრების ის წრე უნდა დამეკითხა, რომლებიც ასლებზე მუშაობდნენ. ასე გავიცანი პიკასო, მაქს ჟაკობი, დალი, მოდილიანი და სამი ქართველი, მათ შორის ერთი ქალი.

– ახვლედიანი. – შეახსენა ანდრომ. – კაკაბაძე და გუდიაშვილი.

– მართალია, ეს გვარები დღემდე მახსოვს. – დაეთანხმა მოხუცი. – მაგრამ ამ ნაცნობობამ ჩემს სამუშაოს ვერაფერი შემატა, საქმე ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ ფუჭი, ზოგადი საუბრები და მეტი არაფერი. ისევ ქუჩაში გავედი, გასაყიდად გამოტანილი სურათების თვალიერებას მივყავი ხელი. რას არ წააწყდებლოდი ადამიანი: მიბაძვასა თუ ზუსტ ასლს, თემებისა და ფერების მრავალფეროვნებას, აღმაშფოთებელ უნიჭობას, თუ ღმერთის ნაბოძებ ტალანტს. ერთმანეთის გვერდით, როგორც ბაზრის სანოვაგე, ისე ელაგა ტიციანის, გოიას, ვერონეზეს თუ სხვათა სურათები. ჩემი ყურადღება ლეონარდოს ნახატის „წმინდა ანას“ ასლმა მიიქცია. რა თქმა უნდა, გამყიდველმა არაფერი იცოდა მისი ავტორის შესახებ, მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რომ დროდარო, ახალგაზრდა კაცს სხვადასხვა მხატვრების ასლები მოჰქონდა გასაყიდათ. სურათი შევიძინე და იმავე დღეს ექსპერტებს მივუტანე. გუმანმა არ მიმტყუნა. ექსპერტებმა ავტორის საოცარი ოსტატობა დამიდასტურეს და ისიც მითხრეს, რომ

ჯოკონდაც და „წმინდა ანაც“, სავარაუდოდ, ერთი მხატვრის მიერ უნდა ყოფილიყო შესრულებული. ლუვრში დავბრუნდი და ხელახლა დავკითხე ყველა. ძველმა ნაცნობმა გადამარჩინა, ედვარდ ევანსმა საინტერესო ამბავი გაიხსენა: იყო ერთი ახალგაზრდა კაცი, მხრებში მოხრილი, მაღალი, უჩვეულო ფორმის ცხვირით... ეგ არაფერს გვეუბნება. – გავაწყვეტინე მე. – რამე დამახასიათებელი ნიშანი ხომ არ ჰქონდა?.. მაჯები, ორივე მაჯაზე ნაჭრილობევი მოუჩანდა, ეს მაშინ შევამჩნიე, როცა სურათის წინ იდგა და ფურცელზე რაღაცას ინიშნავდა, ისიც კი გავიფიქრე, ალბათ ვენები გადაიჭრა მეთქი... ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. მეორე დილით მხატვრები დავიბარეთ, ათას სისულელეზე ველაპარაკებოდით, მაგრამ მიზანი ერთი გვქონდა, მხოლოდ მაჯებს ვაკვირდებოდით. შედეგი არც ამან გამოიღო, ვერავინ ვიპოვნეთ. ვიცოდი, მხატვრების კარნავალი ახლოვდებოდა და წასვლა გადავწყვიტე. რომ არ ვეცნე, თეატრიდან სათანადო კოსტუმი და ნიღაბი გამოვიტანე. კარნავალი მთელი ღამე გაგრძელდა, გვარიანად დამღალა სმამ და ფეხით სიარულმა. იმედი გადამეწურა და ის იყო იქაურობა უნდა მიმეტოვებინა, რომ შემთხვევით „მიქელანჯელოს“ გადავაწყდი. „ლეონარდო“ ხომ არ გინახავთ? – ისე ვკითხე, რომ, ეჭვი არაფერში შეჰპარვოდა... მგონი იქ უნდა იყოს. – მითხრა უცნობმა და ხელი განათებული კაფესკენ გაიშვირა... შიგნით შესულს სასმელის ოხშივარი, დამძიმებული ჰაერი და მთვრალი მხატვრები დამხვდნენ. როგორც იქნა თვალი შევაჩვიე ბუღს და პიკასო დავლანდე, რომელიც ჯარისკაცის ფორმაში

იყო გამოწყობილი და მაღალ, მხრებში მოხრილ მამაკაცს ესაუბრებოდა. უცნობს გრძელი, წითელი სამოსი ეცვა. ახლოს მივედი და შევეცადე რამე გამეგო მათი საუბრიდან, მაგრამ არაფერი გამომივიდა, აუტანელი ხმაური ამის საშუალებას არ მაძლევდა. ახლა მაჯებისკენ გავაპარე თვალი, მაგრამ აქაც ხელი მომეცარა, მისი ფართხუნა სამოსის გამო ვერაფერს ვხედავდი. ამ დროს მოდილიანი შევამჩნიე, თავჩაქინდრული იჯდა მაგიდასთან, უკვე მოესწრო დალევა და ჰაშიშის მოწევა, თითქმის თვლემდა. შევაღვიძე, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო, ლაპარაკი უჭირდა. ვინ არის? იცნობ? – ვკითხე და ხელი „ლეონარდოსკენ" გავიშვირე... გიჟია, ვინ უნდა იყოს, თავი ლეონარდო ჰგონია და ეგრე ჩაცმული დადის, ამბობენ სახლშიც ამგვარად დაიარება, ნამდვილი გიჟია... ვატყობდი, უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ამბობდა, გუმანით ვგრძნობდი, სწორ გზაზე ვიდექი და საცაა საქმეს გავხსნიდი. ველარ მოვასწარი. მოულოდნელად კაფეში ჩხუბი ატყდა, მთვრალმა მხატვრებმა რაღაც ვერ გაიყვეს და ურთიერთობის გარკვევა მამაპაპური გზით გადაწყვიტეს. რამდენიმე წამში ირგვლივ ყველაფერი აირია, ჩხუბში, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ყველა ჩაერთო. უცნობმა საერთო ხმაურითა და გაუგებრობით ისარგებლა. მივიხედე, აღარსად იყო, უკვალოდ გაუჩინარდა. ამდენი დღის შრომა წყალში ჩამეყარა. თავიდან უნდა დამეწყო ყველაფერი. რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამ საქმის გარშემო, რაც უფრო მეტს ვუღრმავდებოდი, რაც უფრო მეტად ვიხსენებდი უცნობის გარეგნობას, მით უფრო ვრწმუნდეოდი, რომ იგი სადღაც

მყავდა ნანახი. მცდელობა არ დავაკელი, მაგრამ ვერაფერი აღვიდგინე, ვერც – დრო, ვერც – გარემოება და ვერც – შეხვედრის ადგილი. ჩემი ბედი და გონება, თითქოს გამოცდას მიწყობდნენ, შეგნებულად მირთულებდნენ სავალ გზას და ნაბიჯ-ნაბიჯ, წვალებით მიმათრევდნენ დასახული მიზნისკენ. ერთი იმედიღა მრჩებოდა, ამადეო მოდილიანი. ბევრი აღარ მიფიქრია და დილითვე მოვაყვანინე. არც კეთილმა საუბარმა გაჭრა, არც მუქარამ და არც ნესტიანმა საკანმა. ვინც შიმშილს უძლებს და არც ოჯახი აწევს ტვირთად, იმას ვერაფრით დააშინებ, პოლიციაში გატარებულმა წლებმა ამაში საბოლოოდ დამარწმუნეს. მოდილიანიმ ყველაფერი სიმთვრალესა და ცუდ მახსოვრობას დააბრალა, გამუდმებით იმას იმეორებდა, მთვრალი ვიყავი, არაფერი მახსოვსო. სწორედ ამ დროს გამახსენდა, რომ კაფეში, პიკასოსთან საუბრის დროს, უცნობი მამაკაცი არასწორი, გაუმართავი ფრანგულით ლაპარაკობდა. ის სიტყვები, რომლებიც ამ ხმაურში ჩემს ყურს მისწვდა, ყველა არასწორად იყო ნახმარი თუ გამოყენებული, ამას აუტანელი აქცენტიც ემატებოდა. ცხადად ჩანდა, რომ უცნობი ფრანგი არ უნდა ყოფილიყო. ამას მივხვდი თუ არა, დანაშაულმა გამოკვეთილი სახე მიიღო. კიდევ ერთხელ გამოვიძახე ქართველი მხატვრები, ყველანაირი წესის დაცვით დავკითხე, ეჭვმიტანილის გარეგნობა გავაცანი, დეტალებიც კი არ დამიტოვებია უყურადღებოდ, თუმცა ვერაფერს მივაღწიე, არადა ვგრძნობდი, რომ რაღაც იცოდნენ და ამ რაღაცას საგულდაგულოდ მალავდნენ. კრინტს არ ძრავდნენ, თავი ისე ეჭირათ, თით-

ქოს ვერ ხვდებოდნენ რას მოვითხოვდი მათგან. დროის კარგვა, ფუჭი საუბრები მეც მომბეზრდა და დაშინების ჩვეულ ხერხს მივმართე: საიმიგრაციო საბუთებით და მათი ვიზების ხანგრძლივობით დავინტერესი. ამან გაჭრა, ორ წუთში, კეთილი ინებეს და უცნობის ვინაობა გაამხილეს.

– ისიც ქართველი ხომ არ იყო? – ანდრომ მოხუცს გაუღიმა.

– როგორ მიხვდით? – გაუკვირდა მასპინძელს.

– ამის ბრალი უნდა იყოს. – თქვა ანდრომ და თითქმის სავსე ჭიქას თითი მიუკაკუნა. – თანაც დამნაშავეს ისე გულმოდგინეთ აფარებდნენ ხელს, რომ სხვა მიზეზი ძნელი წარმოსადგენია.

– სამწუხაროდ ასეა. – თავი დააქნია მოხუცმა. – პოლიცია არავის უყვარს.

– მაინც ვინ იყო?

მოხუცმა ჯიბიდან ორი, პატარა, ყდაგადაცლილი, თოკით გადახვეული, ფერშეცვლილი ბლოკნოტი ამოიღო. ჯერ ერთს შემოაცალა სამაგრი, მერე მეორეს, ფურცლა, აშრიალა დავთარი, როგორც იქნა საჭირო ადგილს მიაგნო და დამარცვლით წაიკითხა.

– ვალერიან ჯოლბორდი.

– ჩვენებურად ვალიკო. – ჩაილაპარაკა ანდრომ ნახევარ ხმაზე.

– იტალიურ გვარს გავს...

– მართლაც იტალიურია წარმოშობით, თუმცა ამ გვარის ხალხი დღესაც ცხოვრობს ჩვენთან, ქართველები არიან, ერთი ორს ვიცნობ კიდეც, აი, საქართველოში როგორ მოხვდნენ, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

– იქნებ თქვენი ნაცნობის წინაპარიც კი იყო ჩვენი ჯოლბორდი?

– შეიძლება... ჩასვლისთანავე ვნახავ და მოვუყვები ამ ამბავს... ვინ იცის...

– კაცი რომ დაფიქრდეს ანდა ძალიან მოინდომოს, საერთო ნაცნობს ყველა გამოვნახავთ. – თქვა მოხუცმა და განუყრელ ბლოკნოტებს ისევ სამაგრი შემოაკრა. – ასე და ამგვარად დავადგინე მისი ვინაობა, მოგვიანებით კი მისი მისამართი. როგორც გამოირკვა, იგი უფრო ადრე ჩამოსულა პარიზში, ვიდრე მისი მეგობარი ქართველები. თავიდან ერთად ყოფილან, დახმარების ხელიც გაუმართავს მათთვის, მაგრამ მერე რაღაც მომხდარა, თუმცა მიზეზს არც ერთი მხარე არ ამხელდა, მეც აღარ ჩავეძიე. მომხდარმა ძალიან შეცვალა თურმე, საკუთარ თავში ჩაკეტილა, მეგობრებს ჩამოსცილებია, ყოველგვარი ურთიერთობა გაუწყვეტია მათთან. არავის ნახულობდა, მარტო დაიარებოდა, მარტო ცხოვრობდა, ყველას გაურბოდა... იმავე საღამოს სახლში მივაკითხე, რავინიონის ქუჩაზე ცხოვრობდა, ბოლო სართულზე, სახურავის ქვეშ. ქვის მაღალი კიბეები ავამთავრე და სახელური დავქაჩე. კარი ღია დამხვდა. ვიწრო დერეფანი გავიარე და თავი სამზარეულოში ამოვყავი. ირგვლივ საშინელი არეულობა სუფევდა, ყველგან იაფფასიანი, გაურეცხავი ჭურჭელი, ძველი გაზეთები და სხვადასხვა ზომისა თუ ფორმის ქაღალდის ნაფლეთები ეყარა. ოთახის სიღრმიდან საუბარი მომესმა. მართალია, ერთი ადამიანი საუბრობდა, მაგრამ აშკარად ვიღაცის გასაგონად, ოთახში ორნი მაინც იყვნენ, მეტნი თუ არა. ვი-

ნანე, რომ მარტო წამოვედი მის ასაყვანად, მაგრამ უკან დახევის აღარც დრო იყო და აღარც საშუალება. ოთახში ფრთხილად შევედი. კედელთან რაღაც სალოცავის მაგვარი იყო მოწყობილი, მოზრდილი, სქელი სანთლები ენთო, დაბლა დასვრილი ფუნჯები ეყარა, ყველგან საღებავით სავსე ქილები იდგა. ნახატის წინ, მუხლებზე დამხობილი უცნობი, ჩემთვის გაუგებარ ენაზე, ლოცვას თუ მის მაგვარ რაღაცას ბუტბუტებდა. დროდადრო ჩერდებოდა, თავს სწევდა და ჯოკონდას მაცდურ ღიმილს აჩერდებოდა... მუსიე, ჯოლბორდი, თქვენ დაპატიმრებული ხართ. – ვუთხარი მე. არ გაკვირვებია, ძალიან წყნარად მიიღო, არ ამდგარა, ასე შემოტრიალდა ჩემსკენ, წამით ჩვენი მზერა ერთმანეთს წააწყდა. დავაკვირდი, ახლაღა მივხვდი საიდან მეცნობოდა. მასში, ჯოკონდას თეატრალიზებული დასაფლავების დროს გულწასული ახალგაზრდა კაცი ამოვიცანი. დაკითხვაზე გამომწვევად იქცეოდა, ისე, თითქოს არაფერში ყოფილიყო დამნაშავე... აღიარებთ, რომ თქვენ მოიპარეთ ლეონარდოს ნახატი ლუვრიდან?! – ვკითხე მე... რას ეძახით თქვენ ქურდობას? – კითხვითვე მიპასუხა. – მე ჩემი საკუთრება დავიბრუნე... დავუშვათ და ეგრეა. – ისევ ვკითხე მე. – მაშ ნახატის თქვენეული ასლი რატომ დატოვეთ ლუვრში?.. თუ კარგად დაფიქრდებით, მიხვდებით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მონა ლიზა ჩემი დახატულია, აი, ამ ხელებით, ეს ხომ ელემენტარული ლოგიკაა... – მერე რამდენიმე წამით გაჩუმდა, ერთი ისე ამოიოხრა, თითქოს რაღაც უზარმაზარი დარდი ამოაყოლა დაგროვილ ჰაერს და სევდიანი ხმით დაამატა. – ლე-

ონარდო მე ვარ... დაკითხვამ ყოველგვარი აზრი დაკარგა, ყველა სამხილი ისედაც მის წინააღმდეგ იყო. ძიება დავასრულეთ და საქმე სასამართლოს გადავეცით. ნახატი ლუვრში დავაბრუნეთ და დღესაც იქ ინახება. პატიმარი კი მოგვიანებით სასამართლომ შეურაცხადად ცნო და იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა.

– სევდიანი დასასრულია. – გული დასწყდა ანდროს კიდევ ერთ, მტვრად ქცეულ ქართველზე.

– ფინალი მართლაც სევდიანია. – დაეთანხმა მოხუცი. – თუმცა ამბის გასრულებამდე ცოტა კიდევ დარჩა. ამ საქმის ამოუხსნელი მაგიაც ხომ ეგ არის, დასრულებულს რომ დაიგულებ, სწორედ მაშინ იწყება ახლიდან.

– ნუთუ გაიქცა? - გაუხარდა ანდროს.

– არა! – თავი გააქნია მოხუცმა. – იმ ავბედითი დაწესებულებიდან გაქცევა შეუძლებელია. არც ერთ ციხეს არ იცავენ ისე, როგორც ამ შენობას... თავიდან ძალიან წყნარად იქცეოდა, წამლებს სვამდა, რეჟიმს არ არღვევდა. ერთ დღესაც საღებავები და ტილო მოითხოვა. ექიმებმა რამდენიმე დღე ითათბირეს და რადგან დამჯერე ავადმყოფთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნდათ, თხოვნა შეუსრულეს. თანაც, მათი შეხედულებით, ხატვა ერთგვარი თერაპიის საშუალებაა. საუკეთესო საღებავები და ფუნჯები მოუტანეს, ყველა პირობა შეუქმნეს სამუშაოდ. პაციენტმა ხატვა დაიწყო. ხატავდა არაადამიანური, ცხოველური ჟინით შეპყრობილი, არ ისვენებდა, არ ჭამდა და თითქმის არ ეძინა. მალე მისი პატარა, გისოსებიანი პალატა საგამოფენო დარბაზს დაემსგავსა. ნებისმი-

ერი მუზეუმი, იქნებოდა ეს პრადო, ერმიტაჟი, მეტროპოლიტენი, თვით ლუვრიც კი, სიამოვნებით შეიძენდა ამ ნამუშევრებს. ხატავდა ყველაფერს, აღორძინების ხანის მხატვრებიდან დაწყებული, ჰოლანდიელებით დამთავრებული, მხოლოდ პორტრეტებს და იმპრესიონისტებს გაურბოდა. კლინიკის ადმინისტრაციამ მისი უნიკალური ტალანტი სათავისოდ გამოიყენა, სხვადასხვა აგენტისა თუ აუქციონების საშუალებით ავადმყოფის ნახატების გაყიდვა დაიწყო. რა ენაღვლებოდათ, თავი ქუდში ჰქონდათ, ექსპერტები ყოველთვის დადებით დასკვნას იძლეოდნენ და ამ გზით გვარიანი შემოსავალი ნახეს. გამოცდილ ექსპერტებს სურათების წარმოშობაში ეჭვი არ ეპარებოდათ და თანხმობის ნიშნად თავებს აღფრთოვანებულები აქიცინებდნენ. ასე დიდხანს გაგრძელდებოდა და სიმართლეს ვერც ვერავინ გაიგებდა, ერთ ექიმს პოლიციისთვის რომ არ მიემართა. აღებული ფული ეცოტავა და კომპანიონების დასჯა გადაწყვიტა. ჯერ დაემუქრა, შემდეგ ეს მუქარა აღასრულა კიდეც. საქმეში პოლიცია ჩაერთო, რამდენიმე ექიმი და კლინიკის დირექტორი დააპატიმრეს, თუმცა უმაღლესმა წრეებმა ზედმეტი გართულების გარეშე მოაგვარეს ყველაფერი, გამართული წარმოების დაშლა აღარ ისურვეს და ეს ყოველივე საიდუმლო სამსახურის ხელში გადავიდა, მთავრობის ხელში. სხვადასხვა შეხვედრებზე, დაძაბულ მოლაპარაკებებზე განსაკუთრებულ სტუმრებს, მაღალი რანგის დიპლომატებს, მინისტრებს, სამეფო გვარის წარმომადგენლებს სწორედ ამ ნახატებს ჩუქნიდნენ, მაგრამ კრინტს არავინ ძრავდა, რომ ამ სურათებს დედანთან

საერთო არაფერი ჰქონდათ. ასე მოედო მსოფლიოს თქვენიანის მიერ შექმნილი ვერონეზე, ტიციანი, ჯოტო, ლეონარდო, ჰალსი, ვერმეკრი... მეორე მსოფლიო ომის დროს კლინიკა ფაშისტებს მოარიდეს და მიუვალ მთებში გადაიტანეს, აბატების მიტოვებულ სალოცავში. დიდგვაროვან პაციენტებთან ერთად, ასეთები კი მერწმუნეთ, იქ მრავლად იყვნენ, ჩვენი ნაცნობი ავადმყოფიც გადამალეს. იქაც აგრძელებდა ხატვას, ხელისუფლება კი მისი ნახატების გაყიდვას. ამ გზით მოპოვებული თანხა სხვადასხვა მიზნებს ხმარდებოდა, მათ შორის პარტიზანული მოძრაობის დაფინანსებასაც.

– ისე გამოვიდა, რომ მუზეუმში წასვლას აზრი აღარ ჰქონია, ნამდვილს იქ მაინც ვერაფერს ვნახავთ.

– არა, არც ისე სერიოზულად არის საქმე, როგორც თქვენ გგონიათ. აი, კერძო კოლექციებს რაც შეეხება, დარწმუნებული ვარ, რომ საგანგაშო მდგომარეობაა.

– ახლაც ხატავს?

– სამწუხაროდ გარდაიცვალა. ბოლოს კიდევ ერთხელ მოინდომა ჯოკონდას დახატვა. სუფთა ტილოს წინ გაირინდა, ერთხანს ჩუმად უყურა, მერე ხელი შემართა, მაგრამ აღარ დასცალდა პირველი ხაზის გავლება, ამოსუნთქვაც კი ვერ მოასწრო, ისე დაენარცხა ქვის იატაკს. მისი გარდაცვალების მიზეზად ექიმებმა ზედმეტი მღელვარება დაასახელეს. იქვე კლინიკის ეზოში დაასაფლავეს, კათოლიკე მღვდლის, რამდენიმე ექიმისა და ცნობისმოყვარე ავადმყოფების თანდასწრებით.

– საწყენია. აუცილებლად ვნახავდი ცოცხალი რომ ყოფილიყო. – იცრუა ანდრომ.

მოხუცმა ეშმაკურად გაიღიმა, ალბათ მიხვდა, რომ ანდრო სიმართლეს არ ლაპარაკობდა.

– ერთი ბნელით მოცული ადგილი მაინც არის თქვენს მონათხრობში.

– პირიქით, აქ ყველაფერი დღესავით ნათელია. უბრალოდ ეს ამბავი შეგნებულად დავმალე. აი, ამ საიდუმლოს კი ნამდვილად სამარეში წავიღებ, მხოლოდ ერთს ვიტყვი, ქურდობის ამგვარი ხერხი არც მანამდე და არც მერე აღარ შემხვედრია. იმდენად მარტივია, რომ სკოლის მოსწავლეც თავისუფლად შესძლებს ნებისმიერი ნახატის მოპარვას ყველაზე დაცული დარბაზიდანაც კი. – მოხუცმა სიგარეტი ჩააქრო, ბოლო ნაფაზი მოინელა და ნახევრად საიდუმლოდ გაამხილა. – თანაც ქართველები, რაღაც ძალიან მომრავლდით ჩვენს ქალაქში, ამ ბოლო დროს.

ანდროს, რა თქმა უნდა, გული დასწყდა, მაგრამ ველარაფერი უთხრა, რაც არ უნდა იყოს, მაინც პოლიციელი იყო, თუმცაღა გადამდგარი. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ვისკი გამოილია. მოხუცს სალაპარაკო დაუმთავრდა და წასასვლელ მიზეზს ეძებდა.

ორივე წამოდგა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, დაემშვიდობენ და ისე გაიყარენ, როგორც წყალში მოტივტივე გემები. ანდრომ მოხუცი მზერით გააცილა და გაზეთების ჯიხურთან დატოვა. მზე აღარ ანუხებდა. ნახატებს ისევ ყიდნენ. კაფეში ხალხმა იმატა და მაგიდებიც შეივსო. ანდროს კარგ განწყო-

ბას მხოლოდ შავი ღრუბელი და მოსალოდნელი წვიმა ემუქრებოდა.

რა ვართ მაინც ეს ქართველები, გაიფიქრა ანდრომ და ისეთი ამაყი გახდა, როგორც ერთად შეკრებული, დასამარცხებლად განწირული სამასი სპარტანელი. ამ გრძნობას და განწყობას ძარღვიანი სადღეგრძელო მოუხდებოდა, მაგრამ ანდროს ჭიქა ისეთივე ცარიელი იყო, როგორც მისი ქვეყნის ხაზინა. ვინ იცის, იქნებ არც ტყუოდა ქართველი ჯოლბორდი, როდესაც ჯოკონდას თავის დახატულად ასაღებდა. ანდროსაც მეტი რაღა უნდოდა, სასმელი შეირგო, წინ ორენოვანი მასტერკლასი ელოდა, ამბავი ჰქონდა და ამ ამბის სათაურსაც გამოკრა ხელი. „ვალერიან ჯოლბორდის სევდიანი აღსასრული“. მოკლედ, ანდროს სრულ ბედნიერებას თითქმის აღარაფერი აკლდა.

გუნება ვერც გარსონის გამოჩენამ გაუფუჭა, ანგარიში წინ დაუდო და თვალებით ფულის გადახდა მოსთხოვა. ანდრომ გაზეთების ჯიხურისკენ გაიხედა, მოხუცს ვეღარსად მიაგნო, ბედს დამორჩილდა და იმ აზრს შეეგუა, რომ ვისკის საფასური მისი გადასახდელი გახდებოდა.

– იმ მოხუცს ხომ არ იცნობთ? – ჰკითხა გარსონს.

– ვხედავ ხოლმე, ხშირად მოდის აქ, საინტერესო ამბებს ყვება და ტურისტებს ართობს, ხან საჭმელს გამოკრავს ხელს, ხან სასმელს, ზოგჯერ ფულსაც უხდიან, როგორც ამბობენ, ადრე მწერალი ყოფილა.

ესეც მასტერკლასი! გაიფიქრა ანდრომ და საკუთარი თავის გაუკვირდა, რადგან ფრანგული თითქმის არ იცოდა. რამდენიმე, შემთხვევით ყურმოკ-

რულ სიტყვას თუ არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ ენა საერთოდ არ იცოდა. ბევრი აღარ უფიქრია, აღარ ჩაეძია და ესეც ვისკის ჯადოსნური გარდასახვის უნარს მიაწერა. არც შემცდარა: ძვირფასი სასმელის თვალშისაცემი შედეგიც ხომ ეს არის.

ალფრედ ბერნჰარდ ნობელი

დარბაზში შესული ნოტარიუსი, არვინ როზენბლუმი სახტად დარჩა. მართალია ამ საქმეს ოცდაათ წელზე მეტი ემსახურა, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს ენახა. ვერც კი წარმოიდგენდა თუ მოსანყენი ანდერძის მოსასმენად ზღვა ხალხი მოიყრიდა თავს. ნახევარი საათით ყველამ დაივიწყა საკუთარი წარმომავლობა, წამსვე წაიშალა საუკუნეებით ფუძეჩაყრილი ზღვარი და ერთ დროს შეუთავსებელი აღზრდა, განათლება თუ ფინანსური მდგომარეობა ერთმანეთს დაუკავშირდა. შორეული ნათესავები ბიძაშვილ მამიდაშვილებს დაუზავდნენ, მკაცრმა ბატონებმა მსახურებს დაუყვავეს, გვერდით მოისვეს, ყოფილმა ცოლებმაც დაივიწყეს ძველი მტრობა და უკანონო შვილებმაც სრულფასოვან ადამიანებად იგრძნეს თავი. ორმოცდაათამდე წყვილი თვალი ნოტარიუსს მისჩერებოდა. ბრბო ზუზუნებდა, ქშინავდა და როდის გადმოლახავდა უცხო მზერისთვის შეუმჩნეველ, მორღვეულ ჯებირებს არავინ იცოდა.

არვინი დაფრთხა.

გული უგრძნობდა, მოგვიანებით ყოველივე მას დაბრალდებოდა. იცოდა, გაგულისებულ სანათესაოს მარტო ვერაფერს მოუხერხებდა, შეშინდა და შუბლიც დაენამა. მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ნოტარიუსმა პიჯაკიდან ოთხად გაკეცილი ფურცლები ამოიღო და კითხვას შეუდგა.

„მე, ალფრედ ნობელი, ვიმყოფები რა საღ გონებასა და სრულ ჭკუაზე..."

კითხულობდა ნელა, თითქმის დამარცვლით და თავადვე უკვირდა გარდაცვლილის სითამამე: „გაიყიდოს ყოველივე, უძრავიცა და მოძრავიც, გარდაიქმნას ფასიან ქაღალდებად, ამ ქაღალდებმა კი საიმედო ბანკში დაიდოს ბინა. შემოსული სახსრები ჩემივე სახელობის, ფონდს გადაეცეს და ყოველწლიურად პრემიების სახით დარიგდეს შემდეგ დისციპლინებში: ქიმია, ფიზიკა, მედიცინა, ლიტერატურა..."

არვინს ხმაში ბზარი დაეტყო, კითხვას კი განაგრძობდა, მაგრამ გონებაში ერთთავად ციფრები დაუხტოდნენ. ნოტარიუსის ზერელე ანგარიშმა უზარმაზარი თანხა გამოიყვანა, სამოც მილიონზე მეტი ინგლისური ფუნტი. ცხადზე ცხადი იყო, გულმოდგინე დაანგარიშებით გაცილებით მეტი აღმოჩნდებოდა.

საბრალო ნოტარიუსს ანდერძის გასრულების ისე ეშინოდა, როგორც მოულოდნელი სიკვდილის. აბზაცს აბზაცი ცვლიდა, ფურცელს ფურცელი და მშრალი ტექსტი ჭუჭყიანი თოვლივით დნებოდა. ბოლო სიტყვაც მალე ითქვა. ნოტარიუსი დადუმდა. გაჭირვებით ასწია შიშით დამძიმებული ქუთუთოები და შეკრებილ საზოგადოებას მზერა გაუსწორა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა.

სწორედ ისეთი, ფარაონის პირამიდისთვისაც სანატრელი რომ გახლდათ.ყველა ერთდროულად დამუნჯდა. არვინს ლოდინი მობეზრდა, საქმე დასრულებულად ჩათვალა და ის იყო, წასვლაც დააპირა, რომ დარბაზს გამოცოცხლება დაეტყო. გარდაც-

ვლილი ალფრედის ნახევარძმა ადგილს მოსწყდა, ქუდი მიწას დაანარცხა და მთელი ხმით იყვირა.

– აღმაშფოთებელია!

– გაუგონარია!

– სად თქმულა ასეთი რამ!

– ვის გაუგია!

– ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ!

ერთს მეორე აჰყვა, მეორეს მესამე, ახმაურდნენ, აწივლდნენ სხვებიც და როზენბლუმს პასუხი ისე მოსთხოვეს, თითქოს ანდერძი მისი დაწერილი ყოფილიყო.

მრავლის მნახველი ნოტარიუსი მშვიდად აკვირდებოდა მიძინებული ვულკანის მოულოდნელ ამოფრქვევას და გასასვლელისკენ დაძრულ აქაფქაფებულ ლავას მზერით აცილებდა.

დარბაზი დაცარიელდა.

არვინი მარტო დარჩა. სიმარტოვეში ფიქრს აღარავინ დაუშლიდა. ხელახლა ჩაათვალიერა ანდერძი, ის ორი მინიშნებაც წაიკითხა, რომელიც შეგნებულად გამოსტოვა და რომელიც, გარდაცვლილის ნებით, საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. მერე სუსტი ადგილები ჩაინიშნა, მომავალი ბრძოლებისთვის აქედანვე დაიწყო მზადება. დარწმუნებული იყო, მშრალზე დარჩენილი ნათესავები უკან არ დაიხევდნენ, სასამართლოს არ დასტოვებდდნენ, საჩივარს საჩივარზე შეიტანდნენ. საამისო ფულიც ჰქონდათ, ნაცნობობაც და გავლენაც. თუმცა ეს მაინც მომავლის საქმეა. მანამდე ნოტარიუსს უფრო რთული საკითხები უნდა მოეგვარებინა. ალფრედის უზღვავი ქონება მთელს ევროპაში იყო გაბნეული. მათ თავ-

მოყრას, გაერთიანებას და ფულად ქცევას სიმამაცე, რკინის ნერვები და საოცარი მოთმინება ესაჭიროებოდა. არვინ როზენბლუმს სამივე გააჩნდა. ბევრი აღარ უფიქრია და, როგორც მიჩვეული იყო, საქმე ადგილიდან დაძრა.

გამოცდილი ნოტარიუსი არც ამჯერად შემცდარა.

რა დამალულა და ეს ამბავიც მეორე დილითვე გახმაურდა.

აჭრელდა გაზეთები, გაიმართა შეკრებები, მეფეც კი ჩაერია და საქვეყნოდ დაგმო ამგვარი, სამშობლოსათვის საზიანო საქციელი. მათემატიკოსებს ძილი გაუტყდათ, რაღა ჩვენ გამოგვტოვესო, სულ ეს ეკერათ პირზე. დღე არ ჩამთავრდებოდა სადმე რამე არ დაეწერათ, არ დაემტკიცებინათ, არ მოეთხოვათ.

არვინ როზენბლუმი მტკიცედ იდგა. მათემატიკოსების შეყვანას პრემიების ჩამონათვალში არც ფიქრობდა და მათ დაჟინებულ მოთხოვნას უარს უარზე აგებებდა. ამ უარის სიმტკიცე კანონების მშრალ ჩარჩოში აღარ ეტეოდა, ის უფრო სოლიდარობის ნიშნით იყო აღბეჭდილი. ჩანს ერთგულმა ნოტარიუსმა რაღაც იცოდა, ეს ცოდნა კი იმის უფლებას აძლევდა მეგობრის უცნაური გადაწყვეტილება გულის სიღრმეში გაემართლებინა კიდეც. ასეც იყო, მისი შემხედვარე ადამიანი წამსვე იგრძნობდა, რომ ვექილის ჭკვიანი თვალები რაღაც საიდუმლოს ინახავდნენ.

ბოლოს ეს მითქმა მოთქმაც მობეზრდა და გაბაიბურებული ნათესავების გამუდმებული ჩივი-

ლიც. არვინმა ბარგი აკრიფა და ევროპაში გაემგზავრა. საქმე თავზე საყრელი ჰქონდა.

„მორო კასლი" სამშობლოში ბრუნდება, არგენტინიდან მოდის. ერთი ჩვეულებრივი გემია, დიდი არაფერი, დარდის გასაქარვებლად გამოდგება მხოლოდ, თუმცა მდიდრები კი დაჰყავს. იმათ კიდევ დარდს რა გამოულევს, დროსტარება სიცოცხლეს ურჩევნიათ. ბოლო ღამე დარჩათ, დილით უკვე შვეიცარიაში იქნებიან და რადგანაც სამშობლოში მშრალი კანონია, ყველაფერი დღესვე უნდა დაილიოს, ამოიწრუპოს და სისხლს შეერიოს.

ემანუილ ნობელს გართობისთვის არა სცალია. საქმე სანახევროდ გააკეთა, თანხმობაც ცალყბად მიიღო. არგენტინაში ძველი მეგობრები ჰყავს, ბორა მენდესი და რიგო ჰაუსმანი. უღალატო ხალხია, მაგრამ უფროს ნობელთან საქმის დაჭერას მაინც ერიდებიან. ძველი დრო იყოს, ვინ მამაძაღლი... მართლებიც არიან. ნობელს წყენა არ ეტყობა. იცის, არგენტინელები ხელს არ კრავენ და რაღაცას მოიფიქრებენ.

გაკვეთილი წყალი შხუის, გემი მუცელს ახათქუნებს, ყოველი მხრიდან მუსიკა ისმის. უფროსი ნობელი წყნარ ადგილს ეძებს, გემბანზე მარტოდება. მყუდროება ოჯახს ახსენებს, გულს უთბობს, აახლოებს. დამნაშავეა მათ წინაშე. მართალია, სახლში გაჩენილი ხანძარი შემთხვევამ მოიტანა,ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ გონება არ ისვენებს

და პასუხსა თუ მიზეზს მაინც ეძებს. გაქრა ყოველი-ვე,ბუხრის ნაცრისფერ მტვრად იქცა. ფული, ობლი-გაციები, პატენტები, გამოგონებები, ფურცელზე სანახევროდ დატანილი ჩანაფიქრები. მევალეების რიგს ბოლო არ უჩანს, კრედიტორები მუქარიდან საქმეზე გადადიან. თუ რამე დარჩა, გროშებად გაიყიდა. არგენტინული იმედიც ცალი ფეხით კოჭლი გამოდგა. ნეტა რამდენს მისცემენ, რამდენით დაეხმარებიან. საშველი არ ჩანს, იქნებ ზღვის სიღ-რმეშია ყველაფრისაგან ხსნა.

ამ ფიქრშია, ამ ჭმუნვაში, ტალღის ტორტმანიც ხომ ფიქრის მეგობარია...

უცნაური გემია ეს „მორო კასლი", ინგლისურია და მეზღვაურებიც ინგლისელები ჰყავს. თუმცა ნის-ლიანი ალბიონის შვილებს რა უნდა მოჰკითხოს კაც-მა. გაილეშებიან, აქეთ-იქით დარბიან, დაკუნთულ სიტყვებს ყვირიან საკუთარ ენაზე და დაკარგულ კა-პიტანს ეძებენ. რაღას იპოვნიან, ვისკის ფსკერზე იქ-ნება სადმე გაკრული.

ემანუილ ნობელი იშვიათად ცდებოდა, გუმანიც უტყუარი გააჩნდა, მაგრამ ბოლო დროს აღარ უმარ-თლებდა. ვერც ახლა გამოიცნო. მეზღვაურების აა-ლებულ სახეებსა და არეულ სირბილს სულ სხვა მი-ზეზი ჰქონდა.

საბრალო კაპიტანი, საბრალო უილმოტი, მარ-თლაც ფსკერზე იწვა, საკუთარი აბაზანის ფსკერზე. გალურჯებულს, სახედამანჭულს, თავი გვერდზე გა-დაეგდო და აღარ სუნთქავდა. ექიმმა სიკვდილი დაა-დასტურა, თუმცა მიზეზს ვერაფერი გაუგო. ამ საუბარში იყვნენ და ერთს მეორე დაემატა, გემზე

ხანძარმა იფეთქა. დამწვრის სუნმა პირდაპირ იმ დარბაზს მიაკითხა, სადაც შეკრებილი საზოგადოება ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და მოახლოებული უბედურების არაფერი გაეგებოდა.

ჯონ კემფს რას გამოაპარებს კაცი. ბებერ მეხანძრეს უტყუარი ყნოსვა აქვს. რა გასაკვირია, მთელი ცხოვრება ცეცხლს ებრძვის, აქრობს, ბევრჯერ დამარცხებულა, მაგრამ უკან არასოდეს დაუხევია. ერთგული სამსახურისთვის ჯილდოც სათანადო ერგო, „მორო კასლის" უფასო ბილეთი და დროსტარება.

ჯონ კემფი დერეფანში გამოდის, კვამლს მიჰყვება, სუნთქვას იკრავს და ისე უახლოვდება გემის ბიბლიოთეკას. ყველაფერი ალშია გახვეული, აქ წიგნს აღარ გაეჩერება, აქაურობას აღარაფერი ეშველება.

ცეცხლი სწრაფად ვრცელდება, არაფერს ინდობს. მხიარულება ისე მოულოდნელად გადაიზარდა საერთო კივილში, რომ ამ წამის დადგომა ვერავინ შეამჩნია. ასე კივილით მიაწყდნენ გასასვლელ კარს.

ემანუილ ნობელს გაუმართლა. უკვე გარეთ იდგა და სხვებზე წინ იყო. ნავიც აქვე ჰკიდია და რამდენიმე გალეშილი მეზღვაურიც აქ ტრიალებს, რომლებმაც ამ ნავის მართვა მასზე უკეთ იციან. დრო არ ითმენს. მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს, ეშმაკს მიაფურთხეს, სინდისი გამოსაწვავად ცეცხლს მიუგდეს და ნავს ქვევით ჩაყვნენ.

ბედმა სახე იცვალა, ალის სამოსში გამოეწყო და ემანუილს წამითაც არ სცილდება. ჯერ იყო და სახლი დაუფერფლა, ახლა აქ წამოეწია. ვინ იცის, კი-

დეევ სად მისწვდება. ხიფათი მოსვენებას წუთითაც არ აძლევს, კუდში ასდევნებია, თითქოს ძველი ვალების გადახდას სთხოვდეს. ვალები კი, უფროს ნობელს, ვილასი არ ჰქონდა.

მოსახდენი მერე მომხდარა.

ძლიერმა ქარმა დაუბერა, გემი შეატრიალა, ცეცხლი გაიყოლა და იმ ადგილზე მიიტანა, რომელიც თავიდან ყველას უსაფრთხოდ ეჩვენებოდა. არადა, ვინც შიგნიდან ჯოჯოხეთს გამოექცა ყველამ აქ მოიყარა თავი. წინ ცეცხლია, უკან წყალი, ორი მშიერი გველეშაპი. ვინც ცოცხლად დაწვას გადარჩება, იმას დახრჩობა ემუქრება. მშველელი კი არ ჩანს.

კივიან, ყვირიან, ხრიალებენ.

ადამიანები იწვიან, როგორც საფერფლეში დარჩენილი ასანთის ღერები.

მძინარე რადისტ ჯორჯ როჯერს არც სახანძრო განგაშის ხმა გაუგია და არც განწირულთა ყვირილი, აუტანელმა სიცხემ გამოაღვიძა. რკინის გადახურებულ ზედაპირზე საღებავი მონვეთავს, შიშველ ბეჭებს უწვავს. რადისტი წამოხტა, კარს ეცა, გავარვარებულ სახელურს ხელის გული შეატოვა და გაუსაძლისი ტკივილისაგან დამანჭული საკუთარი სამუშაო ადგილისკენ გაიქცა.

გზადაგზა მიცვალებულებს ახტება. მკვდრები ისე ყრია, როგორც მიტოვებულ ხეხილის ბაღში, ხეებიდან ჩამოცვენილი, აუკრეფავი მოსავალი.ჯორჯ როჯერს მათი ცქერის არც დრო აქვს და არც თავი. საცაა მივა, რამდენიმე ნაბიჯი დარჩა.ბედად ცეცხლს რადიოჯიხურამდე ვერ მიეღწია.

რადისტი დაიხარა, საჭირო ღილაკი მარცხენა ხელის თითებით მონახა და ყველა მეზღვაურისათვის ნაცნობი შეტყობინება გადასცა.

ახლოს მყოფი მაშველები მალე გამოჩდნენ. ვისაც მისწვდნენ და მოიძიეს ყველა გადაარჩინეს. მაგრამ ნახევარ საათში იქაურობა უკან მოუხედავად მიატოვეს, რადგან ცეცხლი სხვა გემებსაც დაემუქრა.

აალებული, გამოშიგნული რკინის ურჩხული მარტო დარჩა. „მორო კასლი" გიზგიზებდა და იქაურობას ისე ანათებდა, როგორც უზარმაზარი, საახალწლო ნაძვის ხე. რას არ ნახავდა კაცის თვალი:ხის ნამსხვრევებს, დამწვარი ნავის ნაწილებს, ათას ბარგს, ხელჩანთასა თუ ჩემოდანს, ცოცხალმკვდარ მგზავრებს, რომლებიც ჯერ კიდევ ითხოვდნენ შველას და უშედეგოდ ცდილობდნენ სამშვიდობოს გასული გემების კვალში ჩადგომას.

ერთხანს ასე იგიზგიზა, ინათა. მერე ნელ ნელა იკლო და ზღვა ჩაბნელდა: ხმები დაიგუდა, მერე სულ გაქრა. გაშავებულმა „მორო კასლმა" ჯერ საჯდომი ჩასწია, მოგვიანებით მუცელი ჩააყოლა, ბოლოს ცხვირიც ჩამოაგდო და სამუდამოდ ჩაყვინთა. წყალმა პირი გახსნა, დაბზრიალდა. ნივთები მიცვალებულები, ნაფოტები ერთად მოაგროვა. ერთხანს ატრიალა, ერთმანეთთან აცეკვა და რამდენიმე წუთში პირი შეკრა.

ზღვა დაწყნარდა. ზღვას აღარაფერი ეტყობოდა. მხოლოდ ბნელოდა, მხოლოდ ციოდა.

„მორო კასლი" ფსკერს შეეხო, გაწვა, გაიტრუნა. იქ დაიდო ბინა, სადაც მილიონი მისნაირი ჟანგს ეჭმეინება და ზღვის ბალახებს პარიკად ირგებს.

ემანუილ ნობელი ორი დღის მერე გამოჩნდა.

ოჯახის წევრებს, რა თქმა უნდა, „მორო კასლის“ დალუპვის ამბავი გაგებული ჰქონდათ და მარჩენალი ცოცხალი აღარ ეგულებოდათ. გადარჩენილთა სიაშიც რომ ვეღარ მოიძიეს, იმედი საბოლოოდ გადაეწურათ და გლოვის კარავი გაშალეს. ასე რომ, ზღვის ფსკერზე ეგულებოდათ და მისი მოულოდნელი გამოჩენა, ყოყმანის გარეშე, ზებუნებრივ ძალებს მიაწერეს. გაიხარეს, მხიარულების ყიჟინა დასცეს და მამა სახლისკენ გააქროლეს. მართალია, ეს ერთსართულიანი, ნახევრად ჩამოშლილი ქოხი ძველი სასახლის აჩრდილიც არ იყო, მაგრამ მაინც სახლი ერქვა და ოჯახი ეთქმოდა.

მოვლის, მეფური სადილის, ხვევნა კოცნისა და მიკითხვა მოკითხვის შემდეგ ოჯახის უფროსის ჯერიც დადგა, მის მონათხრობს ყველა მოუთმენლად ელოდა. ბუნებრივიც იყო, ხშირად ხომ არ იწვოდა „მორო კასლის“ მსგავსი გემი. მაგრამ იმანუილმა პირში წყალი ჩაიგუბა და ენას კლიტე დაადო.

დარდი სჭამდა და ბოღმა ახრჩობდა. ვერაფრით გაეგო, რატომ გამოარიდა განგებამ მიწიერ ჯოჯოხეთს და უვნებელს ქათქათა ლოგინი არგუნა. იქნებ ნიშანი იყო და უკუთესი დროისათვის შემოინახა, მომავალი გამარჯვებისა და წინსვლისათვის. თავის მხრივ, სინდისს ებრძოდა. სირთულეს უსახელო გარიდებას ჩვეული არ იყო, ამის საშუალებას არც აღზრდა აძლევდა და არც განათლება, ხელიც ბევრჯერ გაუმართია სხვებისთვის, ამიტო-

მაც ცეცხლის ალში გახვეულთა განწირული ყვირილი ყურს არ სტოვებდა და ძილს უფრთხობდა. იქნებ სირცხვილით დაწვას „მორო კასლის" გენბანზე დაფერფელა სჯობდა.

ის ღამე თეთრად გაათენა. რიჟრაჟსაც პირველი შეხვდა და კარზე მომდგარ პოლიციის მოხელეებსაც, რომლებმაც გამოუძინებელ მასპინძელს გამოძახების ფურცელი გადასცეს და იმავე წამს გაუჩინარდნენ.

უფროს ნობელს საქმის ამგვარი შემოტრიალება ნამდვილად არ გაჰკვირვებია. იცოდა, გემის ჩაძირვას, ხალხის დაღუპვას აუცილებლად გამოიძიებდნენ. მთავრობას დამნაშავე ესაჭიროებოდა, გარდაცვლილთა ნათესავებს ფულადი კომპენსაცია, საზოგადოებრივ აზრს დაწყნარება.

ემანუილ ნობელი, მეუღლეზე მეტად, კანონს ემორჩილებოდა, სამშობლოც უყვარდა და მთავრობასაც პატივს სცემდა, ამიტომაც პოლიციაში ზუსტად იმ · საათზე გამოცხადდა, რომელზეც დაიბარეს.

გამომძიებელმა ცივი მზერა დაახვედრა დახუთულ ოთახში შემოსულ მამაკაცს, ცარიელ სკამზე მიუთითა, თვითონ კი კალამი მოიმარჯვა და რადგანაც ახლომხედველი გახლდათ, ცარიელ ფურცელს ცხვირი დააფარა. კაცს ეგონებოდა, გამოცდილი მწევარივით სუნის აღებას ლამობსო. სიმართლიდან შორს არც ეს ყოფილა, რადგან გამომძიებელი

ტორე ლუსანდი გამოცდილიც ბრძანდებოდა და უნაკლო მეძებარიც.

– თქვენი სახელი და გვარი?

– ემანუილ ნობელი.

– რას საქმიანობთ?

– მაშ თქვენ არაფერი იცით ჩემი საქმიანობის შესახებ?! – ნობელს აღელვება დაეტყო, იდაყვით მასიური სავარძლის სახელური მოიძია, ხელის ჩამოდება სურდა, ვერ იპოვნა და მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ ვიწრო სკამზე სამადლოდ იყო ჩამომჯდარი.

– ვიცით, როგორ არა. – თქვა გამომძიებელმა და გაოფლილ ცხვირზე დაცურებული სათვალე ძველ ადგილას დააბრუნა. – მაგრამ ოქმისათვის ასეა საჭირო, სჯობს თქვენ თვითონ გვითხრათ.

– კეთილი. მეწარმე ვარ.

– უფრო ზუსტად? – ჩაეძია ტორე ლუსანდი.

– გამოგონებები, პატენტები, კაუჩუკის წარმოება...

– საკმარისია, ასევე ჩავწერთ... „მორო კასლით" იმგზავრეთ, არა?!

– დიახ, პირველი კლასით!

– არგენტინაში რა გინდოდათ?

– მეგობრების სანახავად ვიყავი.

– მათი სახელი და გვარი?

– ეს აუცილებელია? – ნობელს მეგობრების შეწუხება არ სიამოვნებს.

– მერწმუნეთ...

– ბორა მენდესი და რიგო ჰაუსმანი.

– ეგენი რაღას საქმიანობენ?

– ჩემსავით მეწარმეები არიან.

– ანუ?

– მსხვილფეხა საქონლის რამდენიმე ფერმა აქვთ და კიდევ კაუჩუკის ქარხანა საზიაროდ.

– ამოდენა გზაზე მხოლოდ მეგობრის მოსანახულებლად მეეჭვება ვინმე წავიდეს – ტორემ მგონი ყველაფერი იცის.

– საქმიანი წინადადებები ჩავუტანე.

– მაინც? – არ ეშვება ტორე.

– იარაღის მწარმოებელი ქარხნის აშენება გვაქვს გადაწყვეტილი.

– როგორ დამთავრდა თქვენი მოლაპარაკება?

– არა მგონია გემის დაღუპვასთან ამას რაიმე კავშირი ჰქონდეს.

– აქ კითხვებს მე ვიძლევი და ფაქტებსაც მე ვაკავშირებ ერთმანეთთან, ასე რომ, მაინც მოგიწევთ პასუხის გაცემა. როგორ დამთავრდა თქვენი მოლაპარაკება?

– უარი არ უთქვამთ, მაგრამ ამას დრო სჭირდება, კაპიტალი, ლიცენზიები... ხანგრძლივი პროცესია.

– უკეთეს ადგილს ვერც ინატრებს კაცი. – ტორემ პირველად გაიღიმა. – სამხრეთ ამერიკა, დიქტატურის სამოთხე. გამუდმებული ომები, სამხედრო გადატრიალებები, სახალხო მღელვარება... იარაღზე დიდი მოთხოვნაა, არა, ბატონო იმანუილ?!

უფროსი ნობელი შეფარულ სათქმელს უმალ მიუხვდა.

– სამწუხაროდ, იარაღიც ასევე სჭირდება ადამიანს, როგორც ბიბლია. მერწმუნეთ, ამ ამბავს მე, თქვენზე მეტად განვიცდი.

– ნუ ცხარობთ, თქვენი წყენინება არ მინდოდა.

ემანუილ ნობელმა ჯიბის საათი გადახსნა.

– მგონი ყველა კითხვაზე გიპასუხეთ და შემიძლია წავიდე!

– რამდენიმე წუთიც და გაგანთავისუფლებთ. ერთი ეს მითხარით, ბევრი ბარგი გქონდათ?

– რამდენიმე სამგზავრო ჩანთა.

– პირადი ნივთების გარდა თუ გადაგქონდათ რაიმე?

– არაფერი აკრძალული, მხოლოდ დოკუმენტაცია.

– და არანაირი ქიმიური შენაერთები? სწრაფად აალებადი ნივთიერება? თქვენ ხომ ამ სფეროშიც მოღვაწეობთ, გამოგონებებიც გაქვთ.

– მაქვს, რა თქმა უნდა, მაგრამ ვერ გამიგია, ამას რატომ მეკითხებით?!

– აგიხსნით! – გამოცოცხლდა ტორე ლუსანდი. – თვითმხილველთა მტკიცებით ცეცხლი მეტად უცნაურად გავრცელდა, ზევიდან ქვევით, რაც ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება.

– პირველად მესმის, რომ ცეცხლის გავრცელებას რაღაც კანონები აქვს, ვერაფერი გავიგე. – მხრები აიჩეჩა ნობელმა.

– პირიქით უნდა იყოს! – გამომძიებელმა ხელი აიქნია და ჰაერში რაღაც მოხაზა. – ქვევიდან ზევით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ან ეს ნივთიერება ტრანსპორტირებისას, ძლიერი რყევის დროს აალდა ანდა ვიღაცამ შეგნებულად, გემის ყოველ კუთხეში მიმოფანტა, რათა ცეცხლი თანაბრად გავრცელებულიყო ყველა სართულსა და გემბანზე. მე მეორე ვერსიისკენ უფრო ვიხრები. ამ ეჭვს ისიც მიძლიერებს, რომ

გემის კაპიტნის უცნაური სიკვდილი დღემდე გაუხსნელია და ბურუსით არის მოცული.

ტორე ლუსანდმა ამოისუნთქა და სტუმარს თვალი თვალში გაუყარა.

– მგონი თქვენი სახლიც დაიწვა, ხომ ასეა?!

ახლა კი მიხვდა ემანუილ ნობელი თუ საით მიათრევდა ეშმაკი და გამოცდილი ტორე ლუსანდი.

– ჩემი მამული ჩემსავე გამოგონილ გათბობის სისტემას შეეწირა. თერმოსტატმა მიმტყუნა, ორთქლის მოჭარბებულმა წნევამ აფეთქება გამოიწვია. ამ უბედური შემთხვევისაგან ჩვენს მეტი არავინ დაზარალებულა... არ მესმის, ნუთუ „მორო კასლის" საშინელებას მე მაბრალებთ?

– არა, რას ბრძანებთ. – უკან დაიხია ტორემ. უბრალოდ უცნაური დამთხვევაა, ორი ხანძარი ერთი წლის განმავლობაში და ორივე ადგილას თქვენ იმყოფებით.

– ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ ცხოვრებაში გაცილებით უცნაური დამთხვევებიც ხდება! – უფროსმა ნობელმა ხმა გაამკაცრა, ადგილიდან წამოდგა და გასასვლელისკენ ნაბიჯიც გადადგა, რითაც ტორე ლუსანდს აგრძნობინა, რომ ამის შემდეგ მასთან სასაუბრო აღარაფერი ჰქონდა.

– ერთი შეკითხვაც, ბატონო იმანუილ...

– გისმენთ.

– თქვენ როგორ გამოაღწიეთ ამ ჯოჯოხეთს?

– მეზღვაურებმა გამომიყვანეს ნავით.

– ჰო, მართლა, სულ გადამავიწყდა, იმ მეზღვაურებს, თქვენ რომ გამოგიყვანეს, ბოცმანსა და კაპიტნის თანაშემწეს სასჯელი არ ასცდებათ. უნია-

თობა გამოიჩინეს, სიმხდალე, საკუთარი თავის მეტი არაფერი ანაღვლებდათ, ზღვის კოდექსი ფეხით გათელეს, მგზავრები მიატოვეს, ქალები დასაღუპად გასნირეს. თქვენ კი...

– რა?!

– თქვენ კი გაგიმართლათ, რომ მეზღვაური არა ხართ. მომავალ შეხვედრამდე,ბატონო იმანუილ. თქვენთან გასაუბრება თუ დაგვჭირდა, ნუ გვიწყენთ და კიდევ გამოგიძახებთ.

გარეთ გამოსულ ნობელს დანა პირს არ უხსნის. გამომძიებლის სიტყვები გულზე ხვდება. მეზღვაურების სიმხდალეზე კი საუბრობს, მაგრამ ისიც უტყუარია, რომ მას გულისხმობს. ერთ შეურაცხყოფას მეორე ემატება, თავმოყვარეობა ეთელება. აქეთ მევალეები აწუხებენ, იქით გამომძიებელი ამცირებს გადაკრული საუბრებით. აშკარაა, ტორე ლუსანდს მისნაირების ბიოლოგიური ზიზღი აქვს და საქმეს რომ დასჭირდეს ხანძართან კი არა, ეშმაკთანაც დააკავშირებს უკვე წელში გატეხილ ემანუილს.

უფროსმა ნობელმა მტკიცედ გადაწყვიტა ეს საუბარი საიდუმლოდ შეენახა და ოჯახისათვის არაფერი ეთქვა.

საიდუმლოდ რა შენახულა.

ჟურნალისტებმა ლეშის სუნი იგრძნეს და მრავალტირაჟიანი გაზეთები სისხლისფრად შეღებეს. რა არ დააბრალეს.

ჟურნალისტების ყოველდღიურმა ჯირითმა გარდაცვლილთა ნათესავები სულ გაახელა და დამნაშავეს რომ ვეღარ მიაგნეს უფროსი ნობელის დასჯა მოითხოვეს.

ყოველმხრივ შეევიწროვებულ ნობელებს ერთი გამოსავალი რჩებოდათ მხოლოდ,ბარგი უნდა აეკრიბათ და დროებით მაინც იქაურობას გასცლოდნენ.

ასეც მოხდა.

იმ ავბედითი დღეების შემდეგ რვა წელი გავიდა.

„მორო კასლის" ამბავი ყველამ მიივიწყა, აღარც უფროსი ნობელისთვის მიუმართავთ, ნამდვილ დამნაშავეს თუ მიაგნეს.

ემანუილ ნობელმა პეტერბურგში დაიდო ბინა. ბინა ერქვა, თორემ უზარმაზარი, სამსართულიანი სახლი იყო ქალაქის შუაგულში.

ცოდნა და გამოცდილება არც ამჯერად დაიკარგა. ჩრდილოეთის პალმირაში, იგივე პეტერბურგში, ნობელს ყველაფერი გამოადგა: გათბობის მისეული სისტემა, მეტალურგია, ჩარხების მშენებლობა, სამხედრო დანიშნულების მინები, ასე რომ, გავლენის მოპოვება არ გასჭირვებია და ძალიან მალე უფროსი ნობელი ყველასთვის სასურველი სტუმარი შეიქნა. ცხადი გახდა, ბედი მისკენ შემოტრიალდა და ღიმილი უჩვენა. წელში გაიმართა, ორივე ფეხით მყარად დადგა რუსულ მიწაზე და რამდენიმე წელიწადში კრედიტორების მარწუხებიდან საბოლოოდ განთავისუფლდა. ორი უფროსი შვილი საქმეში ჩააყენა და ისინიც უსიტყვოდ, ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ მამის მითითებებს. მაგრამ ემანუილს გული მესამისკენ უწევდა, მისი იმედი ჰქონდა, მისგან ყველაზე მეტს ელოდა.

ალფრედ ნობელი მამის გახარებას არ ჩქარობდა, ქარხნები და მათი მსგავსი რკინის სათამაშოები არ აღელვებდა. თვე ისე ჩაივლიდა ერთხელაც არ შეივლიდა მამასთან სამსახურში, საქმეზე არაფერს ჰკითხავდა და არც არაფრით დაინტერესდებოდა. გული უფრო პოეზიისკენ, ლიტერატურისკენ უწევდა. საოცარი მოსაუბრე იყო, საათობით შეეძლო წიგნებზე თხრობა, რამდენიმე ენა იცოდა და ზეპირად, გამოთქმით შეეძლო მათი წაკითხვა. ცოდვა გამხელილი სჯობია და ლექსებს თვითონაც თხზავდა. დიდი არაფერი, მაგრამ გრძნობას თუ ენერგიას უზღვავს ხარჯავდა. უფროსმა ნობელმა კარგად იცოდა თუ რა აწერინებდა ახალგაზრდა კაცს ლექსებს. არა, ემანუილს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, არც შვილის რჩეულს ინუნებდა, მაგრამ გული გამუდმებით ცუდს უგრძნობდა და სულ ავის მოლოდინში იყო.

ოთახში შემოპარული მსახურის ჩრდილი კედელს აეკრა, გაგრძელდა და აალებულ ბუხარს გადაეფარა.

ჩაფიქრებული ემანუილი შეკრთა.

– საღამოს ფოსტა! – გამოაცხადა მსახურმა და ლანგარზე დადებული რამდენიმე კონვერტი ნობელს გადასცა, მერე ისე უხმოდ გაიძურწა ოთახიდან, თითქოს ფეხები არც ჰქონდა და არც არასდროს ჰქონია.

უფროსმა ნობელმა წერილების გროვა გადაარჩია, დაღლილობას გრძნობდა და მათი წაკითხვა მეორე დღისათვის გადადო, მაგრამ ერთმა წერილმა მისი ყურადღება მაინც მიიქცია. კონვერტს შვედეთის მარკა ერტყა.

ბეჭდებით დახუნძლულმა თითებმა ფურცელი გაშალეს.

„დიდად პატივცემულო, ბატონო ნობელ!

მაქვს პატივი მოგესალმოთ და შეგახსენოთ, რომ ჩვენი უკანასკნელი საუბრიდან რვა წელი გავიდა. ალბათ გახსოვთ, ეს საუბარი „მორო კასლის" დაღუპვას შეეხებოდა. ეს დრო პოლიციას უქმად არ დაუკარგავს, თუმცა სიმართლის დადგენა მაინც გაჭირდა. ხელმოსაჭიდი არაფერი გვქონდა და ეს საქმე, ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, გაუხსნელი დარჩებოდა, რომ არა თავად დამნაშავის აღიარება.

მოგახსენებთ საქმის არსს და რამდენიმე საყურადღებო დეტალს. ექვსი წლის უკან ინგლისში, ლონდონის გარეუბანში ამაზრზენი მკვლელობა მოხდა. საკუთარ სახლში, ოთხმოცი წლის ასოთამწყობი უილიამ ჰემელი და მისი გერი, ედიტი მოკლეს. როგორც მოგახსენეთ, მოკლეს დაუნდობლად, განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით. ეჭვმიტანილი მალევე დააკავეს, ვინმე ჯორჯ როჯერსი. როგორც გაირკვა, ეს ის ჯორჯ როჯერსი გაჯლდათ, რომელიც „მორო კეასლზე" რადისტად მუშაობდა. ორი ქვეყნის, ინგლისისა და შვეციის ნაციონალური გმირი, ასზე მეტი ადამიანის გადამრჩენი, სწორედ მან უხმო სხვა გემებს საშველად, ერთადერთი მთელი შემადგენლობიდან ვინც ბოლომდე მოიხადა პროფესიული და ადამიანური ვალი. პირველივე დაკითხვაზე დამნაშავემ სხვა მკვლელობებიც აღიარა, რამდენიმე ხანძარი, აფეთქება, მათ შორის „მორო კასლის" დაწვაც. ეს ამბავი

გახმაურდა თუ არა, ინგლისელები ჩვენ დაგვიკავშირდნენ და საქმის ძიებაც ერთობლივად წარიმართა. ჯორჯ როჯერსი ბავშვობიდან საქვეყნო სახელზე ოცნებობდა. ბედი ბევრ რამეში სცადა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. ამიტომაც გადაწყვიტა სახელი სხვა გზით მოეხვეჭა, სასტიკი მკვლელობებისა და დაუნდობელი ხანძრების გზით. ძიებამ სხვა საინტერესო ფაქტებიც აღმოაჩინა. პირველი სერიოზული აფეთქება ჯერ კიდევ სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროს მოაწყო, შემდეგ რადიოკომპანიის შენობაში, სადაც მუშაობდა, მაგრამ გამოძიებამ ვერაფერი დაუმტკიცა, მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვეს. ბოლოს არც „მორო კასლი" დაინდო. მკვლელობებსაც არ თაკილობდა, უკვე რამდენიმე ათეული დანაშაული დაუმტკიცდა, ძიება კი ჯერ არ დამთავრებულა.

ახლა რაც შეეხება „მორო კასლს". ჯორჯ როჯერსს გემი რამდენიმე ადგილას დაუნაღმავს, მასვე გამოურთავს საავარიო ცეცხლსაქრობი და სისტემაში წყალი დაუცლია. ასევე დაუღვრია წინასწარ მომარაგებული საწვავი, რომელსაც მთელი გემი გაუჟღენთია. სწორედ ამიტომ ვრცელდებოდა ცეცხლი ასე უცნაურად, ზევიდან ქვევით. ხომ გახსოვთ ჩვენი საუბარი? რადისტის საეჭვო ქცევა კაპიტანს არ გამოჰპარვია, დამუქრებია კიდეც. ეს მუქარა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, როჯერსმა ისიც გამოასალმა სიცოცხლეს.

აი, ყველაფერი ის, რისი თქმაც მსურდა. ასე რომ, თქვენი დადანაშაულება ამ ჯოჯოხეთურ საქმეში მხოლოდ სულით ავადმყოფს თუ მოუვა თავში. იმე-

დია ჩვენი საუბრის მკაცრ ტონს დაივიწყებთ და წყენას გულში არ ჩაიდებთ.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით.

ტორე ლუსანდი. იუსტიციის პირველი კლასის მრჩეველი".

– დაუწინაურებიათ! – გაიფიქრა უფროსმა ნობელმა.

მართალია, ამგვარი წერილის მიღება ესიამოვნა, მაგრამ სინანულის გარეშე აგიზგიზებელ ბუხარში მოისროლა, რადგან სამშობლოდან გამოგზავნილმა შენიღბულმა ბოდიშმა ზუსტად რვა წლით დაიგვიანა. ბოდიშიც ბერდება, როგორც ადამიანი.

ხარისხიანი ქაღალდი ჯერ შეიკუმშა, მერე გაიშალა, რამდენიმე ადგილას დატყდა, ფერი იცვალა, გაშავდა. ისე ჩაიფერფლა, როგორც „მორო კასლის" ნაწრთობი რკინისგან დამზადებული სამოსი.

კედლის საათმა ცხრაჯერ ჩამოჰკრა.

ალფრედი დღესაც აგვიანებდა.

მამისგან განსხვავებით, ალფრედი არასოდეს აჩერდებოდა მოსაწყენ ციფერბლატს. ან რა ხელი ჰქონდა იმ ბოროტ მოკარნახესთან, რომელიც ჩავლილ წამებს მახრჩობელა მძივივით წლებად კინძავდა, ისევ ერჩივნა ანასთვის ეცქირა.

ვიწრო წელი, მოსაწონი სიმაღლე, გრძელი, მგძნობიარე თითები, დამფრთხალი შვლის თვალები და ამ თვალებში ჩაღვრილი თაფლი. მისი ნახევრად მოშიშვლებული, პატარა მკერდი გახშირებული სუნ-

თქვის დროს ისე იცვლიდა სიმაღლეს, რომ ორი სანატრელი ბურთის გამართული სვლა უფროსი ნობელის საათივით აწყობილ ქარხანასაც შეშურდებოდა.

ასეთი იყო ანა.

ალფრედი პირველივე შეხვედრაზე ჩაბარდა ტყვედ. ასე ეგონა ყველა ლექსი მხოლოდ ანას ეკუთნოდა, მისთვის იწერებოდა, მას ეძღვნებოდა. საათობით შეეძლო ანასთან საუბარი, ამბების თხრობა.

– თქვენ ბევრს მოგზაურობთ, მთელი ევროპა გაქვთ მოვლილი, ამერიკაშიც ნამყოფი ხართ, იქნებ მომიყვეთ რამე ამ შორეული ქვეყნის შესახებ, მართლაც ასეთი საინტერესოა, როგორც ამბობენ?! – ამბობს ანა და ნაბიჯს ანელებს.

– ოკეანემ გული დამწყვიტა, ჩემი იმედები არ გაამართლა, მე უფრო დიდი მეგონა. – სევდანარევი ხმით იწყებს ალფრედი.

ანა უსმენდა. სახლში ამ ბედნიერებას მოკლებული იყო. დედა საგულდაგულოდ უმალავდა პეტრარკას, შელისა და ბაირონის კრებულებს. მკაცრი მშობელი თავისებურად მართალი იყო, ვინ იცის, იქნებ მათ თამამ სტროფებს საბოლოოდ აერიათ გონება გამოუცდელი გოგონასათვის. ასე რომ, ყველაფერი იმ გზით მიდიოდა, რა გზითაც საუკუნეების მანძილზე უვლია: ახალგაზრდები თავისას არ იშლიდნენ, მშობლები ჯიუტობდნენ.

ალფრედს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ცოლის მოყვანა. ანა ასეთი სიმტკიცით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ რაღაც იდუმალი რომ იყო მის თავს, ამას წყალი არ გაუვიდოდა.

დედის გულსა და მზერას რა გამოჰპარვია?

ამ უხილავი ძაფების გადახლართვა ანას დედამაც შეამჩნია. რატომ აითვალწუნა ალფრედ ნობელი მომავალმა სასიდედრომ დანამდვილებით არავინ იცოდა. სახელი, ფული თუ ქონება, სხვაზე ნაკლები არც ნობელებს ჰქონდათ, მაგრამ, ძალიან მალე, მისი გაღიზიანება ამ ურთიერთობით ყველასათვის თვალში საცემი გახდა. შვილიც არ დაინდო და ერთ საღამოს სუფრასთან, ყველას დასანახად, უცხო ენაზე, რამდენიმე მოკლე და დაძარღვული სიტყვა უთხრა. მართალია ამ ენას ვერავინ ვერაფერი გაუგო, მაგრამ საყვედური ანას რომ ეხებოდა ეჭვი არავის შეპარვია. ანამ დედას არაფერი უპასუხა, წამოწითლდა, ტუჩები მოკუმა, ოთახში გამეფებული სიჩუმე ვეღარ აიტანა და თვალცრემლიანმა იქაურობა მიატოვა. ალფრედი უკან გაჰყვა, ფეხდაფეხ მისდია, მისი დამშვიდება სცადა.

– ნუ მიიტანთ გულთან ახლოს, ხშირად მშობლები დაუმსახურებლად გვტუქსავენ.

– რა იცით რომ დამტუქსა? – შეიცხადა ანამ.

– ასე მგონია... თუმცაღა ეს ენა არასოდეს გამიგია, ვერაფრით მივხვდი საიდანაა.

– ეს ენა ქართულია...

– როგორ?... ქართული?... – ძლივს გაიმეორა ალფრედმა.

– დიახ, პატარა ქვეყანაა კავკასიაში. დედაჩემი ქართველია, თორმეტი წლის იყო პეტერბურგში რომ ჩამოიყვანეს, ახლა მეუღლის გვარს ატარებს და მისი წარმომავლობა ყველამ მიივიწყა. მე მართალია, რუსეთში დავიბადე და საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ქართული ენა ბავშვობიდან შე-

მასწავლეს, ალბათ იმ იმედით, რომ ოდესმე მაინც დავადგამდი ფეხს წინაპართა მიწას.

– რთული და უცნაური ენა ჩანს. – იმ იმედით თქვა ალფრედმა, რომ თუკი ანა მოისურვებდა, მისი ხათრით ამ ეგზოტიკურ ენასაც შეისწავლიდა.

– არც ისე ძნელია, მაგრამ ყოვლად გამოუსადეგარია, ქართველების გარდა მასზე არავინ საუბრობს.

არც შვედურზეო – უნდოდა ეთქვა ალფრედს, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ადვილად მიუხვდა ანას სათქმელს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ანა სამშობლოსკენ მიხედვას არ აპირებდა და არც ალფრედს მოუწევდა ოდესმე ქართულის შესწავლა.

საუბარმა ანას გული მოულბო, ხასიათი გამოუკეთა. გაბრაზება გაქრა, წყენამ ჩაიარა და პოეზიაზე შეყვარებული წყვილი სტუმრებს მიუბრუნდა.

რა იცოდა ალფრედმა ქართველების ამბავი.

რა იცოდა, რომ ქართველები მხოლოდ ორ ქალაქს ეთაყვანებიან – მოსკოვსა და პარიზს.

მოწინააღმდეგე სწორედ რომ საფრანგეთიდან გამოჩნდა. მხიარული, განათლებული, ენაწყლიანი, შესაშური გარეგნობის ახალგაზრდა, ფრანგი დიპლომატის შვილი, ფრანც ლემარჟი. ტრადიციულ წვეულებებზე იმდენი ხალხი ირეოდა, რომ თავიდან ალფრედმა ახალ სტუმარს ყურადღება არც კი მიაქცია, მაგრამ ნელ- ნელა ფრანგმა სიარულს მოუხშირა და ყველას თავი შეაყვარა. ეს კიდევ არაფერი, საგანგაშო ის იყო, რომ სულ ანას დასტრიალებდა და მის სიახლოვეს ეძებდა.

ანაც გამოიცვალა. უფრო ხალისიანი გახდა, უფრო მხიარული. ნობელის მოსაწყენი საუბრები აღარ აინტერესებდა. გამოჩნდებოდა თუ არა ფრანგი, ალფრედს სიტყვას გააწყვეტინებდა და ლემარჟის მოსამენად გარბოდა. ახალი სახის გამოჩენამ სხვებზეც იმოქმედა. დღემდე კუშტი და გაუცინარი ანას დედა მგონი, გაახალგაზრდავდა კიდეც, შვილს აღარაფერს უშლიდა და მის დასატუქსად ქართულს აღარ იყენებდა.

ალფრედი იბრძოდა. უკან დახევას არ აპირებდა. ყველა წარმოდგენასა თუ საღამოს ესწრებოდა, წუთით არ სტოვებდა ანას უყურადღებოდ. მაგრამ საბრალო ალფრედს ამ უთანასწორო ბრძოლაში ისე არ ეწერა გამარჯვება, როგორც სამას დაღუპულ სპარტანელს.

იმ საღამოსაც ყველაფერი განმეორდა: ხალხმრავლობა... მხიარულება... ცეკვები... საინტერესო ამბები... მსუბუქი ფლირტი... ფრანც ლემარჟი ალფრედს მიუტრიალდა, თითქოს მისი ახლოს გაცნობა სურდა, კეთილგანწყობა გაითამაშა და მომღიმარი სახით, ხმამაღლა, ისე რომ ყველას გაეგო, დამწუხრებულ ალფრედს შეკითხვა დაუსვა.

– მათემატიკას როგორ უყურებთ?! – ფრანგმა შეკრებულ საზოგადოებას გადახედა. – დღევანდელ დღეს, ამ მეცნიერების გარეშე, მგონი, ცხოვრებაც აღარ შეიძლება, ხომ ასეა?!

– მართალს ბრძანებთ. მამაჩემიც სულ ამას გაიძახის და ამიტომაც საუკეთესო პედაგოგებთან მომამზადა. – ალფრედი გაამაყდა, წელში ისე გაიმართა, კაცი იფიქრებდა მისმა საათმა ჩამოჰკრაო.

– მაშ ამის გადაწყვეტა არ გაგიჭირდებათ.

ფრანგმა ქაღალდზე რაღაც მოხაზა და ალფრედს გადასცა. ნობელმა ციფრებს დახედა. ერთხანს ხელში ატრიალა, დააცქერდა, ამოხსნას თავი ვერაფრით მოუყარა, ერთთავად ციფრები და ფორმულები უხტოდნენ თვალწინ. რაღას იზამდა? რა თქმა უნდა შეცდომით ამოხსნა.

ფრანცმა ქაღალდი ჩამოართვა, ამოცანა სწრაფად დაასრულა და იმ ღიმილით გაიღიმა, რომლის ჩანვდომაც დამარცხებულს არ უწერია.

– ამაში გასაკვირი არაფერია, მე ხომ სწავლას უნივერსიტეტში ვაგრძელებ მათემატიკის განხრით. დარწმუნებული ვარ, ალფრედი მეტ წარმატებას ლიტერატურაში მიაღწევს.

ამგვარი დარტყმის შემდეგ იშვიათად თუ ვინმე წამომდგარა ფეხზე. ალფრედს ამის ძალა ნამდვილად არ გააჩნდა. ისღა დარჩენოდა დამარცხება ელიარებინა და იქაურობას გაცლოდა.

მამა ჩაძინებული დაუხვდა. ჩამწვარ ბუხართან თვლემდა.. ალფრედმა მამა აღარ შეაწუხა, მეორე სართულზე ავიდა, დარდი აათრია და საკუთარ ოთახში ჩაიკეტა. იმ ავბედით საღამოს ალფრედს ძაფი გაუწყდა. გული ჩაცურდა, შარვლის ტოტიდან გაძვრა, დაიკარგა. მას მერე აღარც უძებნია.

ღირდა კი?

დღე დღეს მისდევდა.

ალფრედს უკუთესობის არაფერი ეტყობოდა. საჭმელი აიკრძალა, ენა ჩაყლაპა და მეგობრად ლო-

გინი გაიხადა. უფროსი ნობელი შვილს წუთითაც არ სტოვებდა. ქარხნები მიივიწყა, საქმეები მიუშვა. დღე ისე არ ჩაივლიდა, ახალი ექიმი რომ არ მოეყვანა, ახალი წამალი რომ არ მოესინჯა. ალფრედის თვალებში სიცოცხლე ქრებოდა. ექიმები მხოლოდ თავებს აკანტურებდნენ და მხრებს ისე ოსტატურად იჩეჩავდნენ, კაცს ცეკვის ილეთი ეგონებოდა.

არგენტინიდან ბორა მენდესი და რიგო ჰაუსმანი ჩამოვიდნენ. ძველი მეგობარი გაჭირვებაში არც ამჯერად მიატოვეს და როგორი დახმარებაც შეეძლოთ, ისეთი შესთავაზეს. ჩვენთან წავიყვანთ, ცივ ნიავს არ მივაკარებთ, საქმეშიც ჩავაყენებთ, ისეთ ქალებს დავახვევთ, ვიღაც ანა კი არა, დედაც აღარ გაახსენდებაო. მოკლედ, კაცად ვაქცევთ და ისე დავაბრუნებთო. არც ამ მაცდურმა წინადადებამ გაჭრა. ალფრედი ზეზეულად ხმებოდა.

საშველი არ ჩანდა. მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდა მძიმე ავადმყოფს.

მეორე დილით, მოწოდებულ წამალზე უარი განაცხადა, შეჩვეულ კედელს ზურგი აქცია და დასუსტებული ხმით მამას საწერი ქაღალდი მოსთხოვა. ემანუილი დაფრთხა, ვაითუ გამოსათხოვარს წერს რამესო, მაგრამ შვილის მოკრძალებულ თხოვნას უარი ვერ შებედა და ქაღალდს კალამიც მოაყოლა. ალფრედის დამდნარმა თითებმა კალამი ძლივს დაიმორჩილა, არათანაბარი ასოები მოხაზა და ნაწერი მამას გადასცა.

„დღეიდან მე აღარ მჭირდება ბრბოს ყურადღება. დღეიდან მე ბუნების დიდი წიგნის შესწავლას ვიწყებ. მინდა ვიცოდე რა სწერია ამ წიგნში და აღ-

მოვაჩინო ის, რაც ჩემს გაუსაძლის ტკივილს გაანადგურებს".

– მაშ გინდა აჩვენო იმ თავხედ ფრანგს, რომ შენთან შედარებით არაფერია... ხომ ასეა?! – აღტაცებას ვერ მალავს ნობელი.

– მე მინდა... მე მინდა გამომგონებელი გავხდე, საქვეყნოდ ცნობილი და განთქმული... მერე ინანებს, მაგრამ გვიან იქნება. მე დავსჯი მასაც და მის პატარა ქვეყანასაც.

ემანუილს ისე გაუხარდა შვილის გამოჯანმრთელება, რომ აღარ ჩაეძია, ძველი აღარ გაქექა და რაღაც პატარა, გაუგებარი ქვეყნის არსებობა იქვე დაივიწყა.

დრო ისედაც ბევრი დაიკარგა.

მამა, შვილი საქმეს შეუდგა.

ალფრედი თავს არ ზოგავს. თითქმის არ სძინავს, დღესა და ღამეს ასწორებს. ერთგულებამ და თავდაუზოგავმა შრომამ, როგორც იცის ხოლმე, ნაყოფი გამოიღო. გაოცებისგან პირდაღებული მასწავლებლები სულ იმას გაიძახოდნენ, ამ კაცს ლიტერატურაში რა უნდოდა, წლები სულ ტყუილად დაუკარგავსო.

განსწავლულ შვილს თავად იმანუილმა მოუწყო გამოცდა. ცხრა პირი ტყავი გააძრო, არაფერში დაინდო და როდესაც მისი ცოდნის საიმედობაში დარწმუნდა პირველი დავალებაც მისცა.

– ერთი აზრი მაქვს და მინდა გაგიზიარო. – ემანუილმა ისე შეხედა შვილს, თითქოს საქვეყნოდ დამალული საიდუმლო უნდა გაემხილა.

– გისმენ! – გაფაციცდა ალფრედი და ისიც ჩურჩულზე გადავიდა.

– დინამიტმა დიდი შემოსავალი მოგვიტანა, მაგრამ ძვირია, გადატანის დროს მოუხერხებელია და მალე სველდება. აი, მისი შემცვლელი ნამდვილად ოქროს საბადო იქნება ჩვენთვის. ნიტროგლიცერინი თუ გაგიგია?

– როგორ არა! – გაიღიმა ალფფრედმა და მამას აგრძნობინა, ეგ რაღა საიდუმლოაო. – გოგირდმჟავასა და აზოტმჟავას ნაერთია. მერე, ამ ორივეს, იტალიელმა შარლატანმა, ასკანიო სობრერომ, გლიცერინი დაუმატა და მიღებულ ნივთიერებას ნიტროგლიცერინი დაარქვა.

– ეგ ყველაფერი კარგი, ჩანს მასწავლებლებში ფული ტყუილად არ გადამიყრია. რაც ახლა მითხარი, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ საიდუმლო მაინც გაუხსნელია.

– რომელი საიდუმლო?

– პროპორცია! – წერტილი დასვა უფრომა ნობელმა. – ვინც სწორ პროპორციას აღმოაჩენს, გამოგონებაც მისი იქნება და მოგებაც. თორემ სხვანაირად ეგ ნაზავი გულით ავდმყოფების შვებაა მხოლოდ და მეტი არაფერი.

ალფრედმა გამოწვევა მიიღო.

ამ საუბრიდან ოთხი თვე არ იყო გასული, რომ ალფრედმა სწორი პროპორცია მონახა და გამოგონება დაიმტკიცა. მსოფლიოს ნიტროგლიცერინი მოედო. აფეთქებდნენ და ამ აფეთქებით გულშეწუხებულ ხალხს ისევ ნიტროგლიცერინით მკურნალობდნენ. შემოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მოგება იმდენად დიდი იყო, რომ ნობელების სხვა საწარმოების არსებობამ აზრი დაკარგა.

ყველასათვის სასურველ კეთილდღეობას თითქოს არაფერი ემუქრებოდა. ამგვარი სიმშვიდე და ნეტარება ყოველთვის სახიფათოა, ასეთმა მოდუნებამ ჩათვლემაც იცის. მიძინებული ადამიანი კი პირდაპირ მისწრებაა სტიქიისათვის. ემანუილს ძველმა მოვალემ მოაკითხა, ცეცხლმა ისევ შეახსენა თავი და თამასუქი მოურიდებლად წარუდგინა.

ძლიერმა აფეთქებამ ირგვლივ ყველაფერი გაანადგურა. ნიტროგლიცერინის ქარხანა მთლიანად დაიწვა. ორმოცდაათამდე მუშა დაიღუპა, რამდენიმე შემთხვევითი გამვლელიც, წარმოებაც განადგურდა. აფეთქებამ ალფრედის ძმაც იმსხვერპლა, დაფლითა და ქარხნის ტერიტორიაზე გაფანტა. ამის შემხედვარე დედას გულმა ვეღარ გაუძლო და დარდს გადაყვა. მამა ლოგინად ჩავარდა, ხელფეხიც წაერთვა და მეტყველების უნარიც. დამფრთხალმა ევროპელებმა ნიტროგლიცერინის ხმარება აკრძალეს, ქარხნები დაიხურა, სამუშაომ იკლო, ვალებმა იმატა.

მხოლოდ ემანუილ ნობელს არ აღელვებდა არაფერი, თავს გარეგნულად მშვიდად გრძნობდა. მთელ დღეს დამუნჯებული ხატავდა. თითქმის ერთნაირ ფერებს, მსგავსი ბუნებითა და ცით. ამ ნახატებით ავსებდა საკუთარ ოთახს. მსახურებს აკვირვებდა მოსანყენი შვედური პეიზაჟი, რომლის შუაში ძლიერი აფეთქებისგან განადგურებული შენობა ჩანდა, რამდენიმე მამაკაცი კი უშედეგოდ ცდილობდა გადარჩენილი ნივთების მოგროვებას.

ცეცხლმა საბოლოოდ გაიმარჯვა და იმანუილ ნობელის სული გავარვარებულ მუჭში მოაქცია.

ჩავლილმა წლებმა დარდი დაამძიმა. შერყეულმა ჯანმრთელობამ ოთხ კედელში მოაქცია. მხოლოდ ფიქრია მისი თანმდევი. გარდაცვლილთა სულები მოურიდებლად აკითხავენ. საუბარს არც თვითონ გაურბის, სიტყვას არ ამადლის, მათი მესაიდუმლეა, მათი ჩურჩულის მოდარაჯე.

მოხუცი ალფრედ ნობელი სიკვდილის მოახლოვებას გრძნობდა. მაგრამ სხვებისგან განსხვავებით ამ საზარელი სტუმრის შიში გულის სიღრმეშიც არ ჰქონდა. ანდა რატომ უნდა ჰქონოდა? ძვირფასი ყველა წაიყვანა, მამა, დედა, ძმები, თითზე ჩამოსათვლელი მეგობრები, საკუთარ მარწუხებში მოაქცია და ცივ სამარეში დაუდო ბინა. აბა გულს რიღათი ატკენდა? რაღა უნდა დაეკლო მისთვის? რაც ჩაიფიქრა ხომ მიაღწია, ყველა მწვერვალი დაიპყრო, ყველა ოჯახში შევიდა, მსოფლიო მისი ნაწილი გახდა. სად ერთი ცელმომარჯვებული, გამხდარი სიმახინჯე და სად მთელი ქვეყანა. რამდენს მოცელავს, რამდენს გადაჭრის კოჭებში, რამდენს მოერევა. იქით – მარტო ის, აქეთ დანარჩენი მსოფლიო, რომელიც სიკვდილს არც გაიხსენებს, ალფრედს კი მუდამ აცოცხლებს. ასი, ორასი, სამასი წელი, ამის იქით მოხუც ნობელს თვალი აღარ სწვდება.

ალფრედ ნობელმა სიკვდილს ბოლო მოუღო. მაგრამ შიში რას დაგტოვებს, ერთს აუცილებლად მეო-

რე შეცვლის. იმავ წამს სხვა შიში უჩნდება, სიცოცხლის შიში.

დღესაც ამ შიშმა გამოაღვიძა. ოფლიანი. ცივი. დამფრთხალი. საზარელი ხილვა არ ასვენებს, ძილს არ აკარებს.

ვითომ უკუნეთ სიბნელეში გაახილა თვალები და ვერაფერს ხედავს... ვითომ გულზე გადაჭდობილ ხელებს ვერ იმორჩილებს... ვითომ ირგვლივ ობისა და ნესტის სუნია... ვითომ აუტანელი სიცივე ძვლებს უმტვრევს... ვითომ შუბლით აწვება გარანდულ ფიცარს, მაგრამ გულმოდგინედ დაჭედებულ კუბოს სახურავს ვერაფერს უხერხებს... ვითომ მთელი ხმით ყვირის, ქვეყნიერებას უხმობს საშველად... ვითომ ძალა ეცლება, სუნთქვა უჭირს, ჰაერი არ ჰყოფნის და საცაა დაიხრჩობა...

ამ დროს ეღვიძება. თუ ამ წვალებას გამოღვიძება ჰქვია. რაა სიკვდილის შიში?! ცოცხლად დამარხვის შიშთან რა მოსატანია?!

არადა სად ეჩქარება? ჯერ შეუძლია მუშაობა, ჯერ კიდევ შესწევს ძალა. სულ ახლახან, რამდენიმე დღის უკან ხელოვნური აბრეშუმი შექმნა, სხვა ბევრი წვრილმანი თუ მსხვილმანი.

ან აქ რა დარჩენია? სიცოცხლემ დაკარგა მიმზიდველობა, აღარ ახარებს. მოიგონებს რასაც უნდა, შექმნის როდესაც უნდა, დახვეწავს, სრულყოფის ყალიბში ჩამოადნობს და ფულად აქცევს. ბუნების წიგნი უფრო თხელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. ბოლო ფურცელიც დაიხურა, მაგრამ შიგ ვერაფერი იპოვნა ისეთი, რაც მისი ცხოვრების თანმდევ ტკივილს სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს.

ისევ ანა...

გონება მაინც მისკენ მიქრის. დღე ისე არ ჩამთავრდება, მისი სუნთქვა არ მოესმას, მისი სიტყვა არ გაიგოს, მისი სხეულის რხევას არ აყვეს, მის თვალებს არ წააწყდეს.

გაცვლიდა?

რა თქმა უნდა. დაუფიქრებლად, უკანმოუხედავად, დაუნანებლად. ქონებასა და სახელს, ქარხნებსა და უზრუნველ სიბერეს. ყველაფერს. მხოლოდ ერთ ამბორში, მასთან ალერსში, ღამის უთქმელ საიდუმლოში. ეს სხვაზე უკეთ თვითონ იცის და ამიტომაც კიდევ უფრო ხელდება, გული ბოლომდე იძირება ბოღმის ფიალაში.

თუმცა სულ ეგრე ხომ არ ყოფილა. კაცი იყო და ქალებს რა გამოლევდა. მასაც ჰყავდა, მაგრამ ანასთან რა მოსატანია. მგონი შეგნებულად არჩევდა შეუხედავებსა და გონჯებს. თავს თუ ისჯიდა, რათა პირველ წყენას ყავლი არ გასვლოდა.

თუნდაც ბერტა კინსკი...

თუნდაც ყვავილების გამყიდველი პატარა სოფი...

ვინღა იგონებს მოხუც ალფრედს. ორივე გაიქცა, ორივემ მიატოვა. ერთმა ყოფილ მოწაფესთან, მეორემ ავსტრიელ ოფიცერთან. ახლა სხედან ნობელის ნაყიდ სახლებში, მის ნაჩუქარ ავეჯში ნებივრობენ და ვინ იცის, იქნებ დასცინიან კიდეც მოხუცის გულუბრყვილობას. რა უცნაურად ჰგავს ქალთა საქციელი ერთმანეთს და რა უცნაურად განსხვავდებიან თავად ისინი ერთმანეთისგან.

ალფრედ ნობელს სტოვებდნენ იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში საკუთარი არაფერი გააჩნდა. მე-

რე იმიტომ სტოვებდნენ, რომ ყველაფერი მისი საკუთრება იყო. ასეთი ყოფილა მისი ბედი მდევარი. ემანუილ ნობელი ცეცხლმა იმსხვერპლა. ალფრედ ნობელს გაცეცხლებულმა ქალებმა მოუღეს ბოლო.

ვინლა დარჩა?

არავინ. ირგვლივ სიცარიელეა. მხოლოდ ერთგული არვინი, უღალატო ვექილი, არვინ როზენბლუმი შემოსცქერის მოხუცს და მისგან სიტყვას ელოდება.

მომაკვდავი ალფრედი სუნთქვას თავს უყრის და გამშრალ ტუჩებს გაჭირვებით ამოძრავებს.

მე, ალფრედ ნობელი, ვიმყოფები რა საღ გონებასა და სრულ ჭკუაზე...

ბახტრიონზე, საკუთარი ბინის აივანზე მდგარი ქართველი მწერალი, ვუკოლ ნაყოფია, ლარიან სიგარეტს აწვალებდა და კმაყოფილი სახით გასცქეროდა სიცხისგან ფერგადასულ თბილისს. ამ გაუსაძლის ბუღში მხოლოდ გიჟი თუ იგრძნობდა თავს წყნარად, ვუკოლს კი ამგვარი არაფერი ეტყობოდა, თუმცა დამშვიდების მიზეზი მაინც ჰქონდა. ბედნიერი კაცი იყო ვუკოლი. მართალია, საკუთარი არც სოფელი გააჩნდა, არც აგარაკი, მაგრამ მეუღლეში ნამდვილად გაუმართლა. რომ არა მისი ბელა, ამ საქმის მოგვარება ნამდვილად გაუჭირდებოდა და ალბათ ვერც მოაგვარებდა. ისე კი, ყოველ ზაფხულს, ლესიჭინეში, ცოლის ნათესავებთან, საკუთარ ქალიშვილს გადამალავდა და თავი ქუდში ეგულებოდა. თვითონ, აივანზე მდგარი, იმ მოთამა-

შე ბავშვებს დაჰყურებდა ზემოდან, რომლებიც ამ-
გვარ ფუფუნებას მოკლებულები იყვნენ. ისინი კი
თავისას მაინც არ იშლიდნენ, მზეს არ ემორჩი-
ლებოდნენ და გადახურებისგან გაფუებულ, ფორმა-
დაკარგულ ბურთს აქეთ იქით დაათრევდნენ. ამ
ამბით შეწუხებული ვუკოლი თავს აკანტურებდა,
თუმცა თამაშით გართული დროდადრო კისერს იგ-
რძელებდა და მოხტუნავე საგანს ასეთსავე მოხტუ-
ნავე მზერას აყოლებდა. ოღონდ ეგ იყო, მარცხენა
კარს ვერ ხედავდა და შეტევის განვითარებას არე-
ულ-დარეული ხმების წყალობით ხვდებოდა. პირ-
ველ სართულზე, მეზობლის ბაღი თუ ბოსტანი სწო-
რედ იქ ყვაოდა, სადაც ბავშვები ორ დაგდებულ
აგურს შუა მანძილს გაცვეთილი კედებით ზომავ-
დნენ.ბევრს ეცადა, აივანზე მოგროვილი ნაგავიც
გაიტანა, მაგრამ კარის დანახვას არ დაადგა საშვე-
ლი. ეს დაწყევლილი ბაღი თუ ბოსტანი სულ თვალში
ეჩხირებოდა. არადა როგორი შეყოლა იცის
ფეხბურთმა. ორი კვირის უკან აივნიდან ისე გადაი-
წია, რომ კინაღამ ზემოდან გადმოყრილი ნამწვა-
ვების ბედი გაიზიარა. ვუკოლი შეშინდა და, რადგა-
ნაც ღმერთმა მისი სიკვდილი არ ინება, გამოსავა-
ლიც მალევე მონახა. კარის მეზობელს გაცვეთილი
საბურავი გამოართვა და გისოსებზე ისე ჩამოჰკიდა,
როგორც მანქანის გადამეტებული მოყვარულები
ამაგრებენ ეზოში ბამპერის გაკაწვრის თავიდან ასა-
ცილებლად. შეეხებოდა თუ არა ფეხბურთის ცქე-
რით გართული ვუკოლი საბურავს წამსვე ფხიზ-
ლდებოდა და აივნის შუაგულს უბრუნდებოდა.
ახლაც ასე მოხდა. ვუკოლმა ნამწვავი გადააგდო და

ისღა დარჩენოდა ისევ ჩოჩქოლიდან მიმხვდარიყო თამაშის ანგარიშს.

რვა ხდებოდა.

ვუკოლი ოთახში შებრუნდა. ამ დროს განსაკუთრებით კარგად მუშაობდა ხოლმე. მართალია, უკვე რამდენიმე წიგნის ავტორი იყო, იცნობდნენ კიდეც, ერთი ორი ინტერვიუც მისცა, სამჯერ საკონკურსო ჟიურიშიც დაპატიჟეს, მაგრამ მწერალთა აკადემიაში ვერაფრით მოხვდა. კალთები არ დაუხევიათ, მხოლოდ ერთხელ შესთავაზეს. ხელები გაასავსავა და ეს ამბავი შორს დაიჭირა, მწერალი ოპოზიციაში უნდა იყოსო, სულ ამას იმეორებდა. თუმცა რისი, ვისი, ანდა რატომ უნდა ყოფილიყო ოპოზიციაში, კარგად თვითონაც ვერ გაერკვია. გულის სიღრმეში მწერალთა ცალკე გაერთიანების შექმნას ფიქრობდა. რამდენიმე თავისნაირი შეიპირა კიდეც, წესდებაც შექმნა, დასახელებაც შეარჩია, მაგრამ რეგისტრაციისათვის საჭირო თანხას თავი ვერაფრით მოუყარა და ეს საქმეც მომავლისთვის გადადო. გულის სიღრმეში კი ნობელის პრემიაზე ოცნებობდა. პირველი ქართველი ნობელიანტი ვუკოლ ნაყოფია! ამის გაგონებაზე ისე ბურძგლავდა, როგორც ატმის ბუსუსიან კანზე შეხებისას. დარწმუნებული იყო, ის თუ არა, მისი კუთხის შვილი ამ დიდებას აუცილებლად გამოჰკრავდა ხელს. რა თქმა უნდა, ერჩივნა თვითონ ყოფილიყო. თავმდაბლობას მოუკვდა პატრონი. ვისზე ნაკლები იყო, იმაზე თუ ამაზე? ჰოდა, ამაშია საქმე.

ასე ფიქრობდა ქართველი მწერალი ვუკოლ ნაყოფია.

ძველ საბეჭდ მანქანას მიუჯდა. ტელევიზორიც ჩართო. საინფორმაციო გადაცემა ბეჭდვის მექანიკურ პროცესს ყოველთვის უადვილებდა. რადგან საკუთარი არაფერი გააჩნდა და სოფელიც ამ არაფერში შედიოდა, სულ ცოლის სოფელზე წერდა. ლესიჭინური მოთხრობების მთელი ციკლიც კი შექმნა და საცაა დაამთავრებდა კიდეც. ერთი ჰქონდა დარჩენილი და ის აწვალებდა ყველაზე მეტად. ვერაფრით გადაეწყვიტა, სალაღობოდ მოეყოლა გაგონილი ამბავი თუ პატარა კაცის ტრაგედია ჩამოედნო კალმის წვერიდან. შესასრულებლად პირველი უფრო ადვილი იყო, მეორე გაცილებით რთული, მაგრამ საპატიო და მომგებიანი.

ვუკოლი მუშაობას შეუდგა. ამ დროს ტელევიზორში რეკლამაც დამთავრდა და საერთაშორისო ამბები დაიწყო. არგენტინის არჩევნები, ისრაელის გადარჩევნები, ტერორისტები, სამიტები, ცოტა კინოს ჭორები და ცოტაც მოდა. მართალია, ეს ყოველივე ხუთი დღის წინანდელი იყო და გაფუჭებული თევზივით ყარდა, მაგრამ ვუკოლისთვის მაინც არაუშავდა. ბოლოს კრისტის აუქციონის ჯერიც დადგა, იქ კი, როგორც თქვეს, საოცარი ამბები მომხდარა. ამის გამგონე ვუკოლმა საბეჭდი მანქანა მიატოვა და სიგარეტს მოუკიდა, არადა ოთახში თითქმის არასოდეს ეწეოდა.

იმ შორეულ კრისტიზე, ჩვენდა ჭირად, ალფრედ ნობელის ანდერძის ორი ფურცელი გაუყიდიათ. ის ორი, ყველას რომ დაკარგული ეგონა. ამ გაყვითლებულ ფურცლებში სწორედ ის ეწერა, რაც თავის დროზე, ალფრედ ნობელის ერთგულმა ვექილმა ავ

თვალს მოარიდა და საგულდაგულოდ გადამალა. პირველი, საქვეყნოდ გაცხადებული მოთხოვნა, მხოლოდ გაკვირვებას გამოიწვევდა და მალევე მიეცემოდა დავიწყებას: სიკვდილის შემდეგ, ანდერძის პატრონისთვის, სანდო ექიმს ვენები უნდა გადაესერა, კარგად დაკვირვებოდა და ამ უცნაური წესის აღსრულების შემდეგ მიებარებინა მიწისთვის საქვეყნოდ ცნობილი მიცვალებული.

მეორე დანაბარები განაჩენს გავდა: ანდერძის მიხედვით ვერც ერთი ქართველი ვერ მიიღებდა საუკეთესო პრემიას. ამ გადაწყვეტილებას ვერც დრო შეცვლიდა, ვერც აღმოჩენის მნიშვნელობა და ვერც ავტორის ნიჭი.

რას ერჩოდა ქართველებს ალფრედ ნობელი ვუკოლისთვის საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ რადგანაც თავს ქართველად თვლიდა და თანაც მწერლად, ეს აკრძალვა მასზეც მოქმედებდა.

ბედი არ გინდა?! – გაიფიქრა ვუკოლ ნაყოფიამ. – არადა, რა ახლოს ვიყავი მიზანთან?!

ერთხანს გაოგნებული იჯდა. მერე თავს შეუძახა, მაგათი იმედით მტერი იყოსო, ისევ შენიანი თუ გიშველისო. ლესიჭინის ამბები გვერდით გადადო, საბეჭდ მანქანაში ახალი ფურცელი ჩაასრიალა და გაცვეთილ ასოებს ჩაქუჩივით დაჰკრა.

ვარ სამი წიგნის, ათიოდე წერილის და ერთი მონოგრათიის ავტორი. მიღებული მაქვს რამდენიმე წამახალისებელი ჯილდო. წარდგენილი ვიყავი სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად...

მერე როგორც წესი და რიგია, რაც ჰქონდა და არ ჰქონდა: ყველაფერი მიაყოლა ბიოგრაფია, განათ-

ლება, დამსახურება. ბოლოს კი ასე დაასრულა: ყურადღებით ნავიკითხე, მთლიანად ვიზიარებ და ვეთანხმები ორგანიზაციის წესდებას. გთხოვთ, მიმიღოთ აკადემიურ მწერალთა, საერთო ეროვნულ-შემოქმედებითი გაერთიანების რიგებში.

მართალია, იმ დროისათვის ახალი წევრების მიღება დროებით შეჩერებული გახლდათ, მაგრამ ვუკოლი რაღაცას მოიფიქრებდა, ხალხს შეანუხებდა, მიდგებოდა, ბოლოს და ბოლოს ნიჭიერი ადამიანისთვის საბუთების გაფორმება ძველი რიცხვითაც მოხერხდებოდა. რეკომენდაციის ავტორებიც შეარჩია, მიზანში ამოიღო და ხელები მოიფშვნიტა.

კმაყოფილი ვუკოლი აივანზე გამოვიდა. ამ გაუსაძლის სიცხეში მხოლოდ გიჟი თუ იგრძნობდა თავს წყნარად, მაგრამ ვუკოლს დამშვიდების მიზეზი ჰქონდა: ცოლ-შვილი სიგრილეში ეგულებოდა, მოთხრობებს საცაა დამთავრებდა, დაბნელდა და სიცხემ აქაც იკლო, განცხადებაც მზად ჰქონდა, მალე განევრიანდებოდა კიდეც. მეტი რაღა უნდოდა?

ისე, კაცმა რომ თქვას, არც გაემტყუნება, ამ უფულობაში ოცდახუთი ლარის დახმარება დასაკარგი ნაღდად არ იყო.

მიხეილ ჯავახიშვილი

თბილისი ისე იწვა სიბნელეში, როგორც მკვდარი კუბოში.

ღამე წერას სხვა ფასი აქვს. უკუნეთი შავ, ნაბეჭდ ასოებს იდუმალ სამოსში ახვევს და უკიდეგანო სივრცეში დააქანებს. თითქოს სიჩუმემაც იცის კითხვა. გატრუნული მისჩერებია საინტერესო ამბავს და მთხრობელის აზრის თამამ განავარდებას ხელს არაფრით უშლის. ყველა მკითხველის სატრფო – სიჩუმე, მხოლოდ ფურცლის შრიალის ხმას ინახავს და ამითაც უზომოდ კმაყოფილია

კომპიუტერი, როგორც ტრიპერი ისე მოედო ქვეყანას. სიტყვა ამოაგდო, აზრი გააქრო და გრძნობა დაიმონა. მოციმციმე, პატარა ეკრანი უმეტესობისთვის შვილზე უტკბესი შეიქნა და კაცობის საზომი ვინჩესტერისა თუ მოდემის სიძლიერე გახდა. ვინც კომპიუტერი ვერ შეიძინა, ვერ შეეწყო, ანდა სულაც არაფერში სჭირდებოდა, იქით მხარეს აღმოჩნდა, სადაც უდაბნო მეფობდა და არასოდეს არაფერი ხარობდა. წიგნი მიივიწყეს, გააქრეს და ბოლოს, როგორც უსარგებლო რამ, ხმარებიდან ამოიღეს. ერთს მეორე მოჰყვა და ახლა, კომპიუტერის ცოდნისგარეშე, სამსახურშიც აღარ იღებდნენ.

სიმართლის თქმა სჯობს და ნიკასაც უსაქმური ერქვა. საქმე კი ჰქონდა, რაღაცას წერდა, იგონებდა, გამოქვეყნებაც დააპირა, მაგრამ ჩვენთან ამ წვა-

ლებას საქმეს არავინ ეძახდა და არც არავის სჭირდებოდა.

გასაკვირია, მაგრამ ნიკა სამსახურშიც დადიოდა. თვეში რამდენჯერმე შეივლიდა და მომავალ ხელფასამდე გაუჩინარდებოდა. ეს არც მას ანაღვლებდა და არც მის უფროსობას, რადგან მისი ანაზღაურება სწორედ ამგვარ პერიოდულობას ითვალისწინებდა. მოკლედ, ბიუჯეტზე იჯდა. გინდა ჩვენს ბიუჯეტზე მჯდარხარ და გინდა ვულკანზე, ეს ნიკას კარგად ესმოდა, ამიტომაც სულ იმის ფიქრში იყო ფული როგორ ეშოვნა.

ამ ფიქრმა ტელმანასთან მიიყვანა.

– ტელმან, ბრედბერი გახსოვს?

– ეგ რომელი?

– რაღა რომელი, ერთი იყო, რეი...

– სმუტნად მახსოვს, რა ჰქონდა?

– ბევრი რამე, მაგრამ ყველაზე მაგარი მაინც ის იყო, ოთხასორმოცდათერთმეტი ფარენგეიტით.

– წიგნებს რომ აგროვებენ.

– კი არ აგროვებენ, წვავენ.

– ჯერ ხომ უნდა მოაგროვონ, აბა როგორ დაწვავენ?

– ჰო რა, აგროვებენ და წვავენ. ქაღალდი იწვის მაგ ტემპერატურაზე.

– მართალი ხარ, გამახსენდა, ოცდაათი მანეთი ღირდა, მოსკოვიდან მომქონდა, პასტაიანი მუშტარი ყავდა, ატბოი არ იყო კლიენტებისგან...

– რამდენი წელი გავიდა?

– ბევრი... მაგრამ ღირდა.

– არც ეგრეა, ვისთვის როგორ.

– არა, მაინც, იმას ხომ ჯობია, ნახე რა ცხოვრებაა, დვიგაემსა.

– ვითომ?

ეწევიან, საუბრობენ. ბუკინისტი ტელმანა და თბილისელი ნიკა. ტელმანა ნიკას მოსვლის მიზეზს კარგად ხვდება, მაგრამ სათქმელს წელავს, სიტყვას აბურთავებს. ტელმანას დაეჯერება, ტელმანამ წიგნის ფასი იცის. ადრე ვერაზე, სასტუმროს პირდაპირ, წიგნის მაღაზია ჰქონდა. მისი არ იყო, მაგრამ როგორც საკუთარს, ისე ექცეოდა. შოვნა, ჩალიჩი, ჩაწყობა, მიდი-მოდი. ტელმანას წუთით არ ასვენებდნენ. საჭირო სია ჰქონდა, ტელეფონის ნომრები, შეკვეთები. საქმე საათივით აანყო, არც უფულობას უჩიოდა და მომავალს ისეთი იმედით შესცქეროდა, როგორც გვიანი შვილის კმაყოფილი მშობელი ნიჭიერ ბავშვს.

მერე რა მოხდა, წესიერად ვერავინ გაიგო. წიგნის მაღაზია გაქრა, სასტუმრომაც გაურკვეველი იერი შეიძინა. ბევრი სხვა რამეც შეიცვალა და ყველაფერი ერთმანეთში აირია. მხოლოდ ტელმანა იდგა ძველებურად, რა ბარიგაც იყო, იმ ბარიგად დარჩა.

წიგნს ყავლი გაუვიდა თუ არა, ანტიკვარზე გადავიდა, არც ნახატებზე ამბობდა უარს და არც ძვირფას ქვებზე. თუმცა პირველი სიყვარული დასათმობად მაინც ვერ გაიმეტა და გამოსავალი აქაც გამონახა. სამუზეუმო ექსპონატებს, იშვიათ ხელნაწერებს, დაუმთავრებელ ლექსსა თუ მოთხრობას, პირად წერილებს, სასიყვარულო ბარათებს კაპიკებად ყიდულობდა და სარფიანად ყიდდა. ახალი სია გაუჩნდა, მობილურიც შეიძინა და შეკვეთამაც იმატა.

მართალია, ამ საქმით ბოლომდე წელში ვერ გაიმართებოდა, მაგრამ ერთს მეორეს მიუმატებდა და საკუთარ ნატვრასთან მისასვლელ გზას ერთიორად შეამოკლებდა. ოცნება ტელმანასაც ჰქონდა. სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი და სხვა საცხოვრებელიც დიდი ხანია შერჩეული ჰქონდა.

მერე საქმე კიდევ უფრო გაუადვილდა, მერე ნიკა გამოჩნდა.

– ტელმან, ვინ არის?! – ეს უკვე ტელმანას ცოლია.

ტელმანა საერთო ეზოში ცხოვრობს. ეზოს შუაგულში მდგარი სამეზობლო ონკანი, როგორც ყოველთვის, ახლაც წვეთავს და მისგან ჩამონადენი წყალი დამსკდარი ასფალტის ღარებში იკარგება. შავად შეღებილი, გასაშრობად გამოფენილი შარვლები, მაისურები თუ პერანგები ისედაც პატარა გასასვლელს მთლად ავიწროვებს და შემოსული სტუმარი ამ სიშავეს ვეღარსად გაურბის. სახლი აღარ ჩანს, მაგრამ ნიკამ ისედაც იცის, ტელმანას ფანჯარა იქვე, პირველ სართულზეა. ღია სარკმლიდან კარაქიანი ბორშჩის სუნი გამოდის და ადამიანს მახრჩობელა გველივით გუდავს.

– ტელმან, ვინ არის?! – იმეორებს ცოლი.

– არავინ, გაზის სჩოტჩიკზე მოვიდნენ.

– წინა კვირაში ხომ იყვნენ, რაღა უნდათ?! – რაღაცას ეჭვობს ტელმანას ცოლი.

– მეც ეგ არ მიკვირს. – მხრები აიჩეჩა ტელმანამ. – ნახავენ და წავლენ.

ტელმანა საკუთარ შემოსავალს, მთავრობაზე მეტად, ცოლს უმალავდა, ამიტომაც ხის, მორყეული

აივნიდან სანახევროდ გადმოიწია და ნიკას უჩურჩულა:

– მოიტანე?

– არა. – თავი გადააქნია ნიკამ. – ორი დღე მჭირდება, სხვაგან მაქვს შენახული, სახლის პატრონს ველოდები.

– ორი დღე?! ორი დღე რა ამბავია, კლიენტები მელოდებიან, იმათ რა ვუთხრა?

– რახან გითხარი ორი დღე, ესეიგი ორი დღეა საჭირო. – აღელდა ნიკა. – არ მოგწონს, შენ იქით, მე აქეთ, ამის მუშტარს მე თვითონ მოვნახავ.

– ორი, ტაკ ორი... ჩვენში ეგ რა სალაპარაკოა. – მოლბა ტელმანა, გაიღიმა და ხელები გაშალა. – მაინც რა იშოვნე ეგეთი, აღარ იტყვი?

– მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიაა, საკუთარი ხელით დაწერილი.

– ვა?! – ტელმანამ ჭკვიანი კაცის სახე მიიღო.

– რა ვა ?! – ჩაეძია ნიკა.

– ამ საქმეში დავბერდი, ეგ არ გამიგია... პროსტო არ არის, იმ კაცს ეგეთი რამე არ დაუწერია.

– შენ რა იცი?! – გაბრაზდა ნიკა. – ციხეში დაწერა, მერე ნადზორმა შეინახა, მერე იმ ნადზორის შვილიშვილი ჩემი მეზობელი იყო, მერე წასაკითხად მომცა, მერე ბინა გაყიდეს და გადავიდნენ, ეგრე დამრჩა.

– აღარ მოუკითხიათ?

– არა.

– ეგ თუ ნაღდია, ხალხი მყავს მაგაში მაგარ ფულს გადაიხდიან. შენც კარგად იხეირებ და მეც.

– ნაღდი რა? სიაფანდი რამე როდის მომიტანია? – შეუტია ნიკამ.

– ისე მალ მალე მოგაქვს, რომ მე, გრეშნიმ დელომ ვიფიქრე, მეთქი ნიკუშა ხომ არ წერს თქო, თვითონ... შენ ადრე ხომ წერდი რაღაცეებს, ვმოლოდოსტი?

– მე რას ვაკეთებდი რა შენი საქმეა?! – ტელმანას სიტყვები ნიკას გულზე მოხვდა. – ეგრე წერა რომ შემეძლოს, ეხლა აქ ვიდგებოდი და შენ შეგაჭმეინებდი ნერვებს?! მაგაზე არ გიფიქრია?!

– როგორ არა...ჰოდა რომ ვიფიქრე, მეც ტოჩნად ეგეთი რამე გამომივიდა...

– შენ რაღაც ძალიან ეჭვიანი გახდი ამ ბოლო დროს. – დაუყვავა ნიკამ.

– ჩემი ბრალი არ არის, ვრემია ტაკოე... ეგ რომ ვიფიქრე, მერე მთელი დღე სამ სებია პროკლინალ... დეტმი კლანუს...

– მოეშვი მაგ ბავშვებს, ღმერთის მაინც არ გეშინია?! – დატუქსა ნიკამ.

– ე... ნიკუშ, დო ბოგა დალეკო...

– მე ეხლა ამდენი დრო არა მაქვს. – ნიკამ ჩამწვარი სიგარეტი მოისროლა. – ჩემი პირობა ხომ გახსოვს?

– მახსოვს...

– ზეგ საღამოს მოვალ და მოგიტან.

– დილა იყოს, მე სულ სახლში ვარ. – ტელმანას სული წინ უსწრებს.

– დილით არ გამოვა, სახლის პატრონს ველოდები, ხომ გითხარი, საღამოს სახლში იყავი, დაგიძახებ.

– კაკ სკაუეშ.

არადა ტელმანა მართალია.

ნიკამ ამბების თხრობის მეტი არაფერი იცოდა. ჩვენს არეულ დროში სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ისევ ამ საქმით გადაწყვიტა თავის რჩენა. საკუთარი გვერდით გადადო და სხვების მიბაძვა დაიწყო. ისე, როგორც მხატვრები ბაძავენ დიდი ოსტატების ხელწერასა თუ ფერთა შეხამებას. ამბავს ისევ თვითონ იგონებდა, სიტყვა, თხრობის მანერა და წყობა კი იმისი იყო, ვისაც საგულდაგულოდ შეარჩევდა ხოლმე. მცირეთი დაიწყო, რამდენიმე, თითქმის უცნობ მწერალზე წაივარჯიშა. ნიკა ასეთ შედეგს არ ელოდა, გათამამდა და საქვეყნოდ ცნობილს მიადგა. არქივში დადიოდა, ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებდა, საწერად მელანს ხმარობდა და შეყვითლებულ, დაძველებულ ფურცლებს იყენებდა. მერე ტელმანას დაუკავშირდა. ძველმა ბუკინისტმა ფულის სუნი იგრძნო. რამდენიმე მუზეუმს მიჰყიდა, ერთი – ორი ბიბლიოთეკას დაუთმო, დანარჩენებმა კი კერძო კოლექციებში დაიდეს ბინა. ნიკას თავის პირობა ჰქონდა, ფულს არ ეკარებოდა. სარფიანი გარიგების შემდეგ, რამდენიმე დღეში, ტელმანა დათქმულ თანხას ნიკას ანგარიშზე ბანკში რიცხავდა. ნიკამ ამოისუნთქა. მართალია, ფრთებს დიდად ვერ გაშლიდა, მაგრამ მეორე დღის გათენების ისე აღარ ეშინოდა, როგორც უწინ. საცაა მანქანასაც იყიდდა და ზაფხულსაც უმტკივნეულოდ გადაიტანდა. ნიკას მადა გაეხსნა და ტელმანასთან სიარულს მოუხშირა. ტელმანა დაეჭვდა, ვერაფრით გაეგო, თუ რა განძისათვის მიეგნო ნიკას, მაგრამ ბევრი ვერაფერი შებედა და მის განმარტებას დასჯერდა.

ნიკა ასე ფიქრობს: ორი დღე სავსებით საკმარისია, რაღაცას დაწერს, ტელმანს, როგორც ნაღდს, ისე შეაპარებს და გასამრჯელოსაც გამოჰკრავს ხელს. წერა ჯერ კიდევ ახსოვს და არც შემმოწმებელი ჰყავს ვინმე. მერე რამდენიმე თვე დაიკარგება, ტელმანა დაწყნარდება, ეჭვს გაეყრება და მივიწყებული ნიკას დანახვა ისე გაუხარდება, როგორც ომიდან დაბრუნებული მეგობრის. ნიკა ისევ რაღაცას მოიგონებს, გაიხსენებს, მიამსგავსებს და ეს საქმეც ისევე ადვილად გაიჩარხება, როგორც სხვა ყველა. ამის იქით ნიკას თვალი არ სწვდება, მომავალზე არ ფიქრობს, დღევანდელი დღით ცხოვრობს და ის, ერთი დღე, მისთვის მთელ საუკუნეს იტევს.

რამდენიმე ფურცლის დაწერა ნიკას არასოდეს უჭირდა:

„ვზივარ, ვწერ და ვჩქარობ. დრო არ ითმენს. ჩემს დღეებს მიაქანებს, წუთებს დაუნდობლად თელავს და არავინ იცის თუ რამდენი ამოსუნთქვა შემომინახა განგებამ. ეს ამბავიც ბნელი ღამით დაიწყო, როგორც სხვა ყველაფერი, მათთვის, ვისაც მაღალმა ღმერთმა ადამიანი შეარქვა...

მძიმე ღამე მქონდა, დაბურული. ავის მთქმელი სიზმარი ვნახე. გათენებას აღარ დავუცადე, გარეთ გამოვედი და პაპიროსიც გამოვაყოლე. ფიქრნარევ სიარულში დრო მალე გაილია. შემოდგომის ძალადაკარგულმა მზემ თავი შემახსენა, გვარიანად შემაწუხა, წასვლაზე მიმანიშნა. ბედი აღარ დავცადე და მწერალთა კავშირისკენ წავედი. ბაღში შევედი თუ არა, ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს მოვკარი თვალი,

სკამზე ისხდნენ, დაღვრემილები იყვნენ ჩემსავით. იქაურობა შევათვალიერე, ვინმე ხომ არ მითვალთვალებს მეთქი, მივედი და გვერდით მივუჯექი.

– ცუდად არის ჩემი საქმე.

– რატომ, ბატონო მიხეილ, რა მოხდა?!

– წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე!

შემჭიდროვდნენ და სმენად იქცნენ.

– აი ისე, როგორც ახლა მე თქვენთან ვზივარ და ამ ბაღში ვსაუბრობ, იმავე ბაღში ვიჯექი და მწერლებთან ვსაუბრობდი. უეცრად ვესტიბულიდან შემოვიდა კურკა და დამიძახა.

– ეს კურკა ვინღაა?

– აი, კურკა, ჩვენი კურკა, გრიგოლ ორბელიანი, გენერალი... შემოვიდა გრიგოლი, კიბეებთან გაჩერდა და შორიდან დამიძახა... ეი, ტოკლიკაშვილო, მოდი აქ!.. მე მაშინვე წამოვდექი და გავყევი. ჩემი საქმე ცუდად იქნება.

ვატყობ რომ უკვირთ. იმასაც ვატყობ ვერაფერი გაიგეს.

– ვინ ტოკლიკაშვილი, ბატონო მიხეილ?

– ჩემი წინაპარი ტოკლიკაშვილი იყო.

– ჩვენ კი გვეგონა თქვენ ადამაშვილი იყავით?

– არა, ჩემი ნამდვილი წინაპრები ჯავახიშვილები არიან. ჩემს წინაპარს, ვინმე ჯავახიშვილს ქართლში კაცი შემოკვდომია. იქიდან გამოქცეულა, ქიზიყში გადმოსულა და იქაური გვარი ტოკლიკაშვილი აუღია. შემდეგ, ბორჩალოში რომ გადმოვედით, იქ ადამაშვილის გვარით ვცხოვრობდით. პაპაჩემი ხომ ადამა იყო და გვარად ადამაშვილი ავიღეთ. მე აღვადგინე და დავიბრუნე ჩვენი გვარი – ჯავახიშვილი.

მერამდენედ ვყვები ამ ამბავს, თითქოს თავს ვიმკვიდრებდე სემინარისტივით, თითქოს ფესვებს ვიმაგრებდე. იმდენი შევძელი, რომ თავად დავივიწყე, სხვა კი შევაჩვიე ჩემი გვარის ეღერადობას, მაგრამ იმ ერთმა ღამემ კურტნის მუშასავით ნაშრომი სულ წყალში გადამიყარა. წამსვე წამოვხტი და პატარა, დამჯერე ბავშვივით ორბელიანს უკან ავედევნე. ავედევნე იმ კაცს, რომელსაც ნახევარზე მეტ საქმეს მისი გვარი დაბადებამდე გაკეთებულს ახვედრებდა, მე კი დღემდე ვერაფერი გამირკვევია, ტოკლიკაშვილი ვარ, ადამაშვილი, ჯავახიშვილი თუ სამივე ერთად. ფინიასავით გავყევი იმ კაცს, რომელმაც ერთი ხეირიანი ლექსიც კი ვერ შექმნა, მე კი, ქართულის არმცოდნემ, ახალი სუნთქვა შევანიე ქართულ სიტყვას, ჩვენს პატარა ქვეყანას გავუსნარი და ჯერ ახალ ევროპას, რუსეთს მივაკითხე, ხოლო შემდეგ ძირძველ ევროპასაც ვუმტვრიე საგულდაგულოდ ჩარაზული კარი.

მაშ რად ჩამოვყარე ყურები? რად გავშეშდი? რად დავმორჩილდი?

გვარს დავყევი, თავადს უარი ვეღარ შევბედე. განა შემთხვევითია ის, რომ წარსულ საუკუნეში თითქმის ყველა ჩვენი გოლიათი მწერალი თავადი იყო? ამ აზრის ტყვე ვარ დღესაც და ჩემი სიზმარიც სწორედ ამის დასტურია.

ჩვენი თქო, რომ ვახსენე, არაფერი შემშლია. მხოლოდ ჩვენია და იმიტომ. ერთი მუჭა ხალხი ვართ, ისიც ევროპელებთან შედარებით მეტად ღარიბ – ღატაკნი და ჩვენი მწერლობის ჩამორჩენის ერთადერთი მიზეზიც ეს გახლავთ. ამ მხრივ ჩვენი ბედი

საზარელია. გადაავლეთ თვალი რუკას და გაიხსენეთ მსოფლიო კულტურის მთავარი გზა – ყოველივე აღმოსავლეთიდან წამოვიდა: მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია... ეს დიდი მდინარე ჩინეთ–ინდოეთ–შუა აზიიდან ჯერ მცირე აზიაში ჩამოვიდა, შემდეგ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მოედო, შემდეგ ლათინთა ქვეყნები ააყვავა და ბოლოს ევროპის ჩრდილო დასავლეთსა და ჩრდილოეთისკენ შეუხვია.

ეს მდინარე საქართველოს ასცდა. ჩვენ მხოლოდ ტალღები გვერგო. მსოფლიო კულტურის ეს მდინარე მუდამ ზღვის ნაპირებს მისდევს. რამდენადაც უფრო გრძელია რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხაზი, იმდენად უფრო ძლიერია ამ ხალხის საერთო კულტურა. ასე იყო წარსულში, ასეა ახლაც და მომავალშიც ასე დარჩება. გაიხსენეთ ძველი საბერძნეთი, რომი, ჩინეთი, ეხლანდელი ინგლისი, ამერიკა და იაპონია. როცა კოლუმბმა ახალი ქვეყანა აღმოაჩინა და კულტურის ცენტრი ჩაკეტილი ზღვებიდან ოკეანეში გადაიტანა, იტალიის საზღვაო ქალაქებმა საჯაროდ იგლოვეს თავიანთი მომავალი დაქვეითება. მათი გლოვა და შიში მალე გამართლდა. ბევრმა ხალხმა შეაკლა თავი საზღვაო გზებისთვის ბრძოლას: საბერძნეთმა, ფინიკეთმა, კართაგენმა... ინგლისმა მოუჭრა ეს გზები თავის მეზობლებს, ჰოლანდიას, პორტუგალიას, ესპანეთსა თუ საფრანგეთს და მხოლოდ ზღვების წყალობით დაიმკვიდრა დღევანდელი ადგილი. უკანასკნელი მსოფლიო ომის საბოლოო სათავეც აქ არის. გერმანიასაც ისევ ინგლისმა მოუჭრა საზღვაო გზა. დიდი ბაზრებისკენ გაწვდილი მარჯვენა და რუსეთის გაზრდა, გა-

ნუწყვეტელი ომებიც – პეტრე დიდიდან მოყოლებული უკანასკნელ დიდ ომამდე – გამონვეული იყო ჯერ ზღვის მოპოვების, შემდეგ საზღვაო ხაზის გაფართოებისა და ბოლოს შავი ზღვიდან გასვლის უძლეველი წყურვილით.

ჩვენც ასე ვიყავით. მუდამ ვბაქიბუქობდით, განუმეორებლობას ვიჩემებდით, ცოდვა გამხელილი სჯობია და მეც ბევრი ტყუილი თუ მართალი გადავხლართე ერთმანეთში, ხელი მივკარი, ნავაქეზე და ყოვლად უსაფუძვლო იმედები ბაირაღად ვუქციე. ვამბობდი იმას, რაც არ უნდა მეთქვა, ვაქებდი მას, რაც არ უნდა მექო, თუმცა სხვას კი ვწერდი, შეფარულად, სხვა სიტყვათა ჩრდილ ქვეშ. ვინც ამ მიმალულს შეამჩნევს და ამოიკითხავს, უმალ მიხვდება, რომ ქართული მწერლობა არათუ შვილი, მეზობელიც კი არასოდეს ყოფილა ევროპული, დიდი მწერლობისა. შავი ზღვის ნაპირებზე არ გაშლილა და ვერც გაიშლებოდა მსოფლიო მასშტაბის ცივილიზაცია. მხოლოდ ბერძნებმა და გენუელებმა ოდნავ შთაბერეს მას სული, რადგან ხელში ეჭირათ მისი გასაღებიც – ბოსფორიც და დარდანელიც. ამ მხრივ პორტი ზღვას უდრის მათთვის, ვისაც ეს გასაღები ხელში აქვს და ჩაკეტილ ტბად უნდა ჩაითვალოს იმისთვის, ვინც მის ნაპირებზე სახლობს.

ჯერ ერთი: ეს ზღვა პატარაა, შეუმჩნეველია, მიკუნჭულია თაგვის სოროსავით, მოწყვეტილია მსოფლიო გზებს. მეორე: მისი გასაღები მუდამ სხვის ჯიბეში იდო. მესამე: საქართველოს აქ მხოლოდ ერთი მტკაველი ალაგი ჰქონდა, და მეოთხეც: ჩვენდა საუბედუროდ, ქართველსაც ებრაე-

ლივით ეშინოდა წყლის. ასე ავცდით მსოფლიო კულ-ტურის გზებს, რადგან თვითონ ეს გზები ასცდნენ საქართველოს. არ მჯერა, ვითომ საქართველოზე დიდი სავაჭრო გზა გადიოდა, ვითომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის აღებ – მიცემობა აქ იხლარ-თებოდა, ვითომ შუა აზიიდან მდინარით, კასპიის ზღვით, მტკვრით, რიონით და შავი ზღვით დიდძალი გადიოდა და შემოდიოდა. რა თქმა უნდა, ასეთი გზა არსებობდა, მაგრამ იგი უფრო მთის ბილიკს ჰგავდა, ვიდრე სავაჭრო გზას და ამ დახლართულ, დაწყვე-ტილ ბილიკებით ერთი მუჭა საქონლის დატრია-ლებაც ძლივს შეიძლებოდა.

სხვა მხრივ, თითქოს არაფერი გვიჭირდა. ნიჭიე-რებით სხვაზე ნაკლებნი არ ვიყავით, მართალია, ჩვენში ქანდაკება ვერ განვითარდა, მუსიკაში ხალხური სიმღერის იქით ვერ წავედით, მხატ-ვრობაში კედლის საეკლესიო მოხატულობას ვერ გავცდით, მაგრამ მათ სანაცვლოდ ლიტერატურა განვითარდა. მაინც ვინ? რა ხალხია? საიდან მოვიდ-ნენ? გვარ – სახელის ჩამოთვლა ტელეფონის ცნობარის საქმეა და არა მწერლისა. ერთის თქმა კი შეიძლება, ევროპელსა თუ რუსს, ქართულზე მეტად, საკუთარი საშუალო მოთხრობის წაკითხვა ურჩევ-ნია. არადა, ეს ჩვენი, ყოველმხრივ აღემატება მათ საშუალოს: ჩანაფიქრიც კარგია, ამბავიც მოსაწონი, გმირიც გამახსოვრდება და ეს ყოველივე ფორმის ისეთ სამოსშია გახვეული, ბევრ რუსსა თუ ევრო-პელს შეშურდება. მაშ რა ხდება? რად მოიკოჭლებს ყველა ჩვენი მოთხრობა, რომანი, ნოველა თუ ესსე? სად მარხია ძაღლის თავი? ბევრი განსჯა და ფიქრი

ამას არ სჭირდება. თუკი რაიმე მოძრაობს ქვეყანაზე, თუკი რაიმე სუნთქავს, ანდა რაიმე ხდება, ერთი მიზეზი აქვს მხოლოდ – ქალი.

არა, ქალი როგორ არ იყო ჩვენს მწერლობაში, მაგრამ, ყველასგან განსხვავებით, ჩვენი დედაკაცი თავისუფალია, თითქმის მამაკაცის სწორია. იყო დრო, როცა წერა – კითხვას და ცოდნას უფრო დედაკაცი ინახავდა და ავრცელებდა, ვიდრე მამაკაცი. შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, ქართველი მონაზვნები თარგმნიან, რედაქტორობენ და მასწავლებლობენ. იგივე ხდებოდა ჩვენშიც. როცა ქართველ ქალს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში თავისი წვლილი შეჰქონდა, აღმოსავლელი დედაკაცი ჰარამჰანასა და ჩადრში იხრჩობოდა. ჩადრი არც ევროპამ მიიღო, ჩვენც ჩამოვიხსენით, მაგრამ ევროპულმა მწერლობამ, ჩადრთან ერთად, ქალი სამოსიდანაც გაათავისუფლა, ჩვენ კი ჩადრს გადავარჩინეთ და მასზე უარესი ხუნდები დავადეთ. ვერსად ნახავთ შიშველ სხეულს, ვნებიან კოცნას, მიჩქმალული გრძნობის დუღილს. მხოლოდ შორით ალვა, შორით დაგვა, გაუთავებელი წუხილი და გაუმხელელი საიდუმლო. ამის გამო ვიხარშებით საკუთარ წვენში, ვერაფრით გაგვირღვევია საზღვარი და ვერც ევროპის მაჯისცემას ავდევნებივართ. დიდ მწერლობას მამაკაცები ქმნიან და მამკაცები კითხულობენ, ამ თამაშს კი თავისი წესები აქვს. სწორედ ეს იყო მიზეზი ჩვენი მწერლობის ჩამორჩენისა, ჩამორჩენა კი მხოლოდ სიკვდილთან ვარგა.

იყო თქო ვთქვი და არაფერი შემშლია. ჩემამდე იყო ეს ყოველივე. მე გავაშიშვლე ქართველი ქალის

ცხრაკლიტულში გამომწყვდეული ხილვები, მის სულსაც შემოვძარცვე სამოსი და მის სხეულსაც. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს ცხრაკლიტული საშინელმა სიზმარმა გამახსნევინა.

მაშინ ყირიმში ვსწავლობდი. მწერლობას არ ვფიქრობდი და ქართულთანაც მწყრალად გახლდით, თითქმის დამავიწყდა. მშობლიურ ენაზე მხოლოდ სიზმრებს ვხედავდი, ეს აუტანელი ხილვები მახსენებდნენ ჩემს ჯილაგს და წარმომავლობას. მაგრამ თუ აქამდე ჩემს სიზმრებს ცუდი არაფერი მოჰქონდა და პირიქით, სასიამოვნო ჟრუანტელსაც კი მგვრიდნენ მივიწყებული ამბების შეხსენებით, იმ ღამით ყველაფერი შეიცვალა. ჩემი სახლი მესიზმრა. შიგნით შევედი, დავირბინე, მაგრამ ვერავის მივაგენი. ამ სატანჯველიდან რიჟრაჟმა მიხსნა. მთელი დღე უგუნებოდ დავდიოდი, აშლილი გრძნობა ვერ მოვთოკე, საქართველოდან კარგა ხანია წერილი არ მომდიოდა და ესეც მაწუხებდა.

საღამოს ამხანაგები შევიკრიბეთ. მიღებული ამანათი გავხსენით, სანოვაგე ამოვალაგეთ და მაგიდას შემოუსხედით. საქართველოდან გაზეთებსაც გვიგზავნიდნენ ხოლმე, ახალ ამბებს სწორედ აქედან ვიგებდით. სანამ სხვები ამანათით იყვნენ გართულები, მე გაზეთების თვალიერება დავიწყე, სხვადასხვა ამბები ამოვიკითხე და ბოლოს ერთ განცხადებას ნავაწყდი.

სოფელ სიონში დიდი უბედურება მომხდარა...

ჩემს დას, სოფიოს, ერთი ახალგაზრდა კაცი გადაეკიდა და მოსვენებას არ აძლევდა. სოფიო ნლოვანებით პატარა იყო, თოთხმეტი ნლის შესრულდა,

მაგრამ გაცილებით მეტს მისცემდით. შესანიშნავი ტანის პატრონი, მოსული და ჯან – ღონით სავსე. მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა, ახლომხედველი იყო. არც თვითონ მშობლებს და არც სოფიოს ამ კაცზე გათხოვება არ უნდოდა, ამიტომაც მთხოვნელს უარი შეუთვალეს. კაცი არ ეშვებოდა და ოჯახს ძალიან ანუხებდა. ჩვენებმა სოფიოს გათხოვება დააჩქარეს და სხვა კაცზე დანიშნეს. ყველაფერი სწრაფად მოხდა და ბევრმა არც კი იცოდა ეს ამბავი. ის ვაჟი, სანდრო, რომელსაც სოფიოს შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი, იმ დროს სოფელში არ იმყოფებოდა, წერაქვში იყო ასული და ორმოცს ესწრებოდა. ეს ამბავიც იქ გაიგო. ზომაზე მეტად მთვრალმა ქუდი მიწას დაანარცხა და გულში შურისძიება ჩაიდო. მთვრალი კაცის სიტყვებს ყურადღება არავინ მიაქცია. სანდრომ და მისმა ნათესავებმა მაშინვე მიატოვეს იქაურობა და სიონისკენ წამოვიდნენ. გზაში გეგმა შეადგინეს და სოფიოს მოტაცება გადაწყვიტეს.

საღამო იყო,' როდესაც ვილაცამ გარედან დაიძახა. დედაჩემმა მაშინვე იცნო ის კაცი, სოფიოს რომ დასდევდა, არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია. თოფი მოსთხოვეს, ვითომ სანადიროდ მიდიოდნენ. დედამ თოფი გაიტანა, თუმცა სანადიროდ წასვლა გადაიფიქრეს და თოფი მალევე დაუბრუნეს. დედაჩემმა თოფი ჩამოართვა, თავის ადგილას დაჰკიდა და აზრადაც არ მოსვლია მისი გასინჯვა. ვერაგული გეგმის მთავარი ნაწილიც ეს იყო, მას დაცლილი თოფი დაუბრუნეს.

სხვებმა მამაჩემის მოჯამაგირე დაპატიჟეს და მთელი დღის განმავლობაში ღვინოს ასმევდნენ, თან

ნელ-ნელა თავის ბადეში ითრევდნენ. ეს თათარი მოჯამაგირე კარს ღია დასტოვებდა, ძაღლებს გაიტყუებდა, დანარჩენები კიდევ მძინარე ქალს ხელში აიყვანდნენ და გაიტაცებდნენ. ასეთი გეგმა დაალაგეს.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩაიფიქრეს:

მოჯამაგირემ კარი ღია დატოვა, თვითონ კი დაიძინა. გვიან ღამით, ორი შეიარაღებული კაცი ღობეზე გადაძვრა და სახლში შეიპარა. რადგან სახლში მამაკაცი არავინ იყო, თავისუფლად მოძრაობდნენ, ოთახები მოიარეს და მძინარე დედა – შვილს თავზე წაადგნენ. ქალები ვაჟკაცურად დაუხვდნენ ავაზაკებს და თავს გააფთრებით იცავდნენ. კაცებმა დედა – შვილის დაშორება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გამხეცებულებმა დედის მოკვლა ამჯობინეს, თავში ნაჯახი დაჰკრეს და იქვე გაათავეს.

ახლა სოფიოს მიუბრუნდნენ...

სოფიო ჯანმრთელი, ღონიერი ქალი იყო. დედის სიკვდილს აყურებინეს, მის სისხლში გათხვარეს. ამან სულ გადარია, ძალები გაუათკეცა, საწოლის თავს ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა და ლოგინს ზედ დააკვდა. რა არ სცადეს, მაგრამ ხელი ვერაფრით გააშვებინეს. დრო გადიოდა, გეგმები ეფუშებოდათ, ქალს კი ვერაფერი მოუხერხეს. ისღა დარჩენოდათ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ეზრუნათ. გამხეცებულებმა სოფიოც საწოლს დააკლეს, მასაც ცულით გაუპეს თავი.

ხმაურზე მთვრალ მოჯამაგირეს გამოეღვიძა, დახმარება სცადა, თოფიც მოიმარჯვა, მაგრამ რას

ისროდა, იმათ დაასწრეს და მუცელში სასიკვდილოდ დასჭრეს. მკვლელები გაიქცნენ. სისხლში მოსვრილი ხელები და გაშავებული სულები ტყეს შეაფარეს, სიბნელეს მიუგდეს საჯიჯგნად.

მოჯამაგირემ ერთხანს იწვალა, მკვლელების დასახელებაც მოასწრო, პატიება ითხოვა და მალევე გარდაიცვალა. სასწრაფოდ სადახლოში კაცი გაგზავნეს და ეს საშინელი ამბავი, მამაჩემს, საბას შეატყობინეს. იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგას მამაჩემის სახე. ეს რა დაემართა? როგორ დაენგრა ბედნიერი ოჯახი? მერე სიკვდილი?... სიკვდილსაც ხომ გააჩნია? ტირის და ვერცა გრძნობს, ცრემლები ჩამოსდის და არაფრად აგდებს. ცხენი ნაბიჯით მიჰყავს და არსად ეჩქარება. დრო იყო, ფრენით მიდიოდა შინისკენ, ახლა კი მოცოცავდა, როგორც ჭია, როგორც წელში გაწყვეტილი მუხლუხო.

ცხოვრებამ თავისი გზით წაიყვანა ყოველივე:

სოფელში პრისტავი ამოვიდა, ხალხი დაჰკითხა და ოქმი შეადგინა...

საბამ ცოლ – შვილი ეკლესიის ეზოში დაასაფლავა...

პატიმრები მაშინვე ციხეში წაიყვანეს. გზაში წყალი უნდა გაევლოთ, შუა წყალში მკვლელი ორივე თვალით უეცრად დაბრმავდა. ციხის მაგივრად საავადმყოფოში გადაიყვანეს, სამი თვე იცოცხლა და წამებაში გარდაიცვალა...

ერთ ღამეში მამაჩემი ღრმა მოხუცად იქცა.

ამ ამბავს მიმალავდნენ, მაგრამ გაზეთის წყალობით მაინც გავიგე. ის უცნაური სიზმარიც

ამიხდა. რა უნდა მექნა? გული ჩამწყდა, ფეხქვეშ მიწა გამომეცალა და ტირილიც ვეღარ შევძელი. მეგობრებმა არ მიმატოვეს, ჩემს გვერდით დასხდნენ და ჩემთან ერთად იგლოვეს. ახალგაზრდები ვიყავით და მაშინ არაყი მწუხარების წამალი გვეგონა. არყის სმას ჩვეული არ ვიყავი, მაგარი სასმელები არასოდეს მიყვარდა, ყველას მოეკიდა, მაგრამ განსაკუთრებით ჩემზე იმოქმედა. მაგრად დავთვერი, არაფერი მახსოვს, ლოგინამდე მეგობრებმა მიმიტანეს.

მეორე დილით სასწავლებელში უნდა წავსულიყავი. წესიერად გამოფხიზლებული არც კი ვიყავი, რომ ლოცვების წაკითხვა მომთხოვეს. ასეთი წესი ჰქონდა ჩვენს სასწავლებელს. ღმერთმა საშინლად დამსაჯა, თითქოს მხოლოდ ჩემთვის მოიცალა და მე კი მის ქებადიდებას მთხოვდნენ. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. მასწავლებელი არ მომეშვა, არც მე დავთმე და მასწავლებელს იქით შევუტიე. დირექტორს დაუძახეს, მაგრამ ეს ამბავი მაინც კეთილად დასრულდა: ჩემი უბედურების ამბავი რომ გაიგეს, აღარ დამსაჯეს. მე კი ამ სატანჯველიდან ერთი გაკვეთილი გამოვიტანე: ადამიანი დიდი დარდისთვის თავიდანვე უნდა მოემზადოს, თორემ მოულოდნელი ჭირი და უბედურება ძნელი გადასატანია. ასეთი დარდი აუცილებლად ადვილად გასრესს ადამიანს. ამის შემდეგ ღმერთს საბოლოოდ ვკარი ხელი, პირველი მან მკრა და არც მე დავრჩენილვარ ვალში. თუკი სადმე, ჩემს ნაწარმოებში, ღვთისმასახურს წაანყდებით, ხელში მოღალატე, ფლიდი, მომხვეჭელი, დაუნდობელი და სისხლისმსმელი ვინმე შეგრჩებათ.

ამ ნაკადულის სათავე ჩემს ყმაწვილკაცობაშია საძიებელი.

მამაჩემი ურწმუნო კაცი იყო, არც ღმერთი სწამდა და არც ხატი. ვინ იცის, იქნებ ჩვენი ოჯახის თავზე დატრიალებული ბორბალი სწორედ ამის გამოძახილი იყო. თუმცა მე არ გავტეხილვარ, მუხლი არ მომიყრია და არც უსიტყვო მორჩილება აღმითქვამს. რაც სისხლში გაქვს, იმას ვერავინ გაექცევა. არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. მახსოვს, სკოლაში კარგი მგალობელი გუნდი გვყავდა. მე და ჩემი მეგობარი ამ გუნდში ვმღერიდით. ეკლესიაში ერთი ტანად ძალიან პატარა დიაკვანი გვყავდა, დილოსი ერქვა, მეტსახელად პუციკა. მისი გალობა კატის კნავილს ჩამოგავდა და ხშირად დავცინოდით ხოლმე. ერთხელ ეკლესიაში, წირვაზე ჩემს მეგობარს ჩავჩურჩულე: ნახე ღვთისმშობელს რა ლამაზი საკოცნელი ტუჩები აქვს მეთქი. ჩურჩული მეგონა, ხმამაღალი საუბარი კი გამომივიდა. ლოტბარმა ყური მოჰკრა ჩემს სიტყვებს და ერთი მაგარი სილა მსტკიცა. დავისაჯე, მაგრამ რა აზრიც მაშინ მქონდა, დღესაც იმ აზრის მატარებელი ვარ. პუციკა ტყუილად არ მიხსენებია, არაფერი მავიწყდება და ყაშა ლაზარე ამ დიაკვანის თარგიდან გამოვჭერი. უფრო დავადაბლე, სახეზე გავაწითლე, ხმა მთლად დავუწვრილე, ლაფში ამოვთხვარე და ეპისკოპოს პავლესთან დავამეგობრე. ხომ კარგი ნყვილია, მე და ჩემმა ღმერთმა? იმ დღიდან ერთად დადიან და თავის შავ – ბნელ საქმესაც ერთად აკეთებენ.

ყველგან ქალს ვეძებდი...

ეს ამბავი ყირიმში სწავლის დროს მოხდა. აღდგომის წირვის შემდეგ, რუსული წესის მიხედვით, ყვე-

ლანი ერთმანეთს კოცნით ულოცავდნენ დღესასწაულს. ძალიან გვიყვარდა ჩვენი მასწავლებლების გოგოების კოცნა. მათში ულამაზესი ერთი ერია, მასწავლებელ ლევენტანის ქალიშვილი ლენა. წირვას კი ესწრებოდა, მაგრამ არ გვაკოცნინებდა ხოლმე. სულ იმას გაიძახოდა, მე ქრისტიანი არა ვარ და თქვენი კოცნა არ მეკუთნისო. დავუდარაჯდი, კარგი ადგილი შევარჩიე, ჩემსკენ მოვწიე და ძალით ჩავკოცნე. გაბრაზდა, რაც კი ცუდი რამ იცოდა, ყველაფერი ერთად მომაყარა. მე არ დავიბენი, თუ ეგრე გწყინს უკან დამიბრუნე მეთქი ჩემი კოცნა, ვუთხარი და ხელმეორედ ჩავკოცნე. ამაზე სულ გადაირია, გაიქცა, მე უკან მივსდიე, მართალია გამიჭირდა, მაგრამ მაინც შემოვირიგე.

დაბადებიდანვე განსაკუთრებით მივლიდნენ. საცვლებსაც კი განსაკუთრებულს მაცმევდნენ, საგანგებოდ შეკერილს, უფრო ნაზს და დამყოლს. სულ გოგოს სამოსში ვიყავი გამოხვეული. ჩემი ნათესავი ქალი დღეს არ ჩაცდენდა, სიამაყით არ გაეხსენებინა: კოხტა პერანგებს მე ვუკერავდი, ჩემი ნახელავი ცვითა და აკი გამოვიდა კიდეც ასეთი ნასწავლი და სახელოვანი კაციო. ნაზი პერანგების მატარებელი შეიძლება სახელოვანიც გამოვიდეს და ნასწავლიც, მაგრამ მისი კაცობის არა მჯერა რა. მოგვიანებით, წერისას, ესეც გამომადგა.

ერთ დღეს თომა გამოვძერწე. თომა სინაზეში ზარდეს, რბილ საცვლებში გამოახვიეს, სკოლა დაამთავრებინეს, ბუღალტრობა ასწავლეს. შრომობს ჩვენი თომა, დღე და ღამეს ასწორებს. არ შეუძლია მოლარეს გართობა, არც დუქნებში გამოჩენა, არც

კლუბებში ხეტიალი, არც ქაღალდის თამაში, არც ლამაზი ქალი. ამხანაგებმა ვერაფერში აიყოლიეს, მერე ცოცხალთა სიიდან ამოშალეს და ბერი შეარქვეს. გავიდა ხანი, თომა ოცდასამის შეიქნა. ბუნებამ თავისი გაიტანა, იძალა და მოლარე თავის მარწუხებში მოაქცია.

თომა ექიმის გვერდით ცხოვრობდა. იმ ექიმს მოახლე ჰყავდა, თეთრი, მსუქანი და მხიარული დედაკაცი. ქალს თომას მორცხვობა მობეზრდა, თვითონვე მიეტანა და ჭაბუკი თავის ოთახში შეათრია. თვითონვე გახადა ტანისამოსი და ლოგინში ჩააწვინა. თომამ იმ დედაკაცს ორივე ხელით გაუწოდა თავისი უმანკოება, მაგრამ იმავე წუთს განათებულ საწოლზე გრძელი ჩრდილი ჩამონვა. თომა დაშინდა, წელი ვეღარ აიტანა და ტახტის კუთხეში მიიყუჟა.

ვინმე ახმახმა ფანჯრის რაფას გადმოალაჯა, კარებისკენ გაქცეულ დედაკაცს დასწვდა და ქვეშ ამოიდო. ის ლანდი და დედაკაცი ერთმანეთს ჩაეხვივნენ. შიშველი დედაკაცი პერანგიდან ამოძვრა და გასხლტა, მაგრამ ლანდი ისევ გადაეფარა. თომა ნათლად ხედავდა ამ კოტრიალს, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. დედაკაცი ღმუოდა და ხრიალებდა, მერე კი ისეთი ბღავილი ამოუშვა, რომ თავისი საყვარელიც დააფრთხო და მეზობლებიც გააღვიძა. დაფეთებულმა ლანდმა ფანჯრის დირეს გადაალაჯა, კიბეზე რახუნი ასტეხა და გაქრა. სახლში ჩოჩქოლი ატყდა, ექიმი და მეეზოვე შემოცვივდნენ და ხელში გახევებული თომა შერჩათ.

რა მივიღეთ? თომა დაშინდა, საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა, მაგრამ იქაც ლამაზი მეზობელი

დახვდა, თეკლა. თომა თეკლასაც ერიდებოდა და ქურდივით გაურბოდა. თეკლა გათამამდა, რაკი თომა არ ამჩნევდა ლამაზ დედაკაცს, არც ის ერიდებოდა მოლარეს და საერთო აივანზე თითქმის პერანგის ამარა დადიოდა. თომა კუნძივით ეგდო აივნის ბოლოს და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. თუმცა ერთხელ მაინც გაბედა და ინანა.

იმ დღეს ბერი ჩუმად გავიდა აივანზე და კარებშივე მეხი დაეცა. იქვე, მოაჯირთან, თეკლა იჯდა. კაბა თეძოებამდე ჰქონდა აწეული, მოთეთრო, სავსე ბარძაყები მუთაქასავით ელაგა სკამზე. ცალი ფეხიდან წინდას ისე იხდიდა, თითქოს მსხვილსა და მოკლე გველს შავ პერანგს აძრობდა. იდუმალი ძალით დაბმულმა შიშის ჯაჭვები დამპალი ძაფებივით დასნყვიტა, თოფისწამალივით იფეთქა და გაგიჟებული მოლარე უმალ იმ დედაკაცზე მიაგდო. თეკლამ შეჰკივლა, მოლარეს ხელიდან დაუსხლტდა, ერთი გადაიხარხარა და ოთახში შეგორდა. თომას ხელში წინდაღა შერჩა. მან მოწიწებით დასდო წინდა სკამზე და თავის ოთახში ჩაიკეტა.

თომა საბოლოოდ დაფრთხა, მაგრამ ქალის სურნელი ოთახიდან ექაჩებოდა და მის გამოთრევას ლამობდა. ახლაც არაფერს აპირებდა თომა, მაგრამ თოკზე გადაფენილ ქალის შავ წინდებს მოჰკრა თვალი. სწორედ თომას ფანჯრის წინ თეკლას განიერი, თოვლივით თეთრი და არშიანი პერანგის ამხანაგი ჩამოვკიდე. ბერი ისე დააშტერდა იმ საცვალს, როგორც მაშინ თეკლას ფეხებს. უხილავმა ძალამ აივანზე გაიყვანა, ხელი გააპარა, ჯადოსნური საცვალი ჩამოიღო, უბეში ჩაიდო და ოთახში შევარდა. პე-

რანგის ამხანაგი წელზე შემოიკრა და სამსახურში გაიქცა. იმ საცვალში ქალის ფეხები ეწყო, რომელნიც თეძოებზე ჰქონდა შემოჭერილი. სამსახურში ვერაფერი გააკეთა, ციფრებს თავი ვერ მოაბა, სხვაზე ვერაფერზე ფიქრობდა. დიდხანს ვერ გაუძლო წამებას: ჩეჩმაში ჩაიკეტა, ქალის საცვალი მოიხსნა, დაგლიჯა, ჩამოშვებულ წყალს გააყოლა და ისევ არხეინად დაუბრუნდა სალაროს საკანს.

რამ დააწყნარა, რამ შემატა სიმხნევე ალმოდებულ ყმანვილს? ქალის საცვლებთან ერთად, ჩეჩმაში ჩაკეტილ თომასნაირებს რა ახარებთ მკითხველი უჩემოდაც ადვილად მიხვდება.

ჩვენს ირგვლივ რაღაც უხილავი და საშინელი ძალა არსებობს. შენი ნება დღემუდამ ებრძვის მას. არ გინდა ჩავარდე ამ უჩინარის ხელში. იცი, რომ დაიღუპები, მაგრამ, ამავე დროს, გრძნობ და ხედავ, რომ ის ჯადოსნური ძალა თანდათან ისე გიზიდავს დაღებული პირისკენ, როგორც მცურავის თვალი იზიდავს მოხიბლულ'ნიბლიას. შენც ნელ- ნელა მიცურავ დაღებული პირისკენ. ჰკივი, მაგრამ მიცოცავ, კვნესი, მაგრამ მიეთრევი. მწარედ ებრძვი საკუთარ თავს, თუმცა ამაოდ. ისევ მიფოფხავ, მაინც მიდიხარ... ასე ვებრძოლე, წლებთან ერთად, ჩემს თავს და იმ დაღებულ ხახას, მაგრამ უნაყოფოდ, რადგან თავით ფეხებამდე უკვე გველეშაპის კბილებში ვიყავი გახირული.

მე გამომიცდია ასეთი რამ.

თქვენ?

ცნობისმოყვარე და დაინტერესებული ვიყავი ყოველთვის. ყველაფერს საკუთარი ხელით უნდა

შევხებოდი და საკუთარი თვალით უნდა მენახა. ირგვლივ ყველაფერს გულდასმით ვაკვირდებოდი. ფეხზე მყარად დავდექი თუ არა, ჩემი ნარმომავლობის გარკვევა ვცადე. საბუთი თითქმის არ შემორჩა, აღარც მთხრობელია ვინმე და ამიტომ თეთრი ლაქების ამოვსება მე ვითავე. როგორც გამოცდილი მეძებარი ისე მივყვებოდი კვალს და ხავსმოკიდებულ ამბებს ობს ვაცლიდი. ჩემდა გასაკვირად, აქ მკვლელობაც ვიპოვნე, მიმალულიც აღმოვაჩინე და ღალატის უსიამოვნო შეგრძნებაც ხელახლა გადავიტანე.

დავბადებულვარ სოფელ წერაქვში. იცით სად არის ეს სოფელი? არ გეცოდნებათ და არც მიკვირს. ჩვენ, ქართველებს არ გვეხერხება ჩვენი პატარა მინა – წყლის შესნავლა. სიმართლე რომ ვთქვათ, შესასწავლიც არაფერია. ეს სოფელი ერთი შეუხედავი რამეა, მივარდნილ ადგილას გაშენებული. იქაურებს არც კი ენახათ რკინის გზა, ჩაი, შაქარი, ნავთის ლამპა, მოსამართლე. იქაური ერთი წელინადი სხვაგან გატარებულ ათ წელინადს უდრიდა.

ახლა როგორ მოვხვდი ამ ადგილას.

დედაჩემი ნარმოშობით ქართლელი ქალი იყო, ბურნაძეების გვარის შთამომავალი.ბატონმა ბურნაძის ოჯახი ას მანეთად მიჰყიდა წერაქვის ბატონ გრიგოლ ბარათაშვილს, რომელმაც ეს ხალხი ნამოიყვანა და ნასოფლარ ადგილას დაასახლა. გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრე და მამულების პატრონი მისი ვაჟიშვილი, კოლა ბარათაშვილი გახდა. საშინელი ვინმე ყოფილა ეს ჩვენი კოლა, სასტიკი და მკაცრი ხასიათის კაცი. ხალხს

ცუდად ექცეოდა, ავიწროებდა, აწიოკებდა. ბანქოსაც თამაშობდა, არც ქალებს იკლებდა და ვალებს ვერ აუდიოდა. ხშირად მამულიდან მიღებული შემოსავალი არ ჰყოფნიდა და ბანქოს თამაშის დროს მინებსაც ჩამოდიოდა, აგებდა კიდეც. ბოლოს იძულებული შეიქნა რუსეთში გადახვეწილიყო, ბოლო დღეები იქ გაატარა და სიღარიბეში გარდაიცვალა. მისი მამული ხელიდან-ხელში გადადიოდა. ბოლოს ეს მამული ვიდენეევმა იყიდა, მოგვიანებით მანთაშევს მიჰყიდა, იმას კიდევ რევოლუციამ მოუსწრო და ყველაფერი ცხვირში ამოადინა.

მამაჩემი წარმოშობით ქიზიყელი იყო. თავიდანვე უცნაური ხასიათის ყოფილა, არავის ემორჩილებოდა და მამის მკაცრ ბუნებას ვერ ეგუებოდა. დედის სიკვდილის შემდეგ მამა-შვილს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მამაჩემმა სოფელში რამდენიმე თავისნაირი მონახა და იქაურობის მიტოვება განიზრახა. ირიჟრაჟა თუ არა, ღვინით დატვირთულ ურმებს გაჰყვნენ. ყველა გზა, როგორც ახლა, მაშინაც ქალაქისკენ მიდიოდა.

თბილისში მამაჩემს არავინ ჰყავდა. სამუშაოს შოვნა ჭირდა, ხშირად ნახევრად მშიერი და უმუშევარი დადიოდა. ერთ დღეს კარგი ამბავი მოუტანეს, სადღაც ქალაქგარეთ გზა გაჰყავდათ და მუშახელი ესაჭიროებოდათ. მამა შულავერში ჩავიდა, იქაურობა მოეწონა და დარჩენა გადაწყვიტა. თუმცა გზის გაყვანას თავი აარიდა. სამი წელი მებაღედ მუშაობდა. ამ ბაღის პატრონი მდიდარი კაცი იყო, ბაქოში ცხოვრობდა და მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა. ასე რომ, მთელი მისი მამული მამაჩემის ხელში იმყოფებოდა.

ერთ დღესაც, რაღაც საქმეზე, წერაქვში მოუწია ასვლა. კოლა ბარათაშვილის ოჯახში კი ამ დროს მისი და, მაიკო, იმყოფებოდა, რომელიც ვანო მელიქიშვილის მეუღლე გახლდათ. ვანო მელიქიშვილს სადახლოში საუკეთესო მამული და ბაღები ჰქონდა. უკეთეს შემთხვევას ვერც ინატრებდა კაცი. მამაჩემმა მაიკოს გაცნობა გადაწყვიტა, სათქმელად ადვილია, თორემ როგორ მოახერხებდა ამას, ვერც კი წარმოედგინა. აქაც გაუმართლა. ყველაფერი ისე მომხდარა, როგორც ბერძნულ მითებში, თითქოს მამაჩემი და მისი მეგობრები არგონავტები ყოფილიყვნენ და არა ჯიბეგაფხეკილი ქართველები.

კოლა ბარათაშვილს ერთი ბუღა ჰყოლია, დაუდეგარი და ბრაზიანი, ახლოს არავის იკარებდა. იმ დღესაც ეზოში გამოსულა, აქეთ -იქით აწყდებოდა და შიშით ვერავინ ბედავდა ახლო მისვლას. კოლას უთქვამს, ვინც ამ ბუღას დაიჭერს, იმას დავასაჩუქრებო. აბა, ასეთ შემთხვევას ხელიდან ვინ გაუშვებდა. მამაჩემმა და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს ამ საქმისთვის მიეხედათ. დიდი წვალებით კუთხეში მიიმწყვდიეს, ერთმა რქებში სტაცა ხელი, მეორემ კუდში, მამაჩემი კიდევ ზედ შეაჯდა და ისე გახედნა. კოლა კმაყოფილი დარჩა. მაიკოსაც მოეწონა ეს ამბავი. ასე გაიცნო მამაჩემმა მაიკო ბარათაშვილი. სიტყვას სიტყვა მოჰყვა, მამამ გაბედა და სამსახური სთხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ მამაჩემი შულავერიდან სადახლოში გადავიდა. ასეთი მფარველის ხელში მალე არნახულ წარმატებას მიაღწია, მებაღიდან მამულების მმართველად გადაიქცა და საბას განკარგულებაში თავადის ბაღები აღ-

მოჩნდა, რომელიც სადახლოდან პრივოლნოემდე გრძელდებოდა.

მადა ჭამაში მოდის...

ნერაქვის სახლ კარი სადახლოდან კარგა მანძილით იყო დაშორებული. სიარული ჭირდა, განსაკუთრებით ზამთარში. მამაჩემმა გადაწყვიტა სადმე ქვევით, მთავარ გზასთან ახლოს ჩამოსულიყო. საუკეთესო ადგილი შეარჩია. მართალია, დაუსახლებელი იყო, მაგრამ ბუნებას არაფერი დაეწუნებოდა, ჰავაც სანაქებო ჩანდა. თუმცა ერთი წინააღმდეგობა მაინც რჩებოდა. ეს ადგილები საეკლესიო მიწებად ითვლებოდა და მიწის მისაღებად სინოდის გადაწყვეტილება იყო საჭირო, კერძო პირზე გაცემა კი ყველას წარმოუდგენლად ესახებოდა. მამაჩემმა ისევ მაიკოს მიმართა. თავადის ქალმა უარი არც ამჯერად უთხრა, დანაპირები შეასრულა და ეს ადგილები მამაჩემს დაუმტკიცდა.

რა აკავშირებდათ მამაჩემსა და მაიკო ბარათაშვილს? რად უსრულებდა ყველა თხოვნას? როგორ დაეპატრონა უქონელი კაცი ამოდენა მიწას? მათი საუბრები საიდუმლოდ დარჩა, მათი ურთიერთობის გასაღებს ვერ მივაგენი და ამოცანასაც ჩემებური ახსნა მოვუძებნე.

ჩემი რომანი „ჯაყოს ხიზნები" ყველას გახსოვთ, ვინც არ იცის, იმათთვის მოკლედ ვიტყვი: ამ რომანში აღნერილია თუ როგორ ისარგებლა დროებითი არეულობით ჯაყომ და როგორ ჩამოართვა ქონება თეიმურაზ ხევისთავს.

დღე ისე არ გავიდოდა ვინმეს არ ეკითხა ამ რომანის შესახებ, სად მოხდა, როგორ მოხდა, ვინ ნახა,

ან ვინ მომითხრო. ხან რას ვამბობდი, ხან რას, ვცრუობდი, სხვადასხვა ამბებს ვთხზავდი, თუმცა სხვას კი ვფიქრობდი. დღეს მინდა სიმართლე ვთქვა. მამაჩემმაც ისევე დაისაკუთრა ქონება, როგორც ჯაყომ, მამაჩემმაც ისე ატარა თავის ჭკუაზე ვანო მელიქიშვილი, როგორც ჯაყომ თეიმურაზ ხევისთავი, ისევე გადააწვინა უხეშ ურემზე მაიკო, როგორც ჯაყომ ვნებიანი მარგო. დანარჩენი მე მოვიგონე, ნაგულისხმევი სიტყვად ვაქციე და სული შთავბერე.

არ გჯერათ?

თუ არ გჯერათ, ჯიჯის ჰკითხეთ ალფაიძეს..."

ეს მგონი სხვა მოთხრობიდანაა – გაიფიქრა ნიკამ. ჰო, დოჩანაშვილია, ნაღდად ეგ არის, ეგ ჯერ არ მჭირდება. ნიკამ ნაწერი გულმოდგინედ გადახაზა, ისე რომ ტელმანას არაფერი გაეგო. ისე, გადახაზული ნაწილი ნაწერს მოუხდა, სიძველის ეშხი და ბუნებრიობა შემატა.

ნიკამ გააგრძელა:

„ვიდრე მარგოს, თუნდაც პატარა დედაკაცის გულისნადების გაცოცხლება ვისწავლე, ბევრი ვივარჯიშე. ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ქართულზე მეტად რუსული ვიცოდი. შვიდი წლის სკოლაში მიმაბარეს. ახლო – მახლო არსად იყო ქართული სასწავლებელი, სწავლა ყველგან რუსულად მიმდინარეობდა. ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ პრივოლნოეს სასწავლებელში მიმიყვანეს. მოგვიანებით ჯელალ ოღლის სასნავლებელში. ეს სკოლა ოთხ წელიწადში დავამთავრე. მამაჩემს უნდოდა ნასწავლი აგრონომი გამოვსულიყავი. ამ დროს წინამძღვრიან-

თკარის სასწავლებელი გაიხსნა და მეც იქ აღმოვ-ჩნდი. გამიჭირდა, ჩემმა საქმემ უკან დაიწია. გამიძ-ნელდა საგნების ქართულად ათვისება, ვერც მე-გობრები შევიძინე, გვიჭირდა საერთო ენის გამო-ნახვა. გამუდმებით დამცინოდნენ, მიზეზი არ ელეო-დათ: შეცდომებს არ მპატიობდნენ, გამოთქმას მი-წუნებდნენ, არასწორი მახვილის გამო სიცილს მაყრიდნენ, ამის გვირგვინი კი ის იყო, რომ რუსაპე-ტა შემარქვეს. უცნაური ხალხი ვართ ქართველები, უცოდინარობასაც ისევე ვკიცხავთ, როგორც გადა-მეტებულ ცოდნას. ცალკე სირცხვილი მწვავდა, ცალკე თავმოყვარეობა მთელავდა. ენას კლიტე და-ვადე, მუშტები შევკარი და საიდუმლო მიზანი გულ-ში ღრმად ჩავიმარხე: მტკიცედ გადავწყვიტე მშობლიური ენა ისე მესწავლა, რომ პირველობა არა-ვისთვის დამეთმო.

სიამაყით ვამბობ, ამას მივაღწიე.

ჩემამდე კი...

ქართულ ლიტერატურულ ენას ქართული ინტე-ლიგენცია ქმნიდა და ახლაც იგივე ქმნის. მაგრამ თუ რამ ირყვნება და ლპება, ესეც უმეტესად მასვე უნდა მიეზღოს. უფლებაც მისია და პასუხისმგებლობაც. ამ ინტელიგენციის დიდი ნაწილი თითქოს და-მუნჯდა. ენას უკიდებს, ბორძიკობს, წამებით ეძებს სიტყვას, ძლივს პოულობს და უმალვე ჰკარგავს.

სიტყვაც სტილია.

მისი მეტყველება გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლარ-თა, დამძიმდა. აღარც სინათლე შერჩა, არც გამჭვირ-ვალება, არც მკაფიობა და მოქნილობა. რაც ხუთი სიტყვით ითქმის, ათიც ძლივსღა ჰყოფნის.

ამღვრეული და ბნელი მეტყველება ამღვრეულივე აზროვნების ნიშანია. აზრი სიტყვას ეძებს და რომ ვერ პოულობს, ძალაგამოცლილი ფართხალებს და მახინჯდება. ჩვენ მაინც ბედნიერები ვართ: ერთი მხრივ, ჩვენი სალიტერატურო და სახალხო ენები არ განსხვავდება, ხოლო მეორე მხრივ, არც დღევანდელი და ძველი ქართული განსხვავდება დიდად ერთმანეთისგან. მაგრამ ხალხის ერთ ნაწილს ქართული მეტყველების ეს განუწყვეტელი ჯაჭვიც ვერა შველის, მათთვის იგი დაწყდა, დაიფლითა, მან თითქოს ველარ ზიდა სამემკვიდრო განძი და ხელიდან გააგდო. ამათ აღარც თავიანთი ენა იციან და არც სხვისი. ქართულის უმეცარნი ქართულსაც აწვალებენ, თვითონაც წვალობენ და მკითხველსაც ამახინჯებენ. უმეცარ, უდიპლომო ექიმს აკრძალული აქვს ავადმყოფის სხეულის მოწამვლა. დროა უმეცარ მწერლებსაც ავაღებინოთ ხელი ხალხის მეტყველების წაბილწვაზე.

მწერლის მუშაობაზე ტომს დასწერდა კაცი. ამ ამბავს ორი მხარე აქვს, ტექნიკური და ფსიქოლოგიური. ტექნიკურში დიდი არაფერი ყრია, ხოლო შემოქმედების ფსიქოლოგია გრძელია და მოსაწყენი. რაც არსებობს მეტად ცვალებადია, დაუდეგარი და ჭრელი. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ამ მხრივ ვერაფერი გაირკვა. ახლა ტექნიკის მოშველიებას აპირებენ. შემაძრწუნებელია ის დრო, როცა ვინმე გივი, გულიკო ან თუნდაც ვარლამი პოეტს, კომპოზიტორს, მხატვარს კეფაზე აპარატს მიადებს და მისი აზრებისა თუ ლანდების სურათს გადაიღებს. მჯერა, ასეთი დრო არასოდეს დადგება, რადგან აპა-

რატი მონადირესავით დააფრთხობს ნადირს – აზრს, ხიბლს, სახეს, ვინაიდან შემოქმედება და სიყვარული მეტიჩარა მეთვალყურეს თანაბრად გაურბიან.

რა მასალა უფრო მშველის: ავტობიოგრაფია, დაკვირვება, წიგნი თუ ჩანაწერები? ყველა ერთად, ცალ – ცალკე კი არც ერთი. ყველაზე უფრო სახიფათო მწიგნობრული მასალაა. თავისუფალი შემოქმედის მაგიერ ბრმა მიმბაძველი ხდები.

დაკვირვება და ატობიოგრაფია განუყრელად არის ერთმანეთში ჩახლართული. განცდილი თუ თვალით ნანახი ისევე არა ჰგავს მოგონილს, როგორც სულიერი – უსულოს. ყველას გადახდენია რაღაც ამბავი, რაღაც უნახავს და განუცდია, მაგრამ ყველა მწერლად ვერ ივარგებს. უსულო იმ თილისმურ ქმნილებად ვერ გადაიქცევა, რომელიც თვითონაც ჰფეთქავს, ჯადოსნობს და ჩვენც გვათრთოლებს და გვაჯადოებს. მწერალს ბევრი ისეთი რამ სჭირდება, რაც უკვე იცის მეცნიერებამ და ერთი ისეთი რამეც, რაც ჯერჯერობით, ყველასთვის უძლეველია და მიუგნებელი.

ნიჭი და კიდევ ნიჭი.

ამ მხრივ მე ბედნიერი მწერალი ვარ. ძალიან ბევრი მივლია, მინახავს, განმიცდია და გამიგონია, ამიტომ ავტობიოგრაფიული დუღაბი საკმაოდ მომეპოვება.

უკვე ვთქვი და გავიმეორებ: ცნობისმოყვარე ბავშვი ვიყავი. გადამეტებულმა ინტერესმა ათას ხიფათს გადამყარა. ხშირად დავმდგარვარ საშიშროების წინაშე, ბევრჯერ შევხვედრივარ სიკვდილს პირისპირ, მაგრამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით

მისი კლანჭებიდან მაინც დამიღწევია თავი. გულ-მაგრობას ვიჩემებდი და საფრთხეს არ ვუშინ-დებოდი, ხშირად ძალითაც ჩამიგდია თავი გასაჭირ-ში, სიკვდილიც თვითონ გამომიყვანია საფალავნოდ. მთელი ჩემი ცხოვრება ერთთავად სიკვდილ-სი-ცოცხლის მიჯნაზე იდო. ამ გზაზე ბევრი რამ გადა-ვიტანე, მაგრამ არ გავტეხილვარ, უიმედობის ტყვე არ გავმხდარვარ და სულით არ დავცემულვარ.

პატარა ვიყავი, შვიდი წლის თუ ვიქნებოდი. ტყეში მარტოდ დარჩენილს შიში არ მეკარებოდა. მიყვარდა ხშირი, დაბურული ტყე. სულ იქითკენ მეჭირა თვალი, გაქცევას ვლამობდი, რათა ამ ზღაპრულ სამყაროში, რაც შეიძლება, მეტ ხანს ვყოფილიყავი. შინაურები ვერ მიგებდნენ და გან-მარტოებას მიშლიდნენ. თუ წასვლას ვერ მო-ვახერხებდი, ტყე თვითონ მაკითხავდა. მესიზ-მრებოდა ტყის შუაგულში აღმართული სამი წონწ-ლა გორა. მათ ძირში კიდევ გაჭიმული დიდი ჭაობი, ისეთი მაღალი ბალახით და ათასნაირი ყვავი-ლებით დაფენილი, რომ ადამიანს მკერდამდე სნვდებოდა. შუაგულ ტაფობში სამი დევი, სამი უზარმაზარი, დაბურული მუხა ასვეტილიყო. ერთი გორიდან ტაფობში მოზრდილი წყარო მო-ჩუხჩუხებს, ბალახბულახში მიცოცავს, მერე ტყეში შედის და იქიდან შხუილით გადადის ღრმა ხევში.

სიზმარი ხშირად მეორდებოდა. რაღაც უნდა მე-ღონა, რაღაც დამეწერა, სიზმრისთვის ხარკი გადა-მეხადა და ისიც თავს დამანებებდა. „ტყის კაცი" სწორედ ამ სიზმარმა მიკარნახა.

სახლიდანაც ბევრჯერ გავქცეულვარ, ოჯახური სითბო თავისუფლებასა და სიმარტოვეს ვერ მიცვლიდა. ერთხელ მწყემსებს გავედევნე...

შუადღე გადასული იყო. მწყემსებს თვალი მოვკარი, მთაში ცხვარს მიერეკებოდნენ. დიდ გზაზე გავაყოლე მზერა, კარგა ხანს ვუთვალთვალე. უცებ ძლიერმა სურვილმა შემიპყრო, მეც მინდოდა უკან გავყოლოდი. არც დავფიქრებულვარ, ხტუნვა – ხტუნვით ავედევნე ფარას, თან ვცდილობდი არავის დავენახე. ერთხანს შეუმჩნევლად ვიარე, სოფელს კარგა მანძილით გავცდით და მაშინღა აღმომაჩინეს. წვრილად გამომკითხეს ყველაფერი, სახელი, გვარი, ასაკი, ვისი შვილი ვიყავი, რა მიზეზით გამოვიპარე სახლიდან. ნამდვილი მიზეზი დავმალე და ბავშვურად რაღაც მოვბოდე. მწყემსებმა დამტუქსეს, მოკლე გზა მიმასწავლეს და უკან გამომაბრუნეს.

სხვა გზა არ მქონდა, წამოვედი. გზაში დამიღამდა, მაგრამ შიში გულში არ გამივლია, ვერც სიბნელემ ამიყოლია და ვერც მარტოობამ. მთვარე მკრთალად ანათებდა, თითქმის აღარაფერი ჩანდა, იქაურობას ვერ ვცნობდი და მივხვდი, რომ გზა ამებნა. რა უნდა მექნა, გადავწყვიტე ის ღამე ტყეში გამეთია. ერთი მყუდრო ადგილი შევარჩიე, ნაკლებად ცივი და ხიფათიანი. ის იყო უნდა დამეძინა, რომ ხმა მომესმა, უცნაური შრიალი და ქშენა. მივხვდი მგლები იქნებოდნენ, ჩემს კვალს მიაგნეს და აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა. იძულებული გავხდი ღამის გასათევად სხვა ადგილი შემერჩია. უსაფრთხო ადგილი მხოლოდ ხე იყო, ხეზე ასულს მგლები ვერაფერს დამაკლებდნენ. ყველაზე დიდი ტოტი ამოვარჩიე, ორი-

ვე ხელი მაგრად მოვხვიე და დასაძინებლად გავემზადე.

არც მანამდე და არც სიზმარში მშობლები არ გამხსენებია.

მეორე დილით შეშის საჭრელად ამოსულმა გლეხმა ხეზე დაძინებული მიპოვნა. ჩამომსვა და მშობლებთან მიმიყვანა. უკან დაბრუნებულს გამიბრაზდნენ და მაგრადაც დამსაჯეს. მე თავს დამნაშავედ არ ვგრძნობდი. მხოლოდ იმაზე ვჯავრობდი, თუ როგორ ვერ მიგებდნენ მშობლები. ყველაფერს მიკრძალავდნენ, სუნთქვის საშუალებასაც კი არ მაძლევდნენ თავისუფლად.

თავი ლაღად მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როდესაც სასწავლებლად ყირიმში გამგზავნეს. ყველას ეგონა სამშობლოსა და ოჯახურ კერას მოწყვეტილი მძიმედ გადავიტანდი განშორებას, მე კი ამგვარი არაფერი მიგრძვნია, სახლისკენ გამოხედვაც კი არ მინდოდა. ჩემების დაღუპვის შემდეგ ბოლო ძაფიც დაუნდობლად გადავჭერი.

წლისთავზე არ ჩავსულვარ. სიონში მოგვიანებით დავბრუნდი და ისიც სამი დღით. სახლში ვერ გავჩერდი, მამაჩემს საფლავზე ავყევი, ისიც იმიტომ, რომ ხალხს არა ეთქვა რა და უყურადღებობაში ბრალი არ დაედო.

მამაჩემი ჩემი წამოსვლიდან ათ დღეში გარდაიცვალა. არც მის დასაფლავებას დავსწრებივარ, თუმცა ველარც ყირიმში გავძელი, სწავლა მივატოვე და საქართველოში ჩამოვედი. სიონს დასამშვიდობებლად მივაკითხე, ვიცოდი აქეთ არასოდეს დავბრუნდებოდი. ან კი რა მინდოდა? მშობლების

სისხლით მოთხვრილ ჭერქვეშ საშინელი ლანდები დამკრთოდნენ თავზე და მოსვენებას არ მაძლევ-დნენ. ასე ცარიელდებოდა ჩემი სულის საუნჯე. ხსნა გაქცევაში დავინახე.

ჩემი მიმალვა ოცდათხუთმეტ წელს გაგრძელდა. არც მაშინ გამოვჩნდებოდი, ერთი უსიამოვნო ამბავი რომ არა...

სიონის მაცხოვრებლებს ჩემი მშობლების საგვა-რეულო აკლდამა დაენგრიათ და მასალა მიეთვი-სებინათ. ამ საქმეზე ჩავედი სიონში. ასე გამომცადა ღმერთმა, სხვა განსაცდელი არ მაკმარა და კიდევ ერთი მომივლინა. ღმერთს და სატანას ჩემი გული აურჩევიათ ბრძოლის ველად. ნეტა გაათავებენ ოდესმე თავიანთ საშინელ ჭიდილს?! ნეტა ერთმა სძლიოს მეორეს, მეც მოვისვენებ, მაგრამ მგონი, ეს გაშმაგებული ჩხუბი მაშინაც არ გათავდება, როცა სული ამომძვრება. ჯერჯერობით კი იბრძვიან დილ-დან საღამომდე და საღამოდან დილამდე. ძილშიაც კი არ მასვენებენ.

ეს ბრძოლა განსაკუთრებით ღამით არის მძაფრი და დაუნდობელი. ამიტომაც დღე მირჩევნია ღამეს, მუშაობაც უფრო გამომდის. ღამით აზრიც და გრძნობაც ფორიაქიანია, შფოთიანი, მოუსვენარი. დღისით კი დინჯია, ნათელი, დაწმენდილი და მოსვე-ნებული. ღამით ნაწერის რიტმი უფრო სწრაფია და მაღალი, მაგრამ, იმავე დროს, სახიფათოც არის და მავნებელიც. ზოგჯერ ღამე გამიტეხია, მაგრამ მეო-რე დღეს აღარ ვვარგებულვარ. გმირთა სახე ლოგინ-ში ჩაგყვება, გჯიჯგნის, გწურავს, გაწამებს. ტვინი მომართული საათივით მუშაობს, აღარ გემორჩი-

ლება, ვიღაც თუ რაღაც ტყვედ გიპყრობს და ცოცხივით დაგათრევს. ჯანსაღი შრომა მხოლოდ დღისით შეიძლება, ვინაიდან დღისით შენ თვითონ იმორჩილებ იმ ვიღაც ქვეშეცნობილს და მტკიცე ხელით მიგყავს იგი, როგორც გამოცდილ მხედარს თავგამწევი ცხენი, ღამით კი აღვირი მიშვებულია და გადარეულ ცხენი უგზოუკლოდ გაბორიალებს.

მეც ხშირად გავუტაცნივარ გაგიჟებულ ცხენს. ადრე თუ მასალას მე დავდევდი, ახლა თვითონ ის დამდევს და გამოცდილებით ვიცი, კიდევ დიდხანს უნდა მდიოს და მაწვალოს. ამ მხრივ მითიურ არსებას ვგავარ, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვეღარ დააწყნარა.

ნეტავ რა უნდათ ჩემგან ჩემს გმირებს! მოსვენებას ღამითაც არ მაძლევენ. ყველგან თან დამდევენ, მაწუხებენ, ძილს მიფრთხობენ, მეკამათებიან და მედავებიან. ისინი ხომ მე გავაცოცხლე, მე ჩავუდგი სული და გული და ახლა, ყველანი ერთად რომ წამოიშლებიან და ალაპარაკდებიან, აღარ ვიცი, რომელ ერთს დავემალო. საშინლად მძიძგნიან. ჩემს ოთახში შეგროვდნენ და სასამართლო გამიმართეს. ავტორს ასამართლებენ მისი ნაწარმოების გმირები. რა დღეს დამაყრიან, რამდენ საყვედურს მეტყვიან. ვინ იცის.

ძილში შფოთვას ვიწყებ. ძნელია მათთან შეხვედრა და გაბაასება. უთუოდ რომანის თუ მოთხრობის გაგრძელებას ითხოვენ, ან სხვა ცხოვრებას, ან სხვა პირობებს.

სათქმელი მართლაც ბევრი აქვთ.

ყოველთვის ძლიერი, ვაჟკაცური ბუნების ქალები მომწონდა. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად მივაგენი.

დედაჩემს ვადარებდი მუდამ, რომელიც ქართველი ქალისა და დედის განსახიერება იყო. ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, უსიცოცხლო ქალი კი მე არ მიზიდავდა. ამიტომ სადაც მივწვდი, სამოსი შემოვაგლიჯე, გულის სიღრმეში მიმალული ნატვრა ბანზე საცვალივით გადმოვაფინე, კაცთან ვაკოტრიალე და ლაფში ამოვთხვარე. ამით ქვეყანას დავანახე: მხოლოდ ქართველობა ვერაფერი შვილია, არავის ვჯობივართ და ჩვენი სანაქებო ქალებიც ისევე დნებიან ალერსის დროს, როგორც რუსი, ფრანგი თუ პოლონელი მანდილოსნები.

აბა რა გასაკვირია ქალებმა თუ სასამართლო მომიწყვეს.

გახსოვთ უპატრონო ნუცა? უპატრონო მე დავარქვი, თორემ კარგი პატრონი იშოვნა. თავიდან გაიპრანჭა, ძალაც დახარჯა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ბატონთან არაფერი გაუვიდოდა. მაშ რად კეკლუცობდა, რად ნაბავდა თვალებს? ქალი იყო და იმიტომ, თორემ ისიც ისევე მიქროდა კოცნისკენ, როგორც სხვა ყველა. თავიდან ულვაშების შეხება ეუხეშა, გამოპარვაც მოახერხა. შემდეგ შეხვედრაზე დიდად აღარ გადაუკლია თავი. ცოტა ხნის შემდეგ სუსტი ნუცა ბატონის მკლავებში ესვენა და აღარც ეწინააღმდეგებოდა. სულ მალე ნუცამ თავისი მოვალეობა ისე კარგად შეისწავლა, რომ ბატონის ოთახში შესვლისა და იქიდან გამოსვლის დრო დანამდვილებით იცოდა. კარგად ცხოვრობდა ჩვენი ნუცა, მოსამსახურის კვალობაზე არაფერი აკლდა და მხოლოდ მაშინ დაიღუპა, როდესაც ძლიერ მამაკაცს მოსცილდა და ვიღაც პავლეს მისთხოვდა.

ახლა ირინეც გავიხსენოთ. თვრამეტი წლის, კაკანათში გაბმული ჩიტი. ირინეს გონება ერევა, მამაკაცთა სახელები იჯაჭვება – შალვა, სანდრო, ჟან შოვერი. რომელია უმთავრესი? ირინემ ამის გაგებას მთელი ცხოვრება შეალია. შალვას კოცნაზე ფიქრობს, თუმცა წამსვე ავიწყდება მისი ცივი სისხლი და ჟანის მკლავებში ჰპოვებს ნეტარებას. ადრე თუ შალვას ამბორი უზენაეს სიამედ ეჩვენებოდა, ახლა კარგად გაიგო, რომ არსებობს უნდილი მთხვევა, წმინდა ამბორი, ვნებიანი კოცნა, გიჟური ლოშნა და მხეცური კბენა. ქალები მრავალი წლის განმავლობაში ემზადებიან ხოლმე ამ დღისთვის და ამ ღამისთვის. სანამ ეს წამი დადგებოდეს, მარტო მისი გახსენებაც კი აჟრჟოლებთ. სინამდვილეში კი სულ სხვა რამ არის. იმ ღამიდან არაფერი რჩება ხსოვნაში, გარდა უხეში ტკივილისა. რასაც მოელიან, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ იწყება.

ამის ძიებაში ირინემ ყველაფერი დაჰკარგა, არაფერი შერჩა, გათელილი გრძნობების გარდა. ახლა ზის და წერილს წერს, იმ მესამეს, ვისი იმედიც შემორჩა.: ვიცი, ჩემო სანდრო, ჩემო ერთავ! დედაკაცს არაფერი არ გამოეპარება, ამ წერილში თუ აღსარებაში ძალიან ბევრს ამოიკითხავ. ჩვენ მუდამ სამნი ვიყავით: მე, ჟანი და თქვენ. ჩემი თავი რომ არ ვიანგარიშოთ, თქვენც სამნი იყავით: ჟანი, სანდრო და შალვა. მაგრამ შალვა საანგარიშო აღარ არის, ის მუდამ იყო და არც იყო. სულ ერთია, მაინც მესამე თქვენ ხართ, მესამე და უკანასკნელი.

იქნებ მკითხოთ: წარსულში ვინ ვიყავი თქვენთვის, ამ წერილიდანაც მოჩანს, მაგრამ ეხლა ვინა ვარ? ახლა რას მეტყვით?

თვრამეტი წლის ქალწული ხომ არა ვარ, რომ ავცქმუტდე და ავფორიაქდე. ყველანი ამბობენ და შენც მითხარი, მეტისმეტად ცივი და თავდაჭერილი ქვრივი ხარო. მე მაინც გეტყვი, ამჟამად აქ რომ მყავდე, ადვილად დაგარწმუნებდი, რომ ჩემი სიცივე დაგწვავდა, დაგჭრიდა, გაგაგიჟებდა...

საბრალო ირინე, ცხოვრების გაკვეთილი ვერ მიიღო, აზრი ვერ გამოიტანა, მაინც იქითკენ მიდის და სხეული სხეულისკენ ეზიდება, რადგან ის რაღაც მასზე ძლიერია და ცხოვრების გაკვეთილებს არაფრად დაგიდევს.

საბრალო ირინე...

მარგოზე არაფერს ვამბობ, ყველამ იცის, ყველას გაუგია. მარგო აშლილი ვნებაა, ქალის სხეულის ჰიმნია, მისი გაუმაძღრობის ბაირაღი. მეც ისეთი გამოვძერწე, როგორიც მინდოდა, მე შევუგორე ჯაყოს ქვეშ და თეიმურაზიც მევე გავათელინე. ყველაფერი კი, როგორც ყოველთვის, სხვას დაბრალდა. ჯაყოს მიანერეს მთელი სიბინძურე, ის კი დაივიწყეს თუ ვინ. ჩაუგდო ხელში ოქროს გასაღები გაუპარსავ დათვს. ამ იარაღის ხმარებაში ქალებს ვერავინ გაეჯიბრება, თავადვე დაიწყებენ, განზე გადგებიან, ყვრიმალებს დაისველებენ და დამნაშავედ შენ გამოგიყვანენ. ჰკითხეთ, ვისაც გინდათ, ვინ ეზიზღებათ, ვინ სძულთ, ვის საქციელს გმობენ. მარგო არავის გაახსენდება. ჯერ ჯაყოს იტყვიან, მერე თეიმურაზს დასცინებენ, ბოლოს მარგოს შეიცოდებენ. მარგო კი

დგას თავისთვის კუთხეში, გზას გასცქერის და ჯაყოს შემცვლელს ელოდება.

არავის ვინდობდი. ბრმაც კი გავწირე. მაინტერესებდა რას გრძნობდა ამ დროს უსინათლო ადამიანი. მერე რა , რომ ვერაფერს ხედავს, სხვა ყველაფერი ხომ ადგილზე აქვს. ნუთუ გასათხოვარი დარჩება თინა? ისე დაბერდება, რომ სიყვარულის სიხარულს ვერც კი გაიგებს და ტიალ ქვეყნის ერთადერთ სიტკბოებას ვერ იგრძნობს.

მართალია, ჩინი დაჰკარგა, მაგრამ საკუთარი სხეულის მადლს კარგად გრძნობს და არცა მალავს. აი, ახლაც სწრაფად ჩაიხსნა ღილები, ორჯერ აიქნია ხელები და ჩითის კაბა ფეხების გარშემლ რგოლივით ჩააგდო. ლანდივით იდგა ტიტველი თინა წყლის ნაპირზე და საამურად იზმორებოდა. მერე ლამაზად აიგრიხა, გაიჭიმა, მრგვალი გავა უკან გააგდო და მაღალი მკერდი რკალივით წინ წამოაგდო. კვლავ იზმორებოდა და სივრცეს ულიმოდა. შემდეგ გრძელი და სქელი ნაწნავი გაიშალა, ხშირი თმა სავსე ბეჭებზე შავ მანდილივით წამოისხა, ფეხების ცაცუნით შევიდა წყალში, თეძოებამდე დასველდა და აჭყუმპალავდა.

ქალი ხან ყელამდე ჩაცუცქდება წყალში, ხან ისევ გასწორდება, ხან დაიხრება, სველ თმას ხის სავარცხლით ივარცხნის, მკერდს იზელს და ტანს იბანს.

ჩვენც მეტი რა გვინდა.

თინა ვერა გვხედავს და ვერც დაგვინახავს. ჩვენ კი მისი ავადმყოფობით ვისარგებლეთ, ბუჩქებში ჩავიმალეთ, ზეთიანი თვალები შუბლზე ავიყარეთ და ტიტველ ქალს მშიერი ნადირივით დავუწყეთ ჭამა.

თინა წყლიდან ისევ ნაპირზე გამოვიდა და თმები გაიწურა. ტანს ხელებით იმშრალებს. ჩამავალი მზის სხივები თინას ტანზე გაბნეულ წინწკლებში მრავალ ფერად ბრწყინავს. ქალი კიდევ რამდენჯერმე გაიზმორა, მოქნილი ტანი კიდევ ერთხელ აიგრიხა და კაბას დასწვდა.

სწორედ ამ დრო, გაღმა სოფელში, ეკლესიის ზარი ჩამოყკრეს. თინა ჯერ შესდგა, მერე კაბას ხელი გაუშვა, გასწორდა და გაიბადრა.

დინ! დინ! დინ! – თანაბარი რიტმით რეკავს ზარი. უცებ თინამ ერთი ხელი წინ აიქნია, მეორე უკან გამოიშვირა, ცალი ფეხი წინ გადადგა, მოქნილი ტანი კოხტად აგრიხა და ზარის ხმას აჰყვა.

ქალის მოქნილი ტანი იკლაკნება, მოხდენილად იგრიხება და შოლტივით იზნიქება. ხან ალვის ხესავით აისვეტება და ხელებს ისე გაიშვერს განზე, რომ ჯვარცმულს ემსგავსება; ხან მოტრიალდება და ცალ ხელ – ფეხს წინ წამოაგდებს, ხოლო მეორე ხელ – ფეხს უკან მიაგდებს, ხან კიდევ თავს უკან გადააგდებს და მობიბინე მკერდსა და გაბადრულ პირსახეს ისე გაუშლის ცას, თითქოს ვიღაცას შეჰხარის და უცინისო; ხან მიწამდე დაიხრება და ყვავილებს ჰკრეფავს, ხან თხას სწველის, ხან თითისტარს ატრიალებს და მატყლს რთავს, ხან ჰკივის და ხან კიდევ კოკას ავსებს. იმის ალანძულ პირსახეზე ხან კვნესა ისახება, ხან წყენა, ხან მუდარა, ზოგჯერ სევდა და ზოგჯერ უსაზღვრო სიხარული.

ზარის გუგუნი მრევლს უხმობს. გლეხს ეძახის, გონჯ მუშას იტყუებს, მორჩილებას, ფიქრსა და განსჯას სთხოვს, ღმერთთან მიმავალ ხიდს ამაგ-

რებს და სავალ გზას ამსუბუქებს. თინა კიდევ, იმ იდუმალ ხმას ისე იყენებს, როგორც თარზე დაკრულს, როგორც დამხმარე რამეს და შიშველ სხეულს ცხვირ – პირში გვჩრის.

ამერიკასა თუ ევროპაში ამ ცეკვას სტრიპტიზს ეძახიან. მაგრამ იქ მუსიკაც სხვაა და ბევრი სხვა რამეც.

ეკლესიის ზარის ხმაზე შიშველი სხეულის მტვრევა მხოლოდ ჩემს ქალს შეუძლია.

მე ამას ეშმაკის როკვას დავარქმევ.

ზოგჯერ ისე მიტაცებდა სხეულთა გადახლართვა, შიშველ ხორცთან ჭიდილი, რომ ბევრი მოთხრობა დაუსრულებელი და კოჭლი გამომივიდა. დახედავდა კაცი და თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა, მაგრამ მოძრაობას იწყებდა თუ არა, როგორც ხეიბარი ისე იშლებოდა და კიდურებს თავს ველარ უყრიდა. მე ამას ვგრძნობდი, ვხედავდი, სხვებიც ამჩნევდნენ, მაგრამ საჩოთირო თემაზე საუბარს ერიდებოდნენ და უმნიშვნელო საკითხებზე მედავებოდნენ.

ერთ დღეს გადავწყვიტე, რაც კი ქალის შესახებ მსმენია, განმიცდია თუ მახვილი მზერით სხვასთან შემინიშნავს, ერთად შემეკრა, ერთ არსებაში გამეცოცხლებინა და სუსტი სქესის ერთგვარი ენციკლოპედია შემექმნა.

ეს ტვირთი ჩემთვისაც მძიმე იყო და მისთვისაც. სათაურმა სხვა ყველაფერი მიკარნახა. „ქალის ტვირთი" დავარქვი.

სწორედ ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, პაპირუსის წევას თავი დავანებე.

ვიდრე ვეწეოდი, არაფერი მიშავდა, ახლა კი ძალიან გამიჭირდა. კალამი აღარ მემორჩილებოდა, ყოველ სტრიქონზე იმდენს ვწვალობდი, ისე ვაკონინებდი ერთმანეთს, როგორც ცუდი ოქრომჭედელი. ბავშვივით ანჩხლი და მოუთმენელი გავხდი, ხასიათი შემეცვალა, ვეღარავინ მცნობდა. ჩემზე ყველაფერი მოქმედებდა, ყველაფერი მაღიზიანებდა. მივუჯდებოდი მაგიდას, ავიღებდი ხელში კალამს და იწყებოდა ჩემი ტანჯვა – წამება. ფიქრი მიჭირდა. სადღაც უკვალოდ გაქრა ჩვეული სიმსუბუქე, მისი ადგილი ისეთმა ძალამ დაიჭირა, რომელმაც მაგრად ჩასჭიდა ხელი ჩემს სულსა და ფიქრებს, დაიმონა ჩემი ნებისყოფა და აზრები. ნებას არ მრთავდა, რომ ძალადაუტანებლად ერთი სტრიქონი მაინც დამეწერა. ირღვეოდა ნაწერის რიტმი, ყველაფერი ერთად ისე მიფუჭებდა ხასიათს, რომ სიცოცხლე აღარ მინდოდა. ნელ – ნელა შავი აზრებიც შემომეპარნენ და ჩემს ოთახში მოურიდებლად მოჰყვნენ ბოლთის ცემას. გონებაში პატარა ეშმაკი ჩამიჯდა, ჩემს, სკამზე გადაკიდებულ პიჯაკზე მიმანიშნებდა და დაუსრულებლად ერთ კითხვას მაძლევდა: აბა, მითხარი, რომელია მიხეილი, ეგ თუ შენ?!

მივხვდი, ხსნა მხოლოდ პაპიროსში იყო. სავსე კოლოფისკენ უხმოდ წავიღე ხელი, დინჯად, აუჩქარებლად გავხსენი კოლოფი, პაპიროსი ამოვიღე და მოვუკიდე.

საოცარი გარდატეხა მოხდა. იმ წუთიდან ყოველივე ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. კალამს ძველი ძალა დაუბრუნდა. უკვალოდ გაქრა ის ურჩხული, რომელიც მძიმე ლოდივით მაწვა და ფიქრის საშუალებას

არ მაძლევდა. თუთუნის გადაგდებაზე ოცნებას საბოლოოდ მოვეშვი. რომ არ დამვიწყნოდა, რამდენიმე სიტყვა დავწერე და მაგიდაზე, თვალში მოსახვედრ ადგილზე დავდე: როცა პაპიროსის წევას თავს ვანებებ, არ ვიცი, ამ დროს რა მემართება. მთლიანად შებოჭილი ვარ. ფიქრის თავიც კი არა მაქვს, კალმის წვერზე კი თითქოს ვილაც ზის და საშუალებას არ მაძლევს, როგორც მინდა ისე მოვიხმარო. ზის მაგრად და ხელს არ მანძრევინებს. ამ დროს მე თვითონ ველარ ვცნობ ჩემს თავს. სულ სხვა ადამიანი ვხდები. ძირს უთუთუნობა! არასოდეს გაუწიო წინააღმდეგობა ცდუნებას. გამოსცადე ყველაფერი და მაგრად ჩასჭიდე ხელი მას, რაც შენთვის სასარგებლო აღმოჩნდება.

ამ ჭიდილში ერთი საქმე გამიფუჭდა. აბნეული გონება მუშაობისკენ ველარ მივმართე, რომანი დაზარალდა, „ქალის ტვირთი" დაუსრულებელი გამომივიდა. მას შემდგომი დახვეწა და დამუშავება სჭირდებოდა. კარგად ვხვდებოდი, ეს მარცხი იყო და არა წინ წაწეული ნაბიჯი. შეცდომას შეცდომა მივაყოლე და რომანი ნაწილ – ნაწილ დავბეჭდე, ამ ნაკლის გამოსწორება ველარ შევძელი.

რაც იყო იყო.

ჩემი გმირების წყალობით ქალები თავის მესაიდუმლედ მთვლიდნენ. დიდი სიმპათიით ვსარგებლობდი ქალთა საზოგადოებაში. ქალის პატივისცემა მეც ვიცოდი.

ერთხელ ვინმე ფირუზოვმა მიმიპატიჟა. სახლში წვეულებას მართავდა. აღარ მახსოვს ეს ფირუზოვი სად მუშაობდა, მაგრამ ფულიც ჰქონდა და გავლე-

ნაც. ვახშამი ძალიან გაგრძელდა. სტუმრებს შორის აზიური ცეკვების უბადლო შემსულებელი, ლისიციანის ქალიც იყო. ცეკვის შესრულება ვთხოვეთ, გაიღიმა და მე მომმართა: წამობრძანდით მეორე ოთახში, მე მინდა მარტო თქვენთვის ვიცეკვო. მე გავულიმე და უსიტყვოდ გაყევი. შიში არ მქონია, მე ხომ ზუსტად ვიცოდი მათი გონების სვლა და ერთი ნაბიჯით ყოველთვის ვუსწრებდი. სტუმრები არ შერხეულან, ლისიციანის ქმარიც კი მიჯაჭვულივით იჯდა მაგიდასთან, ვერავინ გაბედა წამოდგომა, მეორე ოთახიდან მხოლოდ უზუნდარის ხმა ესმოდათ. მე კართან, სკამზე ვიყავი ჩამომჯდარი და აღტაცებით შევცქეროდი მოცეკვავე ქალს და ვტკბებოდი მისი მოძრაობით. ის კი თავდავიწყებით, გატაცებით ცეკვავდა...

მახსოვს, ერთხელ კლუბში ბანქოს ვთამაშობდი. განსაკუთრებით პრეფერანსი მიყვარდა. ისე ჩამითრია ქაღალდის თამაშმა, რომ წერაც მივატოვე, სამსახური ისედაც არ მქონდა. არ მიმართლებდა და თითქმის ყოველთვის ვაგებდი.

ერთხელ კლუბში ბალ – მასკარადის საღამო გაიმართა. ყველანი ნაირფერ ტანსაცმელში გადაცმულები იყვნენ და პირსახეზე ნიღბები ჰქონდათ გაკეთებული. კარი შემოაღეს, ჩვენ კარტს ვთამაშობდით. თავი ავწიე და სტუმრებს შევხედე, თითს მიქნევდნენ, მეძახდნენ, გამოსვლას მთხოვდნენ. მაინც ვაგებდი, მაგიდა მივატოვე და გავყევი. თავიდანვე მივხვდი, ჩემი მოტყუება ჰქონდათ გადაწყვეტილი. მართალია, ვერავინ ვიცანი, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, თითქოს კარგი ნაცნობები ვიყავით. ვერ

მომატყუებთ, ეს ფეხსაცმელი თქვენს საძინებელში მინახავს მეთქი. გუნება გაუფუჭდათ. უკბილო ხუმრობა გამომივიდა, ბევრი ფული მქონდა წაგებული და ცუდ ხასიათზე ვიყავი. მერე შევიტყვე, ეს ქალი ვინმე ქავთარაძის მეუღლე ყოფილა. ქმრის ყურამდე მისულა ეს ამბავი და ცუდი დღე დასდგომია.

როცა წერა მიძნელდებოდა, ასე ვერთობოდი, არაფერს ვიკლებდი.

დრო იყო ჩვენს საზღვრებს გავცდენოდი. რუსი მწერლების ნაწარმოებები ევროპაში ათობით იბეჭდებოდა, ქართველი მწერალი კი უცხოეთში ჯერ არ იყო გასული. რამდენიმე ჩემი მოთხრობა უკვე დაბეჭდილი იყო – ფრანგულად, ჩეხურად, ინგლისურად, მაგრამ ეს საკმარისი არ გახლდათ. წიგნი იყო საჭირო. ისეთი გმირი მჭირდებოდა, რომელიც მათ დააინტერესებდა, მიიღებდნენ და გაითავისებდნენ.

ისევ ჩემი უბედობა დამეხმარა.

ერთ საღამოს ვინმე მეგრელიშვილი გავიცანი. ეს კაცი ვაჭრობის დარგში მუშაობდა, სამხედრო შტაბის უკან ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, კანტორად წოდებული, სადაც თავის კომერციულ საქმეებს მართავდა. როგორღაც მოახერხა და დამიმეგობრდა, მეტიც, ჩემი ნდობაც მოიპოვა. ერთ დღეს ფული მთხოვა, საქმეში უნდა ჩავდო და კარგი მოგება გვექნებაო. მივეცი რაც გამაჩნდა. დრო გადიოდა, ვალს კი არ მიბრუნებდნენ. მეგრელიშვილს ლამაზი ცოლი ჰყავდა, ებრაელის ქალი, კეკლუცი და მიმზიდველი. გამუდმებით ოჯახში მპატიჟებდა, ერთგულებას, მეგობრობას მეფიცებოდა. თავიდან მეც

მჯეროდა მათი, მაგრამ ტკბილი საუბრის იქით საქმე არ მიდიოდა. ბოლოს დავრწმუნდი მათ თაღლითობაში, გული გამიტყდა და თავი მივანებე.

ის ფული დავკარგე. თუმცა ჩემს გონებაში თაღლითის ტიპი იშვა. ეს ტიპი ნგრევის ხანაში შთაბეჭდილებას ახდენს, დიდი კომბინატორია. მისი ჭკუა და ენერგია მოძრაობაში იხარჯება, ორმოდან ამოვარდება, კლდეს გადაახტება, ბადეებს დაჰგლეჯს. ნორმალურ დროს კი მისი ენერგია უქმია და სასაცილოც. კედლის მაგიერ შუბლით ჰაერს ანგრევს, ხრამის ნაცვლად სწორ მინდორზე ხტის, თევზივით ფართხალებს, ფაფხურობს, ალიაქოთს ქმნის და სხვებსაც უშლის შრომას. ასეთი ტიპები ახლაც მრავლად არიან ჩვენში.

ასე დაიბადა კვაჭი.

რომანი დავბეჭდე.

მტერი და მოშურნე არც მანამდე მაკლდა, ამის შემდეგ კი მათი რიცხვი გაათკეცდა. ზოგმა საკუთარი თავი ამოიცნო, ზოგმა თავისი მშობელი თუ ნათესავი, ზოგი კიდევ იმას ნაღვლობდა, რომ კვაჭისნაირი ვერ გახდა და ვერაფერი მოიგო. ყველას ერთი მტერი გამოუჩნდა. მედავებოდნენ ყველაფერზე, ჩანაფიქრზე, გმირებზე, სტილზე, ფორმაზე, განსაკუთრებით მწერლები აქტიურობდნენ და თვეში ორ, სამ სასამართლოს მიმართავდნენ. დასაწყისში თავს ვიცავდი, იმას ვუმტკიცებდი, რაც ჩემზე კარგად უნდა სცოდნოდათ. არაფრის გაგონება არ სურდათ, თითქოს დაყრუვდნენ და დაბრმავდნენ. მივხვდი, ეს მხოლოდ საბაბი იყო, მიზეზი სხვაგან უნდა მეძებნა. შური იყო მათი ხატი, დაუნდობლობა კი მათი სალო-

ცავი სახლი. ამას მივხვდი და კამათს თავი ვანებე, შურს არგუმენტებით ვერ დაამარცხებ.

მორიგი დისპუტის დასრულების შემდეგ სახლში დავბრუნდი. უგუნებოდ ვიყავი, ვგრძნობდი, ნელ-ნელა მიახლოვდებოდნენ და საცაა მომაკითხავდნენ კიდეც. ჩემს სამუშაო მაგიდასთან დავჯექი, ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და მთვარე დღესავით ანათებდა არემარეს. თბილი და მშვიდი საღამო იყო. ჩემდა უნებურად ცას ავხედე. დავინახე, თუ როგორ მოსწყდა ცას მოზრდილი ვარსკვლავი. თვალი გავაყოლე და რატომღაც არ მესიამოვნა, ეს ამბავი სასიკეთოდ არ მენიშნა, სადღაც გაგონილი გამახსენდა: ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავს რომ დაინახავ, კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოსო.

მეც ასე მგონია.

მაგიდის უჯრა გამოვწიე, პატარა კოლოფი ამოვიღე და დავაცქერდი. ამ კოლოფში ილიას გულიდან ამოღებული ტყვია იდო. ეს ძვირფასი ძღვენი დუშეთში გადმომცა დავით კობიაშვილმა. ეს ის კობიაშვილია, რომელსაც დუშეთის მაზრის გამომძიებელთან თარჯიმნად უმუშავია, ილია ჭავჭავაძის ცხედრის გაკვეთას დასწრებია და უშუალო მონაწილე გამხდარა მკვლელობასთან დაკავშირებული გამოძიებისა. მაშინაც დუშეთში იყო, მასწავლებლობდა, მე კი დასასვენებლად ავედი. ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა, დამიმეგობრდა და სწორედ მან მისახსოვრა ეს ნივთი. მოგვიანებით ნაცნობ ოქრომჭედელს კოლოფზე წარწერა გავაკეთებინე: „ნაადრევია ჩემი სიკვდილი, მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი". ხშირად ამომიღია ეს ტყვია ძნელბედობის ჟამს, დავ-

შტერებივარ, მასთან მისაუბრია და ისევ კოლოფში ჩამიბრუნებია.

ახლაც ასე მოვიქეცი. ბამბა შემოვაცალე, ხელისგულზე დავიდე და სევდიანად დავაცქერდი. გონება გამინათდა, თითქოს ეს ტყვია თავად მკარნახობდა გზასა და გეზს.

მეორე დილით გამომძიებლის კარი შევაღე.

– მე, მიხელ ჯავახიშვილი ვარ, მწერალი.

შევატყვე, არ გაჰკვირვებია. უკვე მითვალთვალებდნენ და ალბათ ისიც იცოდა, აქეთ რომ წამოვედი. თუმცა მაინც შეშფოთებული ჩანდა, ასეთ მდგომარეობაში ყოფნას ჩვეული არ იყო და სიტყვას ეძებდა.

მე დავეხმარე.

– თავად გამოვცხადდი.

– ვიცი ვინცა ხართ, ღამით ვაპირებდით თქვენთან მოსვლას.

– რად გადავდოთ ღამემდე? უკვე აქ ვარ, სახელმწიფოსაც დავუზოგავ თანხას, ჯამაგირი, მანქანა, საწვავი...

– ჯამაგირს ჩვენ სწორედ მაგაში გვიხდიან, რომ თქვენისთანები გამოგვყავს დღის სინათლეზე. სახელმწიფოზე რომ გეზრუნათ, ასეთ რომანებს არ დასწერდით.

– თქვენთან საკამათოდ არ მოვსულვარ, დავიღალე ამდენი თავის მართლებით, მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს.

ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოვიღე და წინ დავუდე.

დახედა, წარწერა წაიკითხა და ფრთხილად ახადა თავსახური.

– ეს რა არის?

– ეს ის ტყვიაა, რომლითაც თქვენიანებმა ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს. მინდა რომ ჩემზეც ეს ტყვია გამოიყენოთ.

გამომძიებელმა თვალი თვალში გამიყარა. უჭირდა პენსნეს კედლის უკან ჩემი მზერის გარჩევა.

– მნერალი კი ხართ, მაგრამ იმდენი უნდა გესმოდეთ, რომ ამ ტყვიას მხოლოდ ჭიანჭველის გასასრესად თუ გამოიყენებთ. ნუ ღელავთ, ტყვიებით ჩვენ მთავრობა გვამარაგებს.

ვიგრძენი დამამარცხა. უპირატესობა მის მხარეს იყო. მე თავი ჩავქინდრე, ჩემს გატეხვას აღარაფერი აკლდა. ყურში ცინიკური ხმა ჩამესმა.

– კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ?!

– წიგნები... იქნებ რამე წიგნის შეტანის უფლება მომცეთ, თავადვე შემირჩიეთ, ქართულად, რუსულად, თუნდაც ფრანგულად, ჩემთვის სულ ერთია.

– წიგნების მე არაფერი გამეგება, აი ჩემი საკითხავი ლიტერატურა!

გამომძიებელმა ხელი საქაღალდეებს დაჰკრა, რომლებშიც პატიმართა საქმეები იყო თავმოყრილი. ჩემსასაც მოვკარი თვალი: „მიხეილ ჯავახიშვილი – საეჭვო ბიოგრაფიის კაცი". მსხვილი, შავი ასოებით ეწერა საქაღალდეს. მივხვდი, ხმა აღარ ამომეღებოდა.

რა იცოდა გამომძიებელმა ჩემი და წიგნის საბედისწერო სიყვარულის შესახებ. წიგნს პატივს ვცემდი და სათუთად ვეპყრობოდი. ხელში რომ ავიღებდი, ტანში ურუანტელი დამივლიდა, წამსვე ვგრძნობდი თუ რა სიფაქიზისა და პატივისცემის

გრძნობით ვიყავი მის მიმართ გამსჭვალული. წიგნს, რომელსაც მე ვკითხულობდი, ვერასოდეს ნახავდით სავარძელზე მიგდებულსა ან მივიწყებულს.

განურჩევლად ყველა წიგნს არ ვკითხულობდი. ყველაფრის კითხვა წესად არ მქონდა. თავდაპირველად, წიგნს თვალს გადავავლებდი და თუ ყურადღებას მიიპყრობდა, მაშინღა შევუდგებოდი კითხვას. წინასწარ უნდა მცოდნოდა, ღირდა თუ არა ამა თუ იმ წიგნზე დროის დაკარგვა. უინტერესო, მოსაწყენი, მდარე გემოვნებით დაწერილი წიგნის კითხვა, ყოველთვის დროის დაკარგვად მიმაჩნდა. მაგრამ ეგ ადრე იყო. ახლა? ახლა ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდაც ფურცლები იყოს და ყდა აბჯრად ჰქონდეს შემოხვეული.

ამ საუბრის შემდეგ სამ კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ წიგნი ჩემთვის არავის მოუტანია. მხოლოდ ერთხელ, ჩემი არსენათი მოხიბლულმა ზედამხედველმა ჩუმად, ყველასგან მალულად, ათიოდე ფურცელი და ფანქარი გადმომცა, თან მოკრძალებული თხოვნა დაამატა, იქნებ ჩვენზე, ზედამხედველებზეც დაწეროთ რამეო. სხვა რა გზა მქონდა, შევპირდი. როგორც ექიმი ექიმობს ყველგან, მწერალიც ყოველთვის და ყველგან უნდა მწერლობდეს. ჯერჯერობით მის მოცემულ ფურცლებს ვიყენებ, იმედია კიდევ დამიმატებს.

მანამდე კი ვწერ.

დრო არ მინდობს, შეუბრალებლად ანადგურებს ჩემს ჩანაფიქრს და ჩემს სიტყვებს ისე დასტრიალებს თავზე, როგორც ქორი უპატრონოდ მიტოვებულ წიწილებს...“

ნიკა მაშინ აიყვანეს, როცა ბანკში ფულის ასაღებად მივიდა.

საქმე ასე ყოფილა: ქართველი ემიგრანტის შთამომავალს, ასევე ემიგრანტს, ტელმანასგან ორი ძველებური სურათი, ორიც ხატი და რაღაც წვრილმანები უყიდია. ამ წვრილმანებში მიხეილ ჯავახიშვილის ხელნაწერიც მოხვდა. ჩვენს მებაჟეებს ან კარგად ეძინათ, ანდა სულაც გამოუძინებლები იყვნენ, ყველას გასაკვირად გაჯიუტდნენ და სტუმარს სათანადო საბუთები მოსთხოვეს. რაც არ ჰქონდა რას მისცემდა, ადგა და ტელმანა დაასახელა. ტელმანას ბევრი აღარ უფიქრია და, სხვებთან ერთად, ხელი ნიკასაც დაადო.

ნიკას ფული არ ჰქონდა. უფულოებისთვის კი სასამართლო არსებობდა, რომელიც მტყუან – მართალს ერთ ქვაბში ხარშავდა. ბევრი იძახა ნიკამ, რაც მანდ წერია ყველაფერი ჩემი მოგონილია, მიხეილ ჯავახიშვილს არაფერი ეკუთვნის, მხოლოდ ჩემთვის, გასართობად დავწერე, არც კანონის დარღვევა მინდოდა და არც ვინმესთვის გულის ტკენაო, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა. საქმე გახმაურდა, ნიკას არქივსა თუ ბიბლიოთეკაში ხშირი სტუმრობა გაუხსენეს და რადგანაც, პროცესზე, ნიკას მიერ გაყიდული სხვა დოკუმენტებიც ამოტივტივდა, სახელმწიფო ქონებასა და სამუზეუმო ექსპონატების ქურდობაში დასდეს ბრალი.

ასე დაიწყო ნიკამ ახალი ცხოვრება.

ისტორიამ მხოლოდ ორი რამე ასწავლა კაცობრიობას: ერთი ის, რომ ყველას მოკვლა შესაძ-

ლებელია. მეორე ის, რომ ადამიანი ყველაფერს ეჩ-ვევა. ნიკა მეორე ჯგუფში მოხვდა, ასე რომ, ნიკაც მიეჩვია. მართალია, თავიდან გაუჭირდა, მაგრამ ნელ – ნელა იქაურობას ალღო აუღო.

ნიკამ თავი იმით შეინახა, რაც ყველაზე კარგად იცოდა. ამბებს ყვებოდა. ცოტა ისტორია, ცოტა გა-მონაგონი, ცოტა ჭორი. ეს ყველაფერი კი დაახლოებით ასე ჟღერდა:

ადრე უფრო ცხელოდა ხოლმე. მაშინ ამდენი დამ-სვენებელი არ იყო და კოჯორში ავდიოდით გასაგრი-ლებლად. ეხლა ვინ ვიყავით: მე, გალაკტიონი, ჩვენი გალა რა, ტიციანი, პაოლო, კიდევ ვილაცეები იყვნენ, აღარ მახსოვს. საღამოობით კარტს ვთამაშობდით ხოლმე, განსაკუთრებით პრეფერანსი გვიყვარდა. ჰო, კიდევ მიხეილ ჯავახიშვილი იყო, მაგრამ იმას არ ვათამაშებდით, სულ აგებდა და გასტუმრება უჭირ-და. გალაკტიონს ცუდად მოსდიოდა, პალასა ჰქონდა ეგეთი. მახსოვს ერთხელ ვეუბნები: ისე როგორა ხარ, რა ხდება მეთქი, ძმაო გალა?!

მერე იმან რაო, იხუვლეს პატიმრებმა.

რაო და... ეო, ჩემო ნიკუშ, მეუბნება, ზნალ ბი პრი-კუპ, ჟილ ბი ვსოჩიო.

ვაო! ამოიგმინა ყველამ ერთად, აფსუსი არ არის, ეგ მიწაში იწვეს და ჩვენი რეჟიმის უფროსი ჰაერს აფუჭებდესო?!

ეგეთი ამბები თითქმის ყოველდღე ხდებოდა.

ნიკამ ისე გაითქვა სახელი, რომ მის მოსასმენად ციხის ადმინისტრაციაც მოდიოდა. ამ დროს განსა-კუთრებული მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს და მიზანში ყველაზე სახელოვან

ადამიანებს ამოიღებდა ხოლმე. ნიკა თხრობას იწყებდა, შოთა რუსთაველის საფლავზე, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაზე, ტყუილსა და მართალს ერთმანეთში ხლართავდა და არც საკუთარ თავს ივიწყებდა. მართალია, მისი ფუნჯი ყოველთვის მხატვრისას ვერ უტოლდებოდა, მაგრამ კარგი მღებავის სახელიც არ იყო ხელწამოსაკრავი.

ერთი რამის ეშინოდა მხოლოდ:

მოვიდოდა ვინმე მისნაირი, დაუჯდებოდა გვერდით, მოისმენდა ნიკას საოცარ ნაამბობს, თვალებს მოჭუტავდა და დამცინავად ჰკითხავდა:

– მალიარი ხარ, ბიჭო?!

გალაკტიონ ტაბიძე

ბონდოს აკლდა წინა კბილი და პატრიოტიზმის გრძნობა, მიუხედავად ამისა, მაინც დააწინაურეს. ესეიგი გამოარჩიეს, წინ წასწიეს, სხვას ანაცვალეს, რამდენიმე საფეხურით მაღლა ასწიეს. რას უნდა ნიშნავდეს ეს, თუ არა ახალ ოთახს, სუფთა მაგიდასა და რბილ სკამებს, კოლეგების დასწრებულ სალამს და წვრილმანი საკითხების უფროსთან შეუთანხმებლად გადაწყვეტას.

ერთ დღეს ბონდო, ყოველგვარი გაფრთხილებისა და წინასწარი შემზადების გარეშე, მხატვრებიდან მწერლებზე გადაიყვანეს. მართალია, ამას ისე არ ელოდა, როგორც საკუთარი სახელის გამოცვლას, მაგრამ უხილავმა ძალამ ასე განსაზღვრა და ბონდოც სიხარულით დამორჩილდა. თავს ცუდად არც მხატვრებთან გრძნობდა, მაგრამ სიტყვას სხვა ძალა აქვს, სიტყვა რევოლუციას იწყებს. ბონდოს ეს კარგად ახსოვდა და ახალი თანამდებობა თავისებურად გაუხარდა კიდეც. არადა ამ ადგილს, როგორც ყველა სხვა ადგილს, ბევრი უმიზნებდა, თუმცაღა შემთხვევამ ბონდოს დაადგა თვალი. ათასმა რამემ შეუწყო ხელი მოულოდნელ ცვლილებას: უფროსის განწყობამ, ბონდოს მონდომებამ, დრომ, თქვენ წარმოიდგინეთ, ამინდმაც კი, მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო. გამოცდილი და ყველასათვის მისაბაძი ადამიანი, მებრძოლი ლაგვილავა გარდაიცვალა.

კიბეზე ჩამოსვლისას ფეხი დაუცდა, შეტორტმანდა, ჰაერს წაეპოტინა და ქვევით გადაეშვა. ჩასაბარებლად გამზადებული ცარიელი ბოთლები დაიმსხვრა, ბასრმა ნამსხვრევმა ძირს დანარცხებულ მებრძოლს არტერია გადაუჭრა და ისიც, მაშველის მოსვლამდე, ისე დაიცალა სისხლისგან, როგორც ეგვიპტური მუმია.

რა თქმა უნდა, დიდი პატივით დაკრძალეს. მამაკაცური ცრემლიც ბლომად ღვარეს და ძველი წლებიც სიამაყით გაიხსენეს. ეს განყოფილება სწორედ რომ მებრძოლის შექმნილი იყო, აგენტურული ქსელიც მისი შედგენილი გახლდათ და ყველასათვის საყვარელი მწერლებიც მისი გადმობირებულები იყვნენ. ასე რომ, გული ყველას დასწყდა, იმათაც და ამათაც.

ამხანაგი კახაბერი საქმის პატრიოტი იყო და კარგად ესმოდა, რომ მტერს არ ეძინა. არაჯანსაღი გლოვა, დარდი და სევდა ორგანიზმს ალპობდა, შიგნიდან ღრღნიდა, ფიტავდა, ასუსტებდა. შესძლებდა კი ძალაგამოცლილი ადამიანი ნათელი მომავლის აშენებას? საქვეყნო ფიქრი ლოდინს ვერ ეგუებოდა, და რადგანაც, ამხანაგი კახაბერის აზრით, შეუცვლელი მხოლოდ მმართველი პარტია იყო, ბევრი აღარ უფიქრია და ეს რთული უბანი ბონდოს ჩააბარა. გადამწყვეტი ისიც აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა კაცმა, სხვებთან შედარებით, გამართული კითხვა იცოდა. გამართული კითხვა ბონდომ სტამბაში ისწავლა, სწორედ მაშინ, როდესაც ასოთამწყობის შეგირდად მუშაობდა. მოწადინებული მუშა შეამჩნიეს და სარდაფიდან ზევით ამოიყვანეს. ბონდო გათამამდა, კითხვა არ იკმარა და წერასაც

მიჰყო ხელი. რამდენიმე წელიწადში ყოფილი ასოთამწყობი გამოიბრძმედა და რთული დავალების შესრულებას შეუდგა. რას იზამ, არ გაემტყუნება. ბავშვს რომ ბონდოს დაარქმევენ, თავის გასატანად, ენის მიტანის გარდა აღარაფერი რჩება.

ბონდო იყო ოცდაათი წლის, შეუმჩნეველად დაბალი, ნვრილი თვალით, გრძელი ცხვირით და კენჭის თავით. თუ ვინმეს გაპარსული ზღარბი უნახავს ან წარმოუდგენია, სწორედ ისეთი. მუდმივად გაქონილი ტუჩებისა და ასეთივე გაქონილი ღიმილის მატარებელი.

ამხანაგი კახაბერი ბონდოზე რამდენიმე წლით უფროსს ჰგავდა. ისიც დაბალი, ისიც დაშინებული ცხოველის მსგავსი, ლაპლაპა კანით, და მოკლე კიდურებით. ორივენი, უფროსიცა და მის ქვეშ მოქცეულიც, ერთი იარაღის ტყვიებს ჩამოგავდნენ. ბონდო ახალს, ჯერ უხმარს, კახაბერი უკვე გასროლილსა და გამოყენებულს, რადგან ყველაფერთან ერთად, თმასაც მიეტოვებინა, ხოლო აქეთ – იქით შემორჩენილი ბალანი დაძველებული, მორღვეული, ფორმადაკარგული, ნაქსოვი ხელთათმანივით ეკიდა დაცქვეტილი ყურების ზემოთ.

ამხანაგი კახაბერი ფანჯარას მიაჩერდა. საფარში განოლილი მონადირესავით გაირინდა. მისი კაბინეტიდან კარგად ჩანდა ლიანდაგზე მორახრახე სატვირთო მატარებელი. ამხანაგი კახაბერი ტუჩებს აცმაცუნებდა და ჩურჩულით ითვლიდა ფერგადასულ, რკინის ცისტერნებს.

ერთი... ორი... სამი...

რადგან უთმო უფროსი ურწმუნოც გახლდათ, მისი ღშერთიცა და ხატიც ეს მასიური, უსახო ვაგო-

ნები იყვნენ. როგორც დაითვლიდა, დღეც ისე დაიწყებოდა. თუ ლუწი გამოვიდოდა, ხასიათზეც ეტყობოდა და სამუშაოსაც გულს უდებდა.

ოთხი... ხუთი... ექვსი...

კენტზე ადგილს ვერ პოულობდა, ყველაფერზე ღიზიანდებოდა და თანამშრომლებს უმიზეზოდ მოსვენებას არ აძლევდა. რამდენჯერმე ვაგონების გამო საქმეც კი გაფუჭდა, საყვედურიც უთხრეს და ეშმაკმა კახაბერმა გამოსავალი მონახა.

შვიდი... რვა... ცხრა...

ვაგონების კენტ რაოდენობას ორთქმავალს დაუმატებდა ხოლმე, შემადგენლობას წყვილად აქცევდა და ის დღე ხალისიანად იწყებოდა.

ათი... თერთმეტი... თორმეტი...

საწვალებელი აღარაფერია, წყვილად გამოვიდა, ზუსტად თორმეტი ვაგონი.

მატარებელმა ჩაიარა.

– ხოო! – თქვა კახაბერმა და მაგიდაზე დაგროვილ საქაღალდეებს ხელი დაადო. – პარტიამ დიდი ნდობა გამოგვიცხადა, საიდუმლო ოპერაციის განხორციელება დაგვევალა. ფსევდონიმი უკვე შეგირჩიეთ. დღეიდან შენ, ამხანაგო ბონდო, იქნები დალეული, ამ სახელით გაგიცნობენ მასები.

– მე ხომ... – ამოილუღლუღა ბონდომ.

– ვიცი, ამხანაგო ბონდო, რომ არ სვამ, ჩვენთან არაფერი იმალება. არაყი, ღვინო, კონიაკი, პორტვეინი და ჭაჭა ჩვენი კლასობრივი მტრები არიან. ფსევდონიმი გარეგნობის გამო შეგირჩიეთ. ამ ფსევდონიმით დაბეჭდავ ლექსებს.

– რომელ ლექსებს? – ვერაფერს მიხვდა ბონდო.

– საკუთარს, ამხანაგო ბონდო, საკუთარს! – ხმას აუწია კახაბერმა.

– მე აქ ლექსების საწერად არ მოვსულვარ, მე სამშობლოს მინდა ვემსახურო. – მტკიცედ თქვა ბონდომ.

– თუ პარტია გიბრძანებს პოემასაც დასწერ! – მოჭრა კახაბერმა. – მაგრამ ჩვენ ახლა ექსპერიმენტების დრო არა გვაქვს, ოპერაცია უშეცდომოდ, ყოველგვარი გართულების გარეშე უნდა ჩატარდეს. აი, შენი ლექსები.

უფროსმა გაპარსულ ზღარბს ყავისფერი, ხმარებისგან გაცვეთილი, მსუქანი პორტფელი მიაწოდა.

– ამ ლექსების ავტორი უკვე დახვრეტილია, როგორც ხალხის მტერი და ბურჟუაზიული ფსევდო კულტურის წარმომადგენელი. დღეიდან ეს ლექსები შენია, ოპერაციის დასრულებამდე უნდა იმყოფინო, დაბეჭდავ ცოტ – ცოტას, ორი ლექსი ხვალ გამოქვეყნდება მწერალთა გაზეთში, მალე კავშირშიც მიგიღებენ, ეს ჩვენი გეგმისთვის აუცილებელია, ყველაფერი ისე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც ნამდვილ მწერლებს აქვთ.

– მესმის, ამხანაგო კახაბერ, მაგრამ ოპერაციის მიზანი ჩემთვის გაუგებარია, რა საჭიროა ამხელა ამბავი, ორი, კინკილა კაცია დარჩენილი და მაგათი გადმობირება ისედაც შეიძლება, ზედმეტი ხარჯია, რაც არ უნდა იყოს. – დაეჭვდა ბონდო.

– მოთმინება, ამხანაგო ბონდო! – კახაბერმა თმაზე ხელი გადაისვა, ანუ იმაზე, რაც თმისგან შემორჩა. – ჯერ შენ მთავარი არ იცი... თბილისში, ჩვენს პროლეტარულ ქალაქში, მუზა გამოჩნდა.

დიდი პირი რომ ჰქონოდა გაპარსულ ზღარბს ალბათ ნიანგივით დააღებდა, მაგრამ ბუნებამ აქაც დაჩაგრა, ამიტომ ტუჩები ისე გაქაჩა, როგორი შესაძლებლობაც ბავშვურმა სახემ მისცა.

– გაკვირვება საქმეს ვერ უშველის, ამხანაგო ბონდო. – განაგრძო უფროსმა. – უნდა ვიმოქმედოთ, ასეთია პარტიის დავალება.

რა გაეწყობა, გაიფიქრა ბონდომ, თუ პარტიამ ბრძანა, რომ თბილისში მუზა გამოჩნდა, ესეიგი მართლა გამოჩნდა.

– მე რა უნდა გავაკეთო? – ბონდომ როგორც იქნა მოიფიქრა და მძიმე პორტფელი იატაკზე დადო.

– შენი ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: შეხვიდე მწერალთა ოჯახში, დაუმეგობრდე მათ, ჩაერთო აზრთა გაცვლა – გამოცვლაში, პერიოდულად ბეჭდო ლექსები, მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ საღამოებში, დისპუტებში, შეხვდე მკითხველებს, მუშებს, გლეხებს და ინელიგენციის წარმომადგენლებს. გაიცნო მუზა, მოიპოვო მისი ნდობა, გადმიბირო, დაისაკუთრო, სხვებს ჩამოაცილო, რითაც ისინი დატოვო მთავარი მამოძრავებელი ძალის გარეშე. მუზა ერთია, თქვენ კი, მწერლები, ბევრნი. ერთი რას ეყოფა ყველას? ეს გამოიწვევს არეულობას, სრულ ქაოსს, შემოქმედებით კრიზისს, სულიერ დაცემას. ნელ – ნელა ისინი წერაზე ხელს აიღებენ და პირვანდელ პროფესიებს მიუბრუნდებიან. ამით ჩვენც გვეშველება და ქვეყანაც ამოისუნთქავს. არადა, როგორ სჭირდება ჩვენს ქვეყანას გამოცდილი ხარატები, დურგლები, მიწის მზომელები, მასწავლებლები... r – ამხანაგმა

კახაბერმა ამოისუნთქა. – თორემ რა გამოდის? ხალხს ჩამოსცილდნენ, ცხოვრებისგან შორს დაიჭირეს თავი. მათ რიგებში ფართოდ მოიკიდა ფეხი ახალმა არალეალისტურმა მიმართულებამ, რომელსაც ახასიათებს უკიდურესი ინდივიდუალიზმი, მისტიციზმი, დეკადენტური განწყობილებები, სიმახინჯის ესთეტიკა. სად მიგვიყვანს ეს ყოველივე, ამხანაგო ბონდო?!

– ცხადია უფსკრულთან. – წერტილი დასვა ბონდომ.

– მართალია! – დაეთანხმა უფროსი. – დაუშვებს მერე ამას ჩემი და შენი პარტია? არ დაუშვებს! ამიტომაც გამოგვიცხადეს დიდი ნდობა და ეს ოპერაცია ჩვენ დაგვავალეს.

– სხვანაირად რომ მოვუაროთ ამ მუზას? – იკითხა ბონდომ.

კითხვით კი იკითხა, მაგრამ წამსვე მიხვდა, რომ ენისთვის კბილი უნდა დაეჭირა. გაფრენილ სიტყვას ვინ დასწევია, ბონდო რომ დაეწიოს.

ამხანაგმა კახაბერმა ყველაფერი კარგად გაიგო, თუმცა უმცროსთან თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი ხდებოდა. არადა სადარდებლის მეტი რა ჰქონდა. მამოწმებს, გაიფიქრა კახაბერმა, ნამდვილად მამოწმებს, უნდა რაღაც წამომაცდენინოს, ზედმეტი მათქმევინოს და მერე მევე დამაბრალოს ინფორმაციის გაჟონვა. ეს ამას ვერ მოიფიქრებდა, დაავალებდნენ, თავი ისე უჭირავს, თითქოს არაფერი სმენია მუზის შესახებ, ვითომ არ იცის, მუზის მოკვლა რომ არ შეიძლება. ამან როგორ უნდა მაჯობოს, როგორ უნდა გამტეხოს ნელში?

გასაკვირი კია, მაგრამ ბონდომ მართლაც არაფერი იცოდა მუზის შესახებ, არც არასდროს დაუნახავს და არც არასდროს შეხვედრია. სად ნახავდა? ბონდოს სოფელში მუზა გავლითაც არ ყოფილა, არც სტამბაში ჩასულა და არც ბინაში მიუკითხავს მისთვის.

ამ ფიქრში არიან და ამ სიჩუმეში.

გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, როგორც კახაბერის საყვარელ მატარებელს მორყეულ ხიდზე გადასვლის დროს. ამჯერად სიჩუმე არ იყო მშვიდი. პირიქით, თოფის ლულაში გაჩხერილ ტყვიას ჩამოგავდა და როდის დაიქუხებდა, არც ერთმა იცოდა და არც მეორემ.

ამხანაგმა კახაბერმა ბონდოს შეხედა. ბონდომ პატიოსანი პატარძალივით დაიმორცხვა, თვალები დახარა და იატაკს ისე ჩააშტერდა, თითქოს საუკუნეების წინ დატოვებული ძველი წარწერის ამოკითხვას ლამობდა.

– სიზარმაციდან მათხოვრობამდე ერთი ნაბიჯია, ამხანაგო ბონდო! არ უნდა დაგეზაროს კაცს საქმის ბოლომდე მიყვანა, სხვას კი არ უნდა დაუტოვო დასამთავრებლად. ოპერაცია უნდა ჩატარდეს ისე, როგორც ითქვა, ჩვენი საქმე ზედმეტ კითხვებს ვერ ეგუება, ამხანაგო ბონდო!

– მესმის, ამხანაგო კახაბერ! – ბონდომ დამფრთხალი მზერა იატაკს ააცილა.

– კარგია რომ გესმის თუ დაიმახსოვრებ მთლად უკეთესი, შენთვის აჯობებს ისევ.

– დავიმახსოვრებ... უკვე მახსოვს! – თითქმის დაიფიცა ბონდომ.

უფროსმა კიდევ ერთხელ შეხედა პატარა კაცს.

რას ფიქრობდა კახაბერი, რა ცეცხლი ენთო მის გულში? ენდობოდა თუ არა გაპარსულ ზღარბს, იქნებ თავს იკატუნებდა? მართლა სჯეროდა მისი ფიცის, თუ ბონდოს აჯერებდა, რომ სჯეროდა? ვინ გაიგებს, ვინ დაადგენს, ვინ ჩასწვდება გამოცდილი ჩეკისტის გრძნობის სიღრმეს?

– ამ საქმეებს გადაათვალიერებ. – კახაბერმა საქაღალდეები ბონდოსკენ მისწია. – ხომ უნდა გაარკვიო ვისთან გაქვს საქმე.

– მუზას სად ვნახავ? როგორ შევხვდები?

– მისამართს ჩვენი აგენტი გადმოქცემს, მისი ძმის სახლში ცხოვრობს და მწერლებს იქ იღებს, მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს, ჯერ ადრეა, ჯერ მწერლობაში თავი უნდა დაიმკვიდრო, შენი სათქმელი თქვა.

– ვიტყვი აუცილებლად. – გაამაყდა ბონდო და პორტფელი ისეთი ძალით ჩაბღუჯა, რომ ზედ ეხატა, უკვე პოეტობაც'მოსწონდა და აქედან გამომდინარე სხვა ყველაფერიც.

– ლექსებს საკუთარი ხელით გადაწერ ცალკე რვეულში, დედნებს გაანადგურებ, რამდენიმეს ზეპირად ისწავლი, წაკითხვას მოგთხოვენ იცოდე. სამსახურში აღარ ივლი, ჩემთან კავშირი აგენტის მეშვეობით გექნება... ხომ კარგად დაიმახსოვრე ყველაფერი, ამხანაგო ბონდო?!

ბონდომ თავი დააქნია, ფეხზე წამოდგა და თავის სიმაღლის შესაფერისად გაიჭიმა. უფროსმა მზერით გააცილა ბონდო, მერე სწრაფად წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ყავისფერი ფარდა სანახევ-

როდ გადასწია, ადგილს დაუბრუნდა და მზისგან გახურებულ ლიანდაგს მიაჩერდა.

სატვირთო მატარებელი ახლოვდებოდა.

ნამდვილი ბრძენი სწორედ ის არის, ვინც ბედის მორჩილია.

ბონდომ ამ ამბის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა, მაგრამ ისე იქცეოდა, მისი შემხედვარე ადამიანი იფიქრებდა, რომ ეს ყოველივე დედის რძესთან ერთად ჰქონდა შეთვისებული.

ცხოვრებისგან ბევრს არაფერს ითხოვდა, მცირედითაც კმაყოფილი იყო და მეტზე არც კი ოცნებობდა. ცოტ – ცოტა მასაც ხვდებოდა, მაგრამ აქაც ბედის უსიტყვო მორჩილი გახლდათ. ცუდი და საწყენი გულთან ახლოს არ მიჰქონდა, დიდად არც კარგით ხარობდა, რადგან ბონდოც კი ხვდებოდა, რომ ორივე გრძნობა ისეთივე წარმავალია, როგორც წელიწადის დრონი. ნელ – ნელა შუალედი მონახა, ხელი მაგრად ჩასჭიდა და ისეთი კაცის სახელი დაიმკვიდრა, რომელსაც ყოველთვის უმართლებდა. ასე რომ, თავისებურად, ბრძენი ბონდოსაც შეეძლო რქმეოდა.

ახლაც გაუმართლა.

ბონდოს დერეფანში არავინ შეხვედრია. ასე სჯობდა, რადგან მოკითხვას, ზედმეტ შეკითხვებს და უსაგნო საუბარს ასცდა. გაჭირვებით, ქშენა – ქშენით მიათრია ბარგი შავ კართან, პორტფელი იატაკზე დადო, საქაღალდეები ლაჯებს შუა გაიჩხირა, ხელები გაინთავისუფლა და საკეტს გასაღები მოარგო.

ოთახში შესული ბონდო სკამზე დაეშვა, მაგიდის ნათურას თითი დაჰკრა და იქაურობას თვალი მოავლო: იგივე მაგიდა, იგივე სკამი, იგივე კედელი და სიბერე შეპარული რკინის სეიფი. გავა ბონდო ამ ოთახიდან და როდის დაბრუნდება, არავინ იცის. ან კი დაბრუნდება საერთოდ? იქნებ უსახელოდაც კი დაეცეს ბრძოლის ველზე. ბონდოს კაბინეტს სხვას გადასცემენ, შეიძლება მთლიანად გადაღებონ, შეიძლება ავეჯიც შეცვალონ, ალბათ სეიფსაც გაათრევენ, აი აბრას კი უეჭველად გამოცვლიან. არადა როგორ უყვარდა ეს აბრა ბონდოს. პატარა აბრა და მასზე მსუქანი, შავი ასოებით ამოყვანილი რამდენიმე სიტყვა: ჯგუფის უფროსი ბონდო ღვიძიშვილი.

როგორ უნდა ემუშავა ბონდოს ასეთი დამძიმებული გულით?

როგორ უნდა გასცნობოდა სხვათა საქმეებს?

სხვებისთვისაც ადვილი მისახვედრია, თუ რა ხანძარი გიზგიზებდა გაპარსული ზღარბის მომცრო სხეულში.

პირველი, რაც საქაღალდეში აღმოჩნდა, საშუალო ზომის კონვერტი იყო. „სამსახურებრივი საქმიანობისთვის" – წაიკითხა ბონდომ და გახსნილი კონვერტიდან პატარა, რამდენიმე გვერდიანი ბროშურა ამოიღო.

ილია გრუნვალდ – ხინკევიჩი, რამდენიმე სასარგებლო რჩევა დამწყებ მწერალს, ასე ეწერა ბროშურას. უფრო ქვევით უზარმაზვრი კალამი ეხატა, რომლის წვერზეც ასეთივე უზარმაზარი შავი მელნის წვეტი ეკიდა. მაგიდასთან მჯდარი, სათვალიანი მოხუცი სასოწარკვეთილი შესცქეროდა თავზე წა-

მომდგარ შავ ლაქას. სხვა რომ ვერაფერი მოეფიქრებინა, ცდილობდა ტანით გადაფარებოდა მაგიდაზე მიმოფანტულ ნაწერებს. ნვეთი საცაა კალამს მოსწყდებოდა და მოხუც მწერალს, საგვარეულო მაგიდასთან ერთად, დავიწყების უფსკრულში ჩააქანებდა. კალამს მთელ სიგრძეზე ორი სიტყვა ეწერა: პროლეტარული სალამი!

ბონდოს ნახატი მოეწონა. მარტივმა, მაგრამ ზუსტმა გამოსახულებამ ბონდოს ხასიათი გამოუსწორა, პირველი ფურცელი გადაშალა და კითხვას შეუდგა.

[მწერალი ეწოდება ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს, რომელიც სრულყოფილად ვერ ფლობს მშობლიურ ენას, თუმცაღა ფლობს ასოთა მოხაზულობას, იცის ანბანი კითხვით, შეუძლია არანაკლებ სამ გვერდზე მოგვითხროს გარკვეული ამბავი სასვენი ნიშნების გარეშე.]

[მწერალს არ მოეთხოვება გრამატიკის ცოდნა. ასევე არ მოეთხოვება სასვენი ნიშნების გამართული ხმარება.]

ერთადერთი რაც მწერალს მოეთხოვება არის ის, რომ საჯარო გამოსვლებსა თუ საკუთარ თხზულებებში, მიუთითოს, ასწავლოს, ჭკუა დაარიგოს სხვას მაშინ, როდესაც ყველაფერი უკვე გარკვეულია და ყოველივე ისედაც დღესავით ნათელია.

მწერლები თავად ირქმევენ ამ სახელს და კატეგორიულად მოითხოვენ, რომ სხვებმაც ასე მიმართონ.

მწერლები, როგორც წესი, იტაცებენ სხვის ნაწარმოებებს, ის სხვები კიდევ სხვისას და ასე დაუსრულებლად, რაც იძლევა იმ ეჭვის საფუძველს, რომ

ყველა ამბავი ერთი კაცის მოფიქრებული უნდა იყოს.

მწერლები იყოფიან ორ ჯგუფად: ნიჭიერებად და უნიჭოებად. რა თქმა უნდა, ეს დაყოფა პირობითია.

ორივენი იპარავენ ყველაფერს: ამბავს, სიუჟეტს, ფაბულას, სტილს, თხრობის მანერას, გმირების სახელებს, მოქმედების ადგილს, მოქმედების დროს, მოქმედების განვითარებას.

. ყველა მწერალი ხელისუფლებას ემსახურება. ის მწერლები, რომლებიც ვერ ემსახურებიან ხელისუფლებას, სულ იმის ფიქრში არიან, როგორ ჩამოაცილონ ის სხვები მთავრობას და მათ მაგივრად ჩადგნენ მის სამსახურში.

მწერლები არასოდეს კითხულობენ სხვა მწერლების ნაწარმოებებს.

. მწერლები არასოდეს აქებენ სხვა მწერლებს.

. სხვა მწერალზე დიდი მტერი მწერალს არ ჰყავს, თუ არ ჩავთვლით ხელმოცარულ მწერალს, რომელიც, მოგვიანებით, ასევე ხელმოცარული კრიტიკოსი გახდა.

მწერლებზე მომხვეჭელი ხალხი ძნელი მოსაძებნია. ისინი გარდაცვალების შემდეგაც ითხოვენ წიგნების გამოცემას და ჰონორარის მიღებას.

დროდადრო მწერლები ერთიანდებიან სხვადასხვა გაერთიანებებში, კავშირებში და მუშა ჯგუფებში, თუმცა ერთი სული აქვთ, როდის დააღწევენ თავს იქაურობას და გადავლენ სხვა გაერთიანებაში, კავშირში თუ მუშა ჯგუფში, რათა ლანძღონ ძველში დარჩენილი მწერლები, რომლებიც ასევე გადმოსუ-

ლები არიან სხვა გაერთიანებიდან, კავშირიდან თუ მუშა ჯგუფიდან.

რა თქმა უნდა, როგორც ყველაფერში, აქაც არის გამონაკლისი, თუმცა ეს ერთეული შემთხვევა სწორედ რომ საერთო წესს ადასტურებს.

ამას კიდევ რამდენიმე პუნქტი მოყვებოდა მამაშვილური შეგონებით შეზავებული, ბოლოს კი, ეს ჩამონათვალი, პატარა დასკვნით მთავრდებოდა.

ყოველივე ზემოდთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, ზოგადად, მწერლობის განსაზღვრება: მწერლობა, არის ფსევდო საქმიანობა, სადაც მინიმალური დანახარჯებით მიიღწევა მაქსიმალური შედეგი.

ბონდომ ამ მონაკვეთის კითხვა დაასრულა, იმ ცარიელ ფურცლებსაც ჩახედა, რომელიც შენიშვნებისთვის იყო გათვალისწინებული, და რადგანაც, შენიშვნა არ გააჩნდა, ისევ ტექსტს მიუბრუნდა.

ბონდო დაფიქრდა.

კარგად ჩანდა, რომ ბროშურა მხოლოდ მისთვის იყო დაწერილი. ბონდო ჩამონათვალს ისე ერგებოდა, როგორც კონკია ბროლის ფეხსაცმელს. მართალია, ჯიუტი ადამიანი განსხვავებას მაინც აღმოაჩენდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში ამ სხვაობის წაშლა სრულიად ადვილი შესაძლებელი გახლდათ. საკამათო აღარაფერი ჩანდა, განგებამ საქართველოს ახალი მწერალი აჩუქა. და რადგან მწერალი იყო, სხვა მწერლებიც უნდა გაეცნო.

ბონდომ ბროშურა გვერდზე გადადო და საქაღალდე გაშალა.

„ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას, ვუარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვტაცეთ ოქროს მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში. ვისაც სურს, მან უმღეროს გაზაფხულის ყვავილებს, მთვარეს და საღამოს მყუდროებას, დამშვიდებულსა და ტკბილ სიყვარულს, ტყის იდუმალებას და ფრინველთა გალობას. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაური შეცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას. ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები."

ბონდომ სიმბოლისტურ სადღეგრძელოს ვერაფერი გაუგო, აზრი ვერ გამოიტანა და ისეთი დასკვნა მიიღო, როგორიც მის სამსახურსა და ამ სამსახურის ჯგუფის უფროსს შეეფერებოდა.

რა უნდა იყოს ეს? არეულობისკენ წაქეზება და ბუნტისკენ მოწოდება?

ძვირფასი მეტალების წყალში გადაყრა: ანუ ხალხის, მოსახლეობის დანაზოგების გაფლანგვა, სახელმწიფო შემნახველი სალაროების დარბევა. . .

ფრინველების გაწყვეტა, მწვანე საფარის განადგურება: ანუ ფლორისა და ფაუნის მოსპობა. დივერსია, სასმელი წყლის მოწამვლა და არტეზიული ჭების ამოშრობა. . .

ხალხის ქუჩაში გამოყვანა: ანუ კანონიერი მთავრობის დამხობა. . .

აქედან რაღა დარჩა, რევოლუციამდეც ერთი ნაბიჯია!

ახლა სხვაც ვნახოთ:

„ქრისტიანობამ შექმნა თავისი საკუთარი მითოლოგია, რომელმაც გაამდიდრა ხელოვნების შინაარსი და აღმოაჩინა მარადისობის პერსპექტივა. თანამედროვე პოეზია ნაკლებად ხმარობს წარმართულ და ქრისტიანულ სახეებს. დღეს პოეზია ქმნის რეალურ სახეებიდან სიმბოლოებს, ქმნის მითებს. წარმართულმა და ქრისტიანულმა მითოლოგიამ დაკარგა კავშირი ჩვენ შეგნებასთან და პოეტიც სხვა ობიექტებს ეძებს თავისი შემოქმედებისთვის. ძველი მითები არავის არ სწამს, ამავე დროს, ჩვენ გვინდა მითი, ჩვენ გვწყურია მითი. „

სამხვდელოებაც ჩაუთრევიათ ამ საქმეში. რა გასაკვირია, აბა უმაგათოდ როგორ იქნება, სადაც სიბნელეა, სადაც გაუგებრობაა, ეგენიც იქ არიან, გაიფიქრა ბონდომ და კითხვა განაგრძო.

„შეითვისეთ უარყოფის სილამაზე, გმირული სიჩქარე, განათებული სიმაღლის სიყვარული, მღელვარების სიდიადე, დამსხვრევის იდუმალება. გიყვარდეთ მეხის მისტერია, ცეცხლის მოკიდება მისი, რაც წარსულმა გაადიდა, გაუღიმეთ სიკვდილის ძახილს, დაივინყეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყავით ლმოლბიერება და ქალური სინაზე. გიყვარდეთ ქალი ვნებიანად და დაუზოგავად ამრავლეთ ხალხი. ეს არის ჩვენი პასუხი, არა ვრცელი, როგორც თქვენ ელოდით: ჩვენ არ გვიხარია თქვენთან დიდხანს საუბარი. გაგიუდით კიდევ ერთხელ, კიდევ დაინახავთ ჩვენს ცით ღიმილს, რომლისაც თქვენ ასე გეშინიათ. თქვენ, ჩვენო ყვითელო მტრებო, ფერდაკარგულნო, სიბრაზით და აღშფოთებით, თქვენ, რო-

მელთა სახელი ჩვენ არ ვიცით, და რომელთა მოელ-ვარე ხმალს ჩვენ ვერასოდეს ვერ დავინახავთ."

ეს უკვე ძალიან ჰგავდა მუქარას.

ამ მიმართავამ ბონდოს საბოლოოდ გაუფუჭა ხასიათი. განსაკუთრებით ყვითელმა მტრებმა და აგ-დებულმა საუბარმა გააღიზიანა. საკუთარ მაჯას და-აცქერდა, გადაატრიალა, გადმოატრიალა, თითქოს შამმფურზე აცმული ხორცი ყოფილიყოს, მერე ნა-თურის ქვეშ მოაქცია და ყურადღებით დააკვირდა. შუქი ბონდოს მუქ კანს ყვითლად აფერადებდა. ბონ-დომ ხელი გამოსწია და კიდევ ერთხელ გაიმეორა: არაფერი შეცვლილა, კანი კვლავ გაყვითლდა.

აი, ვინ ყოფილა ყვითელი მტერი, მიხვდა ბონდო, ნათურის შუქზე მომუშავე ადამიანი, ანუ ჩემი პარ-ტია, ჩემი მთავრობა, ამხანაგი კახაბერი და მე.

ბონდო იშვიათად კარგავდა წონასწორობას, მაგ-რამ ახლა აღელდა. დაუმსახურებელმა შეუ-რაცხყოფამ წამოაწითლა და სუნთქვა გაუხშირა. გუ-ლი მოუსვენარი ბაყაყივით უხტოდა. მის ფიქრით დაღლილ გონებაში ერთმანეთს გადაეჭდო წყენა, დარდი, სინანული, მრავალი გვარი და მრავალზე მრავალი საგნის დასახელება:

ინდივიდუალიზმი...

მისტიციზმი...

დეკადანსი...

სიმბოლიზმი...

აკმეიზმი...

დადაიზმი...

კუბიზმი...

ფუტურიზმი...

ამ ყოველივეს გვარ სახელიც ემატებოდა:

კოლაუ ნადირაძე, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, ვიქტორ გაბესკირია, კონსტანტინე ჭიჭინაძე, პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, ივანე ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ნიკოლოს მიწიშვილი, ლევან ასათიანი, რაუდ გოგოხია, გრიგოლ ჯაფარიძე, ლადო მაჭავარიანი, სიმონ ჩიქოვანი, გალაკტიონ ტაბიძე...

მოერეოდა კი ერთი ბონდო ღვიძიშვილი ამოდენა დანაშაულებრივ დაჯგუფებას? მოერეოდა, რადგან ისიც მწერალი იყო, ბრძოლის ჟინით შეპყრობილი და ბასრი კალმით შეიარაღებული.

ამ გრძნობამ და ბონდოს მონდომებამ პირველი გარითმული სტროფი შვა. ასე რომ, სამწერლო ნათლობა მარტოობაში მიიღო, თანაც ღამით, ისე, როგორც ნამდვილ მწერალს შეეფერება. ძრწოდეთ ბურჟუაზიული კულტურის მსახურნო, მალე დაინახავთ გაპარსული ზღარბის მოელვარე ხმალს.

აი, ის სტროფიც:

მოდის ბონდო ღვიძიშვილი, ამ პარტიის ღვიძლი შვილი.

დასაწყისისთვის არა უშავდა რა.

ბონდო მწერალ გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, ექვს ნომერში. ზუსტად იქ, სადაც მოკლე აღმართს სწორი გზა ცვლის, მარჯვენა მხარეს, ორსართულიან სახლში. თუმცა რაღა ახსნა უნდა იმას, რაც ისედაც ყველამ იცის. არა, ბონდო არაფერ შუა-

შია, ბონდოს თბილისში არავინ იცნობს, ამხანაგი კახაბერის, რამდენიმე კოლეგის და ერთი ორი მეზობლის გარდა. ამ სახლში უბნის სისუფთავის კომისარი, სითეთრის ანგელოზი, ჟენია ცხოვრობდა. ჟენია მრეცხავია, თანაც ქურთი მრეცხავი, ადრე დაქვრივებული და სამი შვილის პატრონი. მათი ბინა ეზოშია, ნახევრად სარდაფში, თითქმის მიწის პირზე. მთელი დღე სახლში არავინაა. მისი ბიჭები, რაზმიკა, ისო და ამერა ადრიანად უჩინარდებიან, სადღაც დაეხეტებიან და გვიან ღამით უბრუნდებიან მშობლიურ კერას. უსაქმოდ გაჩერებულს ვერც ჟენიას მოიხელთებს ვინმე. ეზოს შუაგულში კოცონს აგიზგიზებს, ზედ უზარმაზარ ქვაბს დგამს და ხის ჯოხით ქვაბში ჩამხრჩვალ ზეწრებს დასდევს. თეთრი ზეწარი მოთუხთუხე წყალში სუქდება, იბერება და ტყვეობაში მოქცეულ რვაფეხას ემსგავსება. ხან სად გამოჩნდება მისი ამობურცული ფეხი და ხან სად. ჟენია დასდევს აბობოქრებულ სითეთრეს, ჯოხით აწვება, წამით სულს ითქვამს და სხვა ადგილის მოსათვინიერებლად გარბის. რაღაცას ბუტბუტებენ ჟენიას ტუჩები. იქნებ ლოცვაა? იქნებ წყევლაა? იქნებ სიმღერაა ჩუმი? იქნებ სიტყვაა ჯადოსნური? არის ამ ქროლვაში რაღაც დემონური, ძველი მლოცველების თუ შამანების მსგავსი, დამატყვევებელი და საშიში იმავდროულად.

მთელი ეზო თოკებშია, მთელი ეზო თეთრებშია, ამ ეზოში გამუდმებით თოვს. ყველგან ზეწრები ჰკიდია, ბალიშის პირები, აქა – იქ საბნები და ზოგან ხალიჩები. თითქოს ნებდებოდეს ეზო უხილავ მტერს. ძველი სახლი, ასევე ძველ, აფრაგაშლილ,

მართვადაკარგულ, ზღვაში შეცურებულ გემს ემსგავსება, მისი ბინადარნი კი რომით გალეშილ მეკობრეებს გვანან, შავი დროშით და ზედ მხიარული როჯერის მომღიმარი სახით.

ჟენია იქნებოდა ოცდათხუთმეტი წლის, დაბალი, ძლიერი ხელით, თეძოსქელი, ლამაზი თვალებით, მუქი კანით, შავი თმით, უნაკლო კბილებით და დიდი მკერდით.

ბონდოს ცოლი არ ჰყავდა, მაგრამ რომც ჰყოლოდა მაინც დატკბებოდა ჟენია მკერდის ცქერით. კაცმა რომ თქვას, ვერავინ გაამტყუნებდა, რადგან ჟენიას მკერდი სახალხო მონაპავარი უფრო გახლდათ, ვიდრე ერთი, კონკრეტული ადამიანის სხეულის ნაწილი.

ჟენიას გამუდმებით სცხელოდა. რადგან სულ შრომაში იყო და თანაც ცეცხლს დასტრიალებდა, ზამთარ – ზაფხულ ნახევრად შიშველი დაიარებოდა. მისი ძუძუები დახტოდნენ, ვით ჰაერით გაბერილი ბუშტები, უმიზნოდ, უმისამართოდ და სად მოხაზავდნენ მორიგ რკალს ან სად დაასრულებდნენ თავიანთ მოგზაურობას, ძნელი ამოსაცნობი იყო. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, ბონდოს საკუთარი მუზა უკვე მონახული ჰყავდა, თუმცა არც ბონდომ და არც ჟენიამ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მტერი ჟენიასაც ჰყავდა: ცუდი ამინდი, შავი ღრუბელი და შხაპუნა წვიმა. მოიქუფრებოდა თუ არა ცა, ჟენია ქვაბს გაცლიდა, გაფენილ სარეცხს აკრეფდა, ყველაფერს აივანზე აათრევდა და თავის შელოცვებს უკვე იქ აგრძელებდა.

მართალია, ეს ამბავი მეზობლებს გულზე არ ეხატებოდათ, მაგრამ პირში წყალს იგუბებდნენ. ზოგს უკერავდა, ზოგს უკემსავდა, ზოგს ურეცხავდა, აუთოებდა კიდეც, სხვის ბავშვებსაც ხშირად იტოვებდა და საკუთარ ლუკმასაც არ ამადლიდა. ნამუსმა, მორიდებამ და საჭიროებამ საიდუმლო გარიგება დადეს, პირი შეკრეს და მრეცხავი ჟენია ეზოდან გაძევებას გადაარჩინეს.

ყველაზე დიდი საერთო სამზარეულო, მთელ სახლში, მეორე სართულზე იყო განთავსებული, ბონდოს ბინის გვერდით. ბონდოს ერთი ოთახი ჰქონდა, რკინის საწოლით, კედელზე მხატვარ აივაზოვსკის ჟურნალიდან ამოჭრილი რეპროდუქციით, საშულო ზომის მრგვალი მაგიდით, ორი სკამით, ჭერში შეკიდული ნათურით, ერთი ჩაის ჭიქით, ორი კოვზით, სამი თეფშით და აივანზე გამავალი შუშის კარით, რომელსაც ფარდის მაგივრად, ავი თვალის მოსარიდებლად, თეთრი ქაღალდი ჰქონდა აკრული.

ბონდოს წვიმამ გზაში მოუსწრო. გვარიანად დასველდა. საკუთარ თავზე არ ნაღვლობდა, პორტფელის ბედი ადარდებდა, რაც არ უნდა იყოს, სახელმწიფოს ეკუთნოდა. ბონდომ ძვირფასი ნივთი პერანგის ქვეშ მოაქცია და ასე მიათრია სახლამდე. სადარბაზოში შესულმა წვეთები ჩამოიბერტყა, ფეხები დააბაკუნა და კიბეებს აუყვა.

– ბონდოს გაუმარჯოს! – სამზარეულოდან გამოსძახა ჟენიამ და სარეცხ ქვაბს მამაკაცური ძალით ამოჰკრა ჯოხი.

ბონდო გაჩერდა.

– ძაან დასველებულხარ, შემოდი, გაიხადე, შარვალს გაგიშრობ, გაგათბობ, გინდა გაგირეცხავ?! – მაცდურად იკითხა ჟენიამ და გაპარსულ ზღარბს ლამაზი კბილები აჩვენა.

ამ სიტყვებზე ბონდო ისე დაიხორკლა, როგორც მწვანე ხვლიკი. ბონდომ პირველად ინანა, რომ სიმაღლე აკლდა. კარგი რამეა სიმაღლე, სხვის უბეს ყოველგვარი დაძაბვის გარეშე დაგანახებს, არც კისრის წაგრძელება დაგჭირდება და აღარც თვალების დაქაჩვა. მაგრამ ბონდო მაღალი არ იყო, რაღა უნდა ექნა, ხომ არ ახტებოდა? დარჩენა კი უნდოდა ოხშივარ ასულ მრეცხავთან, მაგრამ რაღაც მასზე ძლიერი, იდუმალი ექაჩებოდა საკუთარი ოთახისკენ.

ბონდოს სხეულში დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. ერთმანეთს ერკინებოდნენ ბონდო შემოქმედი და ბონდო მამაკაცი. დამწყებმა მწერალმა, ეს ორი რაინდი ვერაფრით დაამეგობრა ერთმანეთთან, რომელიღაც აუცილებლად უნდა დაცემულიყო ბრძოლის ველზე. ასეც მოხდა, შემოქმედმა აჯობა და ბონდოს არჩევანი პოეზიისკენ გადაიხარა.

– არა, ჟენია, წავალ, ეგრე აჯობებს... აი, სამსახურიდან სამუშაო გამომყვა, სასწრაფოა... ცოტა თავიც მტკივა, ეტყობა გავცივდი...

– თავი რომ გტკივა კარგია! – თქვა ჟენიამ და ოფლიანი კისერი ხელით მოიწმინდა.

– ეგ რატომ?

– ცუდი ის იქნება, რომ არ გტკიოდეს. ესეიგი შიგნით რაღაც არის. – დაასკვნა ჟენიამ, კიდევ ერთხელ დაკრიჭა კბილები და გაიცინა.

ამ ხუმრობის შემდეგ ბონდოს წადილი სადღაც გაუჩინარდა და მისი აფოფრილი ვნება წყალგადასხმული კოცონივით ჩაქრა.

ოთახში შესულმა კარი საგულდაგულოდ გადაკეტა, მაგიდას მიუჯდა, პორტფელი გახსნა და იქიდან სხვისი ხელნაწერები ამოიღო. რა თქმა უნდა, ჯერ სველი ტანსაცმელი გამოიცვალა, თუმცაღა გამოსაცვლელი ბევრი არაფერი ჰქონდა და ნამიანი მაისურის ამარა დარჩა.

რაც მეტს კითხულობდა, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა ბონდო ერთ რამეში: მართალია ლექსები სხვისი დაწერილი იყო, როგორც ამხანაგი კახაბერი ამბობდა, მაგრამ მაინც მას, ბონდოს ეკუთვნოდა. ასე ხომ თვითონაც იტყოდა, ასე ხომ თვითონაც დასწერდა, ასე ხომ თვითონაც მოიფიქრებდა. მარტივად და გასაგებად, ამავე დროს, რთულად და გაუგებრად. ლექსი გონებისთვის არ იწერება, ლექსი გულისთვის ითხზვება, გრძნობისვის ირთვება, როგორც პატარძალი. თორემ ინფორმაცია თუ საინტერესო ამბავი გაზეთშიც მრავლად მოიპოვება. ასე რომ, ბონდომ ის დაიბრუნა, რაც ისედაც მას ეკუთვნოდა.

კითხულობდა ბონდო ლექსებს:

ბონდოს ამგვარი ბუნება არსად უნახავს: თოვლის და შუშის.

ბონდოს ამგვარი ლანდშაფტისთვის თვალი არსად მოუკრავს: ლითონის და ქვის.

ბონდო ასეთ ზღვასთან ახლოს არ მისულა: მშიერი ტალღა.

ბონდოს ასეთ ქალაქში არ უცხოვრია: მრუში და მყრალი.

ბონდომ არც ასეთი სიყვარული განუცდია: ნაზი ტუბერკულიოზი.

ბონდომ არც ბოჰემური არტისტიზმი შეუგრძვნია: მსახურები და ვაზები ოპიუმით სავსე.

ბონდოს არც თვითმკვლელობაზე უფიქრია: ყირამალა ხარაკირი.

ბონდომ ამოიოხრა.

კაცს მართლა შეეცოდებოდა გაპარსული ზღარბი. რამდენი რამ არ განუცდია, არ უგრძვნია, არ უნახავს, გულში არ გაუვლია. არა უშავს, ჯერ კიდევ მოასწრებს, დრო თავზე საყრელად აქვს. ღამე და წვიმის წვეთი კიდევ უფრო იდუმალს ხდიდა ამ ყოველივეს. ასე შედგა ფეხი ბონდო ღვიძიშვილმა დიდი პოეზიის გზაზე.

ხელის შეშლა არ იქნება ამ დროს, თავად გადაწყვიტოს, რადგან სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა, გარდა თვითმკვლელობისა.

ამხანაგმა კახაბერმა პირობა შეასრულა.

ბონდოს ორი, საშუალო ზომის ლექსი, მართლაც დაიბეჭდა მწერალთა გაზეთში, ბოლო გვერდზე, რამდენიმე განცხადებისა და სევდიანი ნეკროლოგის გვერდით. მართალია, პირველ გვერდზეც შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ საქმისთვის ასე სჯობდა, უფრო ბუნებრივად ჩანდა, ეჭვს არავინ აიღებდა, აღარც ოპერაცია დადგებოდა ჩაშლის პირას და ზუსტად იმდენი ადამიანი წაიკითხავდა, რამდენიც საჭირო იყო.

პირობა ბონდომაც შეასრულა. ლექსები საგულდაგულოდ, ბეჯითი მოწაფესავით გადაწერა რამდე-

ნიმე რვეულში, ათიოდე ზეპირადაც ისწავლა და მოვლენების შემდგომ განვითარებას დაელოდა.

ლოდინს არ გაუტანჯავს.

დათქმულ დროს, ალექსანდროვის ბაღში, მეკავშირეს მალულად შეხვდა და უფროსის შემოთვლილი ამბავი კარგად დაიმახსოვრა: ბონდოს, თავისი გემოვნებით შერჩეული რამდენიმე ლექსი კიდევ უნდა დაებეჭდა, ახლა უკვე სხვა გაზეთში, რა თქმა უნდა ფსევდონიმით. მისი ვინაობა, გარკვეულ დრომდე, არავის არ უნდა სცოდნოდა.

ბონდო ასეც მოიქცა.

რედაქტორმა კარგად მიიღო, გაულიმა, ფეხზე წამოდგა და ხელი მაგრად ჩამოართვა. ქება არ დაიშურა, მინას ააცილა და ჰაერში გამოჰკიდა წინაპრების ლანდებთან ერთად. ბონდოს ესიამოვნა, რაც არ უნდა იყოს, მასაც ადამიანი ერქვა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, შერცხვა და წამოწითლდა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, დავალება ბოლომდე შეასრულა და ფსევდონიმზე უარი არ უთქვამს.

შედეგმა არ დააყოვნა.

ამ ლექსებმა კიდევ უფრო გამოაცოცხლა საზოგადოება და ადრინდელზე მეტი მითქმა – მოთქმა გამოიწვია.

ზოგს მოსწონდა.

ზოგს არ მოსწონდა.

ისეთებიც გამოჩდნენ, ვისაც ძალიან არ მოსწონდა.

შურიანებმაც გაიღვიძეს.

ბონდოს ბოლომდე მწერალი ჯერ არ ერქვა, ამიტომ ამ სიჭრელეს ვაჟკაცურად შეხვდა და გული არაფერზე ტკენია.

აი, რას წერდნენ და რას ამბობდნენ.

ახალგაზრდული გაზეთი „გუშაგი"

„პოეტს სურს ბუნების იდუმალებას ჩასწვდეს, მისი მაგიური აზრი ამოიკითხოს და ამისთვის იგი სიმბოლურ სახეებს, ოფელიასა და ჰამლეტის ლანდებს მოუხმობს მის მიერ შექმნილი ირეალური სამყაროდან. ავტორის პოეტურ წარმოსახვაში მხატვრული ორეულები თავისთავში უდიდეს ტრაგიკულ შინაარსს შეიცავენ და ეს მზამზარეული სახე – სიმბოლოები უნდა დაეხმაროს მას თავისი დეკადენტური განწყობილებების საფუძველზე მხატვრული სიმბოლოების საშუალებით საღამოს, როგორც პეიზაჟის, სიმბოლოს გამოსახატავად. „

გაზეთი „კულტურის კვალში"

„დალეული" ბუნებას აღიქვამს, როგორც სიმბოლოთა ქაოტურ სიხშირეს. პოეტი თავის მხატვრულ წარმოსახვაში ლანდშაფტსა და პეიზაჟს ფანტასტიკური ჩვენების სახეს აძლევს. პოეტის მიერ დახატული ბუნება საოცარია და ირაციონალური, ხოლო ამ ბუნების ერთ – ერთი დამამშვენებელი ელემენტი – მთვარე, მის პოეზიაში სხვადასხვა მხატვრულ ვარიანტებში წარმოგვიდგება. „

საზოგადოებრივი ჟურნალი „ჩავიხედოთ"

„დალეულის" დაისი ის გრძნეული ემბაზია, სადაც მატერიალური საგნები და მოვლენები ჰკარგავენ თავიანთ ნივთიერ შინაარსს და ამ მისტიურობით განათლული მითში გადადიან, პოეტის ღრმა რწმენით, სუბსტანციურობას იძენენ და ამით მარადიულობას ეზიარებიან.

გაზეთი „პროლეტარის ხმა"

„ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრება აღსავსეა ადამიანის ზნეობრივი გადაგვარებისა და სოციალური დეგრადაციის ბნელი სურათებით. კაპიტალიზმის საზოგადოებრივ ეკონომიურმა ფორმაციამ უფრო ინტენსიური გახადა ქალაქური ცხოვრება, როგორც დასავლეთში, ასევე ჩვენში. ამ საზოგადოების დეკლასირებული ფენები, ლუმპენ პროლეტარიატი და ბოჰემური ცხოვრების მსხვერპლნი, ხელოვნებისა და ლიტერატურის ობიექტები გახდნენ. „დალეულმა" ბურჟუაზიული ურთიერთობის ეს ურბანისტული ტენდენციები, მთელი თავისი საშინელებითა და სიმახინჯით მკვეთრად ასახა საკუთარ შემოქმედებაში."

გაზეთი „ლიტერატურა დღეს"

„მისი ლექსები რიტმულ ინტონაციური თვალსაზრისით არ არიან მდიდარნი, უფრო ერფეროვანნი არიან, მის პოეზიაში არასრულყოფილი რითმებიც გვხვდება. „დალეულის" ლექსები თვითმიზნურ – ფორმალისტური ტენდენციებისა და ხელოვნურობის გამო ნაკ'ლებ ემოციურნი არიან."

ამ ყოველივეს მკითხველთა წერილებიც ერთვოდა. განსაკუთრებით ქალები აქტიურობდნენ, ბონდომ ხომ თავის ლირიკაში, წინა პლანზე, ინტიმის თემაც წამოსწია. მართალია, პირდაპირ წერილებში ამაზე არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ ვინც ქალის ენა იცოდა, მადლობის უკან რაც იგულისხმებოდა ადვილად მიხვდებოდა.

ნათელი იყო, ყველა გზა მწერალთა კავშირისკენ მიდიოდა. ბონდო დღე დღეზე გამოძახებას ელოდა. ხელმძღვანელობამ რატომღაც ხუთშაბათი შეარჩია, დილის თორმეტი საათი.

კრება ქართული ტრადიციების დაცვით, ოცი წუთის დაგვიანებით დაიწყო. თავიდან მიმდინარე საკითხები განიხილებოდა და რადგან ბონდო, ჯერჯერობით, ამ ორგანიზაციის წევრი არ გახლდათ დარბაზში არ შეუშვეს. მიმდინარე საკითხების განხილვა დიდხანს გაგრძელდა, თითქმის ორი საათი. დარბაზიდან ხმაური ისმოდა, ცალკეული შეძახილები ელვის სისწრაფით გადადიოდა საერთო ზუზუნში. ვიწრო დერეფანში, დარბაზის კართან მდგარი ბონდო მონდომებით ცდილობდა რამდენიმე სიტყვა მაინც ამოეგლიჯა ამ ქაოსიდან, მაგრამ, მიუხედავად უნაკლო სმენისა, ვერაფერს ახერხებდა. დროდადრო სხდომათა დარბაზიდან აღელვებული მწერლები გამოდიოდნენ, ხელებს სიტყვასავით ხმარობდნენ, პაპიროსის კვამლით ანაცრისფერებდნენ იქაურობას და ისევ დარბაზში ბრუნდებოდნენ. ბონდო უმეტესობას სცნობდა, მათ საქმეებში ჩაკერებული სურათების მეშვეობით. მწერლებმა არაფერი იცოდნენ ბონდოს შესახებ, დერეფანში მდგარ გაპარსულ ზღარბს ყურადღებას არ აქცევდნენ, თავიანთი საქმით იყვნენ გართულნი და ვერც კი წარმოედგინათ, რომ გვერდით მათი ამქრის მომავალი წევრი სცემდა ბოლთას.

როგორც იქნა, ბონდოს ჯერიც დადგა.

გადაჭედილ დარბაზში შესულ დამწყებ მწერალს მუხლი მოეკვეთა. ათეულობით თავი მიაჩერდა, ასეულობით თვალმა დასწვა. ბონდო შეცბა, საქციელი ნაუხდა, მუხლი ისე დაუმძიმდა, რომ მის გადაჩოჩებას გმირთა გმირი ჰერაკლეც ვეღარ შეს-

ძლებდა. ვინ იცის, ეს ყოველივე რა მარცხით დასრულდებოდა, თავჯდომარის ხმა რომ არ შეშველებოდა.

– აქეთ მობრძანდით, ამხანაგო, ჩვენსკენ!

ბონდო პრეზიდიუმში მიიპატიჟეს, მაგრამ მისი ნატვრანარევი სიხარული წამსვე ჩაქრა. სკამი არავინ შესთავაზა, ადგილი კათედრის წინ დაუთმეს მხოლოდ. იდგა ბონდო შუაგულ დარბაზში, როგორც საახალწლო ნაძვის ხე და ფერად – ფერად ნათურებზე ოცნებობდა.

შესავალი სიტყვა, როგორც წესი, თავმჯდომარემ აიღო.

– ამხანაგებო! – თითქმის დაიყვირა კრების წამყვანა და სქელი ფანქარი წყლით სავსე გრაფინს მიუკაკუნა. – სიჩუმე, ამხანაგებო, ჩვენი დღის წესრიგის ბოლო საკითხია, კავშირის რიგებში ახალი წევრის მიღება...

– რა დამსახურება აქვს ასეთი?!

– აგვიხსნას, დაგვისაბუთოს!

– მართალია!

– სწორია!

– ორ ლექსს ყველა სკოლადამთავრებული დასწერს!

– ლექსს გააჩნია!

– ამხანაგებო! – თავჯდომარემ ისევ ააწკარუნა გრაფინი და რაღაც ფურცელი მაღლა ასწია. – შემოსულია განცხადება, რომელშიც ბონდო ღვიძიშვილი, იგივე დალეული, ითხოვს ჩვენს რიგებში გაწევრიანებას. ჩვენ ვალდებულნი ვართ განვიხილოთ ეს განცხადება, ვიმსჯელოთ, დავადგინოთ, ან დავაკ-

მაყოფილოთ, ანდა უარი ვუთხრათ ამხანაგ დალეულს.

– წესდებას თუ იზიარებს?!

– წაკითხული თუ აქვს?!

თავჯდომარემ ფურცელი თვალებთან ახლოს მიიტანა.

– განცხადებაში სიტყვასიტყვით სწერია: ყურადღებით გავეცანი და წავიკითხე მწერალთა კავშირის წესდება, ვიზიარებ და სრულიად ვემხრობი მას... შეკითხვები ხომ არ გექნებათ?

– პარტიის წევრი თუა?!

– არ ვიცნობთ!

– მართალია, არ ვიცნობთ, რა კაცია?!

– გაგვეცნოს!

– გადმოსცეს ბიოგრაფია!

თავჯდომარემ ბონდოს შეხედა. ბონდომ დარბაზს. დარბაზმა ორივეს.

ბონდომ მოკრძალებულად ჩაახველა.

– დავიბადე სოფელ ბჟოლში, ძველ, ქვითკირის სახლში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დედა, ნუცა ღვიძიშვილი – ზარქუა არ მახსოვს, ჩემი გაჩენიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა, მაგრამ, როგორც მეზობლები მეუბნებოდნენ, მშრომელი და გულისხმიერი ქალი ყოფილა. მამაჩემი, ქაიხოსრო ღვიძიშვილი, ტყის მჭრელი იყო, დაუზარელი, მშრომელი და თავისი საქმის დიდი მცოდნე. მახსოვს მეზობელი სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ მასთან შეშის სათხოვნელად. უარს არავის ეუბნებოდა და ყველას ეხმარებოდა. მამას ტყეში მეც დავყვებოდი და შეძლებისგვარად ხელს ვუმართავდი. ეს ძირითადად

ზაფხულში ხდებოდა, სასკოლო არდადეგების დროს, მამა კი ზამთრობითაც დადიოდა, ტყეში ცხოვრობდა. ერთხელაც ძლიერ გაცივდა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. მამაპაპური ხერხით იმკურნალა, ჩვეულებრივი გაციება ეგონა, ფილტვების ანთება კი ჰქონია. დააგვიანა მკურნალობა და ვეღარ გადავარჩინეთ. ანდერძად ჩვენი სახლი და ქვეყნის სიყვარული დამიტოვა. ასე დავრჩი სრულიად ობოლი და მიუსაფარი. შორეულმა ნათესავმა შემიბრალა, მარტო აღარ დამტოვა, ჩვენი ავლადიდება გაყიდა და თბილისში გადმომიყვანა. ამგვარად აღმოვჩნდი დიდ ქალაქში. ნათესავი ღვიძლ შვილებში არ მარჩევდა, საკუთარივით მექცეოდა, სკოლაც დამამთავრებინა და მოგვიანებით სტამბაშიც დამაწყებინა მუშაობა ასოთამწყობის შეგირდად. სტამბაში რამდენიმე წელიწადი დავყავი, მაგრამ ფილტვები სუსტი აღმომაჩნდა, საღებავისა და ლითონის ოხშივარი ვეღარ ავიტანე. მოგვიანებით ექიმმა იქ მუშაობა.ამიკრძალა. დირექტორი გაგებით მოეკიდა ჩემს მდგომარეობას და რამდენიმე სართულით ზევით, რედაქციაში გადმომიყვანა. ერთხანს კორექტორად ვიმუშავე. დრო ბევრი მქონდა, განსაკუთრებით მორიგეობის ღამეს, სწორედ მაშინ დავწერე პირველი ლექსი. პირველს მეორე მივუმატე და ახლა მწერლობით ვაპირებ თავის გატანას...

ბონდო გაჩუმდა. დარბაზს მიაჩერდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ კარგად გაზეპრებული თხრობა გაასრულა.

– ამხანაგებო! – კვლავ წამოდგა თავჯდომარე. – თქვენც კარგად ხედავთ, კანდიდატს ნამდვილი

პროლეტარული ბიოგრაფია აქვს, მძიმე, მაგრამ ნათელი მომავლის იმედით გაჯერებული... შეკითხვები, ამხანაგებო!

– ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როდესაც ხელოვნებაში ხდება უმძაფრესი დანმენდა გამოხატვის საშუალებათა, როდესაც ხელოვნება განიცდის სასტიკ კლასიფიკაციას და ვერ იტანს დილეტანტიზმს, მბრძანებლად მოითხოვს მთელ შემოქმედს...

– სწორია!

– პური მეპურემ უნდა გამოაცხოს!

– ლექსები წაგვიკითხოს!

– ბიოგრაფია ჩვენც გვაქვს!

– წაგვიკითხოს, ვნახოთ რა საქმის მცოდნეა!

თავჯდომარემ ისევ ბონდოს შეხედა, ბონდომ ისევ დარბაზს, დარბაზმა ისევ ორივეს. ბონდო მდგომარეობის გართულებისთვის, რა თქმა უნდა, მზად იყო. ამჯერად აგრესიულად ჩაახველა, ხელი წინ გასწია და ჰაერში ჩამოჰკიდა, ხელს ფეხიც მიაყოლა და ყველასთვის ნაცნობ, ბრინჯაოში ჩამოსხმულ ქანდაკებას დაემსგავსა.

ალბათ, ყველაფერთან ერთად, ამ ჩვეულმა სურათმაც იმოქმედა, რადგან დარბაზმა ნელ – ნელა მოსმენა დაიწყო. თავიდან უყურადღებოდ იყვნენ, ჩურჩულსა და მითქმა – მოთქმას აგრძელებდნენ, მერე გაჩუმდნენ, სუნთქვა შეკრეს, რიტმს აყვნენ, რითმა გაითავისეს, ინტონაციას ყური მიუგდეს, დამტვრეულ სიტყვას გულის ფეთქვა ააყოლეს და ბონდოს ლირიკას საბოლოოდ ჩაბარდნენ ტყვედ.

მწერლები არც ისე ცუდი ხალხი აღმოჩდნენ.

ბონდოს გაჩუმება და ტაშის გრიალი ერთია. ტაშს ხმები ერევა, ხმებს შეძახილები.

– მივიღოთ!

– ღირსია!

– ნუღარ გადავდებთ!

– სად იყო აქამდე!

– განსხვავებული აზრი ხომ არ გაქვთ?! – წესს იცავს თავჯდომარე. – ამხანაგი გალაკტიონი რას გვეტყვის? სიამოვნებით მოვუსმენთ სახალხო პოეტს.

– რითმებს მპარავენ! – თქვა გალაკტიონმა.

– რა ბრძანეთ?! – მგონი მართლა ვერ გაიგო თავჯდომარემ.

– მპარავენ რითმებს, თვალსა და ხელს შუა, თან მეუბნებიან, შენ ვინა ხარო, მთელი პორტფელი მომპარეს ლექსებით სავსე... მართალნი არიან, თუ თავის საქონელს ვერ უვლის კაცი, ვინ უნდა იყოს მართლა?

– ჩვენ სხვა საკითხზე ვმსჯელობთ, ამხანაგო გალაკტიონ, მივიღოთ თუ არა ბონდო ღვიძისშვილი კავშირის წევრად.

– მივიღოთ. – დაეთანხმა გალაკტიონი. – ამდენი მიგვიღია და ამან რა დააშავა.

მწერლებმა ამოისუნთქეს, მეხი და გრიგალი გადავლილი ჰგონიათ, მოდუნდნენ და სწორედ მაშინ აღმოჩდნენ ქარიშხლის შუაგულში.

– ერთი კაცი და კავშირი გაგიგონიათ სადმე? – იკითხა გალაკტიონმა და თვალები მოჭუტა.

ბონდო მიხვდა, რომ ამ დარბაზში ქართულ პოეზიას საძმო საფლავი გაუთხარეს. დარდისგან დადუ-

მებული ჭირისუფლები ხმის ამოღებას ვერ ბედავ-დნენ. ეს ის დრო იყო, როდესაც ყველას საკუთარ გულში უნდა ჩაეხედა, მაგრამ ქართველები სხვა ხალხია, არავის გვანან, საკუთარ თავზე არაფერს იღებენ და გამუდმებით სხვის სულში აფათურებენ ხელებს. არადა ყველას მიმართა, თუმცა არავის-თვის უთქვამს, თითქოს ვერავინ გაიგო, მაგრამ ყვე-ლა მიხვდა და დამნაშავის თუ მასზე ნაკლების ძიებას ორი რიგის იქით შეუდგა.

პოეზიის პანაშვიდმა სახალხო პოეტსაც დასწყვი-ტა გული.

– მე ხომ სრულიად არ ვიცი ლაპარაკი... მე იმდე-ნად არ ვიცი ლაპარაკი, რომ კაცს ხშირად ვერ ვა-გებინებ. – ეს თქვა და დარბაზიდან გავიდა.

სხვებიც და სცენაზე მდგარი ბონდოც ისე გაჰყურებდნენ გალაკტიონს, როგორც სადგურზე მისული მგზავრები უკვე გასულ, ბოლო მატა-რებელს.

ბონდო ღვიძიშვილი მწერალთა კავშირში მიიღეს.

კრებაზე მომხდარმა უსიამოვნებამ კენჭისყრაზე ვერ იმოქმედა და ბონდოს მხოლოდ ორი შავი ჩაუგ-დეს. სახალხო პოეტის გამოსვლა მწერალთა ყრი-ლობაზე გაუგებრობად მოინათლა და რადგანაც შე-მოქმედებით პროცესს ამგვარი გაუგებრობები მრავლად ახლდა, მწერლებმა წყენა მალე დაივიწყეს და ეს ამბავი აღარ გაახმაურეს.

ამხანაგი კახაბერისთვის, რა თქმა უნდა, ეს ყოვე-ლივე ცნობილი გახდა. ისიც შეატყობინეს, რომ ბონ-

დო ერთი კვირაა სახლში არ გამოჩენილა. მწერალთა ოჯახს კარგად შეეთვისა, უძილობას დაუმეგობრდა, ღვინის გემოც გაიგო და არც თვალუუჟუნა თაყვანისმცემლებზე უთქვამს უარი. თუმცა არც მთავარ საქმეს ივიწყებდა, ლექსებს ბეჭდავდა, მშრომელებს ხვდებოდა და ერთხელ რადიოშიც კი გამოვიდა.

გამოცდილი კახაბერისთვის ნათელი გახდა: მუზის გადმოსაბირებლად ამაზე კარგ დროს ძნელად თუ წარმოიდგენდა ადამიანი.

გადადებული საქმე ეშმაკისაა.

აგენტთან შეხვედრა იმავე საღამოს შედგა. ბონდო კონსერვატორიის წინ, აფიშასთან იდგა, ვითომ კითხულობდა, აგენტი ვითომ ამ აფიშას´აკრავდა. მართალია, ცოტა დაქანებული გამოუვიდა, მაგრამ წაკითხვა მაინც შეიძლებოდა: „ფელიქს კოჟორიძე. საფორტეპიანო კონცერტი. პრგრამაშია ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები." ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ დიდი, წითელი ასოების უკან ფანქრით მიწერილი ტექსტის ამოკითხვა შეიძლებოდა: „არსენას ქუჩა ოთხი.`მეორე სართული. დღეს."

კიდევ კარგი ახლოს მაინც არის, გაიფიქრა გაზარმაცებულმა პოეტმა და აღმართს აუყვა.

ოდნავ გადაქანებული სახლის პირველ სართულზე ეფრემა მკერავი ცხოვრობდა, ტილოს თეთრი შარვლებისა და პერანგების დიდოსტატი, ნემსისა და ძაფის ჯადოქარი. ეფრემა იმითაც იყო ცნობილი, რომ კლიენტს ზომას არასოდეს უღებდა, არც სანტიმეტრს ხმარობდა და არც გამხმარ საპონს, მხოლოდ მახვილი მზერის იმედად იყო. რაც მთავა-

რია, არაფერი ეშლებოდა და მის შეკერილ შარვალს წუნს ვერავინ დასდებდა.

სახლს ორი რკინის კიბე გარედან ჰქონდა მიდგმული, ორივე მეორე სართულზე ადიოდა, სხვადასხვა კართან და ორივე ეფრემას სახელოსნოს წინ იწყებოდა.

ბონდომ ეზოში ფეხი შედგა. შედგა და დაიბნა. მარჯვნივ თუ მარცხნივ? მარცხნივ თუ მარჯვნივ? აქეთ თუ იქით? რომელს აუყვეს?

– ორმოცდაოთხი... პირველი როსტი! – გამოსძახა ეფრემამ.

ბონდო დაფრთხა, წამით აირია, თავიდან ვერაფერი გაიგო, ეს უცნაური ციფრები საიდუმლო ნიშანიც კი ეგონა, მაგრამ მალევე გაახსენდა, რომ ასეთი მითითება მიღებული არ ჰქონდა.

– არ მესმის... მე... აქ...

– შენი ზომაა, მაგას ატარებ, ხომ ასეა?! ეფრემა არასოდეს ცდება. შარვალი არ გინდა შეგიკერო?! ბევრს არ გამოგართმევ. – ეფრემამ სათვალე მოიხსნა და ბონდოს მიაჩერდა.

– არა, არ მინდა. – დაიმორცხვა ბონდომ. – მე სხვა საქმეზე მოვედი.

– შენც იმასთან?! – გაიკვირვა ეფრემამ. – რამდენს უძლებს ეს ქალი... მარჯვნივ ადი, იქ ცხოვრობს.

ეფრემა ძველი ყაიდის კაცი იყო და მუზის ცხოვრების წესს ვერ ეგუებოდა. ამდენი სტუმარი, მიმსვლელ – მომსვლელი, ხმამაღალი სიცილი. ერთი ორჯერ საჩივრის დაწერაც კი უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა. დაფიქრდა, ყველაფერი აწონ – დაწონა,

მოგება წაგება შეაჯერა და საკუთარი საქმის წახდენას მოერიდა. ბოლო ერთი წელია შეკვეთების მიღებას ვერ აუდიოდა, შეიძლება ითქვას, მთელი ქართული მწერლობა მის შეკერილ ტანსაცმელში დადიოდა. ასე რომ, მუზას და ეფრემას საერთო კლიენტები ჰყავდათ. არადა, ოჯახს რჩენა უნდოდა, ნათესავებს ყურადღება, ამას ქორწილი ემატება, მიცვალებული, ექიმი, ხარჯია, რაც არ უნდა იყოს. ამის შემდეგ ეფრემას საჩივარი აღარ გახსენებია.

ის იყო ბონდოს კარზე უნდა დაეკრა ხელი, რომ ხმამაღალი საუბარი შემოესმა.

– მე დავესწარი სალიტერატურო საღამოს, გამართულს ხელოვნების სასახლეში. წარმოთქვეს სიტყვები, წაიკითხეს ლექსები. მაგრამ მე ვიგრძენი საშინელი სიცხადით, თუ რა მსუბუქი და მჩატეა ყოველგვარი სიტყვა გრძნობათა გამოსახატავად, იოტისოდენაც არ ხვდება გულს არავითარი რითმა, არავითარი აწეული პათოსი, არავითარი დაფასება. ყოველივე ეს მხოლოდ სიტყვებია, რომლებიც ცვივიან უგულო კაკლებივით. არ ვიცი რანაირი პოეზია მოახდენს ეხლა ჩემზე რაიმე შთაბეჭდილებას საზოგადოდ... მაგრამ ჩუმად! ლიტერატურულ საღამოზე უცებ პიანინოს მიუახლოვდა ახალგაზრდა კაცი. მან მისცა მუსიკა განცდებს და ყველაფერი ჩემთვის განათლდა. ვიგრძენი ნამდვილი ხელოვნება... – კაცი გაჩუმდა, მერე კი სინანულით დაამატა. – სირცხვილი არ არის, მე ფული არ მქონდეს!

მცირე ხმაური, ნაბიჯთა სიახლოვე და კარის გაღება. ბონდო გარეთ გამოდგმულ ძველ კარადას ეფარება. ბონდო აღარ ჩანს, მხოლოდ ქუჩიდან თუ

დაინახავს ვინმე. კაცი მასპინძელს არ ემშვიდობება, ალბათ ნაწყენია, თითქოს იბუტება, ხმას არ სცემს და კიბეზე ჩასვლას იწყებს. მისი ჩაცმულობა ბევრისთვის ნაცნობია, უბრალო, მაგრამ ყველასგან გამორჩეული. ბონდოს უცნობი გალაკტიონს აგონებს. პოეტი ქვევით ჩადის და ეფრემას კარის წინ ჩერდება. იწყება საუბარი, უცხო, უცნაური. რა იცის ბონდომ, რომ პოეტი არ საუბრობს, პოეტი სიტყვას ავარჯიშებს, ბგერას ძერწავს და მომავალი ბრძოლებისთვის ემზადება.

– მობრძანდით!

– დაბრძანდით!

– როგორ ბრძანდებით?

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

– რასა ბრძანებთ?

– ბატონი ბრძანდებით!

– როდის წამობრძანდებით?

– სად მიბრძანდებით?

– ბრძანდებოდით იმერეთში?

– ბრძანებულხართ როდესმე?

– რა ბრძანებაა?!

– თქვენი ოჯახი როგორ ბრძანდება?

– ბრძანეთ, ბატონო!

– ერთი ეს მიბრძანეთ!

– რატომ ხშირად არ დაბრძანდებით?

– ერთი აქ მობრძანდით.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

– შემობრძანდით.

ეფრემა რაღაცას ამბობს, ალბათ ისიც გაკვირვებულია, ისევ შარვლის შეკერვას თუ სთავაზობს.

ბონდოს ცუდად ესმის, ბონდო ასე გრძნობს, სამაგიეროდ გალაკტიონის სიტყვები სწვდება ყურს.

– ღვინო საჭირო არ არის. მთვრალი კაცი ყოველთვის სისულელეს ამბობს. ფხიზელი მე ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ვახდენ, მხოლოდ სითამამე არ მაქვს. კარგია ფხიზელი სითამამე.

გალაკტიონი მიდის, ეფრემა ძველ ადგილას რჩება. მაგრამ ბონდოს აღარ უკვირს და აღარც აღიზიანებს მწერლის ასეთი ქცევა, რადგან თვითონაც მწერალია და ამის დამადასტურებელი წიგნაკიც ჯიბეში უდევს.

ბონდოს ბინის კარი ღია ხვდება.

დერეფანში არავინაა, არავინ ეგებება. ბონდოს ეს გაურკვევლობა აშინებს, გაურკვევლობა ყოველთვის აფრთხობს მწერალს, უკან დაბრუნება უნდა, მაგრამ ამხანაგი კახაბერი ახსენედება, ახლა უკვე მისი შიში აქვს, დაუმთავრებელი ოპერაცია გაპარვის საშუალებას არ აძლევს. დგას სიმარტოვეში და კედლებს შესცქერის. ირგვლივ სურათებია ჭერამდე ასული, რამდენიმე ძველებური თარო, თაროზე ყვითელი შანდლები, უფრო იქით ფერგადასული ტანსაცმლის საკიდი. დერეფნიდან ოთახი მოჩანს, გაჩახჩახებული, ოქროსფერი, ბრჭყვიალა.

– აქეთ მობრძანდით, მოიქეცით როგორც საკუთარ სახლში, ეხლავე მოვალ! – ისმის საიდანღაც ჯადოსნური ხმა.

ბონდო ამ ხმას ბრმად მიყვება.

მართალია, რამდენიმე თვის წინ მხატვრებს ამუშავებდა და წესით, არაფერი არ უნდა გაკვირვებოდა, მაგრამ მღელვარების მოთოკვა მაინც გაუ-

ჭირდა. შიშველი და ნახევრად შიშველი ქალები, ზღვა მღელვარე და ზღვა მდგარი, მტირალა მზე და მომღიმარი მთვარე, ვაშლები, ატმები, ცარიელი ბოთლები, ცხოველები და გეომეტრიული ფიგურები, ათას ფერში, მხოლოდ მკრთალ ხაზებში, ზოგჯერ მხოლოდ ჩრდილებში. ბონდომ ნახატთა მწკრივში, ფერთა აზელილ ტალახში თამამად შეტოპა. ზოგი მოსწონდა, ზოგი არა, მაგრამ მათ აზრს ვერაფრით ხვდებოდა და გაგებაც უჭირდა. თუმცაღა, რაკი მწერალი ერქვა და ხელოვანთა წრეში ტრიალებდა, ცდილობდა ეს ყოველივე სახეზე არ დასტყობოდა, რაც არ უნდა იყოს, მაინც სირცხვილი იყო.

– მოგწონთ? – იკითხა მასპინძელმა და საკუთარ შეკითხვას ოთახში შემოყვა.

ქალს ალბათ რაღაც ეცვა, მაგრამ ბონდოს სრული შეგრძნება ჰქონდა, რომ მასპინძელი შიშველი დაიარებოდა. სხეულის ყოველი ნაკვთი ისე უთრთთოდა, როგორც სირბილით გართულ ადამიანს, ყველაფერი უხტოდა და საცაა ბონდოს ფეხებთან მოადენდა ზღართანს. ერთ დროს სანუკვარი, ბუშტივით დაბერილი ჟენიას მკერდი სამუდამო დავიწყებას მიეცა.

– მოგწონთ? – გაიმეორა ქალმა და სურათისკენ ხელი გაიშვირა.

ბონდო ხელს გაყვა.

ფანჯარასთან კაცი იჯდა. იჯდა და მოქუფრულ ცას გასცქეროდა. წვიმას აპირებდა. ზღვა არსად ჩანდა, მაგრამ ყველა მას ეძებდა, მისი ხმა ესმოდა, მის სუნთქვას გრძნობდა. კაცს მოხსნილი ფეხები იქ-

ვე, კედელზე ჰქონდა მიყუდებული და განიერი კისრიდან ამოსული კვადრატული თავი გაუნძრევლად ეჭირა. ნახატს „გამქრალი შემოდგომის სიყვარული ერქვა."

– ხომ მოგწონთ? – მესამედ იკითხა ქალმა და ბონდოს შეხედა.

ბონდო უფრო დაიბნა. ცალკე მასპინძლის მაცდური ხორცი ურევდა ტვინს და ცალკე ნახატი აფრთხობდა.

– მე... ასეთი... დაზუსტებით... – მგონი რაღაც ამდაგვარი თქვა.

– არ არის საჭირო. – გააწყვეტინა მასპინძელმა და ბონდომაც შვებით ამოისუნთქა. – ისედაც ვიცი რაც უნდა მითხრათ, მაგრამ რაც ცხოვრებაში ლამაზია, ხშირად ხელოვნებაში მახინჯია და რაც სინამდვილეში მახინჯია, ხელოვნებაში მშვენიერია. ლამაზი და მშვენიერი ერთი და იგივე არ არის. მშვენიერება შექმნა ხელოვნებამ და ეს ხელოვნების კატეგორია გახლავთ; სილამაზე კი ცხოვრების კატეგორიაა. ხდება ასეც, რომ ლამაზი მშვენიერს უსწორდება, რომელთანაც მეტი კავშირი აქვს, მაგრამ მეტ აქტიურობას იჩენს ხელოვანი, როდესაც შეჰყავს მახინჯი ხელოვნების სფეროში და მშვენიერ მოვლენად აქცევს. ხელოვნებაში მახინჯი არ კარგავს თავის გარეგან ატრიბუტებს, თავის ფორმას, მაგრამ მისი შინაარსი სულ სხვა არის და ესთეტურია ის ემოცია, რომელსაც ჩვენ ვიღებთ მახინჯიდან ხელოვნებაში...

ბონდომ ვერაფერი გაიგო ამ გრძელი საუბრიდან და მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ გულიანად

ამოიოხრა, ისე როგორც დარდიან მწერლებს შეშვენის.

– ეს ნახატი სიმონ ჩიქოვანმა მაჩუქა. არ ვიცი როგორი პოეტია, თავს ვერ დავდებ, დიდი ხანია აღარ გამკარებია, მაგრამ მხატვრობას კარგად იცნობს. მახსოვს, აი, აქ ვიჯექით, ჩემსკენ გადმოიხარა და თითქმის საიდუმლოდ მითხრა: ‘ექსპრესიონიზმის შინაარსი არის რელიგია, ფუტურიზში აკეთებს ეპოქის მატერიალიზაციისკენ სწრაფვას. ფუტურიზმმა ფერების, ხმის და ყოველგვარი აკუსტიკური და ოპტიკური ფორმების მატერიალიზაციამდე დაყვანა სცადა, ფუტურიზმის დაშლა არის პროცესი ლაბორატორიისთვის. ნარჩენებიდან შენდება ახალი ფორმები, ეს არის დამოუკიდებელი ნივთი ან ნივთისკენ სწრაფვა. რა მოხდენილად არის ნათქვამი... ძალიან უყვარს თანამედროვე მხატვრები, პაულ კლეი, კოკოშკა, შაგალი, პიკასო, კანდინსკი... იცით რომ კლეიმაც და კანდინსკიმაც ძალიან ბევრი წამოიღეს პიკასოდან? განსაკუთრებულ პატივს გერგ გროსს სცემდა, იცით რატომ? იმტომ, რომ ადამიანის ფსიქოლოგიის გადმოცემისთვის გროსს დახასიათებული ყავს ორი კლასი, ბურჟუაზია და მუშები. როგორც გერმანელ კომუნისტს მას სწამს ბურჟუაზიის დეკადანსი და მისი აზროვნების გამოფიტვა.] თქვენ?

– რა?

– თქვენ თუ გწამთ?

– მეც, რა თქმა უნდა. – დაეთანხმა ბონდო. – წყალი არ გაუვა მაგ საქმეს.

– ვურჩიე მხატვრობას გაჰყოლოდა, მშვენიერი ხელოვანებათმცოდნე დადგებოდა მისგან, სამწუხაროდ არ დამიჯერა.

მასპინძელი ნახატს მოსცილდა და კედელზე გაკრული, ჩარჩოში ჩასმული, ალაგ – ალაგ დაჭმუჭნული ქაღალდის წინ გაჩერდა.

– აი, რა არის ნამდვილი სიმახინჯე!

– ეს რა არის? – დაინტერესდა ბონდო.

– დეპეშა, ჩვეულებრივი დეპეშა, უფრო სწორედ, არაჩვეულებრივი, რადგან სამოცდათხუთმეტი კაცი აწერს ხელს.

– რამდენი?... სამოცდათხუთმეტი?

ქვევიდან წამოსულმა სიწითლემ ბონდოს სიტყვის დამთავრება არ აცალა. ბონდო გავარვარდა, ცეცხლში მოქცეული რკინასავით ახურდა და ახლა გამოცდილი მჭედლის ჩაქუჩი გადაარჩენდა მხოლოდ. რაც მთავარია, ბონდო ამ სიწითლის მიზეზს ვერ ჩასწვდა. არადა, რომც ჩასწვდენოდა, ამით წამხდარ საქმეს მაინც აღარაფერი ეშველებოდა. ასე რომ, თავიც შეირცხვინა და ეროვნული მწერლობაც.

მასპინძელმა ადვილად შეამჩნია ბონდოს ცვლილება და ამის დამადასტურებლად თითქმის დამარცვლით გაიმეორა მამაკაცთა რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრი.

– ზუსტად სამოცდათხუთმეტი მწერალი... ერთხელ ძალიან გამაბრაზეს, მხოლოდ თავს იქებდნენ, ჩემზე კი კრინტსაც არ ძრავდნენ. გული მატკინეს, ყველა მივატოვე და დასასვენებლად წავედი. რამდენიმე დღე გაძლეს, მაგრამ რომ ვეღარაფერი მოახერხეს, ვეღარაფერი შექმნეს, მომადგნენ და ხვეწნა – მუდარით ამიკლეს. დაბრუნებას მთხოვდნენ, მე ცივ უარზე ვიდექი. ერთ დილით ჩემი ეზო ხალხით გაივსო. როგორც მოგვიანებით გა-

ვარკვიე, ფოსტის მუშაკები ყოფილან, ჩემი ნახვა აინტერესებდათ, ვერაფრით გაიგეს, რას ვემსახურებოდი, რა პროფესიის ვიყავი, რას მოითხოვდა ჩემგან მამაკაცთა ჯარი. რაც მთავარია, მათი თხოვნა ისეთი ერთობის სულით იყო გაჟღენთილი, რომ ადამიანს მართალი ეგონებოდა, არადა მე ხომ ვიცი მაგათი ამბავი, ერთი სული აქვთ, როდის გამოუყვანენ წირვას ერთმანეთს. იცით როგორ მოიხსენია ქართველი მწერლები მარუხა შუამდინარელმა?

– არ ვიცი. – დაიმორცხვა ბონდომ.

– ქართველი ლექსის მწამებელი გრიგოლ რობაქიძე... რუსეთის შეგირდი და გაკეთებული ნიჭის პატრონი ვალერიან გაფრინდაშვილი... პოეზიის პარალიჩი ტიციან ტაბიძე, აი, ასეა საქმე... კიდევ გინდათ მწერლობა?

– კი, მინდა! – ისე მტკიცედ თქვა ბონდომ, თითქოს საუბარი საჭმელზე იყო და არა ასოთა წყობაზე.

– კეთილი, რა გაეწყობა, მაშინ დავიწყოთ. მე მუზას მეძახიან, თქვენ კი ალბათ ბონდოს, ხომ ასეა?

– ბონდო მქვია, მართალია.

– მითხრეს თქვენს შესახებ, მართალია ძალიან დაკავებული ვარ, მაგრამ უარი არ მითქვამს, მიყვარს რთული საქმე, სახელმაც მიმიზიდა, ჩვენი დროის შესაფერისი სახელია, შეძახილივით მოკლე და ბონადირესავით გაბედული.

–ბონდო გაიბადრა. ასეთ დახვედრასა და სიტყვებს არ ელოდა. ამ დღიდან მისი სახელი სხვაგვარი შუქის ქვეშ მოექცა და ბონდომაც სხვანაირად შეხედა: სიამაყით და იმედით.

– თავშალი მომიტანე, ბონდო! – თქვა მუზამ და თვალები მილულა.

– თავშალი? ამ სიცხეში?

– მოხარული ვარ, დასაწყისისთვის კარგია. – გაიღიმა მუზამ. – ნამდვილი მწერლის მონაცემები გაქვს, არაფერს კითხულობ, ისე, რომ იცოდე, ეს წინადადება ერთი ქართველი მწერლის მოთხრობიდან არის, თუმცა ჩვენ საქმესთან ამ მოთხრობას კავშირი არა აქვს... მიდი, ბონდო ლექსები წამიკითხე, მე კი დავისვენებ.

ბონდოს ოლონდ სხვისი ლექსები აკითხე და მეტი რა უნდა. თანაც კიდურების ოსტატურად ქნევა უკვე ნასწავლი ჰქონდა. ჯიბიდან რვეული ამოაძვრინა და პირი დააღო. მუზა სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და მეორე ლექსზე კატასავით აკრუტუნდა. ბონდომ სამი ლექსი წაიკითხა. მეტსაც წაიკითხავდა, მაგრამ მარაგს უფრთხილდებოდა და რადგანაც ამხანაგი კახაბერისგან სანუგეშო არაფერი ისმოდა, ბევრი ველარ გაბედა.

– მომწონს, ძალიან მომწონს, ემოცია მოდის, განწყობა, სიმსუბუქე, მაგრამ გარკვეული შენიშვნები მაინც მაქვს, ხომ არ გეწყინება, ბონდო?

– წყენა რა შუაშია. – მხრები აიჩეჩა ბონდომ.

– მაშინ ყურადღებით მომისმინე. შენს ლექსებს ბოჰემური არტისტიზმი აკლია. რეალური სინამდვილიდან გაქცევამ, პოეტურ ნაჭუჭში გამოკეტვამ გარკვეული მხატვრული შედეგი გამოიღო. შენს შემოქმედებაში ეს გაფორმდა, ეგრეთ წოდებული „ოთახის ესთეტიკის" სახით. ეს ესთეტიკა მალარმემ შექმნა. რასაკვირველია ოთახის თვალსაჩინო კატე-

გორია არის სარკე, როგორც შემოქმედების საგანი, როგორც პოეზიის საგანი. სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფისა. არაფერი ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენს ყოფის ლანდურობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე. ხომ გამიგე რისი თქმა მინდა, ბონდო, გენაცვალე?

– ვერა. – ალალად თქვა ბონდომ.

– სარკეში უნდა ვიყუროთ, საკუთარი თავი დავინახოთ, ხელახლა აღმოვაჩინოთ, უნდა ვიმეცადინოთ, ვისწავლოთ, ყველაფერი უნდა დამიჯერო, მომყვე და მომიყვე, თუ გინდა, რომ ცნობილი მწერალი გახდე. დღესვე დავიწყოთ, აი, ამას გაეცანი, პოეტისთვის აუცილებელი რამეა.

– ეს რა არის? – ბონდომ წიგნს დახედა.

– ეს დღევანდელი პოეტის ლექსიკონია, შედგენილი შალვა კარმელის მიერ. იცი რას ნიშნავს მუნასიბი ანდა სანთიობი? არც მე ვიცი, მაგრამ ყურს ხომ ხვდება, გულს ხომ აჩქარებს. მკითხველს იტაცებს იდუმალ ასოთა წყობა, უყვარს თუნდაც გაუგებარი, მაგრამ რითმების ბორკილებში მოქცეული სიტყვები. ასე უფრო ესმის და ვითომ შენი თანასწორია, შენი თანაზიარი ხდება. პოეზიის მთავარი ძარღვიც ხომ ეს არის.

ბონდომ წიგნს თვალი ჩაჰკრა და რამდენიმე გაუგებარი სიტყვა პირველივე გვერდზე აღმოაჩინა: ტომარინდი... კაკილა... სტიქსი... მუზა ამჯერადაც მართალი აღმოჩნდა. წესით ბონდოს ეს სიტყვები არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ ამ სიტყვათა ელიტარულობას, ელასტიურობას, ზუსტ მისამართს და, ამავე

დროს, ბუნდოვან სიშორეს ბონდოს პატარა სხეულიც კი მთელი სიმწვავით გრძნობდა.

მუზა გადაიღალა, თვალები დახუჭა და გაჩუმდა. ბონდოც დადუმდა. ეთხანს ასეთ სიჩუმეში ისხდნენ. ამ სიჩუმეში დასდეს უსიტყვო ფიცი და ერთმანეთის ერთგულება გახშირებული სუნთქვის ბეჭდით დაამოწმეს.

მასპინძლის მყუდრო ბინიდან ბონდო შეყვარებული გამოვიდა. მარჯვენა ხელში შალვა კარმელის ლექსიკონი ეჭირა, მარცხენაში საკუთარი აჩქროლებული გული. ლექსის დაწერა მოუნდა, კი არ მოუნდა, ყელში ნაჭერილ რითმებს ვეღარ მოერია, მათ შემოტევას ვეღარ გაუძლო: ბონდოს მუზა შეუყვარდა, მუზას ბლუზა, ბლუზას ღუზა, ღუზას ჯაჭვი, ჯაჭვს ღრჭიალი– მაგრამ ეფრემა, როგორც მშიერი კატა ბეღურას, ისე ანადგურებს ბონდოს ახლად გამოჩეკილ რითმებს.

– მორჩი?

– რას მოვრჩი? – უცებ ვერც კი მიხვდა ბონდო.

– იმას რა... უკვე მორჩი? – გაიმეორა ეფრემამ და გაოფლილ ცხვირზე ჩამოცურებული სათვალე მაღლა ასწია.

– კი, მოვრჩი...

– სულ მორჩი? – არ მოეშვა ეფრემა.

– სულ.

– ეგრე ჩქარა, კაცო?! მანდ იცი რამდენ ხანს ჩერდებიან? ღამეც რჩებიან ხოლმე... ხედავ ჯეელობა რას ნიშნავს! შენ ეხლა ახალი შარვალი დაგჭირდება, აბა ეგრე ხომ არ ივლი ამ ღმერთივით ქალთან. – თქვა ეფრემამ და თითი იქითკენ გაიშვი-

რა, საიდანაც გაცრეცილი შარვლის ზოლში ბონდოს მუხლი ჩანდა.

– ჰო, დამჭირდება. – დაეთანხმა ბონდო და საკუთარ მუხლს სინანულით დახედა.

– მერე? მე აქ რისთვის ვარ, ბარემ შეგიკერავ.

– ფული? ფული რომ არ მაქვს? – გაახსენდა ბონდოს.

– სულ არა გაქვს?

– არა.

– ცუდია... ჩემთვის ხომ ცუდია, მაგრამ შენთვის უფრო ცუდია... მაგ ქალს იცი როგორი ცხოვრება უყვარს? კაის ჭამს, კაის სვამს, ლამაზად იცვამს, იხურავს, რესტორნები, კურორტები... მოდი მაინც შეგიკერავ, თანაც ცოტა მორჩენილი ნაჭერი მაქვს, შენი სამყოფი იქნება, თუ ფულს იშოვნი მომცემ, ვერ იშოვნი, ბავშვებს ჩავაცმევ, სკოლაში ახლებით ნავლენ.

ბონდომ თავპატიჟი აღარ გამოიდო, ეფრემას აღარ გაუძალიანდა და თანხმობა განაცხადა, თუმცა ახალი შარვლის გარეშეც ბედნიერად გრძნობდა თავს.

ეზოდან გამოსული ბონდო დაღმართს დაუყვა. „მებრძოლი გუშაგის" რედაქციაში ოთხი ლექსის ჰონორარი ჰქონდა ასაღები და სწორედ იქითკენ გაემართა.

ბონდო დამჯერე მოწაფე აღმოჩნდა. თავისებურად ნიჭიერიც. დათქმულ პირობას არ არღვევდა, გამოცდილ მუზას ყველაფერს უჯერებდა, საა-

თობით უსმენდა და ერთ დროს გაუგებარ სიტყვებს მოსაწყენი გამებივით იმეორებდა. ყოველი კვირის ბოლოს მუზა გამოცდას იბარებდა, ათასგვარ შეკითხვას სვავდა და ბონდოს საჯარო გამოსვლებისთვის ამზადებდა.

– აბა, ბონდო, შითხარი, მესსა რა არის?

– მთავარი მღვდელთმსახურებაა კათოლიკურ ეკლესიაში.

– ყოჩაღ. ტამარინდზე რას მეტყვი?

– ტამარინდი ტროპიკული, მარადმწვანე ხეა.

– ეგ სკოლის მოწაფემაც იცის. აბა, ეპიტალამი რას ნიშნავს?

– ეგ უფრო ადვილია, საქორწილო ლექსია ანტიკურ პოეზიაში.

და ასე დაუსრულებლად.

ძველი ბონდოსგან აღარაფერი დარჩა. გამოიცვალა, ბევრი რამე ისწავლა: ფუჭი სიტყვები, არაფრისმთქმელი საუბრები, ოხვრა და ვაი – ვიში. ახლა თავისუფლად შეეძლო საკუთარი საღამოების გარმართვა და პირველი განყოფილების დასრულების შემდეგ მაყურებელთა შეკითხვებსაც თამამად გასცემდა პასუხს.

– რას იტყვით, ამხანაგო ბონდო, პოეზიის არსის შესახებ?

ამ დროს ბონდო აუცილებლად ჩაახველებდა ხოლმე, მერე დარბაზის დაწყნარებას დაუცდიდა და დაზეპირებული სიტყვების გუდას თავს შესხნიდა.

– არიან პოეტები ქაოსის და პოეტები მშვენიერი კოსმოსის. ქაოსის პოეტების შემოქმედება აგებულია დიონისურ საწყისებზე, ხოლო მშვენიერი

კოსმოსის პოეტების შემოქმედების სათავე აპოლონური საწყისია. აი, ის ორი, ძირითადი პოეტური სტიქია, რომელიც, ჩემი რწმენით, საფუძვლად უდევს საერთოდ პოეზიას. ყოველ პოეტში ან ერთი საწყისი დომინირებს ან მეორე, მაგრამ არიან ისეთი პოეტებიც, რომლებიც თავიანთ სულში ამ ორივე პოეტურ სტიქიას ერთდროულად ათავსებენ.

ამგვარი გამოსვლის შემდეგ ბონდო ისე ჩუმდებოდა, რომ ყველა ხვდებოდა, ბონდო ამ პოეტებში საკუთარ თავსაც გულისხმობდა.

– ქართველ მკითხველზე რას ფიქრობს, ამხანაგი ბონდო, ჩვენთვის, როგორც აქტიური მკითხველისთვის, ძალიან საინტერესოა.

– ოსტატს გენიოსს სჭირდება მკითხველი გენიოსი, რომელიც მისი თანაბარი ხდება ხედვის და სმენის მამართებით. პოეტს გენიოსს უნდა შეხვდეს მკითხველი გენიოსი, რომლის თვალები გაუძლებს ქვეყნის ახალი კუთხით დანახვას. მაღალი აუდიტორია ზოგჯერ ამაღლებს ხელოვნებასაც და ათქმევინებს მაქსიმებს.

ორი აზრი არ შეიძლება ყოფილიყო, ბონდო ამ გენიოსებთანაც ათანაბრებდა საკუთარ თავს.

– რა შეიძლება უყვარდეს პოეტს ყველაზე მეტად, ამხანაგო ბონდო?

– პოეტს ბევრი რამ შეიძლება უყვარდეს. სხვის შესახებ ლაპარკი ძნელია, მე კი, ამ ქვეყნად, ყველაზე მეტად ავტოკალამს ვეთაყვანები. თუ სადმე თვალი მოვკარი, მზად ვარ მოვიპარო, ბურჟუაზიულ ქვეყნებში რომ ვცხოვრობდე სავაჭროს გავხსნიდი, დავდგებოდი დახლს იქით და ავტოკალმებით ვივაჭრებდი.

მართლაც კარგი პასუხია.

ამ პასუხით ბონდომ ბევრის გული მოიგო:

ბურჟუაზიულად განწყობილი მწერლების, რომლებიც იქაურობას ეთაყვანებოდნენ, სხვა ქვეყნებზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ, ბონდოს კი ყოველთვის თავისიანად თვლიდნენ.

პროლეტარულად განწყობილი მწერლების, რომლებიც ბონდოს დახლში ჩადგომას კვერს უკრავდნენ და გულში იხუტებდნენ ყოფილ მუშას.

რა თქმა უნდა, მუზის გულიც მოიგო, ხომ შეიძლება ავტოკალმის მაგივრად ბონდოს სხვა ქალი დაესახელებინა საკუთარი შემოქმედების წყაროდ და აუხდენელ ოცნებად.

განუყრელი წყვილი არც ბოჰემურ საღამოებს აკლდებოდა. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა მათ კაფე „თბილისში" , რესტორან „იმედში", „ფანტასტიურ დუქანში", კაფე „ინტერნაციონალში"

გადადიოდნენ ერთიდან მეორეში, მეორიდან მესამეში, თითქმის არაფერი იცვლება ამ სიარულში, თითქმის არავინ აკლდებათ. მცირე საჭმელი, ფარჩაგადაფარებული მაგიდა, მაგიდაზე რამდენიმე ჭიქა წითელი ღვინო. მაგიდას უსხედან წითელ ქულაჯაში გამოწყობილი პაოლო, რომელსაც თვალები უცნაურად უელავს, გვერდით კოლაუ უზის, ქვისგან ნათალი სახით, მეორე მხარეს თალხებში შემოსილი, თმახუჭუჭა ვალერიანი, აქვეა ცისფერ პერანგში გამოწყობილი ლელი ჯაფარიძე, შალვა კარმელიც აქ არის, ფერმკრთალი, ნაღვლიანი სახე აქვს, უფრო იქით ალექსი კრეჩინი, რომელიც წაბლს მაკრატლით

ფცქვნის, მის გვერდით სომეხი კარა – დერვიში, წიგნების მბეჭდავი და გამომცემელი. ყველანი სვამენ, ჭიქებს ჭიქებზე ცლიან, ირგვლივ იებს ფანტავენ.

ბონდო მალე თვრება, თვრება და თავის საყვარელ სადღეგრძელოს ხმამაღლა, თითქმის ყვირილით ამბობს.

– კაცი ისე უნდა წერდეს, როგორც არავის უწერია. ახალი რაღაც უნდა აღმოაჩინო, ისეთი რამ უნდა გადაგხდეს, რაც არავის გადახდომია, ამისთვის ღირს ცხოვრება. სხვა ყველაფერი სისულელეა.

ამის შემდეგ ბონდოს კისერი სწყდებოდა. მუზა პატარა ბავშვივით ხელს მოხვევდა, აიტატებდა. ბონდო კენჭის თავს საკეტში მომწყვდეული თხილივით მუზის მკერდ – ვულკანში მოაქცევდა და ბავშვური ძილით ტოვებდა იქაურობას.

ამგვარ ცხოვრებას მხოლოდ სურვილი არ ჰყოფნიდა. ამგვარ ცხოვრებას, სურვილის გარდა, გვარიანი შეძლებაც სჭირდებოდა. ყველასთვის ნათელი იყო, რომ მწერლის ჰონორარი ამ საქმეს არ ჰყოფნიდა და ბონდოც, მეკავშირის მეშვეობით, ამხანაგ კახაბერს გამუდმებით თხოვდა ამა თუ იმ თანხას. ამ ყოველივეს, რა თქმა უნდა, ოპერაციის სირთულით ხსნიდა.

ამხანაგ კახაბერს თავიდან ეჭვი არაფერში შეჰქონდა. ბონდოს ფულს გეგმაზომიერად ანვდიდა, ამავე დროს, ყველაფერს კანონიერად აფორმებდა. ცნობებიც მოსდიოდა, ყოველი საათი და წუთი კონტროლზე ჰყავდა აყვანილი, მაგრამ ამან საერთო საქმეს მაინც ვერ უშველა. ნელ – ნელა ბონდომ სამუშაოზე გული აიცრუა, პატაკებს უკლო, ქეიფს

მოუხშირა. მართალია, ამხანაგმა კახაბერმა არ იცოდა, თუ რა ცეცხლი ენთო პოეტის გულში, მაგრამ ბონდოს ამგვარი ცხოვრება საქმეს სასიკეთოდ რომ არ წაადგებოდა, ამას წყალი არ გაუვიდოდა. კახაბერი ბრაზობდა, მაგრამ ოპერაციის შეწყვეტის ნიშანს ზევიდან არავის იძლეოდა და ისიც ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს ყველაფერი ერთი შემთხვევა რომ არა.

ყოველ დილით ამხანაგი კახაბერი შემოსულ წერილებს ეცნობოდა. ამ ფარატინა ფურცლებში მთელი თბილისი ჩანდა. თავის ქუჩებით, სახლებით, მეზობლებით, განწყობით, ფიქრითა და წადილით. სხვა ყველაფერთან ერთად, იმასაც იტყობინებოდნენ, რომ ბონდოს ეფრემასთან ახალი შარვალი შეეკერა. ერთი რომ ყოფილიყო, კიდევ არაფერი, შურსა და გაკვირვებას აღარ გამოიწვევდა, მაგრამ სამი ყოფილა, სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა მოყვანილობის.

ამხანაგ კახაბერს საკუთარი სამოსი გაახსენდა. გაახსენდა და მოთმინების ფიალა აევსო. იქვე გადაწყვიტა, რომ ბონდოსთვის ფული აღარ გაეგზავნა, ლექსების ბეჭდვა აეკრძალა და მუზაც გამოესახლებინა დაკავებული ფართიდან.

ყველაფერი რომ ეფრემას შეკერილ შარვალს დაბრალებოდა, არ იქნებოდა მართალი, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზიც იყო. ბონდომ ოპერაციას , ავად თუ კარგად, თავი მაინც გაართვა. ბონდოს აყოლილი მუზა სხვა მწერლებს ჩამოსცილდა, ყურადღებას არ აქცევდა და უმეტესობას აღარც კი ელაპარაკებოდა. მწერლები აირივნენ, ფეხქვეშ მინა გამოეცალათ და

დარდის ჩახშობა დაუსრულებელ ლოთობაში გადაწყვიტეს. როგორც ხდება ხოლმე, ეს ყოველივე მათ შემოქმედებასაც დაეტყო.

მალე სასიხარულო ცნობაც მოვიდა: შალვა კარმელი ჭლექით გარდაიცვალა.

სხვები და სხვები კიდევ სხვით.

ერთ სასიხარულო ამბავს, მეორე მოჰყვა: გალაკტიონ ტაბიძემ თავი მოიკლა.

ამხანაგი კახაბერი თვალებს არ უჯერებდა და მერამდენედ კითხულობდა სასიხარულო ცნობას: „მედ პერსონალის დაკითხვით დადგინდა შემდეგი: გარდაცვლილი ნამდვილად არის ტაბიძე გალაკტიონ, ვასილის ძე. დაბადებული 1901 წელს, 5 ნოემბერს, მცხოვრები ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქ. ნომერ 4 – ში. ამა წლის ჩვიდმეტ მარტს პაციენტს მაჯა ჰქონდა რიტმული, გულის ტონები მიყრუებული, უჩიოდა გულის არეში ტკივილებს და საერთო სისუსტეს. შეკითხვებზე იძლეოდა სწორ პასუხებს. საღამოს ექვს საათზე, ავადმყოფი ტაბიძე, დაუკითხავად შევიდა განყოფილების გამგის კაბინეტში, მოხურა კარი, გაიხადა ავადმყოფის ხალათი, დადო სკამზე, აიღო ვენური სკამი, მიიტანა ფანჯარასთან, გამოაღო ორმაგი ფანჯარა, ავიდა ჯერ სკამზე, მერე ფანჯრის რაფაზე და ქვევით გადაეშვა. მანძილი ფანჯრიდან მიწის ზედაპირამდე ცამეტი მეტრია. ავადმყოფი ტაბიძე ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვლილს ჯიბეში აღმოაჩნდა ერთი კოლოფი პაპიროსი „რეკორდი“ , ექვს ღერთან ერთად, იქვე ნაპოვნი იქნა უბის წიგნაკი და ფანქარი...“

ამხანაგმა კახაბერმა ამოისუნთქა. მისი წყნარი სუნთქვა და ეს სამსახურეობრივი ბარათი იმის დასტური იყო, რომ ოპერაცია დასასრულს მიუახლოვდა.

ბავშვიც ადვილად მიხვდებოდა, ბონდოს ბოჰემურ ცხოვრებას წერტილი დაესვა.

– ბონდო, მასახლებენ! – დაიკივლა მუზამ და თითქმის გულწასული სავარძელში მიესვენა.

ბონდო ახლაღა მიხვდა, რომ მის საყვარელ, უნაკლო მუზას ფარშევანგის ხმა ჰქონდა, ყინულივით ცივი, ბასრი დანასავით მჭრელი და დროსავით უსასრულო.

ბონდოს თავისი საფიქრალი ჰქონდა.

ლექსების დაბეჭდვაზე უარი უთხრეს. თითქმის ყველა რედაქცია შემოირბინა, მაგრამ რედაქტორებმა თითქოს პირი შეკრეს, მისკენ გამოხედვაც არ უნდოდათ. დიდი თხოვნისა და ხვეწნა – მუდარის შემდეგ ერთი რედაქტორი მაინც დაითანხმა. ვაგონშემკეთებელი ქარხნის კედლის გაზეთში ორი პატარა ლექსის გამოქვეყნების ნებართვა მისცეს. თუმცა ფულის გადახდაზე უარი უთხრეს, რაღაც მოიმიზეზეს და მომავალი ჰონორარი მშვიდობის ფონდში ჩაარიცხინეს. რა უნდა ექნა? მთავარია დაბეჭდავდნენ, ვიღაც წაიკითხავდა და ბონდოსაც აღარ დაივიწყებდნენ. მარტო ფული ხომ არ არის პოეტისთვის მთავარი?

ასე იწყნარებდა თავს.

– ბონდო, მასახლებენ! – გაიმეორა მუზამ.

ლექსის მადანიც ამოიწურა. ძალიანაც რომ ეთხოვათ, მაინც ველარაფერს მიიტანდა დასაბეჭდად. უფროსისგან კვლავ არაფერი ისმოდა. ბონდო რამდენჯერმე მივიდა კიდეც ამხანაგ კახაბერის სანახავად, მაგრამ შენობაში არავინ შეუშვა. თავიდან ეს ამბავი სერიოზულად არ მიიღო და ყველაფერი კონსპირაციას მიანერა, მაგრამ იმდენს კი მიხვდა, რომ ამიერიდან საკუთარი თავის იმედად უნდა ყოფილიყო.

– ბონდო, მასახლებენ! – მესამედ ამოიგმინა მუზამ.

– მე კი ლექსებს არ მიბეჭდავენ... მეც მასახლებენ პოეზიის ტაძრიდან.

– შენ ბინა მაინც გაქვს.

– ჰო, ბინა... ერთი ოთახი... პოეტისთვის საკმარისია, მეტიც კი არის.

– მე? მე რას მიპირებ? ქუჩაში მტოვებ? მუზა ქუჩაში! სასაცილოც კია, სად გაგონილა, შენ იცი ჩემი წინაპრები სად ცხოვრობდნენ? ოლიმპოს მთაზე, გსმენია ასეთი ადგილის შესახებ?!

– ჩემთან წავიდეთ, ორივე დავეტევით. – გულით თქვა ბონდომ.

– ამას რა ვუყოთ? გადავყაროთ? – მუზამ ნივთებით გაჭედილ ოთახს ხელი მოავლო.

ბონდომ ხელს თვალი მიადევნა. წლობით ნაგროვები ქონების გადაყრა მასაც დაენანა, თუმცა არც ყველაფრის წაღება შეიძლებოდა, თორემ ბონდოს სორო ისე ამოივსებოდა, დასაჯდომი რაა, ცხვირის შესაყოფი ადგილიც აღარ დარჩებოდა.

– გავყიდოთ! – თქვა ბონდომ.

– გავყიდოთ? როგორ გავყიდოთ?! – გაიკვირვა მუზამ.

– ჰო, გავყიდოთ. ნაწილი დავიტოვოთ, რაც გვჭირდება, რაც ძალიან ძვირფასია შენთვის, რაღაცით ხომ უნდა ვიცხოვროთ, ხომ გითხარი, ლექსებს აღარ მიბეჭდავენ.

– როდის იყო მწერალი ჰონორარით ირჩენდა თავს? – შეიცხადა მუზამ.

– ეგეც რომ აღარ იქნება, მაშინ რაღა ვქნათ?

– მე რას მეკითხები, კაცი შენ ხარ და რამე მოიფიქრე, მუზა რომ ვარ ხომ არ დაგავიწყდა.

– გავყიდოთ და ჩემთან გადავიდეთ. – ისევ გაიმეორა ბონდომ.

ბონდოს რა ენაღვლებოდა, სხვისას ყიდდა.

ვინც ჭერის გარეშე დარჩენილა მუზის დარდს ის უფრო კარგად გაიგებს. მუზამ კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას, საკუთარი სიმშვიდე ცხარე ცრემლით გამოიტირა და ბონდოს დასთანხმდა.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

რესტორანში სიარული ვერც ერთმა მოიშალა და ვერც მეორემ. მაგრამ ძველმანებით შემოსული ფული მალე დამთავრდა, ხალისი და განწყობა პაპიროსის ბოლს გაჰყვა სადღაც შორეთში, მეგობრები თუ ნაცნობები სალამს აღარ აძლევდნენ და როგორც კეთროვნებს ისე ექცეოდნენ. მოკლედ, ცხოვრებისეული პროზა დაიწყო. ბონდო კიდევ პოეტი იყო და როგორც სხვა პოეტებს, მასაც პროზის არა გაეგებოდა რა.

მიზეზი მალე გაირკვა. თურმე თავისი გაჭირვება ჰქონიათ.

ორშაბათს, ყველა გაზეთმა ქართველ მწერალთა მიმართვა დაბეჭდა:

„მოგესალმებით ქართველი მწერლები და აქვე ვაღიარებთ:

რომ ყველა ლიტერატურული ჯგუფის სახელწოდება და ლიტერატურული პრაქტიკა აღნიშნავდა ობიექტურად ნვრილ – ბურჟუაზიულ – ნაციონალისტურ ბაზაზე აღმოცენებულ ესთეტიკურ – ინდივიდუალისტურ იდეოლოგიის გამოვლინებას.

რომ საქართველოს ოქტომბრის მიერ შექმნილმა და შემდეგ გაღრმავებულმა გიგანტურმა სოციალისტურმა გარდაქმნამ ქართველი მწერლების მერმინდელ პრაქტიკას ნაწილობრივ მისცა ახალი შინაარსი.

რომ თანამედროვე რეკონსტრუქციის პერიოდის შინაარსის მისაწვდომად და მისი ანარეკლის მოსაცემად საჭიროა სხვა შემოქმედებითი მეთოდები, რომელიც იჭედება მოწინავე ლიტერატურის მთლიან ფრონტზე და რომ მომავლის დაუფლებისათვის ქართველი მწერლების განვლილი იდეოლოგიურ – მხატვრული გზები დაძველებული და უვარგისია.

ამიტომ ვადგენთ:

გაუქმებულ იქნას ყველა ლიტერატურული ჯგუფის არსებობა, რათა სრული შესაძლებლობა მიეცეს მის მონაწილეებს მეტის ტემპით განაგრძონ თავისი ფსიქო – იდეოლოგიური გარდაქმნა დამკვრელი ეპოქის პერიოდში უშუალოდ ჩაბმისთვის. „

ასე მოკლეს ქართული მწერლობა.

ბონდო მიხვდა, რომ ისიც განირეს.

მიმართვა მუზამაც წაიკითხა. ცუდ ხასიათზე დადგა, რადგან საკუთარი მომავალი უიმედოდ ესახებოდა. ნათელი იყო, ასეთ მწერლობას მუზა ნამდვილად აღარ სჭირდებოდა.

ამას სხვა ბევრი უსიამოვნებაც დაერთო. განუყრელ წყვილს ფული შემოაკლდა, საჭმელიც გაუჭირდა და გასაყიდიც აღარაფერი დარჩა. ბონდომ რამდენჯერმე სცადა სამსახურის დაწყება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, დაპირებების იქით საქმე არ წასულა. ყველამ იცის რა ძნელია მწერლისთვის სამუშაოს შოვნა. იჯდა ბონდო მთელი დღე სახლში, აივაზოვსკის სურათს შესცქეროდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა. მუზის, ერთ დროს განთქმული ტანსაცმელი ძაფებად იქცა. მართალია ჟენია ყველაფერს უფასოდ ურეცხავდა, როგორც შეეძლო ისე ეხმარებოდა, მაგრამ მუზას ეს მათხოვრობაც მობეზრდა, ჟენიას ჯანმრთელი ღიმილიც და ჩაფიქრებული ბონდოს ცქერაც. ცოდვა გამხელილი სჯობია და რამდენჯერმე გულში მისი მოკვლაც კი გაივლო, მაგრამ ქალი იყო, საკუთარ თავს ვერ გადააბიჯა და ვერაფერი მოახერხა, ასე რომ, ოცნება ოცნებად დარჩა. სამაგიეროდ ოჯახში ჩხუბი გახშირდა. ხმამაღალი საუბარი, ყვირილი და შეხლა – შემოხლა ბონდოს პატარა ოთახში დაუკითხავად ჩასახლდა. მეზობლებმა ბევრი ითმინეს და ერთ დღეს მილიციაში საჩივარი აფრინეს. უბნის ინსპექტორმა ოთახი მოათვალიერა, მუზა თვალით გაზომა, ბონდოს ზემოდან დახედა, მაგიდასთან დაჯდა, ქუდი მოიხადა, ახალგაზრდა წყვილს ნახევარ საათიანი აღმზდელობითი საუბარი ჩაუტარა და გა-

სახლებით დაემუქრა. მუქარამ მეზობლები დააწყნარა, ოჯახი დააშინა, რამდენიმე დღე იცოცხლა და ერთ ღამეს ყველასთვის მოულოდნელად გარდაიცვალა.

იმ ღამეს ბონდომ კიდევ ერთხელ დააპირა ლექსის დაწერა.

მუზას ეძინა. მისი უფორმო სხეული მთელ საწოლს იკავებდა, დაბერილი ტუჩებიდან ჰაერს ფშვენით უშვებდა, დროდადრო ოხრავდა და პირს აწკლაპუნებდა.

ბონდომ დრო იხელთა. სამალავიდან პორტფელი გამოაძვრინა, ლექსები ამოაწყო და ხელახლა გადაათვალიერა. ახალს ვერაფერს მიაგნო, ყველა ლექსი უკვე დაბეჭდილი იყო.

სხვა გზა აღარ ჰქონდა, თვითონ უნდა დაეწერა.

ბონდომ მწერლების მიმართვა წინ დაიდო, სახელმძღვანელოსავით გაშალა, მუზას შეხედა და რამდენიმე სტროფი ერთი ხელის მოსმით მოხაზა: „მუზები, როგორც ბოზები, თავს გვეხვევიან ჩვენ, რას ფიქრობს ჩვენი მთავრობა, ანდა რას ფიქრობ შენ!" ბონდო კმაყოფილი დარჩა, ცუდად ნამდვილად არ გამოსვლია, რაც მთავარია, დღევანდელ დღესა და მწერლების მიმართვას ეხმიანებოდა.

ბონდოს ძველი დრო გაახსენდა და გულის სიღრმეში მორიგ გამარჯვებას ზეიმობდა.

არ დასცალდა.

ისე გაიტაცა შემოქმედებამ, ისე გაერთო სიტყვების თამაშით, რომ ვერც კი შეამჩნია როგორ წამოადგა მუზა თავზე. გონს მხოლოდ მაშინ მოეგო,

როდესაც გამოღვიძებულმა ფარშევანგმა ყურში ჩაჰყვირა.

– ეს რა არის?!

ბონდო შეხტა და უკან დაიწია.

– შენ გეკითხები?! ეს რა არის?!

– მე... მე... მე... – ენა დაება ბონდოს.

– ამის ღირსი ვარ შენგან?! ამიტომ გასწავლიდი, რომ ჩემზე ეს დაგეწერა?!

– მე სხვა მუზაზე დავწერე, ხომ არიან სხვებიც... ჩვენთვის გავაკეთე, იქნებ ეს ლექსი მაინც დავბეჭდო... დღეს სხვა ლექსები სჭირდებათ, სხვა დროა, სხვა შემოქმედებითი მეთოდებია საჭირო, აი, მიმართვაშიც ასე სწერია. – თავი იმართლა ბონდომ.

მაგრამ მუზა ბონდოს აღარ უსმენდა.

– ეს რა პორტფელია?! საიდან გაქვს, მომეცი აქ... ეს ხომ გალაკტიონის პორტფელია, ლექსებიც მისია... მართალი უთქვამს, ლექსებით სავსე პორტფელი მომპარესო, მე კი არ დავუჯერე, მთვრალი მეგონა... აი, თურმე ვის მოუპარავს!

– ვიპოვნე, ქუჩაში ვიპოვნე... წვიმაში ეგდო და სველდებოდა...

– ამ პორტფელის დარდს გადაყვა, შენი ბრალია მისი სიკვდილი! – ისევ დაიყვირა მუზამ.

– გაჩუმდი, გაჩუმდი! – ხმას ბონდომაც აუწია.

– გალაკტიონი შენ მოჰკალი! მე პოეტი მეგონე, შენ კი წვრილმანი ბაცაცა ყოფილხარ! – მუზამ პორტფელი ბონდოს პირდაპირ სახეში ესროლა.

ლექსები დაბლა დაიყარა და მთელ ოთახს მოეფინა. ბონდო მუხლებზე დაეცა და ისე დაიწყო თეთრი

ფურცლების აკრეფვა, თითქოს დაპნეულ ფულს აგროვებდა.

მუზამ კაბა გადაიცვა.

– სად მიდიხარ? – ამოხედა ბონდომ.

– სადაც საჭიროა! ყველამ უნდა გაიგოს ვისი ბრალია გალაკტიონის სიკვდილი.

– ვინ მოგისმენს. – გაეღიმა ბონდოს. – შენ ხომ მუზა ხარ, განა მუზები არსებობენ?

– ჩემთან რომ წვებოდი, მაშინ რატომ არ ფიქრობდი ამას? ეხლა გაგახსენდა?... მომისმენენ, თანაც ყურადღებით მომისმენენ!

– შენ ამას არ გააკეთებ! – ფეხზე წამოდგა ბონდო.

– ვითომ რატომ? რა შემაკავებს? შენ? ლექსების ქურდი ბონდო ღვიძიშვილი დამიჭერს? – მუზამ ხმამაღლა გაიცინა.

ამდენი ბონდომ ვეღარ აიტანა. მის პატარა სხეულში მხეცმა გაიღვიძა. ზღარბი ლომად გადაიქცა. ბონდომ პორტფელი მთელი ძალით მოიქნია. მუზამ თავი გადააქნია, თავს ტანიც მიაყოლა და იატაკზე ზღართანით გაიშხლართა. ბონდომ ისკუპა და ქალს ზემოდან მოექცა. ორივე ხელი ყელში წაუჭირა და მთელი ძალით დააწვა. რამდენიმე წუთში მუზამ სუნთქვა შეწყვიტა და ქართველ მწერლებს სამუდამოდ დაემშვიდობა.

ერთი კვირის შემდეგ, სიმყრალით შეწუხებულმა მეზობლებმა, უბნის ინსპექტორთან ერთად, ბონდოს ბინის კარი შეამტვრიეს და საზარელი სურათის მოწმენი შეიქნენ: იატაკზე ფურცლები ეყარა, მაგიდის გვერდით გასისხლიანებული პორტფელი ეგდო,

იქვე გადაყირავებული სკამი ჩანდა. ლოგინთან ახლოს, გამხმარი სისხლის გუბეში, ტანსაცმელშემოხეული, ნახევრად შიშველი, მუზის უსულო სხეული ეგდო. ცალი თვალი სისხლში უცურავდა, მეორე, ღია, ჭერს მიშტერებოდა. გატეხილი ცხვირი, ჩამტვრეული ნეკნები და ჯალურჯებული კისერი – ეს იყო და ეს, მეტს ვერაფერს მიაგნეს.

ბონდო არსად ჩანდა.

თბილისი, როგორც ხდება ხოლმე, ჭორებმა მოიცვა.

სხვებისგან განსხვავებით, ამხანაგმა კახაბერმა ზუსტად იცოდა რაც მოხდა:

„გრიბოედოვის ექვს ნომერში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს: გვამს აღენიშნება ძალადობის ნიშნები, ოთახში შეინიშნება ბრძოლის კვალი. ძიების შედეგად დადგინდა გარდაცვლილის ვინაობა, იგი აღმოჩნდა ჩვენი აგენტი, თვალჭრელიძე ტატიანა, სამუშაო ფსევდონიმით „ მუზა „ მეზობლების დაკითხვა დაადასტურა ჩვენი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ოჯახში ხშირი იყო ხმამაღალი საუბარი და ჩხუბი. სავარაუდოდ მკვლელობა ერთ – ერთი ჩხუბის შემდეგ მოხდა, თუმცა ჩხუბის მიზეზი დაუდგენელია. ოჯახში შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროს ადასტურებს მეზობელი, მრეცხავი ჟენია და უბნის ინპექტორი. დადგენილია მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობაც, იგი აღმოჩნდა ასევე ჩვენი აგენტი ღვიძიშვილი ბონდო, სამუშაო ფსევდონიმით „დალეული“ ამჟამად მიმდინარეობს მკვლელობაში ეჭვმიტანილის ძებნა.“

მეორე კვირის თავზე ბონდოც იპოვნეს. მისი გვამი სადგურის მეისრემ აღმოაჩინა. მოკლულს არ ჰგავდა, იწვა რელსებთან და თითქოს ისვენებდა, თითქოს ეძინა. ჯიბეში ფურცლის ნაგლეჯი უპოვნეს, სადაც გაკრული ხელით ორი სტროფი ეწერა მხოლოდ: „მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია."

ბონდო საერთო საფლავში დამარხეს, უსახელოდ, უგვაროდ, უმისამართოდ. მართალია ლექსი ვერ დაწერა, მაგრამ, როგორც პოეტი ისე გარდაიცვალა. ხომ გახსოვთ? სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა, გარდა თვითმკვლელობისა.

ესეც ესსე.

კი მაგრამ ბონდო? მაინც რამ მოჰკლა, როგორ გარდაიცვალა?

ბონდო?

როგორც მუზადაკარგული პოეტი იტყოდა: ბონდო მოკლა პოეზიამ, როგორც რკინა კოროზიამ.

დიაბოლოს

გამომცემელი ბრავია გემის სახელი არავის ეგონოს, ჩვეულებრივი ადამიანია. თითქმის არაფერზე მიუწვდება ხელი, უამრავი რამ აკლია და ბევრი რაღაც არ იცის, თუმცა ერთ რამეში მაინც დარწმუნებულია: ყველა კაცი თავისებურად კშმაკია. ამ ამბისთვის ბორის ბრავიას ადრეც ჰქონდა ყური მოკრული, რადგან თვითონაც არაერთგზის უეშმაკია და ერთი ორჯერ სხვისი ეშმაკობის მსხვერპლიც გამხდარა, მაგრამ ასაკთან ერთად, ეს აზრი განსაკუთრებით განუმტკიცდა.

– თუ ღმერთი ყოვლისშემძლეა, რატომ დაუშვა სატანის არსებობა? – იკითხა მეზობელმა და სიმონს ისე მიაჩერდა, როგორც შარიანი გამომცდელი ჩათვლაზე მისულ სტუდენტს.

ვისაც დროდადრო, სხვადასხვა საქმეზე, ქალაქიდან გასვლა უნევს, ანდა სულაც მოგზაურობა უყვარს, კარგად მოეხსენება: დანიშნულების ადგილზე მისასვლელად ორი გზა არსებობს მხოლოდ – საჰაერო და სახმელეთო. თუმცა ამ წესს, როგორც ყველა სხვა წესს, გამონაკლისიც ახლავს და იმ ორს, კიდევ ერთი, საზღვაო გზაც ემატება.

სიმონს ბევრი აღარ უფიქრია და, სიაფის გამო, ყველაზე მოუხერხებელი შეარჩია. ათ ლარზე მეტი გადაიხადა და სხვა მგზავრებთან ერთად შვიდსაათიან, მომქანცველ გზას დაადგა. რადგან გრძელი

გზა ელოდა გაზეთები მოიმარაგა და ერთი საათი ყვითელი ფურცლებიდან თავი არ აუწევია. ის იყო მეორე გაზეთზე უნდა გადასულიყო, რომ მის უკან მჯდარი მეზობლის ხმა გაიგონა.

– ხომ ვერ მათხოვებდით?!

სიმონაძემ მეზობლის გაშვერილ თითს თვალი მიაყოლა და მზერა მუხლზე დადებულ, გადაშლილ გაზეთზე შეაჩერა.

– გაზეთს ხომ ვერ მათხოვებდით?! – გაიმეორა მეზობელმა.

სიმონს, როგრც ყველა სხვა მგზავრს, არ უყვარდა, როდესაც წასაკითხად გამზადებულ პრესას ართმევდნენ, მაგრამ ხალხით გადაჭედილ სამარშრუტო ტაქსში უარის თქმას მაინც მოერიდა და მეზობელს გაზეთი მიაწოდა. რა თქმა უნდა, სიმონი არც ისეთი გულუბრყვილო გახლდათ ის ეფიქრა, თითქოს მეზობელი ლაპარაკით, ანდა მოსაწყენი კითხვებით აღარ შეაწუხებდა, მაგრამ საუბრის ამგვარ, სწრაფ გაგრძელებას ნამდვილად არ ელოდა.

მეზობელმა რამდენიმე გვერდი გადაშალა, ქაღალდი გააშრიალა, გაზეთს ხელი დაჰკრა, ისევ გადაიხარა და სიმონაძის მხარს შეეხო.

– წერე რამდენიც გინდა, ვინ გაქცევს ყურადღებას? საზოგადოება ჩვენ არ გვყავს და მისი აზრი ვიღას აინტერესებს? ან პასუხს არ გაღირსებენ, ანდა ისე დაგიბრუნებენ თავს და ბოლოს ვერ გაარჩევს ადამიანი, ადამიანი კი არა, ეშმაკიც ფეხს მოიტეხავს... შევცდი ამხელა კაცი პატარა ბავშვივით და მეც მივწერე, ორთვენახევარი ველოდე პასუხს, მე-

გონა დაიკარგა, ახლიდან გავაგზავნე შეკითხვა... რად გინდა, იმის მერე ასე ვარ...

– როგორ?

– ასე, უპასუხოდ...

– ვის მისწერეთ?

– რედაქციას, გაზეთის კოლექტივს...

– რა გაინტერესებდათ?

– დასამალი რა მაქვს, ერთი კითხვა არ მასვენებს ყველაზე მეტად.

მეზობელი წამით გაჩუმდა, მგზავრები შეათვალიერა, დარწმუნდა, რომ არავინ უსმენდა და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძო საუბარი.

– მეგონა ისინი მაინც მიპასუხებდნენ, კი უნდა იცოდნენ წესით, ამდენი ხალხი მუშაობს.

– რა უნდა იყოს ასეთი?

– თუ ღმერთი ყოვლისშემძლეა, რატომ დაუშვა სატანის არსებობა? – იკითხა მეზობელმა და სიმონაძეს ისე მიაჩერდა, როგორც შარიანი გამომცდელი ჩათვლაზე მისულ სტუდენტს.

რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, სიმონს ამ რთულ კითხვაზე პასუხი უკვე მზად ჰქონდა. რა თქმა უნდა, ასეთ სერიოზულ და ამაღელვებელ საუბარს სულ სხვა ადგილი და გაცილებით მოწესრიგებული გზა შეეფერებოდა, მაგრამ ცხოვრებამ ასე მოაწყო საქმე და სიმონიც დამორჩილდა.

სიმონმა მზერა სამარშრუტო ტაქსის ჭუჭყიან ჭერს მიაპყრო და ალაპარაკდა.

– ღმერთი ყოვლადკმაყოფილი, ყოვლადნეტარი, უსრულყოფილესი და მარადიული არსებაა. ამავე დროს იგი სიყვარულია და ამიტომ მან შექმნა გონი-

ერი, პიროვნული არსებები, ანგელოზები და ადამიანები, რომლებიც მოწოდებულნი არიან გახდნენ ღვთის მსგავსნი, ანუ კმაყოფილნი, ნეტარნი, სრულყოფილნი, მარადიულნი, ესეიგი – ბედნიერნი. ერთადერთი პირობა, რითაც ადამიანთა და ანგელოზთა მიერ ღვთის ეს მოწოდება შესრულდება, სამპიროვნება ღმერთის და ერთმანეთის სიყვარულია. თუ ღმერთი გიყვარს, ხარ მასთან, მისი ბედნიერების თანაზიარი ხარ, თუ ღმერთი არ გიყვარს, მასაც კარგავ და მისგან გამომდინარე ყველა სიკეთესაც. მაგრამ სიყვარული არ არსებობს ძალადობით, სიყვარული მხოლოდ ნებაყოფლობით შეიძლება იყოს. ეყვარებოდათ თუ არა ღმერთი, დარჩებოდნენ თუ არა ღმერთთან, ეს თავად ანგელოზებს უნდა გადაეწყვიტათ. ერთ ერთმა მთავარმა ანგელოზთაგან და მისი მიბაძვით სხვებმაც, არ ისურვეს ღმერთთან ყოფნა და ისინი, საკუთარი ნებით, სიკეთეს მოკლებულნი, ბოროტ სულებად გადაიქცნენ. ხშირად კითხულობენ, რატომ არ სჯის და ანადგურებს მათ ღმერთი. ისინი დასჯილნი არიან, მათ აღარ აქვთ ერთობა ბედნიერების წყაროსთან, ღმერთთან. ახლა რაც შეეხება მათ განადგურებას: უნდა ვიცოდეთ, რომ პიოვნულ არსებებში უმთავრესია ორი თვისება: მარადიულობა და თავისუფლება. ღმერთი, როგორც ყოველი ქმნილების მოსიყვარულე მამა, არც ერთ თვისებას არ ეხება. ანგელოზები და ადამიანები მარადიულად იარსებებენ, ისე, როგორც თავად გადაწყვიტავენ.

მეზობელმა ეს გრძელი და მისთვის ალაგ – ალაგ გაუგებარი პასუხი ვაჟკაცურად მოისმინა, კიდევ

ერთხელ მოავლო თვალი გადავსებულ ავტობუსს და სიმონს მოკრძალებით ჰკითხა:

– თქვენ საპატრიარქოში ხომ არ მუშაობთ?

– არა, რა თქმა უნდა. – თავი იმართლვ სიმონმა. – ჟურნალისტი ვარ.

– ჟურნალისტი? – ბორისი ისე შეჩერდა, თითქოს პატარა გუბეზე გადახტომას აპირებდა. – ისე, ჩვენში დარჩეს და მე არც ერთის მეშინია და არც მეორესი. ღმერთამდე შორია, ის მეორე, თავის დროზე ანგელოზი მაინც იყო, მე კიდევ ისეთ რაღაცაში მაქვს თავი გაყოფილი, ჩემამდე რას მოვა ეგ?! რა უნდა გააკეთოს ისეთი მე რომ არ გამიკეთებია?!

– ეშმაკის დამსახურებაც სწორედ ეგაა, რომ ყველა დაარწმუნა თითქოს არ არსებობდეს საერთოდ. – წყნარად თქვა სიმონაძემ.

ბორის ბრავია მიხვდა, რომ ენამ წინ გაუსწრო. რა თქმა უნდა, ამისთვის მკაცრად არავინ დასჯიდა, მაგრამ ვინმეს რამე რომ არ დაებრალებინა, მაინც ფრთხილად უნდა ყოფილიყო, ვინ იცის სად დახვდებოდა დღევანდელი საუბარი.

– იმედია ამას არ გამოაქვეყნებთ, ვიხუმრე, კაცო, არც ეგრეა საქმე. – ბორისმა გაიღიმა, სიმონაძეს მხარზე ხელი დაადო და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. – სად მოღვაწეობთ?

– გაზეთში.

– მაინც რომელში?

– უბრალოდ გაზეთში.

– საიდუმლოა, ხომ?

– არა, რატომ, ასე ქვია.

– ასე ქვია?

– კი, ნამდვილად ასე ქვია.

მეზობელი ჩაფიქრდა.

რადგან იმდროინდელ საქართველოში გაზეთები ისე იბადებოდნენ, როგორც უკანონო ბავშვები, კიდევ ერთის გამოჩენა ჩვეულებრივ ამბად ჩათვალა და საკუთარი უცოდინარობა, ასევე საკუთარ უყურადღებობას მიანერა.

– არსად შემხვედრია?!

– რა გასაკვირია, სულ რამდენიმე ნომერი გამოვიდა.

სიმონმა იცრუა.

სიმონაძე ჟურნალისტობიდან ისე შორს იყო, როგორც თავად ჟურნალისტი სიმართლისაგან. ეშმაკი კაცია სიმონი. არადა კაცი ყველა ეშმაკია, ცოტ – ცოტას ყველა ეშმაკობს. ზოგი უფროსს ატყუებს, ზოგი უმცროსს, ზოგი ორივეს ერთად, დიდოსტატები კი არაფერს ერიდებიან და უმოწყალოდ ატყუებენ საკუთარ თავსაც. მაგრამ სიმონი სხვაა, სიმონი არავის ჰგავს, სიმონი ნამდვილი ეშმაკია, აი ისეთი, ძველები რომ ხატავდნენ, პატარა რქებით, გრძელი კუდით და მსხვილი ჩლიქებით. თუმცა ეს ადრე იყო, დიდი ხნის წინ. ახლა სხვა დროა, ახლა სიმონს ლამაზად აცვია: სუფთა პერანგი, პერანგზე ჰალსტუხი, ელეგანტური კოსტუმი, მოდური, სრულიად უხმარი ფესაცმელები და უძვირფასესი თეთრი ლაბადა. თითქოს ყველაფერი წესრიგშია, თითქოს უცნაურიც არაფერია, მაგრამ ყურადღებიანი თვალი წამსვე შენიშნავდა არაადამიანურად ფერმკრთალ სახეს, დავიწროვებულ, მოკლე სამოსს და რამდენიმე ზომით პატარა ფეხსაცმელს. კაცმა რომ

თქვას, ეშმაკს ჩვენი შესაცოდი რა სჭირს, მაგრამ მისი შემხედვარე ადამიანი დარდით დაბორკილი სიმონის სულის სიმძიმეს ისე გრძნობდა, როგორც ორმოცდაათს გადაცილებული მამკაცი სიბერის მოახლოებას. თავად სიმონი, ამ ყოველივეს, საკუთარ ცხოვრებას აბრალებდა, რა თქმა უნდა, არც ბავშვობას სწყალობდა. მშობლები ადრე დაეხოცა. ეშმაკმა მეზობლებმა დრო იხელთეს, და გაფართოება გადაწყვიტეს. სასამართლოს მიმართეს, სიმონი იშვილეს და მისი ბინა კანონიერად ჩაიგდეს ხელში. სიმონაძეს ოთახი კიბის ქვეშ მოუწყვეს, მოკლეფეხიანი, მორყეული ტახტი დაუდგეს და კარი მიუხურეს.

სიმონმა ივარგა. ნიჭით, შრომით და გარჯით ლელო მაინც გაიტანა, სკოლაც კარგად დაამთავრა და უმაღლესი სასწავლებელიც, მაგრამ უპატრონო იყო და სამსახურიც ისეთი ერგო, როგორც უპატრონოს შეეფერება. არადა სამუშაოს კარგად ართმევდა თავს, მოსახლეობა იშვიათად ჩიოდა და არც უფროსები საყვედურობდნენ. სიმონი ბედს მაინც არ უჩიოდა, ეშმაკ კაცს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე, მას კი, სხვებისგან განსხვავებით, ამ არეულ დროს სამუშაო მაინც ჰქონდა.

– ადრე მეც ვწერდი რაღაცეებს, სტუდენტობისას, როგორც მაშინ ამბობდნენ, ცუდად არ გამომდიოდა. – თქვა ბორემ და ფეხზე წამოდგა. – გამომცემელი ბორის ბრავია, ბორე დამიძახეთ, ყველა ასე მეძახის.

მართალია ბორე დიდი სიმაღლით არ გამოირჩეოდა და უფრო დაბალი ერქვა, ვიდრე მაღალი, მაგრამ

წელში გამართული სამარშრუტო ტაქსის ჭერს მაინც სწვდებოდა.

უცნაურ ხმაზე ჯერ მგზავრებმა მოიხედეს, მერე კი მძღოლმა მუსიკას ჩაუწია, თავი მოაბრუნა და მანქანის სალონი მოათვალიერა.

– დასწყევლოს ეშმაკმა! – წამოიყვირა ბორემ და სავარძელს დაასკდა.

– რამე ხომ არ იტკინეთ, ბატონო ბორე? – შეწუხდა სიმონი.

– ღვთის მადლით, თავი ჯერ კიდევ მაგარი მაქვს, ისე ცოტა რომ აამაღლონ არაფერი მოუვათ, ჰაერიც ხომ მეტი იქნება.

– ალბათ. – დაეთანხმა სიმონი.

– თქვენ?

– რა მე?

– რა გვარის კაცი ბრძანდებით?

– სიმონაძე, სიმონ სიმონაძე.

– რომელი იმერეთიდან ბრძანდებით, ბატონო სიმონ?

– ზემოდან, რა თქმა უნდა.

– ასეც ვიფიქრე.

– მაინც რას ბეჭდავს თქვენი გამომცემლობა, ბატონო ბორე?

– ხან რას, ხან რას. – ამოისუნთქა ბორემ. – ადრე მთავრობას ეკუთნოდა და რასაც გვიბრძანებდნენ იმას ვუშვებდით, ძირითად სატელეფონო ცნობარებს, სხვადასხვა ამდაგვარ ლიტერატურას.

– ახლა?

– ახლა კერძოა, კოლექტივმა შეისყიდა და რასაც გვინდა იმას დავბეჭდავთ, ამჟამად ჩვენი პარტიის

საარჩევნო პროგრამით ვარ დაკავებული, წიგნად უნდა გამოვცე.

– რომელი პარტიის?

– არის ასეთი პარტია! – სახე დაეძარღვა ბორეს და ის, უსიამოვნო შემთხვევა რომ არა, ალბათ ფეხზეც წამოდგებოდა. – ჩვენი პროგრამა, სხვებთან შედარებით, ყველაზე რაციონალური პროგრამაა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოყენება მხოლოდ მოცემულ ეტაპზეა შესაძლებელი.

– თუ ახლა ვარგა, შემდგომში რატომ აღარ ივარგებს? – უკვირს სიმონს.

– მომავლის განჭვრეტისათვის სიმშვიდე და მოცალეობაა საჭირო, არც ერთი და არც მეორე ჩვენს პირობებში არ არსებობს.

– რა აზრი აქვს ისეთ პროგრამას, რომელსაც მომავლის დანახვა არ შეუძლია?

– არც ეგრე უიმედოოდაა საქმე. არის მომენტები, როდესაც მოქმედების მიზანდასახულობა და მოწესრიგებულობა ყველაზე მთავარია. – თქვა ბორემ და ისეთი სახე მიიღო, ალბათ მიხვდა კიდეც, თუ რა წარმოთქვა.

– ეს მაინც მხოლოდ სიტყვებია, მარტოობაში მოფიქრებული.

– ყველა გენიალური აზრი მარტოობაშია მოფიქრებული. – რიხით წარმოთქვა ბორე ბრავიამ.

– მართალია... მაგრამ მარტოობა და მარტო ყოფნა სრულიად სხვადასხვა რამ არის. – დააზუსტა სიმონაძემ. – რამდენიც არ უნდა მიმტკიცოდ მაინც არ მჯერა თქვენი პროგრამის, სხვათაშორის არც თქვენი მიზნის.

– რატომ? – ჩაეძია ბორე.

– იმიტომ, რომ არც ერთი თქვენგანი გულრნფელი არ არის.

– საიდან გამოგაქვთ ასეთი დასკვნა? – ბორეს სახე ზღვის ამინდივით აერია. – მტკიცება? საბუთი? მარტო თქვენი ზედაპირული შთაბეჭდილება არ არის საკმარისი.

– თქვენ ყველა პირველობისთვის იბრძვით. – მოჭრა სიმონაძემ.

– თქვენ? თქვენ არ გინდათ იყოთ პირველი?

სიმონაძეს გამომცემლის დაჟინებული მზერის გაძლება აღარ გასჭირვებია. პირიქით, ბორეს თვალი თვალში გაუყარა, მისკენ ოდნავ გადაიხარა და თითქმის საიდუმლოდ უთხრა.

– მე ისედაც პირველი ვარ... მე სხვა პრობლემები მაქვს.

მანქანა აღმართს შეუყვა, სიმონი ფიქრს.

ამჯერად სიმონაძე მართალს ამბობდა.

ბოლო მივლინებიდან ძლივს გამოასწრო. ისე აურ – დაურია იქაურობა მასზე გამოცდილ ეშმაკსაც გაუჭირდებოდა რამის გარკვევა. ადამიანს უკან დასახევი თუ არ დაუტოვე საშიში და უმართავი ხდება. ამ შეგონებას თვითონაც ხშირად იმეორებდა, მაგრამ საკუთარი წარმატებით შემთვრალ სიმონაძეს ყოველივე გადაავიწყდა.

რას არ უყვიროდნენ, რას არ გაჰკიოდნენ, რას არ უპირებდნენ.

– დაიჭი!

– არ გაუშვა!

– გზა მოუჭერი!

– ჩასცხე, დალეწე, დაჰკარი!

– დაახრჩვე!

– დაასახიჩრე, ეგ ლორიშვილი!

მოკლავდნენ კიდეც გზის პირას აღმართულ ქარხანაში რომ არ შეესწრო. მართალია ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ქარხნის ტერიტორიას ვერ სცილდებოდა, სამიოდე თვე მგლინავის თანაშემწედ, ანუ ჩვეულებოივ მუშადაც მოუწია ყოფნა.

– თქვენი მსჯელობა დემაგოგიურია! – სწორედ მაშინ თქვა ბორემ, როდესაც სამარშრუტო ტაქსმა აღმართი დაასრულა, წამით ცხვირი გაასწორა და ქვევით დაეშვა.

– რა ბრძანეთ?

– დემაგოგიურია თქვენი მსჯელობა, თქვენისთანებთან თანამშრომლობის წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის, სამწუხაროდ, ჩვენს წრეში, ბევრი ასე არ ფიქრობს.

– ვისთან, ბატონო ბორე, ჟურნალისტებთან თანამშრომლობის' წინააღმდეგი ხართ?! – ცივად გაიღიმა სიმონაძემ.

ბორის ბრავია დაფიქრდა.

რა თქმა უნდა, ბორეს ჟურნალისტებთან საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა და მათ უსქესო ადამიანებად თვლიდა, თუმცა მოცემულ, გარდამავალ ეტაპზე ამ პროფესიის საჭიროებასაც აღიარებდა, მაგრამ ახლადგაცნობილ ადამიანთან ამაზე საუბარს თავი აარიდა, ამიტომაც იძულებული შეიქნა დროებით უკან დაიხია.

– არა, რას ბრძანებთ... ისე ვთქვი, ზოგადად, თორემ ჟურნალისტების გარეშე როგორ შეიძლება, მი-

თუმეტეს დღეს... დღეს არც ომია და არც სტიქიური უბედურება, წყნარად შეუძლიათ მუშაობა, ობიექტურად, გულით...

– რას ეძახით თქვენ ომს! – წამოიძახა სიმონაძემ და ფანჯრისკენ ხელი გაიშვირა.

ბორემ სიმონაძის თითს მზერა მიაყოლა და ყველასთვის ნაცნობ სურათს წააწყდა: მოტიტვლებულ მდელოს, ჩამოშლილ სახლს, მორღვეულ ჭიშკართან აყუდებულ, ჟანგიან ჯიხურს და გაურკვეველი წარმოშობის ნაგვის გროვას.

– რასაც თქვენ ომს ეძახით, ჩვენს ენაზე პოლიტიკური ბრძოლა ეწოდება. – წყნარად თქვა ბორის ბრავიამ. – მშვიდი ცხოვრება თავისით არ მოდის, ბრძოლა უნდა ყველაფერს. სახლს ავაშენებთ, ჯიხურს გავიტანთ, ნაგავს გადავყრით... დრო და მოთმინებაა საჭირო... რა არის რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე, თუნდაც ახალგაზრდასი, იმ ნათელ მიზნებთან შედარებით, რომლისკენაც ჩვენ ვისწრაფვით?!

– არ ვიცი... არ ვიცი... – ამოიოხრა სიმონაძემ.

– ჰოდა, რომ არ იცით ამაშია საქმე! – გაიხარა ბორემ. – უნდა გაეცნოთ ჩვენს პროგრამას, ჩვენს საკრებულოს თავჯდომარეს, ჩვენი ორგანიზაციის წევრებს... მერე უფრო გაგიადვილდებათ თქვენც და თქვენი გაზეთის მკითხველებსაც, ხომ ასეა, ბატონო სიმონ?!

– პრინციპში მართალია. – სიმონი იძულებულია ბორეს დაეთანხმოს.

– აგაშენა ღმერთმა! ნულარ გადავდებთ, ჩავალთ თუ არა პირდაპირ იქ მივიდეთ, სტუმრის მოყვარული კაცია და გაუხარდება, თანაც დღეს პატარა სუფ-

რა აქვს, ექვსი თვეა რაც ჩვენი საკრებულო მუშაობს, მრგვალი თარიღია, რაც არ უნდა იყოს... დავილაპარაკებთ, თავს შევიქცევთ...

– უხერხული ხომ არ არის?

– რა დროს უხერხულობაა, ბატონო სიმონ, ქვეყანა გვაქვს ასაშენებელი. – თქვა ბორემ და ხმამაღლა გაიცინა.

რადგან სიმონაძეს სხვა საქმე არ ჰქონდა, უფრო სწორედ მხოლოდ ერთი საქმე ჰქონდა, ბევრი აღარ უფიქრია და ბორის ბრავიას სტუმრობის თანხმობა მისცა.

ნანვიმარი ქალაქი ახლადგარდაცვლილ ადამიანს ჩამოგავს. უფერულ ასფალტს სველი სიშავე ისე უხდება, როგორც ლამაზ ჭირისუფალს მაქმანიანი, მუქი სამოსი.

საკრებულოს თავჯდომარე, გოვარდ ლაშხი, სწორედ ამ ქალაქის ცენტრში ცხოვრობდა, მერიიდან ასიოდე მეტრში. მისი ორსართულიანი სახლის მნახველი აღტაცებასა და შურს ერთდროულად ბარდებოდა ტყვედ. ბინების მეტი რა უნახავს სიმონაძეს, მაგრამ ოთახში შესული რამდენიმე წუთით მაინც გაჩერდა და იქაურობა ყურადღებით შეათვალიერა: ფერადი ანგელოზებით მოხატულ ჭერს უზარმაზარი ჭაღი ოქროსფრად აკაშკაშებდა, კედელზე რამდენიმე, ჰოლანდიური სკოლის მიბაძვით დახატული ნახატი მოჩანდა, ჩინურ ზორბა ლარნაკებში ვარდები ელაგა, ყველგან რბილი და ნახევრად რბილი ავეჯი იდგა, თეთრი როიალი გედივით

გაყინულიყო ერთ ადგილას და გალაპლაპებულ იატაკში ზღაპრული მზეთუნახავივით ირეკლებოდა.

სუფრის თავში, ქართული წესის თანახმად, ოჯახის უფროსი, გოვარდ ლაშხი იჯდა. გვერდს მეუღლე უმშვენებდა, ქალბატონი ლაჟვარდი, მოკლედ შეჭრილი, ნითლად შეღებილი თმითა და მწვანე, გულამოღებული, ტანზე კოხტად მორგებული კაბით. მშობლების გვერდით გასათხოვარი, უფრო კი გაუთხოვარი ქალიშვილი მოკალათებულიყო, ორად გაყოფილი ვარცხნილობით, თეთრი პერანგით და პერანგზე მიფენილი ძვირფასი, სისხლისფერი მძივით.

უფრო იქით, საკრებულოს ადვოკატი, ჯიბსონ ქოიავა, მეჩხერი კბილებით ხორცის მოზრდილ ნაჭერს ებრძოდა.

ადგილობრივი მნიშვნელობის, თუმცა ყველა შემოქმედივით დიდ გამარჯვებებსა თუ პრემიებზე მეოცნებე პოეტს, ხოზე კარგარეთელს იქაურები კარგად იცნობდნენ. მსოფლიო სევდით შეპყრობილ ხოზეს ფერმრკთალი სახე და კეთილი გული ჰქონდა. არაფერს მიირთმევდა და ბროლის მოზრდილ ჭიქას ცივი ბორჯომით ხშირად ავსებდა.

ბორის ბრავია თითქმის ყველა ოჯახში სასურველი სტუმარი გახლდათ. ზომიერად ჭამდა და ბოლომდე შეკრული სქელი პერანგის ღილებს მოკლე თითებით ისე აწვალებდა, თითქოს გახსნა ეწადა და ვერაფრით ხსნიდა.

სხვადასხვა ომისა, დროისა თუ ფორმაციის ვეტერანი გერონტი გარაყანიძე, ყველას გასაკვირად, ხალისს მაინც ინარჩუნებდა და სასმელს ახალგაზ-

რდა კაცივით ეტანებოდა. დროდადრო სიმონაძეს, კეთილგანწყობის დასტურად, მხარზე ხელს უთათუნებდა და ოცი წლის შეყვარებული ბიჭივით უღიმოდა.

მეფურ სუფრას გოვარდ ლაშხის პირადი მდივანი, როსლენ ჯიმშელეიშვილი ემსახურებოდა. ჭუჭყიან თეფშებს ცვლიდა, ცხელი კერძები შემოჰქონდა, შეციებულებს ხელახლა ათბობდა და გადავსებულ საფერფლეებს აცარიელებდა. ეს ელამი ქალი ერთი ბოთლის შემდეგ ყველას უყვარდა, მეორის შემდეგ როსლენის გარეშე სიცოცხლე არავის შეეძლო, მესამის დასაწყისში კი განსაკუთრებით თვალში საცემი ხდებოდა მისი მოკლე ფეხები, ნახმარი ბუშტივით ჩაჩუტული მკერდი და უცნაური, გამომწვევად დამტვრეული მიხვრა – მოხვრა.

– აქეთ რომ მოვდიოდით, გზაში ხალხი შეგვხვდა. – ხმა ამოიღო ბორემ. – ჯგუფ – ჯგუფად დადიოდნენ, ტრანსპარანტები მოჰქონდათ.

– რას ითხოვდნენ მაინც? – იკითხა გოვარდმა და დასალევად გამზადებული ჭიქა მაგიდაზე დააბრუნა.

– ყველაფერს. – მოჭრა ბორემ.

– გადაირევა ადამიანი! – ჩაიბურდღუნა ჯიბსონმა.

– სხვა ქალაქში ჩაწერილებს რა უფლება აქვთ ჩვენს ტერიტორიაზე იმოქმედონ?! – აღშფოთდა გერონტი.

– თავშეყრის უფლება გააჩნია რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედ ყველა გაერთიანებას. – განმარტა გოვარდმა. – ხომ ასეა, ჯიბსონ?!

– ასეა, კონსტიტუციური უფლებაა, ვერ წაართმევ, თანაც ჩაწერის ინსტიტუტი აღარ არსებობს, გაუქმდა... რა იცი ჩამოსულები რომ არიან?

– არ გავდნენ აქაურებს, აგრესიულად იქცეოდნენ, არა, ბატონო სიმონ?

– მართალია, განსაკუთრებით მე მერჩოდნენ.

– თქვენთან რა უნდოდათ? – გაიკვირვა გოვარდის მეუღლემ.

– არ ვიცი, ქალბატონო, ალბათ ჟურნალისტები არ მოსწონთ.

– მალე ცენტრში გადმოინაცვლებენ. – არ ისვენებს ბორის ბრავია.

– დღევანდელ დღეს ასეთი აქციის დაშვება შეუძლებელია, ეს გამოიწვევს დამფრთხალი საზოგადოების კიდევ უფრო დაშინებას. – აღელდა გერონტი.

– რას გვთავაზობთ, ბატონო გერონტი? – იკითხა ჯიბსონმა და ტყემლით მოსვრილი, ძვლებით სავსე თეფში როსლენს გაატანა.

– მე... მე... არაფერს... – უკან დაიხია გერონტიმ.

– დღევანდელ მსოფლიოს მხოლოდ ხელოვნება გადაარჩენს, ჩვენს ბედკრულ ქვეყანასაც, მათ შორის. – თითქმის ლექსად თქვა ხოზემ.

– კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! – აღელდა ჯიბსონი. – რა დროს ხელოვნებაა?! სადაა ხელოვნება, ვიღას უნდა?! აღარ უნდა გაიზარდო, ვერ ხედავ რა ხდება?! არაფერს ერიდებიან, დღისით, მზისით უვარდებიან ხალხს სახლში, რომ დაგახევენ მაგ ლექსებს თავზე მერე ნახავ!

– ხელნაწერები არც იხევა და, სხვათაშორის არც იწვის! – წყნარად თქვა ხოზემ.

– მაგის იმედით იყავი.

– არ მოიშლის ეს თავისას. – ხელი ჩაიქნია გერონტიმ.

– ძალიან კარგი, თუ არ მოიშლის, ვიღაცას ხომ უნდა წეროს ლექსები. – ქალბატონმა ლაჟვარდიმ პოეტის მხარე დაიჭირა და სიმონს შეხედა.

– რა თქმა უნდა, ქალბატონო უნდა წეროს. – დაეთანხმა სიმონაძე.

– ჩვენი სტუმარი რას ფიქრობს?! თქვენ თავისუფალი პროფესიის ადამიანი ბრძანდებით, სიმართლეს ემსახურებით, სიტყვის ფასი იცით, მაგრამ ამ თავისუფლებას დაცვაც ხომ უნდა, ბატონო სიმონ?! როგორ მოიქცეოდით ჩვენს ადგილას, რას მოიმოქმედებდით?!

– მე ხალხის ნებას დავემორჩილებოდი.

ამ წინადადებამ მოლივლივე ზღვასავით წყნარი სუფრა მოულოდნელად მოვადნილი ქარიშხალივით ააღელვა.

– რომელი ხალხი!

– სად არის ხალხი!

– რა იცის ხალხმა!

გოვარდმა დანის ტარი ნახევრად დაცლილ ბოთლს მიუკაკუნა.

– აცალეთ ადამიანს ლაპარაკი! გისმენთ, ბატონო სიმონ!

– მე უკვე ვთქვი, ხალხის ნებას დავემორჩილებოდი.

– რომელ ნებას?

– რომელსაც თქვენ წარმართავთ, ბატონო გოვარდ, როგორც დაელაპარაკებით, საქმეც ისე წავა.

სიტყვას დიდი ძალა აქვს, სამწუხაროდ ამ ძალის მასშტაბები და ზემოქმედების სიძლიერე შესწავლილი არ არის.

– სიტყვა გააჩერებს ამ გადარეულებს?! – დაიმანჭა ჯიბსონი.

– გააჩნია სიტყვას. – მოჭრა სიმონაძემ.

– თქვენ იცით ეს სიტყვა? – დაინტერესდა გოვარდი და სიმონაძეს ეჭვით შეხედა.

– ვიცი და შემიძლია თქვენც გითხრათ, თავს თუ არ შეგაწყენთ, რა თქმა უნდა.

– გისმენთ, ბატონო სიმონ, ყურადღებით გისმენთ. – კისერი ნაიგრძელა ლაჟვარდიმ და სიმონაძეს შეყვარებული თვალებით შეხედა.

– კეთილი. – სიმონაძე ფეხზე წამოდგა. – მეგობრებო! დანო და ძმანო! დადგა დრო, როდესაც პატიება აღარ შეიძლება, დღეს ყოველგვარი შენდობა სისუსტეს ნიშნავს. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აღმოაჩნდა. კმარა! ყველაფერს აქვს დასაწყისი და აქვს ბოლო, აქვს ზღვარი და აქვს საზღვარი. მოთმინების ფიალა აივსო, საზოგადოების მოთხოვნა კი ჩვენთვის კანონია. ნუთუ აღარ უნდა შეწყდეს მტრის თარეში?! ნუთუ მრავალტანჯულ ხალხს აღარ უნდა მიეცეს დასვენების ჟამი?! გახსოვდეთ, ყოველი თქვენგანის ვალია აღასრულოს ის, რაც წესად თქმულა, რომ მასაც ის მიუზღონ, რაც მან სხვებს მიუზღო. ამას მოითხოვს საზოგადოება, საზოგადოებრივი სამართლიანობა, საზოგადოებრივი აზრი, ერთადერთი ჭეშმარიტი და უცვლელი საზომი. მე მოვედი, რომ სიმშვიდე დაგიბრუნოთ! მე მოვედი, რომ დაგაპუროთ! მე მოვე-

დი, რომ შეგმოსოთ! მე მოვედი, რომ წინ აღვუდგე იმ ძალას, რომელიც სიმშვიდეს გირღვევთ! ამიტომაც გეუბნებით მე თქვენ, დაასწარი, ვიდრე დაგასწრებენ, რადგან ხანმოკლეა სიცოცხლე, სირბილე და სინანული კიდევ უფრო შეგიმოკლებთ დღეებს, ამიტომაც გეძახით: მომყევით! რადგან მე ვარ გონება თქვენი, გრძნობა და აზრი თქვენი!

სიმონმა დაამთავრა. დაჯდა. ამოისუნთქა.

სხვებმაც ამოისუნთქეს.

ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, ბუზის გაფრენა რაა, უფრო პატარა მწერის ხმასაც ორივე ყურით ყრუც კი ადვილად გაიგებდა. ამ სიჩუმის სიმძიმე გოვარდ ლაშხმა ყველაზე კარგად იგრძნო, გაოცებულ, ადგილზე გაქვავებულ ფიგურებს ხელახლა სული შთაბერა და რიხიანი სიტყვით მოძრაობაში მოიყვანა.

– მეგობრებო, მე მინდა ჩვენი ახალგაზრდა სტუმრის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ! მე მოხარული ვარ, რომ ის დღეს ჩვენი სტუმარია და მეძლევა საშუალება, ჩემს ოჯახში, მას მადლობა ვუთხრა მშვენიერი, მამაკაცური სიტყვისთვის. მართალია, ის ჩვენს კოლექტივში ახალი კაცია, მაგრამ უკვე დაამტკიცა, რომ ჩვენი სისხლი და ხორცია. ახლა, როცა აქ დემოკრატიაა, თითქოსდა საჩოთიროა ხალხს აზრის გამოხატვის საშუალება არ მისცე, მაგრამ როდესაც საქმე ეხება მთლიანად ქვეყანას, ანუ მის მთლიანობას... ეს ქვეყანა კი ჩვენ კიდეც გვაჭმევს, კიდეც გვასმევს, კიდეც გვზრდის და კიდეც გვამყოფებს ამ ბედკრულ წუთისოფელში, ძნელია ენა მოგიტრიალდეს... როდესაც საქმე ეხება

ხალხის სიმშვიდეს, დათმობა არ იქნება! აი, ასეთი მაღალი გადმოსახედიდან უნდა შევაფასოდ, ჩემო სიმონ, თქვენი პირველი ნაბიჯები ამ რთულ გზაზე და ჩვენც ასე ვუყურებთ მას... აბა, იცოცხლე და კარგად იყავი, ჩემო სიმონ!

– გმადლობთ, გმადლობთ, არ ვარ მე ამდენი ყურადღების ღირსი. – მორცხვად იღიმება სიმონაძე.

– როგორ გეკადრებათ, ბატონო სიმონ. – ტკბება გერონტი. – თქვენ ჩვნთვის მაგალითი ხართ, აბა, სხდომებით და ყრილობებით დაამშვიდებ ხალხს?! ძალაა საჭირო, ძალა.

– თქვენი ლაპარაკიდან ისე გამოდის, ხალხს ის უნდა უთხრა რისი მოსმენაც უნდა, რაც აწყობს, მერე კი, ისე გააკეთო, როგორც შენ გინდა და შენს საქმეს ჭირდება, მაგრამ ეს იმდენჯერ უნდა გაიმეორო, ხალხმა იფიქროს, ზუსტად იმას აკეთებ რასაც შენგან მოითხოვდა. – ახსნა ჯიბსონმა.

– ნამდვილად ასეა, ეს საკმაოდ ძველი ხერხია, უბრალოდ ხშირად ავიწყდებათ. – დააზუსტა სიმონაძემ.

ჯიბსონმა ხელები გაშალა.

– ნამდვილი პროფესიონალიზმი ყველაფერში დასაფასებელია, საქმის მცოდნე ყველა ადამიანი პროფესიონალია, შენ რას იტყვი, ხოზე?!

პოეტი საკუთარი სახელის ხსენებას არ ელოდა და შეცბა.

– ასეა, მეტსაც გეტყვით, ხელოვნება და პროფესიონალიზმი სიამის ტყუპებივით ერთად დაიბადნენ და, თუ სიკვდილი უწერიათ, ასევე ერთად აღესრუ-

ლებიან. ეს მე არ მითქვამს, ერთმა დიდმა პოეტმა თქვა.

– მაინც რომელმა?

– ეზრა პაუნდმა.

– სიგარეტის სახელს გავს რაღაც. – დაეჭვდა გერონტი.

– სიტყვამ მოიტანა და იქნებ წაგვიკითხოთ რამე თქვენი მრავალფეროვანი შემოქმედებიდან, ბატონო ხოზე?! ჩვენი სტუმარიც სიამოვნებიც მოგვისმენს. – თვალებს ნაბავს ლაჟვარდი.

– ვგონებ დღეს არ ღირს, რაღაც ხმაზე არ ვარ. – ჯიუტობს ხოზე.

– ეგ არაფერი, ჩურჩულით იყოს, მე მიყვარს კარგი ლექსი. – სიმონაძემ ხოზე კარგარეთელს მორჩილად შეხედა.

– კეთილი.

ხოზემ თვალები გადაატრიალა, ბრმასავით მიაშტერდა ჭერს და ტუჩები ააცმაცუნა. ძველს კითხულობდა თუ ახალს ვერავინ იტყოდა, რადგან პოეტი ხოზე კარგარეთელი ორივეს ცუდად წერდა.

– მშვენიერია, არა, ბატონო სიმონ! – აღტაცებულია გოვარდის მეუღლე.

– კარგია, რაც მთავარია, ორიგინალურია.

– კიდევ ხომ არ მოისმენდით?

– თქვენ თუ გნებავთ, რატომაც არა.

სიმონაძემ და დიასახლისმა ერთმანეთთან უხილავი ძაფი გააბეს. დაუფარავად ექაჩებიან აქეთ – იქით და ფერადოვან ნაქარგებს რთავენ.

– გეყოფად ლექსები! ნადირობა თუ გიყვარს, სი-

მონ?! იმედია, მაქვს უფლება ასე მოგმართო, რაც არ უნდა იყოს, შენზე უფროსი ვარ, ასედაც და ისედაც.

– რა ბრძანებაა, როგორც გენებოთ... ნადირობა, სხვათაშორის, ჩემი მეორე პროფესიაა, მონკავშირის წევრიც ვარ უკვე რამდენიმე წელია.

– ესეიგი მე და შენ ერთმანეთს კარგად გავუგებთ.

– არ მიყვარს ნადირობა. – ამოიოხრა დიასახლისმა.

– რატომ?

– ცუდად მოქმედებს ჩემზე სისხლი.

– ნადირობა ისეთივე აზარტული თამაშია, როგორც სხვა ყველაფერი.

– წითელი არ ესადაგება ჩემს სულს. – თავს აქნევს პოეტი.

– არ ბრძანდებით მართალი, წითელი სხვა რამის სიმბოლოც არის, თქვენ ხელოვანმა კაცმა, ეს ჩემზე კარგად უნდა იცოდეთ.

– რისი? ბორდელის? – ღიზიანდება ხოზე.

– არ გამაგიჟო, მართლა არ იცი?! – ბორის ბრავია ბავშვივით გაკვირვებულია.

– კაცმა ყველაფერი უნდა იცოდეს! – ჯიბსონ ქოიავას ხმაში ბზარი არ იგრძნობა.

– სადღა არიან კაცები. – კიდევ ერთხელ ამოიოხრებს ლაჟვარდი.

– მართალია, მართალი. – აყვება გერონტი. – აი, მე, მაგალითად სიჯანსაღე და ფიზკულტურა ყოველთვის მეხმარებოდნენ მძიმე ცხოვრებაში, ჩემი ამბავი კი შენც კარგად მოგეხსენება, ჩემო ჯიბსონ... თქვენ რომ ძალა ახსენეთ, ვის გულისხმობდით მაინც?

– ძლიერ ხელს, ძლიერ მართვას, თუ გნებავთ შიშს.

– მერე სად გეგულებათ ასეთი კაცი?

– ისტორიაში... ვისაც მოისურვებთ, ძველი რომით დაწყებული დღევანდელი დღით დამთავრებული, ერთი პირობაა ოღონდ, აუცილებლად გარდაცვლილი უნდა იყოს.

ამ დროს სიმონაძე, როგორც წესი, ჩერდებოდა ხოლმე, ღრმა ნაფაზს არტყამდა და დაბნეულ საზოგადოებას მოჭუტული თვალებით ათვალიერებდა. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ყველა ნორმალურ ადამიანში სულ ცოტა გაკვირვებას მაინც იწვევდა, თუმცა სიმონი, ამ წლების განმავლობაში, უფრო მძაფრი რეაქციის მომსწრეც ყოფილა.

– ცოცხლებს გაგვიჭირდა და მკვდრებმა რა უნდა გვიქნან?! – ხმა ამოიღო ჯიბსონ ქოიავამ, როგორც ყველაზე განათლებულმა და გოვარდ ლაშხს გადახედა, რომელსაც ასეთი არეული თვალები მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როდესაც საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტს იხილავდნენ ხოლმე.

– ვერ გამიგეთ. – გული დასწყდა სიმონაძეს. – კლონირების შესახებ თუ გსმენიათ რამე?

– გაზეთში წავიკითხე ცხვრების ამბავი... – ოთახში გოვარდ ლაშხის გასათხოვარი ქალიშვილის გაუბედავი ხმა გაისმა.

– კი, იყო, მეც გამახსენდა. – თავი დააქნია ჯიბსონმა. – ცხენები, მერე ძროხა თუ რაღაც ამდაგვარი.

– მართალია. – დაეთანხმა სიმონაძე. – მაგრამ ეგ ადრე იყო, ათიოდე წლის უკან, დღეს სხვა მდგომა-

რეობაა, მეცნიერება გიგანტური ნაბიჯებით მიინევს წინ.

– ამ ყველაფერს ჩვენს საქმესთან რა კავშირი აქვს? – გაიკვირვა ჯიბსონ ქოიავამ და კვლავ თავჯდომარეს შეხედა.

– ჰო, მართლა, ჩვენ რა შუაში ვართ?! – გაიმეორა გოვარდმა.

– ყველანი შუაში ვართ... ნებისმიერი საგანი, რომელსაც თქვენ ხელით ეხებით, თქვენივე გენეტიკური კოდის მატარებელია. გარდაცვლილი ადამიანის შემთხვევაში ამას განსაკუთრებული მნიშვნება აქვს, რადგან სწორედ ამ საგნიდან ხდება კოდის აღება. ამ აღმოჩენის შემდეგ დრომ მნიშვნელობა დაკარგა, მისი ტრადიციული გაგება წარსულს ჩაბარდა. ამ ისტორიული, მე ვიტყოდი რევოლუციური აღმოჩენის სათავესთან ქართველი მეცნიერი არისტო ალასანია იდგა, პირადად ვიცნობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ დაუჯერა, ლაბორატორია დაუკეტეს, თემა დაუხურეს, თავად კი შიმშილით მოკვდა ჰუმანიტარული დახმარების რიგში, მისმა მოსწავლეებმა განაგრძეს ეს საქმე, ჩემმა მეგობრებმა, გირშელ დგებუაძემ, ვოლდემარ ტიმჩენკომ, კარო არუთუნიანმა, ვავილ ბუხბინდერმა, დიდი ჯგუფი მუშაობდა, საოცარ შედეგებს მიაღწიეს, რაც მოკლედ რომ ვთქვა, შემდეგში გამოიხატება: კლონირებული ემბრიონით მოახდენენ ქალის განაყოფიერებას, რომელიც ამ გარდაცვლილი ადამიანის მეორე დედა გახდება.

– საოცარია! – ლაჟვარდიმ სუნთქვას საკუთარი მკერდიც ამოაყოლა.

– ყველაფერი მოთავდებოდა აქამდე ფინანსები რომ გვინყობდეს ხელს, არადა დაგვასწრებს ვილაც და ამ გამოგონებასაც აგვაცლიან ქართველებს. მოგეხსენებათ, ჩვენი სახელმწიფო წელშია გაწყვეტილი, გვპირდებიან დახმარებას, მაგრამ პირობა პირობად რჩება. მართალია, მიპატიჟებები არსებობს, თუმცა ჩვენი მეცნირები პატრიოტები არიან და საზღვარგარეთ გადაბარგებაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ, იმედი აქვთ, რომ გამოჩნდება ვილაც ღვთისნიერი და დახმარების ხელს გამოუწოდებს.

– რა თანხაზეა საუბარი? – დაინტერესდა ჯიბსონი.

– პირველ ეტაპზე ოთხმოცი ათასია საჭირო.

– დოლარი?

– არა, ბატონო ჯიბსონ, ლარი.

– დავუშვათ და გამოჩნდა ეს თანხა, ობიექტის შერჩევას ვინ მოახდენს. – საქმიან საუბარში გოვარდიც ჩაერთო.

– ვინც ფულს გადაიხდის.

გოვარდ ლაშხს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ სიმონაძემ თავჯდომარის ამ სიხარულს ფრთების გაშლა აღარ აცალა.

– მესმის რატომაც მეკითხებით... მშობლები, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, რა თქმა უნდა ყველას კლონირება შეიძლება და ადრე თუ გვიან, ყველაფერთან ერთად, ქართველები დემოგრაფიულ პრობლემებსაც გადავჭრით, თუმცაღა მე მაინც მგონია, რომ ამ საკითხს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა შევხედოთ.

– კი მაგრამ, გაზრდილები ხომ არ დაიბადებიან უკვე?! მანამდე რა ვქნათ?! ისევ ასე ვიყოთ?! – იკითხა ჯიბსონმა და აშლილი ნერვების მოსათოკად კვლავ ძვირფას კონიაკს მიეძალა.

– რას ნიშნავს მაინც გამოცდილება, ბატონო ჯიბსონ, როგორ უცებ მიხვდით! – შეაქო სიმონაძემ. – ველოდი ამ კითხვას, ზრდის სტადია ყველაზე რთული პროცესია, მართალია, პრაქტიკულად ჩვენ არ გვქონია ამის დამტკიცების ბედნიერება, მაგრამ თეორიულად ყველაფერი გამოთვლილია, საქმე იმაშია, რომ კლონირებული ადამიანი ჩვეულებრივ მოკვდავზე გაცილებით სწრაფად იზრდება.

– მაინც?

– დაახლოებით, ერთი ათთან.

– რა გამოდის, ერთი წლის რომ გგონია, უკვე ათისაა ხომ?

– ზუსტად ასეა, სამ წელიწადში ზრდადასრულებულ, ფეხზე მყარად მდგარ, ოცდაათი წლის მამაკაცს მივიღებთ.

– საოცარია პირდაპირ!

– თუმცა მაინც არის ერთი პრობლემა, რამდენადაც სწრაფად იზრდებიან, ასევე სწრაფად ბერდებიან, მაგრამ, ჩვენი გამოთვლებით, მაინც საკმარისი დრო რჩება მიზნის მისაღწევად.

– ჩვენს მდგომარეობას იესო ქრისტე თუ უშველის მხოლოდ. – ხმა ამოიღო ხოზე კარგარეთელმა და, ყველას გასაკვირად, ცარიელ ჭიქაში წითელ ღვინოს ჩაუძახა, ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ პოეტი ხოზე ახალი ლექსის შექმნას აპირებდა სწორედ ამ თემაზე.

– კაცობრიობამ ეგ ექსპერიმენტი ერთხელ უკვე ჩაატარა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა, სხვათაშორის იურიდიულადაც დამტკიცებულია ეგ ამბავი. – საქმის ცოდნით გამოაცხადა ადვოკატმა.

– ძლიერი ხელია საჭირო, ფოლადის, სტალინი გვჭირდება, სტალინი, ეგ თუ გვიშველის! – შეჰყვირა ვეტერანმა და მუშტები გამოცდილი მოჩხუბარივით შემართა.

– ძლივს ამოვისუნთქეთ და კიდევ ეგ პირსისხლიანი გინდათ?! – გაბრაზდა ხოზე.

– ვინ არის პირსისხლიანი! – იყვირა გერონტიმ და ადგილიდან წამოხტა.

– ამჯერადაც უნდა დაგეთანხმოდ, ბატონო გერონტი! – თავი დააქნია სიმონაძემ, რითაც ვეტერანის გული საბოლოოდ მოინადირა. – გონიერი, მტკიცე და ნებისყოფიანი მმართველია საჭირო, დაუნდობელი, ქვის გულით... დროებით, რა თქმა უნდა.

სიმონაძემ ყველაზე კარგად იცოდა, რომ ყოველივე დროებითი ყველაფერზე მეტად მუდმივია, თუმცა ეს საიდუმლო სუფრის წევრებისთვის არ გაუმხელია.

– ხოზესაც არ მინდა გული დავნყვიტო, შემოქმედი კაცია, რაც არ უნდა იყოს, სწორედ მის გასაგონად მინდა ვთქვა: პირველ შემთხვევას, იესოს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, ბევრ უხერხულობასთან ერთად, მთავარიც ახლავს, ეჭვი წმინდა რელიქვიების სიყალბის შესახებ. ჯერაც დაუდგენელია იმ ნაჭრის ბედი, რომელშიც თითქოსდა იესო ყოფილა გახვეული. კოდის სიძველესაც დიდი მნიშვნელობა

აქვს, მთავარია თავდაპირველი სახით იყოს შენარ-
ჩუნებული, სხვა შემთხვევაში, პროექტის განხორცი-
ელება ვერ მოხერხდება. მერე? ამოდენა ფული
დაიხარჯოს და ტყუილად? ვინ გვაპატიებს? სტალი-
ნის შემთხვევაში ამ ყოველივეს თავიდან ავიცი-
ლებთ, მისი გარდაცვალებიდან არც ისე დიდი დროა
გასული, ნივთების მოპოვებაც გაცილებით ადვი-
ლია, ამავე დროს, ხოზეს მინდა შევახსენო, ის პირ-
სისხლიანი, როგორც თავად აღნიშნა, ლექსებსაც
წერდა და სხვაზე ნაკლები არც მაგ საქმეში ყოფილა.

– სულ ხუთი ლექსი აქვს დაწერილი, აქედან ოთხი
არ ვარგა, ტოჟე მნე პოეტ. – აიმრიზა ხოზე.

– არ ეცალა, ბატონო, შენისთანა უსაქმური კი არ
იყო! – ისევ შეუტია გერონტიმ. – აღარ უნდა ბევრი
ლაპარაკი, სტალინი უნდა ავირჩიოთ!

– სხვათაშორის, ამ ორ, უდავოდ დიდ ადამიანს
შორის ბევრი მსგავსებაა. – დაასრულა სიმონაძემ.

– მე მორწმუნე ქალი ვარ, ბატონო სიმონ, მოძ-
ღვარიც მყავს, მარხვასაც ვიცავ მისი მითითებით...
– შეიცხადა ლაჟვარდიმ.

– მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ყველა
ეპოქას საკუთარი იესო ჰყავს. – თავი იართლა სიმო-
ნაძემ. – ეხლავე აგიხსნით ყველაფერს. – განა ერთი-
ცა და მეორეც ღარიბი ხალხის ოჯახში არ დაიბად-
ნენ? იესო – ადგილობრივი დურგალის სახლში, სტა-
ლინი – მეწაღის ქოხში.

– კი, ნამდვილად ასეა, ნამყოფი ვარ მე გორში. –
ჩაერთო გერონტი.

– არც ერთი და არც მეორე სიმდიდრეს არ
დახარბდა. იესო დედამისის შეკერილ სამოსში დაია-

რებოდა და შიშველ ფეხებს ჩვეულებრივი, იაფფასიანი სანდლები უფარავდა. ვინც სტალინს შეხვედრია, ყველა ერთხმად აღნიშნავდა მის ასკეტურ ცხოვრების წესს. ადამიანი მეცნიერის გონებით, მუშის სახითა და უბრალო ჯარისკაცის ფარაჯით. თქვენ კი უნდა გახსოვდეთ ეს ამბავი, ბატონო გერონტი.

– მახსოვს, აბა არ მახსოვს?! ერთი ორჯერ მისაყვედურა კიდეც, სხვათაშორის, გამართული ქართულით მელაპარაკებოდა, არ მეხერხებოდა ეს რუსული, გამოთქმა მიჭირდა განსაკუთრებით, ყველა შეხვედრაზე მახსენებდა, ვპირდებოდი, მაგრამ მაინც ვერ ვისწავლე.

– ეხლა რაც შეეხება სწავლას, კარგად გამახსენეთ, ბატონო გერონტი. იესოს ქადაგება პირველად მონებმა და პლებეებმა მიიტანეს გულთან ახლოს, კომუნიზმის იდეები კი ჩაგრულებმა, უფლებააყრილებმა, უსახლკაროებმა. მე მგონი, მსგავსება თვალშისაცემია.

– ასე არ შეიძლება, ბატონო სიმონ! – ხმა ამოიღო ხოზემ. – მექანიკურად აერთებთ ყველაფერს, მშრალი ფორმულების იქითაც ხომ არის რაღაც.

– მაინც რა? – დაინტერესდა სიმონი.

– გვითხარი ერთი, გვითხარი. – თვალები დაქაჩა გერონტიმ.

– ფაქტები, შიშველი ფაქტები. საქვეყნოდ ცნობილია, რომ სტალინი ეკლესიაში შესული არავის უნახავს.

– ტყუილია! უგონებენ მაგასაც და ბევრ სხვა რამესაც. – არ ცხრება გერონტი. – ხომ სწავლობდა სასულიერო სემინარიაში.

– კი, სანამ გამოაგდებდნენ.

– არ გამოუგდიათ, თვითონ წამოვიდა, იქაურ, ჩამორჩენილ სწავლის მეთოდებს ვერ შეეგუა.

– სამწუხაროდ, ბატონო გერონტი, ხოზე ამჯერად მართალია, თუმცა ნაწილობრივ. მხოლოდ ეკლესიაში სიარულით და იქ საათობით დგომით საქმე წინ ვერ წავა. სხვა თუ შევიდა რა ქნა?! გადავსებული სამარშრუტო ტაქსი რომ ტაძართან ჩაივლის და დიდიან პატარიანა ყველა პიჯვარს იწერს, ეგაა საქმე?! ვინ უფრო მორწმუნეა, ისინი თუ თქვენ?! სად გადის ზღვარი, ვერდიქტს ვინ გამოიტანს?!

– ჩემი მოძღვარიც ამას მეუბნება. – ჩაერთო ლაჟვარდი.

– მართალს გეუბნებათ, ქალბატონო. მთავარია რა დარჩება შენს შემდეგ, რა სახელს დატოვებ, სახელს კი საქმეები განსაზღვრავენ.

– მაინც რა დატოვა ასეთი ამ თქვენმა სტალინმა? – დაიმანჭა ხოზე.

– საინტერესოა. – ძლივს მოაბრუნა დაბუჟებული ენა ჯიბსონ ქოიავამ. – მგონი რაღაც ახალი იცით.

– არც ისე ახალია, მახსოვრობა არ გვივარგა და იმის ბრალია. სტალინის დროს ქვეყანაში სამოცი ათასი ეკლესია იყო, მისი სიკვდილის შემდეგ მათი რაოდენობა ოცი ათასზე დავიდა. ესეც მშრალი ფაქტებია, ჩემო ხოზე.

– რეპრესირებულებს რა პასუხს აძლევთ?! – არ ცხრება ხოზე.

– ახსნა მაგასაც მოეძებნება. – წყნარად თქვა სიმონმა.

– მაგაზე ადვილი ასახსნელი რა არის. – გააწყვეტინა გერონტიმ. – ამდენი ეკლესია რომ არის ქვეყანაში და შიგ არავინ არ შევა, მეტის ღირსია ის ხალხი, მიებაძათ უნდა თავისი მასწავლებლისთვის, არ სწამდათ ღმერთის და იმიტომაც დაისაჯნენ, იმ ბანაკებში, შენ რომ ახსენე, სულ ათესტები ისხდნენ, ახალგაზრდა ხარ შენ და არ იცი.

– არც კი ვიცი რა ვთქვა, მოულოდნელია ეს ყველაფერი. – დაიმორცხვა ხოზემ და იმის ნიშნად, რომ დანებებას აპირებდა ხელები გაშალა.

– სიკეთე უნდა ამ კაცს შენთვის, თუ მიხვდები. – პოეტი დამოძღვრა გერონტიმ. – განაგრძეთ, ბატონო სიმონ, ამას ნუ მიაქცევთ ყურადღებას.

– განა ორივენი წამებულები არ იყვნენ? თუკი იესოს სიცოცხლეში მოუწია ამის გადატანა, სტალინმა ხალხის უმადურობა სიკვდილის შემდეგ იწვნია. არც ერთს არ დაჰკლებია დაბეზღება, დევნა, ჭორები, მითქმა – მოთქმა, გადასახლება, კატორღა, ცემა და შეურაცხყოფა. კარგად რომ დავაკვირდეთ საკუთარი იუდა სტალინის გარემოცვაშიც მოინახება. სიცოცხლეში დიდი ბელადი, მამა და მარჩენალი, მასწავლებელი, ევროპის განმანთავისუფლებელი. გარდაცვალების შემდეგ კი მწამებელი და დამნაშავე, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ ყოველივეს, ყველაზე ხმამაღლა ის გაჰყვიროდა, ვინც წინა დღით საქებარ ლექსებსა თუ წერილებს უძღვნიდა. ნუთუ არაფერი გაგონდებათ?

– მსგავსებას ვერ გაექცევი, ხომ იცი?! – თავი დააქნია ჯიბსონმა.

– ასე არასოდეს დავფიქრებულვარ, მაგრამ მგონი მართლაც უნდა იყოს მსგავსება, შენ რას იტყვი? – მიუტრიალდა ლაჟვარდი ქალიშვილს.

– მე?... კი, ასე იქნება, რადგან შენ ამბობ.

– მიუხედავად ყველაფრისა, თავისი უფროსი მასწავლებლის, იესოს მსგავსად, ბოღმა და ბოროტება გულში არასოდეს ჩაუდია, პატიება შეეძლო და პატიებდა კიდეც, ხშირად ამბობდა: არაფრად ვარგა ის ხელმძღვანელი, რომელსაც წყენის დავიწყება არ შეუძლია და საკუთარ გრძნობებს საქმეზე მაღლა აყენებს.

– ერთი შეკითხვა მაქვს, ბატონო სიმონ, ბიბლიას თუ იცნობდა სტალინი? – იკითხა ლაჟვარდიმ და სიგარეტს მოუკიდა.

– იცნობდა და ხშირად იყენებდა კიდეც, ოღონდ ამარტივებდა, რათა უბრალო ხალხს უკეთესად გაეგო. სხვათაშორის ეს საკითხი და სხვა საკითხებიც, მე ღრმად მაქვს შესწავლილი, წერილიც დავწერე „ქრისტე და სტალინი, მსგავსება განსხვავების გარეშე", ოღონდ აღარ დამიბეჭდავს, ხომ იცით რა დროა, შეიძლება სწორად ვერ გაიგონ.

– ჩვენ დავბეჭდავთ. – დადნა ლაჟვარდი. – აი, ხოზე დაბეჭდავს თავის გაზეთში.

– კი, დავბეჭდავ. – თავი დააქნია ხოზემ. – ხალხს ალტერნატიული აზრი აინტერესებს.

– გვეყო ლაპარაკი! – ხმა ამოიღო გოვარდ ლაშხმა. – მსგავსება რომ არის, ამას ვერავინ უარყოფს, ჩვენი პოლიტიკური მტრებიც კი, მე სხვა რამ მაინტერესებს, გვიშველის კი? შესძლებს ქვეყნის ფეხზე დაყენებას? ეკონომიკის გაჯანსაღებას, ინვესტი-

ციების მოზიდვას, რეფორმების დასრულებას? ხომ იცი, სხვა დროა, სულ გაფუჭდა ხალხი, გაზარმაცდა.

– მაგის ნუ შეგეშინდებათ, ბატონო გოვარდ, ერთხელ ხომ შეძლო და ახლა რა ღმერთი გაუწყრება?! – გაიღიმა სიმონმა. – თავის დროზე, მანაც ისევე გააერთიანა, გაამთლიანა და სამშვიდობოს გაიყვანა თავისი ხალხი, როგორც იესომ.

– ექსპერიმენტის შედეგზე ვინ აგებს პასუხს? – დაინტერესდა გოვარდი.

– მეცნიერები და მეც, როგორც პროექტის ორგანიზატორი.

– იურიდიულ საკითხს აგერ ჯიბსონი მოაგვარებს, ფინანსურს კი ჩვენი საბიუჯეტო კომიტეტის თავჯდომარე, სად დაიკარგა ის კაცი, ხომ უნდა ყოფილიყო დღეს?!

– კვარტლის ბალანსი აქვს ჩასაბარებელი და ორი დღე ითხოვა. – მოიბოდიშა ბორემ.

– კანონით ამგვარი საკითხის გადაწყვეტას რეფერენდუმი ესაჭიროება. – საქმის ცოდნით აღნიშნა ჯიბსონ ქოიავამ.

– რა დროს რეფერენდუმია, მაგისთვის გვცალია?! ხელმონერები ვაგროვოთ თუ საქმე ვაკეთოთ?! – ხმას აუწია გოვარდმა. – გამოიტანეთ საკრებულოს დადგენილება და მიხედეთ საქმეს.

– აი ეს, ჩვენი ორგანიზაციის ანგარიშის ნომერია. – სიმონმა ჯიბიდან ლამაზად გაფორმებული ბარათი ამოიღო და თავჯდომარის მეუღლეს გადასცა.

– რა ადვილი ნომერია, სულ ექვსიანებია. – გაიკვირვა ლაჟვარდიმ და ბარათი მეუღლეს თეფშთან დაუდო.

– არ დაავიწყდება ადამიანს...

– თქვენ ისე გაგვახარეთ, ბატონო სიმონ, ისეთი იმედი ჩაგვისახეთ, შორეული მომავლის რწმენა დაგვიბრუნეთ, რომ უსაჩუქროდ ნამდვილად ვერ გაგიშვებთ.

– რას ბრძანებთ, ქალბატონო, არ არის საჭირო.

– არა, არა, ნამდვილად ვერ გაგიშვებთ. – ლაჟვარდი მეუღლისკენ გადაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

– მართალი ხარ, თვითონ როგორ ვერ მოვიფიქრე. – გული დასწყდა გოვარდს და იმავე წამს როსლენს გასძახა. – მე რომ მიყვარს ის გამოიტანე!

როსლენი მალე დაბრუნდა. საკუთარ სხეულთან შედარებით ბევრად დიდი თოფი ხვნეშით შემოიტანა და მაგიდას მიაყუდა.

– ოხოხოხო, რა თოფია! – აღფრთოვანებულმა წამოიძახა საკრებულოს ადვოკატმა ჯიბსონ ქოიავამ.

– თოფი კი არა, ადამიანია, გელაპარაკება პირდაპირ! – აჰყვა გოვარდი და თოფის გალაპლაპებულ ზედაპირს ბრმასავით გააყოლა თითები.

ოჯახის თავმა მოზრდილი თეფში ამოარჩია, ხილი მაგიდაზე დაყარა და თეფში როსლენს გადაანოდა.

– აბა, შენ იცი!

როსლენი ოთახის შუაში დადგა და თეფში მაღლა აისროლა. თეფშმა წრე მოხაზა და შხუილით დაქანდა ქვევით. გოვარდმა, ერთი მოძრაობით, თოფი მხარზე შეიგდო და ჩახმახს გამოჰკრა.

– რა იცის ეს ამ კაცმა! – აბუზღუნდა ლაჟვარდი, თუმცა გულის სიღრმეში მეუღლის სიჩაუქით აღრფთოვანებულიც კი დარჩა.

– როგორია?! – შესძახებს გაამაყებული გოვარდი.

– მეფური!

გოვარდ ლაშხმა თვალებით სიმონაძე მონახა.

– მოგწონს?!

– საოცრებაა!

გოვარდმა ადგილი მიატოვა, მაგიდას შემოუარა, თოფს კიდევ ერთხელ გადაუსვა ხელი და სიმონს გაუწოდა.

– დღეიდან ეს თოფი შენია, გამომართვი, კარგად მოუარე, ჩემსავით უღალატო მეგობარია.

– შეიძლება ისეთი დრო დადგეს, რომ თქვენ უფრო გამოგადგეთ.

– გამომართვი, მე კიდევ მაქვს.

მამაკაცები, ქართული ადათის თანახმად, ერთმანეთს ჯიხვებივით დაეტაკებიან და ასევე მაგრად ჩაჰკოცნიან.

– რა ბედი აქვს ზოგიერთს. – შეშურდა გერონტის.

– სიკეთეში მოგახმაროთ ღმერთმა, ბატონო სიმონ. – ჩვეული თავაზიანობით ამბობს ბორის ბრავია.

– ასეთი თოფისთვის ეშმაკს მივყიდი სულს. – ბორგავს ჯიბსონ ქოიავა და სიმონაძეს თვალით ზომავს.

– ამ ყველაფერს ახლა მუსიკა მოუხდებოდა! – თქვა გოვარდმა და უსაქმოდ მჯდარ ქალიშვილს გადახედა.

– მიდი, გოგო, დაუკარი! – შეუბღვირა შვილს ლაჟვარდიმ და ხელი მიკრა.

ქალიშვილი როიალთან მივიდა, სკამი მოირგო და ხმამაღლა, თუმცაღა, მაინც მორიდებით გამოაცხადა.

– აგინკი. პოლონეზი.

სიმონაძეს მუსიკა არ უყვარდა.

– თქვენი სახელი? – იკითხა სიმონმა და ქალს მკლავზე ნაზად მოჰკიდა ხელი.

– როსლენი. – ამოთქვა ქალმა და ამგვარ სინაზეს გადაჩვეულს ხელი აუკანკალდა.

– უცნაური სახელია, გიტარის აკორდს ჩამოგავს... ასეთი ლამაზი ბინა იშვიათად მინახავს და ამ სილამაზის შენარჩუნებაში, როგორც ვხვდები, თქვენი ხელი უნდა ერიოს.

– ვცდილობ... სამწუხაროდ სანახევროდ გვაქვს გამოყენებული.

– გაინტერესებთ?

– ძალიან.

– წამობრძანდით.

პოლონეზი თითქმის დასრულდა.

– მშვენიერია და მშვენიერზე მეტად გადასარევი. – მოსწონს გოვარდ ლაშხს ქალიშვილის თავისებური შესრულება. – ისეთ ხასიათზე ვარ, მეც დავუკრავდი რამეს.

– კარგი ახლა, ნუ შეაწუხებ სტუმრებს.

– მუსიკას ვინ შეუწუხებია, ქალო! – თავისას არ იშლის გოვად ლაშხი და საიდანღაც მის ხელში მოხვედრილ დოლს ხმას უმოწმებს.

– მამა ადრე ტექნიკუმის ანსაბლში უკრავდა, სიგელებიც აქვს მიღებული.

სიმონაძე და როსლენი საერთო არეულობით სარგებლობენ და სუფრას ტოვებენ. მათ გაუჩინარებას ვერავინ ამჩნევს, შეიძლება არ ამჩნევს, თუმცაღა, ორბოთლდალეული და გრძნობა აშლილი სიმონაძისთვის ამას მნიშვნელობა აღარ აქვს.

– ზევით ჩემი ოთახია, როცა ბატონ გოვარდს სტუმრები ყავს, აქ ვრჩები ხოლმე, გაინტერესებთ? – თქვა როსლენმა, სუნთქვას უმატა და თვალები კიდევ უფრო დააელმა.

– მე ყველაფერი მაინტერესებს! – ამბობს სიმონი, გამონწვევას გახშირებული სუნთქვითვე პასუხობს და სამიოდე კიბეს სიბნელეში მიყვება.

როსლენის ოთახში უკუნეთია.

ტაურ, ტაურ, ტაურ.

დიმტატა, დიმტატა.

გოვარდი ეშხში შედის. არავითარი დანდობა თითებს. დოლი ციბრუტივით ტრიალებს, ჰაერში მალაყებს კრავს და ლაჯებში დაძვრება.

სიმონაძეც დაძვრება. ცდილობს, ინდომებს, ხვნეშის, ოხრავს, ოფლს ღვრის. როსლენი თვალებს ნაბავს, ტუჩს იკვნეტს, ოჯახის კატასავით კრუტუნებს და უცნაური შეძახილებით სმიმონაძეს გვარიანად აბნევს.

დიმ, დიმ, დიმ.

დიმტამ, დიმტამ.

ტამ, ტამ, ტამ.

ბრაგუნმა იკლო. მედოლე ლაშხი დაიღალა, დოლის ტყავი ოფლით გაიჟღინთა, საცაა კაცისა და საკრავის ჭიდილი გასრულდება. სიმონაძეც გაითანგა, პირი გაუშრა, გული ამოუვარდა. ქალთან და

დოლთან ალერსი ერთდროულად მთავრდება. როსლენი გადმომხობილ სიმონაძეს გაჭირვებით ჩამოიცილებს, ადგება, კაბას მოირგებს და ფეხარეული ქვევით დაეშვება.

– დავიღალე, ხომ იცი, სუნთქვაც გამიჭირდა. – წუწუნებს გოვარდ ლაშხი.

– ფანჯარას გავაღებ მამა.

– კარგი იქნება.

ქუჩიდან ავისმომასწავებელი გუგუნი ისმის.

იცის სიმონმა ამ გუგუნის ფასი და ძალა. ნუთუ დამთავრდა ყოველივე? ნუთუ დააგვიანა? რომ მოაგნონ? ფანჯარა... არა, ამ სიმაღლიდან ეშმაკიც მოიტეხავს ფეხს. მაშინ კარადა!.. სიმონაძემ თვალის ასახვევად სარკმელი გამოაღო, თვითონ კარადაში შეძვრა, თავზე როსლენის ხალათი წაიფარა და გაიტრუნა.

კარადაში ისე ბნელოდა, როგორც სამარეში. თუმცა, ეს კიდევ არაფერი, ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ ყველაფერთან ერთად, კარადაში შეკიდულ როსლენის ჩითის ხალათს შემნვარი ხახვის სუნი ასდიოდა.

ორი აზრი არ არსებობდა, ამ აუტანელ სუნს ვერც ადამიანი იგუებდა დიდხანს და ვერც ავი სული.

სიმონ სიმონაძე ოსტატურად გაძვრა სტამბის ვიწრო დერეფანში, ჭერამდე აღმართულ ქაღალდის კოჭებში და საკუთარი საქმით გართულ ბორის ბრავიას თავზე ისე წამოადგა, ცოტა არ იყოს, ეს უკანასკნელი, დააფრთხო კიდეც.

– ო, ბატონო სიმონ, არ გელოდით, სად დაიკარგეთ იმ ღამის შემდეგ? შევწუხდით, კაცო, ძალიან შევწუხდით, მერე ვიფიქრე, ახალგაზრდა კაცია, ალბათ გაიარ – გამოიარა მეთქი, ისე, ღამე ჩვენს ქალაქში სიარული სახიფათოა, მაგრამ წინა წლებთან შედარებით უკეთესობა იგრძნობა, უკვე შეიმჩნევა სტაბილიზაციის ერთგვარი ნიშნები, ასე რომ, მოვითმინოთ კიდევ ცოტა ხანი და დალაგდება ქვეყანა, აბა რას იზამს.

– მე კი მოვითმენ, მაგრამ ხალხმა რა ქნას?! ადამიანი ერთხელ იბადება.

– ამაშია საქმე, არ იცნობთ ჩვენს პროგრამას, ყურადღებით რომ გასცნობოდით უფრო კარგად დაინახავდით საითაც მიდის ყველაფერი.

– ვხედავ საითაც მიდის.

– ჩვენმა პროგრამამ ხალხი გამოაფხიზლა, ეს უკვე აშკარაა.

– მერე?! რა დაინახეს გამოფხიზლებულებმა?!

– ნუ, ასე არ შეიძლება. – გული დასწყდა ბორის ბრავიას. – მე ვხედავ, თქვენ ის არ უნდა იყოთ ვინც მეგონეთ.

– მართალი ხარ, მე ის არ ვარ, ვინც შენ წარმოგიდგენია, მიუხედავად ამისა, მე შემიძლია ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინო, ოღონდ ერთ რამეში მეშლება ხელი, მარტო ამის გაკეთება გამიჭირდება.

– ისე ლაპარაკობთ, რაღაც გეგმა გაქვთ, არა?!

– გეგმა კი არა, ამყოლი მჭირდება.

– ვინ?

– ამყოლი. – დამარცვლა სიმონაძემ. – ჭკუაში რომ ამყვება ისეთი, მაგალითად, როგორც შენ.

– მე? ჭკუაში? რაღაც სიგიჟეა... ასე რომ ლაპარაკობთ, ზუსტი გეზი უნდა იცოდეთ, დღეს არავინ იცის ზუსტი გეზი.

– ეგ შენ გგონია ეგრე! აჰა, გეზი, გამომართვი! – სიმონაძემ ლაბადა გაიხსნა და იქიდან ორლულიანი თოფი ამოაძვრინა.

– ეს აქ? საიდან?

– დადგა დრო, როდესაც ერთმა ზუსტმა გასროლამ უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი! გამომართვი, მე შენი მახვილი თვალი მჭირდება, ჩემო ბორე! თანაც მანქანით ვარ. – სიმონაძე ორად მოიკეცა, ბორეს ყურს გაუსწორდა და უჩურჩულა. – როსლენის სახლი გეცოდინება, ნამყოფი იქნები.

– კი, ვიცი... – გამოტყდა ბორე და განითლდა.

– მაშინ წავედით, შენც გცოდნია ზუსტი გეზი, ჩემო ბორე. – ეს თქვა სიმონაძემ და ხმამაღლა გაიცინა.

ბორის ბრავია საბოლოოდ გატყდა, თოფი მიწაზე გაახოხიალა და სიმონს ისე გაჰყვა უკან, როგორც ოროსანი მოსწავლე მიჰყვება მშობელს, საკლასო კრების დასრულების შემდეგ.

სავარძელში მისვენებული როსლენ ჯიმშელეიშვილი თვალებით ცას ეძებს და ხოზე კარგარეთელის ნაღველში ამოვლებულ პოეზიას კარგად გამომშრალი ღრუბელივით იწოვს.

– ტყე შიშის ბნელით შეგვციცინებს სახეში ყველას, ლოდების წყება განაჩენის მღერიან დუმილს, გამეღვიძება დამშრალ წყაროს, ცარიელს, მარტოს...

– ხოზე ოთახში სიარულს შეწყვეტს, გახნუებული რვეულის ფურცელს გადაშლის, ლექსის გაგრძელებას მონახავს და საცაა პირსაც გააღებს, რომ თვალებით, საიდანღაც, ოთახის შუაგულში ამომძვრალ სიმონაძეს წააწყდება.

– თქვენ, ბატონო ხოზე, მოწამლული თუ ხართ? – იკითხა სიმონაძემ და წიგნის თაროს იდაყვით დაეყრდნო.

– მე?

– ჰო, თქვენ, თქვენი ლექსებით, არა?!

– ვნეკოტორომ სმისლე და.

– მითუმეტეს... ლექსი ხომ პური არ არის, რომ შეჭამო, არც ტყვიაა, რომ ვინმეს ესროლო, ლექსი ლექსია, მორჩა და გათავდა.

– გააჩნია ლექსს.

– რა ლექსიც არ უნდა იყოს, მაინც ხომ არ იჭმევა?!

– რა გინდათ მაგითი თქვათ, არ მესმის?!

– ის, რომ დღეს სხვა დროა, დღეს იქ უნდა იყო, სადაც ქარიშხალია! თქვენ შეგიძლიათ ასე?!

– ხომ გეუბნებით, მე არ მესმის თქვენი.

– არ შეგიძლიათ?!

– რა?

– ქარიშხალი.

– ღმერთო ჩემო!

– აბა, ეგეთები არ იყოს! აქ თქვენ ის ხომ არ გგონიათ რაღაც?! აქ ჩვენი ქალაქია, ჩვენი, ჩემი და შენი!

– რა გინდათ ჩემგან, თავი დამანებეთ!

– გასვრა არავის გინდათ, სხვის გაკეთებულზე მაგრები ხართ. – სიმონაძემ წიგნებში ხელი მოაფა-

თურა, ენციკლოპედიის მოზრდილი ტომი გვერდით გასწია და სიცარიელიდან იარაღი გამოაძვრინა. – როგორ იყო, ხელოვნება გადაგვარჩენსო?! დიდი ეშმაკი კაცი ხარ შენ, ჩემო ხოზე, ლექსების წერა გიყვარს, მაგრამ იარაღსაც ინახავ ყოველი შემთხვევისათვის.

– ეს პროვოკაციაა! – იყვირა შიშისგან გაფითრებულმა ხოზემ. – ასე უსწორდებოდნენ ქართველ მწერლებს... იარაღი როსლენისაა, სახლიც მაგისია...

ამ სიტყვების გაგონებაზე, აქამდე წყნარად მჯდარი როსლენი, ყველასთვის მოულოდნელად, ადგილიდან წამოხტა, რამდენიმე ნაბიჯში ხოზესთან გაჩნდა და გულიანი სილა გააწნა მარჯვენა ლოყაში.

– რისთვის? – ძლივს ამოღერღა ხოზემ და ანითლებული ლოყა მოისრისა.

– კარგად იცი რისთვისაც!

– ხომ ხედავ?! – ნიშნს მოუგებს სიმონაძე. – ესეც მე ვარ?! დაანებე მაგ ლოყას თავი და გამომართვი, დღეს ეს იქნება შენი ლექსი.

– რატომ? – რიტორიკული გამომეტყველებით იკითხა ხოზემ და სიმონაძეს იარაღი ისე ჩამოართვა, თითქოს დაკლაკნილ უხსენებელს ჰკიდებდა ხელს.

– გვეყო ამდენი ცრემლები, შებრალება, თანაგრძნობა, ფუჭი სიტყვები, გაახილეთ თვალები, თავზე გენგრევათ ყველაფერი, მტერი სახლში შემოგსვლიათ, თქვენ კიდევ აქ, რაღაც ლექსს გააჩნიაო! თუ შენ არ ესვრი, ის გესვრის, შენი ლექსივით მარტივია ყველაფერი, ჩემო ხოზე!

სადაც ყველა, მეც იქ, ფიქრობს პოეტი ხოზე კარგარეთელი, მარტო ყოფნას ყველაფერი სჯობს. კაც-

მა რომ თქვას, მართალია ხოზე, მარტოობის ხომ პოეტებსაც ეშინიათ.

გოვარდ ლაშხის სახლთან გამოჩენილი სამხედრო ვილისი მკვეთრად ამუხრუჭებს. მგზავრები ერთმანეთს იხე ეხეთქებიან, როგორც გასაყიდად გამზადებული მწიფე საზამთროები, წინ ინევიან, თავებს ჩაჰქინდრავენ, თითქოს ვიღაცას ქედს უხრიან. სიმონაძე მანქანიდან ჩამოხტება, თან ხოზეს და ბორეს გაიყოლებს. გერონტი გარაყანიძე გალაპლაპებულ ჩექმებს ბორბლებს უხათქუნებს და მათ ვარგისიანობას ასე ამოწმებს. როსლენ ჯიმშელეიშვილი კარს ფართოდ გააღებს, იქიდან მოკლე ფეხებს გადმოკიდებს და საგარეო წინდების სწორებას მიჰყობს ხელს.

კიბის თავზე მდგარი ლაჟვარდ ლაშხი სტუმრებს უხალისოდ ეგებება.

– მობრძანდით, ბატონო სიმონ, თქვენი თვალით ნახეთ, რა დღეში ჩაგვაგდეს იმ უჯიშოებმა.

– ჩვენ საკადრის პასუხს გავცემთ არამზადებს, ქალბატონო, ნუ შეშინდებით! ბატონი გოვარდი ხომ შინ ბრძანდება?!

საკრებულოს თავჯდომარე, რა თქმა უნდა, სახლშია, მაგრამ სადღაა მისაღების ძველი სილამაზე, დალეწილი სკამები, დამტვრეული მაგიდა, ფეხმოტეხილი როიალი, ჩვმსხვრეული ფანჯრები, სანახევროდ ჩამოგდებული ჭაღი, დახეული ფარდები, აყრილი პარკეტი.

ძეგლად ქცეული გოვარდ ლაშხი ოდნავ შეინძრევა. მხრებს ჭრელი თავსაბურავი უფარავს, ყბები

ყბაყურიანი ბავშვივით აკრული აქვს, პარკეტის გადარჩენილ ნაჭრებს ერთმანეთს ამატებს და პირდაპირ ოთახში აგიზგიზებულ კოცონს ჩაქრობას არ აცლის.

– ამის ატანა შეუძლებელია! – ლამაზ თვალებს ხუჭავს ლაჟვარდი და ნელში გატეხილ მეუღლეს მზერას აცილებს.

– ჩემთან ერთად თუ იქნებით, ამ საქმეს აუცილებლად მოევლება!

– ძალადობა შობს ძალადობას! – ხმას ამოიღებს გოვარდი.

– რას ეძახით თქვენ ძალადობას, ოჯახის დამწიოკებელს რომ პასუხს მოთხოვ, იმას?!

– დასჯა ან შეწყალება კანონის კომპეტენციაშია.

– რომელი კანონის?! სად არის კანონი?! იქნებ აქ არის?! – მოკვეთა სიმონაძემ და მზერა კიდევ ერთხელ მოვლო დარბეულ შენობას. – ყველა კანონი ადამიანის მოგონილია, მაგრამ ადამიანს ნაკლებად გამოსდგომია, მე და თქვენ ეს ძალიან კარგად ვიცით. ქუდზე კაცია საჭირო, ისე, როგორც ძველად, აგერ ჩვენმა პოეტმა კალამიც კი დააგდო და დროებით თოფს მოჰკიდა ხელი.

– შენც ხოზე?!

საკუთარი სახელის ხსენებაზე ხოზე კარგარეთელი შეკრთა, მართალია ვერაფერს მიხვდა, მაგრამ მაინც, ყოველიშემთხვევისთვის, ჯიბიდან დამსხვრევას სასწაულად გადარჩენილი, ძვირფასი, ლამაზი მოყვანილობის თუ ფორმის საფერფლე ამოიღო და ჩვეულ ადგილას, როიალის თავზე შემოდო.

– ერთი წუთით აქეთ მობრძანდით, ბატონო სიმონ, თქვენი რჩევა მჭირდება, ვიცი, ამის გარეშე მაინც არაფერი გამოვა.

სიმონაძე იარაღს დასწვდება.

– მომწონს თქვენი არჩევანი, მჩატეა, თანაც ულალატო.

– მე მჯერა თქვენი, ბატონო სიმონ.

– უბრალოდ სიმონი დამიძახეთ. მე თქვენი ქმარი მჭირდება, ქალაქში წესრიგია დასამყარებელი და საკრებულოს თავჯდომარე ცეცხლთან თბებოდეს, არ იქნება ლამაზი. ამას ხომ არ დავახვედრებთ ჩვენს მასწავლებელს?!

– ჩემი ქმარი მე მომანდეთ!

ისეთი დრო დადგა, იურისტის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამს ადამიანი. მშვიდობის დროს ხომ საჭიროა და არეულობაში მისწრებაა პირდაპირ. ვინ ისროლა, როგორ ისროლა, იქნებ გაუვარდა, იქნებ ყველაფერი სცადა და თავს ზემოთ ძალა არ იყო, იქნებ აიძულეს, ანდა დაიქირავეს, იქნებ გადაამეტა თუ დააკლო, ანდა საერთოდ მისი არ ყოფილა და სულაც მას არ უსვრია... ჰოდა, ასეთ დროს, ჯიბსონ ქოიავას ფასი არავინ გახლდათ.

სადარბაზოში შესულმა სიმონაძემ ნახევრად ჩამწვარი სიგარეტი მოისროლა და მასიურ, ხის კარს მთელი ძალით მიაწვა.

ლოგინში ჩამხობილი ჯიბსონი წამსვე გამოფხიზლდა და ბალიშის ქვეშ ამოდებული იარაღისკენ ხელი გააპარა.

– დასვენებას რა სჯობია, ჩემო ჯიბსონ! მაგრამ არც ის ვარგა, შენ ნებივრობდე და საქმეს სხვა აკეთებდეს, შენ საქმეს! მოდი აქ, ნახე რა ხალხი გელოდება.

მართლაც ძვირფასი საზოგადოებაა: ვეტერანი, მდივანი, თავჯდომარე, მისი ცოლი და მისი ქალიშვილი, პოეტი. მართალს ამბობს სიმონაძე, ამათ წინ ვინღა დაუდგებათ.

– ჩემნაირი დაღლილი და მოუცლელი კაცისთვის მისწრებაა ამგვარი ფუფუნება, მაგრამ ვინ გაცლის. – გული დასწყდა სიმონაძეს და ჯიბსონის რბილი ლოგინი ხელით შეამოწმა. – ჩაიცვი, წავედით, დრო ყველალაზე ძვირი ღირს, იურისტმა კაცმა ეს კი უნდა იცოდე!

– შენს გამოჩენას ცუდის მეტი არაფერი მოუტანია ჩვენთვის, არეულობა გვაკლდა?! იყვნენ თავისთვის, დიდი დიდი პენსია მოეთხოვათ, ეხლა?! გაჟონა კლონირების ინფორმაციამ და გამწარდნენ, დაანგრიეს ქალაქი, ქურდობენ, ბოზობენ, ხალხს ატერორებენ, სტალინის გაგონებაც აღარ უნდათ, ჩვენს გადადგომას ითხოვენ, შენ გესმის რას ნიშნავს, როცა ხალხი ითხოვს?!

– ამ ჩემს ფეხებს თუ ითხოვს! ადრე უნდა მოეგრიხათ თქვენთვის კისრები, აქამდე რომ მიიყვანეთ საქმე. ხომ მიიღეთ დადგენილება?! თქვენ იკითხეთ, თორემ მე მაგათთან ყოველთვის გამოვნახავ საერთო ენას. მე მხოლოდ ვამბობ, სხვები ასრულებენ. ვინ არის დამნაშავე, ის ვინც თქვა, თუ ის ვინც გააკეთა? – სიმონაძემ ლოგინზე წამომჯდარ იურისტს თვალებში ჩახედა.

– რა თქმა უნდა, ის ვინც თქვა.

– იმიტომ რომ, შენ ასე გაწყობს, არა?!

– იმიტომ, რომ ეს ასეა!

– მოწმე?

– მე.

– შენ ბრამლმდებელი ხარ და არ გაქას უფლება მოწმეც იყო ერთდროულად, პირველ კურსზე ასწავლიან ამას, ჩემო ჯიბსონ.

– მაშინ... მაშინ ჩვენი თავჯდომარე.

– ვინ დაუჯერებს ხელისუფლების წარმომადგენელს? როდის იყო ხალხს ეკითხებოდით რამეს? ახლა მოგინდათ ხალხის სახელით ლაპარაკი? ხვანაირად არ გამიგო და მე მესმის შენი, კაცი ხარ და შენი ანგარიში გაქვს, მაგრამ ეგ მერე, რომ დალაგდება ყველაფერი, თუმცა უჩემოდ არ გამოვა ეგ საქმე. კარგი ქალაქია, თუ გარკვეულ მღელვარებას არ ჩავთვლით, მშვიდიც არის, თანაც უმეტესობა ჩემიანები ხართ, ასე რომ, ჩვენ ყველა ერთ საქმეს ვაკეთებთ.

– ოლონდ... – ჯიბსონი შეჩერდა, ოთახი მოათვალიერა და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძო. – ოლონდ, ახალ მთავრობაში პირველი თუ არა, მეორე კაცი მაინც უნდა ვიყო.

– იყავი, დაგიშალა ვინმემ? – დაეთანხმა სიმონაძე და ჯიბსონს, დაზავების ნიშნად, ხელი გაუწოდა.

ჯიბსონ ქოიავა გამოცდილი იურისტი გახლდათ და კარგად იცოდა, რომ მამაკაცური ხელის ჩამორთმევა, გარკვეულ სიტუაციაში, აუცილებელიც კი იყო, მაგრამ ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ხელის ჩამორთმევით თუ სიტყვით ნათქვამი დასტური იურიდიულ ძალას არ ატარებდა და ადამიანიც

მაშინ მიივიწყებდა, როცა ამის სურვილი გაუჩნდებოდა.

საკრებულოს იურისტი ჯიბსონ ქოიავა, როგორც წესი, თვითონ ყოველთვის ასე იქცეოდა და დარჩენილი ცხოვრების გაგრძელებასაც ამგვარად აპირებდა.

– აქ გააჩერე!

სამხედრო ვილისმა აღმართი აამთავრა და შედგა.

– ამინდმა ვერ შეგვიწყო ხელი, მაგრამ არა უშავს, მე თუ მკითხავთ, უკეთესიც კია, ნისლი, წვიმა და დაბურული გარემო ჩვენი მეკავშირეა.

– დიახ, ასეა. – გაუბედავად თქვა გოვარდ ლაშხმა და თბილ მოსასხამში ბოლომდე გაეხვია.

– სანამ კარგად გათენდება, მანამდე უნდა მოვრჩეთ ყველაფერს. ჯიბსონი მარცხნიდან მოუვლის, თქვენ, ბატონო გოვარდ, მარჯვნიდან, ოჯახთან ერთად, რა თქმა უნდა, ბორე მთავარ შესასვლელს და გამოსასვლელს გადაკეტავს, ხოზე ზურგიდან აგვაცილებს დარტყმას, თქვენ კი, ჩემო ბატონო, როგორც ყველაზე გამოცდილი, ამ ჯგუფების მოქმედებას გააერთიანებთ და გააკონტროლებთ... მე კი ჩემი გზით წავალ, შენც ჩემთან წამოხვალ!

ამ სიტყვებით კმაყოფილი და შეიძლება ითქვას, გაამაყებული როსლენი ხალისით ამოუდგება სიმონაძეს გვერდით და ორივენი სითეთრეში შეცურდებიან.

ხეებს შორის ნისლის ფთილები ისე ჰკიდია, როგორც ახლად გარეცხილი, მაგრამ ძველი საცვლები.

ცივა და სამალავში გატრუნული ბორის ბრავია ხელებს ითბობს, მუშტები პირთან მიაქვს და სულს უბერავს.

– რა იყო, კაცო, რა მოგივიდა?!

– ხელები მეყინება. – პასუხობს ბორე და ხმის პატრონს თვალებით ეძებს.

– გაემზადე, დავცხებთ საცაა. – ისევ გამოსძახებს იდუმალი ხმა.

ნისლში დაკარგული ხოზე კარგარეთელი როსლენს დაეძებს და ექოდ ქცეულ ხმებს დასდევს.

– დასწყევლოს ეშმაკმა, წინ არ იყურები, ბიჭო?! სად დაბორიალობ, რა გითხრეს, სად იყავიო! ოპერაციის ჩაშლას ვინ გაპატიებს?!

– დამანებე თავი! – ყვირის ხოზე კარგარეთელი და გერონტი გარაყანიძეს ხელით იცილებს.

– ფუი, შენს კაცობას! – კვალში მიადევნებს გერონტი გაქცეულ პოეტს, გორაკს ჩამოირბენს და მანქანასთან დაბრუნდება.

დაბრუნდება და სროლის დაწყების ნიშანსაც მისცემს. ჰაერში ავარდნილი შუშხუნა თეთრ ნისლს ააწითლებს, ორ ფერს ერთმანეთში არევს, აზილავს და იქაურობას იმ დისკოთეკას დაამსგავსებს, რომელიც ვეტერან გარაყანიძეს არასოდეს ენახა.

ბუნებით მშიშარა გოვარდ ლაშხი სროლის ხმას ემალება, ხელებს თავზე იფარებს და სანგრიდან ამოძრომას არც აპირებს.

– კარგი ახლა, სირცხვილია, რას იტყვის ხალხი?! დაწოლილმა მაინც გაისროლე ერთი – ორი. – ლაჟვარდი მეუღლის ღრმად მიძინებული თავმოყვა-

რეობის გამოღვიძებას ცდილობს და გატრუნულ გოვარდს თოფს ხელში აჩეჩებს.

– მოიცა, ქალო, მოვიცადოთ, იქნებ უსროლველობამ უფრო გაამართლოს.

– შევარცხვინე შენი კაცობა! – ნერვები ღალატობს ლაჟვარდს და მშიშარა ქმრისკენ გახედვაც აღარ უნდა.

ვინც ეძებს ის ყოველთვის პოულობს, აქამდე ასე იყო. ცხოვრების ამ კანონს დამორჩილებული ორი მარტოსული, ნისლში კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ ერთმანეთს გადააწყდება.

– ისევ იმას ეძებ, არა?! მე რითი ვარ ვითომ ნაკლები?! – ყვირის ხოზე და ამ ყვირილში სულ აღარ გავს ძველ, მსოფლიო სევდით შეპყრობილ პოეტს.

მაგრამ ხოზე, ვიდრე პოეტი გახდებოდა, ერთი ჩვეულებრივი კაცი იყო. წამსვე თვალთ დაუბნელდა, თავს ველარ მოერია, ქალი ძირს დაანარცხა და ხელები გადაუგრიხა. როსლენი იბრძვის, როგორც ამ დროს იბრძვიან ხოლმე, ანუ, როგორც შეუძლია, თუმცა ეს წინააღმდეგობა კიდევ უფრო ახელებს ხოზეს. ქალი იღლება, გაუსაძლის ნადილს ნებდება და გრძნობის მორევში ჩაძირული, კოტიტა თითებს, ხოზეს შემორჩენილ თმებში შეუცურებს.

მოულოდნელად, გამარჯვებულ ხოზეს, ძლიერი ხელი ჩააფრინდება და გვერდით მოისვრის. გონს მოსული პოეტი, სიმონაძის გასაკვირად, გასაოცარ მოხერხებას გამოიჩენს, იქვე მიგდებულ თოფს დასწვდება და სიმონს მიზანში ამოიღებს.

– შენი ბრალია ყველაფერი!

– დააგდე იარაღი!

– მოგვატყუე, აგვრიე, ერთმანეთს გადაგვკიდე!

სიმონაძე უკან უკან იხევს და რამდენიმე წამში გათამამებულ წყვილს ზურგს მიუშვერს. ხოზე ვეღარ გაისვრის, რაც არ უნდა იყოს, სუსტი, მაგრამ მაინც მწერალი ერქვა.

ამ დროს, როგორც იქნა გათენდა და ნისლიც გაიფანტა.

– რა მოხდა, ხალხო?!

– მოგვატყუა!

– შეგვაცდინა!

– მკვლელებად გვაქცია!

– ჩვენი ფულიც წაიღო!

– არ გაუშვათ!

– ჩქარა!

სიმონაძე მდევრების სიახლოვეს გრძნობს. გერონტის დანახვაზე ოთხად იკეცება და სახეს გამოგონილი ტკივილისგან მანჭავს.

– მე ახლავე დავბრუნდები.

– ფაღარათი ხომ არ დაგემართა, იცის შიშმა.

– ბევრს ნუ ლაპარაკობ, პოსტს მიხედე, პოსტს. – იყვირებს სიმონაძე და ვიწრო, საცალფეხო ბილიკს სირბილით დაუყვება.

– სად არის?!

– საით წავიდა?!

– ვინ?

– ვინ და ის შენი ძმაკაცი.

– რომელი ჩემი ძმაკაცი ეგ არის. – თავი იმართლა გერონტიმ. – აქვე გადავიდა, ახლოს, რაღაც მუცელში ვერ იყო კარგად, დაბრუნდება საცაა.

– ყველანი მანქანაში, შორს ვერსად წაგვივა!

– რა მოხდა, კაცო, აღარ უნდა მითხრათ?!

– რაღა უნდა მოხდეს მეტი?!

– ფული მიითვისა?!

– არაა მეთქი სანდო, სულ იმას ვამბობდი, მაგრამ ვინ დაგიჯერა. – ჩაურთო ჯიბსონ ქოიავამ და გოვარდ ლაშხს გახედა.

– აღარ უნდა ამას ბევრი ლაპარაკი, დაქოქე და წავედით! – გოვარდ ლაშხს ახლაღა ახსენდება, რომ ჯერ კიდევ საკრებულოს თავჯდომარეა.

– გასაღები მოუპარავს!

– მაინც დავეწევით!

– შორს ვერ წავიდოდა, აქვე იქნება სადმე!

მართალს ამბობენ, სიმონ სიმონაძე ხომ სულ აქვეა.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: ცა ფეხად ჩამოდისო. გაავებული ქარი, ისედაც შემოძარცვულ ხეებს დაუნდობლად ებრძვის და შემთხვევით შემორჩენილ სამოსს საბოლოოდ აცლის.

სიმონ სიმონაძეს, როგორც ეშმაკ კაცს შეეფერება, ყველა ქალაქში, ერთი – ორი ისეთი ადგილი ეგულებოდა, სადაც ნებისმიერ დროს შეეძლო მისვლა და ღამის გასათევს თუ არა, ცხელ ჩაის მაინც არავინ დაამადლიდა.

სიმონაძემ მარჯვენა ხელი კარის თავზე მოაფათურა, მოზრდილი გასაღები ჩამოიღო და საკეტს ისე ადვილად მოარგო, თითქოს საკუთარი სახელის კარს აღებდა.

მაგიდა, ორი სკამი, სარკიანი კარადა, კუთხეში მიდგმული რკინის, ძველებური საწოლი, ჭერში ნა-

თურა, ოთახის შუაში ღუმელი, კედელზე რამდენიმე წიგნის თარო და ზედ ყდებშემოცვეთილი, საბავშვო წიგნები, საწოლის თავზე გუგულიანი საათი – ეს არის და ეს.

სიმონაძემ გაზქურაზე ჩაიდანი შემოდგა, სკამი ღუმელთან მისწია და ჯერ კიდევ თბილ ღუმელს ხელები შემოაწყო.

მანქანის ყვითელი შუქი ბინის კედელს გადაივლის, მერე ფანჯრებში გაკრთება და საპირისპირო კედელს მიეყინება. მანქანიდან თავს პირველად მოზრდილი ქოლგა გამოყოფს, ქოლგას ქალი გამოჰყვება და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ წამოვა.

– ასეც ვიცოდი! – ქალი სველ ლაბადას გაიხდის, ქოლგას იატაკზე დადებს, ფეხზე გამოიცვლის და ოთახში შემოვა. – ისეთი ცუდი სიზმარი ვნახე, ვგრძნობდი, რომ რაღაც მეწყინებოდა.

– გამარჯობა.

– გაგახსენდით არა, როგორც იქნა?!

– ვიცი, დავაგვიანე, მე ძალიან მინდოდა მოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, გადაუდებელი საქმეები მქონდა.

– რას ეძახი შენ საქმეს?! აღარ მოთავდა შენი ზღაპრები, დაგვყარე უპატრონოდ და კაციშვილმა არ იცის სად დაეთრევი, რატომ არ კითხულობ ვინ გვაჭმევს, ვინ გვასმევს, სწავლის ფულს ვინ იხდის?! მომკლა ამდენი ტყუილის ლაპარაკმა, მამაშენი მფრინავია, მამაშენი მეზღვაურია, მამაშენი დიპლომატია...

– შენ თუ გგონია ატყუებ...

– რაო, რა თქვი?! ვიცი, ბატონო, ფრენაც შეგიძლია, ცეცხლშიც არ იწვები, ყვინთვაც იცი და ავადაც

არ ხდები, ეგ ამბები სხვას მოუყევი, ჩემთან აღარ გაგივა... აი, შენი საქმეები!

მასპინძელმა ქსეროქსზე გადაღებული ფურცელი სიმონაძეს მიუგდო, თვითონ ლოგინზე ჩამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და სიგარეტს მოუკიდა.

„იძებნება განსაკუთრებით საშიში თაღლითი სიმონ სიმონაძე, იგივე არისტო ალასანია, იგივე გირშელ დგებუაძე, იგივე ვოლდემარ ტიმჩენკო, იგივე კარო არუთუნიანი, იგივე ვავილ ბუხბინდერი. მხილებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების გამოძალვასა და მითვისებაში. გამოირჩევა არაადამიანური ალღოს უნარით, კომუნიკაბელურობით, ადვილად შედის კონტაკტში ნებისმიერი ასაკის ადამიანთან, თავისუფლად ფლობს რამდენიმე უცხო ენას, მათ შორის მკვდარ ენებსაც. იოლად მოიპოვებს რა სამთავრობო სტრუქტურების თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო თუ იურიდიული სუბიექტების ნდობას, სთავაზობს მათ დახმარებას არარსებული პროექტების განხორციელებაში, რისთვისაც სძალავს სოლიდურ თანხებს, თითქოსდა ამ ყოველივეს შესრულების საფასურად. გთხოვთ, ყურადღებით დააკვირდეთ ამ ფოტოს, თუ თქვენ ან თქვენი ორგანიზაცია დაზარალდა ხსენებული თაღლითის ქმედებისგან, მიმართეთ რაიონის პოლიციის განყოფილებას. ანონიმურობა გარანტირებულია."

– ფოტოსურათიც შეუდგენიათ კომპიუტერით, ადრე ხელით ხატავდნენ. – სევდიანად თქვა სიმონაძემ და ქაღალდი ოთხად გაკეცა. – ამას ჩემთვის დავიტოვებ, ხომ იცი, ვაგროვებ.

– ეს რა გაცვია?! საიდან ახალი ტანსაცმელი, ისევ მოიპარე, არა?!

სიმონაძე წახდა, აიწურა, აღარც კი იცოდა რომელი დაემალა, ფეხსაცმელი, კოსტუმი, ლაბადა თუ ყველაფერი ერთად.

– მართალი იყო ცხონებული მამაჩემი, ვინც გამუდმებით გარბის და იმალება ან ეშმაკია, ან ეშმაკის ნაშიერი.

– ზამთრის არდადეგებზე ბავშვს აუცილებლად წავიყვან სადმე.

– რაც გინდა ის ქენი, ოღონდ ახლა წადი.

– ამ ამინდში ძაღლს არ გააგდებენ გარეთ.

– რას იზამ, შენ თვითონ აირჩიე ასეთი ცხოვრება.

– არ გამაცილებ?

სიმონაძემ ლაბადა შეიკრა და მასპინძელს შეხედა. ქალმა სიტყვაც აიცილა და მზერაც. ოთახში აღარავინაა. ღია კარში მხოლოდ წვიმის ფარდა მოსჩანს და ამ ფარდაში გახვეული სიმონაძის ბუნდოვანი სილუეტი.

წვიმა არ წყდება. გალუმპული მთვარე ისე დაჰყურებს პატარა ქალაქს, როგორც ხმალშემართული ჯალათი უსუსურ და იმედდაკარგულ მსხვერპლს.

სიმონაძემ ლაბადის საყელო აიწია და ტალახიან ქუჩას გაუყვა. მიდიოდა ნელა, ისე, როგორც ცალი ფეხით კოჭლს შეეფერებოდა და სავსე გუბეებს უცნაურად ახტებოდა. ცუდს ნურავინ გაივლებს გულში და ნურც სხვა რამეს იფიქრებს, მიზეზი ხოზე კარგარეთელის ლექსივით მარტივია, ხომ გახსოვთ, რამდენიმე ზომით პატარა ფეხსაცმელი აცვია.

შინაარსი

იესო ქრისტე
3

ლეონარდო და ვინჩი
61

ალფრედ ბერნჰარდ ნობელი
87

მიხეილ ჯავახიშვილი
126

გალაკტიონ ტაბიძე
181

დიაბოლოს
245